Die Georgische Zeitschrift „Das Georgische Volk“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ-946

ქართული ერი

ორგანო ქართული ეროვნული პოლიტიკისა და კულტურისა

შინაარსი

1. განცხადება . . . . . .
2. კავკასიელნო (მოწოდება) . . . .
3. მოწოდება . . . . . .
4. რაიხსმინისტრ დრ. გოებელსის წერილი
5. ეროვნული ერთობის საფუძვლები. ვ. ნოზაძე
6. კავკასიური პოლიტიკის ისტორიიდან. ზ. ავალიშვილი
7. სიყვარულის ტრაგედია (პოემა) . . ვ. ურდოელი
8. დიდი ილია . . . . . ა. ცომაია
9. საქრთ. მორიგი ეკონომ. საკითხები . გ. ჟურული
10. მ. წულუკიძის ხსოვნას . . . . . გრ. რობაქიძე
11. მ. წულუკიძე . . . . . მ. წერეთელი
12. ი. მანწკავა . . . . . ვ. ნოზაძე
13. ბაჯადო (რომანი) . . . . . ს. კასრაძე

№ 15

ნოემბერი, ბერლინი 1944 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ კავკასიელ ლტოლვილთათვის სამზრუნველოდ დაარსებული კავკასიური სამმართველო (კაუკაზიშე ფერტრაუენსშტელე) ამით აცხადებს შემდეგს:

1. კავკასიურ სამმართველოს დაკისრებული აქვს შემდეგი ამოცანები:

ა) კავკასიელ და კალმიკ-ლტოლვილთა მთლიან ორგანიზაციებში გაერთიანება.

ბ) მზრუნველობა მათ კულტურულ და სოციალურ საჭიროებაზე.

გ) შუამავლობა-დახმარება გერმანულ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში.

2. გერმანიაში და პროტექტორატში მცხოვრები ყოველი კავკასიელი და კალმიკი ლტოლვილი უნდა იყოს ჩაწერილი კავკასიურ სამმართველოში და უნდა ატარებდეს მისგან გაცემულ მოწმობას, რომლითაც მას შეუძლია თავისი კავკასიელობა ან კალმიკობა დაამტკიცოს. ამიტომ საჭიროა თვითეულმა შეავსოს კავკასიის სამმართველოს სათანადო საღრიცხვო ფურცელი. ამის გამო მივმართავთ კავკასიელ და კალმიკ ლტოლვილთ წერილობით ან პირადათ მოაგვარონ ეს საკითხი ცენტრალ სამმართველოში: ცენტრალფერტრაუენსშტელე ინ ბერლინ, 36. მარიანნენპლატც 14. ეს მოთხოვნილება შეეხება იმ ლტოლვილთაც, რომელთაც 25. 11. 1943 წ. ადრე მიღებული აქვთ ასეთი მოწმობა; ვისაც ეს ჯერ არ გაუკეთებია, დაუყონებლივ უნდა შეასრულოს იგი.

საყურადღებოდ: ვინც ამ განცხადებას ექვსი კვირის განმავლობაში არ შეასრულებს, იგი გაირიცხება მზრუნველობიდან. და ასეთ პირებს მოეთხოვება ჩააბაროს თავისი ლურჯი მოწმობა სამმართველოს ან ფოსტით გადაუგზავნოს მას; ბერლინ, 36; მარიანნეპლატც, 14. გერმანულ ხელისუფლების დაწესებულებებს-კი მიეცემათ საამისო ცნობა.

კავკასიური სამმართველო გერმანიაში

Kaukasische Vertrauensstelle, Berlin

36. Mariannenpatz 14

კ ა ვ კ ა ს ი ე ლ ნ ო,

ახალი და თავისუფალი ევროპისათვის ამ უდიდესი ბრძოლის დროს თვითეული კავკასიელიც უნდა იყოს მზად თავი დასდოს კავკასიის ხალხთა ახალი თავისუფალი ცხოვრებისა და საკუთარი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის. ამას მოითხოვს ჩვენგან ჩვენი სამშობლო!

ჩვენი ზნეობრივი ვალია გავხდეთ ღირსნი ჩვენს მამაპაპათა, რომელთაც ასე ხშირად იარაღით ხელში ჩვენი სამშობლო მტრისაგან დაუცავთ. კავკასიას ყოველთვის მოუბერხებია უცხო ძალების უღელის გადაგდება, ვისაც არ უნდა ყოფილიყო იგი: სპარსთა, თურქთა თუ ბოლშევიკთა.

ჩვენ კავკასიელთ დღეს უფრო, ვინემ ოდესმე, გადაწყვეტილი გვაქვს ძლევამოსილ დიდ-გერმანიის მხარეზე ბოლშევიკური მონობიდან ჩვენ სამშობლოთა განსათავისუფლებლად ვიბრძოლოთ.

მრავალი ათასი მოხალისე კავკასიელი თავისი ეროვნული ლეგიონებით და დიდ გერმანიის ჯართან მხარიმხარ სდგანან ბრძოლის ასპარეზზე ჩვენი საერთო მტრის წინააღმდეგ. ჩვენმა გულადმა ლეგიონებმა თავისი გმირული ბრძოლით მოიხვეჭეს უმაღლესი ქება და სახელი; მტრის ბანაკში-კი გამოიწვიეს აუწერელი გაჯავრება. მტერთა შურისძიება დიდია. ჩვენ ვიცით, ისინი სისხლს იღებენ ჩვენ სამშობლოში დარჩენილ ნათესავებისა და მეგობრებისას, რომელთაც არ შეუძლიათ მათ თავი გაარიდონ. ჩვენ კარგად ვიცით, არც ჩვენ მოგველის უკეთესი ბედი, თუ ჩვენმა მტრებმა გერმანიის დამარცხება შესძლეს.

დღეს, როცა ყოფნა-არ-ყოფნის საკითხი სწყდება, თვითეულმა კავკასიელმა, ჭაბუკია იგი თუ მოხუცი, მამაკაცია თუ დედაკაცი, თავისი ძალები სავსებით ბრძოლის საქმეს უნდა შესწიროს. ამიტომ მყის მოვუწოდებთ ჩვენ ყველა კავკასიელს დადგეს ევროპიულ ფრონტზე ახალი ევროპისათვის და ამით ჩვენს სამშობლოთა განთავისუფლებისათვის.

ჩვენი საერთო მემკვიდრე მტერი აღმოსავლეთში სდგას ჩვენი ძლიერი მეგობრის გერმანიის კარებთან, იმ გერმანიისა, რომელმაც ჩვენ ამდენხანს დაგვიცვა და საშუალება მოგვცა ჩვენი ეროვნული საქმისათვის როგორც სტუმრებს ბრძოლა გაგვეგრძო. ჩვენს მეგობარ გერმანიისადმი ამიტომ ღრმა მადლობით დავალებული ვართ.

თუ გერმანია დამარცხდა, შთაინთქება მასთან ერთად მთელი ევროპიული კულტურა და ცივილიზაცია. მაშინ ჩვენთვის, კავკასიელებისათვის განთავისუფლება ბოლშევიკურ-ებრაული მონობისაგან ძალიან დიდი ხნით დამარხული იქნება. მტრები ჩვენ ამოგვულეტენ და ჩვენს ქვეყნებს გადააქცევენ მხეცურ გეგმათა საექპერიმენტოდ.

ჩვენი ვალდებულებაა ჩვენი ახალგაზრდა თაობის წინაშე ამ საბედისწერო წუთში ჩვენი ძალები სავსებით მოვახმაროთ ბრძოლას საერთო მემკვიდრე მტრის წინააღმდეგ. თუ ჩვენ ამას არ შევასრულებთ, ჩვენი შთამომავლობა ამას არასოდეს არ გვაპატიებს.

კავკასიის ხალხთა ყველა ახალგაზრდავ, თქვენ მოგიწოდებს ევროპის დანარჩენი ახალგაზრდობა! ჩასდექით მის რიგებში და აღასრულეთ თქვენი მოვალეობა! მოაღწია წამმა, როცა თქვენც მიღებული იქმნებით მოხალისედ ბრძოლისათვის. აღმოსავლეთის ყველა ხალხის მრავალი ათასი ჭაბუკი, თოთხმეტიდან ოც წლამდე, უკვე იმყოფებიან ს. ს. ახალგაზრდობის რიგებში და იქ ასრულებენ თავის ვალს, როგორც საჰაერო თავდაცვის დამბმარენი.

ჩვენ არ გვსურს ჩამოვრჩეთ სხვა ხალხებს ევროპიულ საერთო ბრძოლაში და გვწადია დაუყონებლივ გამოვცხადდეთ უკვე ამისათვის მოწყობის გზაზე შემდგარ ეროვნულ ორგანიზაციებში.

სამშობლო დიდ გასაჭირშია და გვავალდებულებს ჩვენ სავსებით ბრძოლაში ჩავებათ.

ამისათვის ვიზრუნებთ, რომ თვითეული თქვენგანი თქვენს ეროვნულ ნაწილში წახვიდეთ. თქვენი მოხალისეობა უზრუნველყოფს თქვენს კარგს აწმყოს და მომავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისათვის გაძლევთ თქვენ ყველა სასარგებლო შესაძ-ლებლობას. კავკასიელ ახალგაზრდობისადმი მოწოდე-ბიდან თქვენ შეგიძლიათ გაიგოთ, თუ ბრძოლის რომელი საჭიროებისათვის გამოგიყენებენ თქვენ და ცხოვრების რა ხელსაყრელი პირობები შეგექმნებათ.

კავკასიელო მშობელნო: გააგზავნეთ თქვენი ვაჟები და ასულნი ს. ს. ახალგაზრდობაში და გახადეთ ისინი მოხალისეებად, როგორც დამხმარე საჰაერო თავდაცვაში. თქვენ იცით, თუ რა მძიმე დროში ვცხოვრობთ ჩვენ და რა მყარ ჭერქვეშ შეგყავთ თქვენ თქვენი შვილები. ეს საუკეთესო არჩევანია, რომელიც თქვენ შეგიძლიათ მიი-ღოთ.

დიდთა გადაწყვეტილებათა დღე გვიახლოვდება. და ჩვენ, კავკასიელებს, შეურყევლად გვრწამს, რომ მტერნი უდნა გალახულ და ჩვენი სამშობლო განთავისუფლებულ იქმნას, და ადოლფ ჰიტლერი, ძლიერი გერმანიის ერის ხელმძღვანელი, სამართლიანსა და საუკუნო ზავსა დაამ-ყარებს.

კავკასიის სამმართველო გერმანიაში.

Kaukasische Vertrauensstelle, Berlin 36. Mariannenpatz 14

ქართველი ხალხის ჭაბუკნო!

თქვენ მოგიწოდებთ ეროვნულად განწყობილი ევრო-პიული ახალგაზრდობა თანამშრომლობისაკენ. ეროვნული ახალგაზრდობა ევროპისა დარაზმულია თავის ეროვნულ ნაწილებში როგორც დამხმარე საჰაერო თავდაცვისათვის. თქვენც შეემატეთ ქართველ ამხანაგთა რიგებს, რომელ-ნიც როგორც ს. ს. დამხმარენი საჰაერო თავდაცვის საქ-მეში თავის ვალს ასრულებენ.

კავკასიელნო ჭაბუკნო და ასულნო, თოთხმეტიდან ოც წლამდე, რომელთაც ჯერ შემთხვევა არ მოგცემიათ აქ-ტიურად გებრძოლათ, ეხლა შეგიძლიათ დაუყონებლივ როგორც ს. ს. დამხმარენი საჰაერო ბრძოლის საქმისა-თვის გამოცხადდეთ.

ყველა კავკასიელ ს. ს. დამხმარეს და საჰაერო ბრძო-ლაში დამხმარეს აქვს შემდეგი უფლებანი:

თქვენ თანამემამულეებთან ერთად თქვენ ადგენთ ერთ-ეულს.

თქვენ გექნებათ კარგი ბინა, კარგი კვება, კარგი ჩაცმა-დახურვა და ჯამაგირი, როგორც გერმანელ ჯარისკაცს.

თქვენ სწავლის გაგრძელებაზე იზრუნებენ თქვენი სა-კუთარი მასწავლებლები.

თქვენ კულტურულ და რელიგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე იზრუნებენ.

თქვენ გექნებათ შვებულება; თქვენ შეგეძლებათ აგ-რეთვე თქვენი მშობლები ინახულოთ.

თქვენი გამჭრიახობა, როგორც ს. ს. დამხმარენი და საჰაერო ბრძოლის საქმეში გაძლევს თქვენ ყველა შესაძ-ლებლობას მომავალისათვის. დაამტკიცეთ თქვენი უნა-რიანობა, მიიღეთ თქვენ მოწმობა თქვენი მოხალისე ბრძო-ლისა ეროვნულად განწყობილ ევროპიელ ახალგაზრდა-თა შორის. თქვენი მიღწევანი შემდეგნაირად იქნებიან დახარისხებული:

პირველი საფეხური გაძლევთ თქვენ უფლებას უხარ-ჯოდ და ნებისამებრ შეისწავლოთ რომელიმე ხელობა.

მეორე საფეხური საშუალებას გაძლევთ თავისუფლად აირჩიოთ ხელობა და უზრუნველგყოფთ ხელობის შეს-წავლით.

იფიქრეთ იმაზე, რომ თქვენი მოხალისეობით პირვე-ლად ყოვლისა თქვენს სამშობლოს ეხმარებით.

იბრძოლეთ კავკასიის ხალხთა ახალი და თავისუფალი ცხოვრებისათვის!

იბრძოლეთ ახალი, თავისუფალი და სამართლიანი ევ-როპისათვის!

სამშობლო მოგიწოდებს თქვენ!

დაამტკიცეთ, რომ თქვენ ხართ ღირსი თქვენ მამაპაპათა, რომელთაც არა ერთჯერ ბრძოლით თავისი სამშობლოსა და ევროპისათვის, აღმოსავლეთიდან შემოსეული მტერი უკუუგდიათ.

განცხადება უნდა გამოგზავნოთ კავკასიის სამმართვე-ლოს სახელზე:

კავკაზიშე ვერტრაუენსშტელე, ბერინილ 36, მარიანნენ-პლაც 14.

უნდა შეივსოს შემდეგი განცხადების ქაღალდი:

მე როგორც ქართველი მოხალისედ ვცხადდები ევრო-პიულ ახალგაზრდათა რიგებში ბრძოლისათვის, ვით ს. ს. დამხმარე ან საჰაერო ბრძოლის საქმეში დამხმარე. გვარი... სახელი... დაბადებული... აქადაქ... მისამართი... (გერმა-ნულად)... ვმუშაობ ამჟამად... (მისამართი გერმანულად) თარიღი... ხელისმოწერა...

მ ო წ ო დ ე ბ ა

ამხანაგებო!

როგორც ხელმძღვანელი ჰიტლერ-ახალგაზრდებისა, თქვენი ამხანაგები აღმოსავლეთში ევროპიელ ახალგაზ-რდობის ბრძოლაში რომ ჩაება, მოგმართავთ თქვენ დღეს, რომელნიც დიდ გერმანიის რაიხში ცხოვრობთ.

მოგიწოდებთ თქვენც, ისე როგორც ეს პირველად ჰიტ-ლერ-ახალგაზრდებმა ჭქნეს და შემდეგ კიდევ თქვენი თა-ნამემამულე ვაჟები და ქალები აღმოსავლეთში მათ გაჰ-ყვნენ, თქვენც ეხლა ისწრაფოთ იარაღს ხელი მოჰკიდოთ და ს. ს. დამხმარედ ან საჰაერო ბრძოლის საქმეში დამ-ხმარე გახდეთ.

ჩემი რწმუნებული და ს. ს. დამხმარე და საჰაერო ბრძო-ლის საქმის დამხმარე თქვენი საკუთარი ხალხისა იმყო-ფება თქვენს სამმართველოში თქვენდა სამსახურად და მასთან შეგიძლიათ მიიღოთ ყოველგვარი ცნობა.

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ჩემს ამხანაგურ მო-წოდებას ომის ამ გადამწყვეტ საათში გამოეხმაურებით.

ახალგაზრდობის ამხანაგობაში დაკავშირებულნი, წინ გამარჯვებისაკენ.

მეთაური საბრძოლო ჰ. ი. კომანდოსი
ნიკელ
ჰაუპტბანნფიურერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიხს მინისტრ დრ. გოებელსის წერილი.

როდესაც ამ რამოდენიმე კვირის წინად მიღებულ იქმნა პირველი ზომები მთელი გერმანული ხალხის ტოტალურ ომში დარაზმვისათვის, ამას მტრის საზოგადოებრივი აზრი დაცინვითა და კილვით შეხვდა. მოწინააღმდეგე ბანაკში ამბობდნენ, რომ გერმანია სულსა ღაფავს და მისი სიკვდილისათვის უკანასკნელი დაკვრაა საჭიროო და ამას ვერ ააცდენს მას თეატრების დახურვა, აქამდე სამხედრო მრეწველობაში ჩაუბმელ ქალთა ეხლა გაწვევაო. მტერთა ბანაკის ყველა გაზეთი ელოდებოდა, ომი მალე დასრულდება და სწრაფი გამარჯვება გვექნებაო. „როგორც-კი ამერიკელ-ინგლისელი ჯარისკაცები გერმანულ მიწაწყალზე ფეხს დასდგამენ, გერმანიის ხალხი გატყდება“-ო, გონებდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რუზველტი, და მისი დამქაში ჩერჩილი უკვე გაფაციცებით ემზადებოდა დათვის ტყავი გაენაწილებინა, სანამ მოჰკლავდნენ. მოკლედ, თუ ვინმეს ვითარება, საკმაოდ ნათლად არ ჰქონდა წარმოდგენილი, შეეძლო ეფიქრა: მართლაც საკმაოა ცოტა ბათქაბუთქი, როგორც ეს აიზენჰაუერის მთავარ-შტაბში განაცხადეს, რათა გერმანია მიწაზე განართხულიყო. დღეს კი საკითხავია, მტერთა ხელმძღვანელობამ მართლაც ვერ შეაფასა ნამდვილი ვითარება საომარ ძალებისა და ამიტომ ყალბი დასკვნა მიიღო, თუ თავის ხალხთა საზოგადოებრივი აზრის დასაშოშმინებლად მათ ამით თვალებს უხვევდნენ. როგორც არ უნდა იყოს, სინამდვილე ისაა, რომ ისინი მწარედ შესცდნენ. გერმანიაში, აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთიდან გამოსეირნებაზე ლაპარაკიც ზედმეტია; პირიქით, მტერი შემოტევისას ხვდება ჩვენს საზღვარზე მისთვის მოულოდნელ, სასტიკ წინააღმდეგობას, და ესაა სრულიად გაუტეხელი გაკაჟებული გერმანული გული, როგორც ამასწინად ერთი ლონდონელი გაზეთი სწერდა.

რას უნდა მიეწეროს ეს ცალკეულად? უეჭველია, ჩვენმა მტერმა თავისი ჩვენზე ნაცქაფავი ცნობებით ფრონტის ვითარებისა და გერმანიის შინაური მდგომარეობის შესახებ, წინ გაუსწრეს სინამდვილეს და ეს შემდეგ მწარედ იწვნიეს. ამასთან ჩვენ არა გვსურს უარვყოთ, რომ ზაფხულის განმავლობაში ჩვენ მარცხი და სიმწარე გვაგემეს. მაგრამ არსად ნიშანწყალი იმისა არა სჩანს, რომ ამით ომი მტრის სასარგებლოდ გადაწყვეტილიყოს. პირიქით. გერმანულმა მეთაურობამ შესაფერი საწინააღმდეგო ზომები მიიღო და ეს ისეთი გადამწყვეტი ხასიათისა იყო, რომ მათ ძლიერ მალე სასურველი შედეგები მოგვცეს და მომავალშიც მოგვცემს. ლონდონში, ვაშინგტონსა და მოსკოვში ინანებენ, რომ იქ, ჩვენი ტოტალური საომარი დარაზმვა, რომელიც თუმცა მოგვიანებით, მაგრამ არა გვიან მოხდა, სასაცილოდ გახადეს და კატეგორიულადაც უარჰყვეს იგი სერიოზულად მიეღოთ. გარნა ღირსია, მტერმა დააფასოს იგი. ამ შემთხვევაში საქმე ეხება არა ფსიქოლოგიური ხასიათის სხვადასხვა ბრძანებათა და განკარგულებათა რიგს, რომლის დანიშნულება თითქო მხოლოდ ის უნდა იყოს, რომ გერმანული ცხოვრების გარეგანი სახე სამხედრო ვითარებას შეუფარდოს; არამედ, როგორც ეს ჩვენ მაშინდელ ჩვენს რადიო-სიტყვაში ტოტალური ომის შემოღებისას განვაცხადეთ, საქმე ეხება უმთავრესად: ფრონტს მივცეთ ახალი მეომრები და სამხედრო მრეწველობას ახალი მუშა-ქალები. ეს დღეს განსაცვიფრებელი მოცულობით ხდება. მრავალრიცხოვან სახალხო გრენადირთა დივიზიონების შესადგენად, ვერმახტის მიერ მოთხოვნილი, ფრონტისათვის გამოსადეგ ჰასაკის ახალგაზრდათა რაოდენობა, როგორც აგვისტოში, აგრეთვე სექტემბერში ზუსტად შევსებულ იქმნა და მომავალ თვეების განმავლობაშიც აგრეთვე ზუსტად შეივსება; ხოლო რაც განთავისუფლებულ და ახლად შეძენილ სამუშაო ძალას შეეხება, ეს ისეთი სიჭარბით მოზღვავდა, რომ შრომის უწყებებს და სამხედრო მრეწველობას უჭირთ საერთოდ მათი სამხედრო მრეწველობაში ჩაბმა. და ამ ზომის მიზანიც ეს იყო.

თუ ჩვენ ამ ხერხით აგრეთვე იმასაც ვაღწევთ, რომ ომისათვის მებრძოლთა თადარიგს ვიჭერთ, ამითვე ჩვენს ომის დღევანდელ ვითარებასაც საუკეთესოდ ვძლევთ. მტერს სწადია სწრაფად გამარჯვებას მიაღწიოს. მას ეს სჭირდება სამხედრო-პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად.

მთელი ჩვენი ინტერესი-კი ისაა, რომ ყოველგვარი საშუალებით მას ეს სწრაფი გამარჯვება დავუბრკოლოთ, რათა მას საერთოდ გამარჯვების შანსებიც წავართვათ. ეს ძალიან ადვილი შესაძლებელია; ვინაიდან ჩვენ ვიბრძვით გერმანიის საზღვრებზე მრავალმხრივ ბევრად ხელსაყრელ პირობებში, ვინემ აქამდე, რადგან ჩვენი ფრონტი მტრის მიწაწყალზე შორ-შეჭრილი იყო და ამ ფრონტის კავშირი ზურგთან მუდმივ სიძნელეს იწვევდა. ეხლა ამ გადამწყვეტი საკითხის გამო თავი უნდა იმტვრიონ აღმოსავლეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთში საბჭოებმა, ხოლო დასავლეთით და სამხრეთით ინგლისელებმა და ამერიკელებმა. საკუთარი გამოცდილებით ვიცით, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობის შეიძლება იყოს ეს. არსებითი განსხვავებაა, მებრძოლ ლაშქარის ძალებს ზურგში უცხო ანუ მტრული, თუ საკუთარი ხალხი ჰყავს. ყოველ შემთხვევაში დღეს ფრონტისაკენ უმოკლესი კავშირის ხაზების უპირატესობა ჩვენს მხარეზეა; მაშინ როცა მტრის მხარეზე გრძელი, შორეული კავშირის გზათა ნაკლი უნდა იწვნიონ, სრულებით რომ არ მოვიხსენიოთ ის, რომ ჩვენი ჯარისკაცები ამჟამად საკუთარი სამშობლოსათვის იბრძვიან და მათ იციან, უკანდახევა რომელიმე ფრონტზე თვით გერმანიასა სცემს. შეიძლება მტრის მხარეზე ამ მოსაზრებებს გადამწყვეტ მნიშვნელობას არ აძლევენ, მაგრამ მაინც ცხადია, და მტრის ბანაკშიც ამას ხშირადაც აღიარებენ, რომ გერმანელთა წინააღმდეგობა უზომოდ განმტკიცდა და უკვე ლაპარაკიც აღარ შეიძლება იმის შესახებ, თითქო მტრის მიზანი ხელმისაწვდომი იყოს.

უგულებელ არ უნდა ვყოთ, რომ ჩვენი ზომები ტოტალური ომისათვის მხოლოდ ეხლა ტარდება და საჭიროა განსაზღვრული დრო სრული ნაყოფის გამოსაღებად. მაშ სწორეა, როგორც ჩვენ რამოდენიმე კვირის წინად ვამტკიცებდით, რომ ომის თანამედროვე სურათი არ გამოსახავს მებრძოლ მხარეთა ნამდვილ ძალთა მდგომარეობას და რომ ჩვენ მიერ მიღებულ ზომათა შედეგად არსებითი ცვლილება ჩვენ სასარგებლოდ მოხდება-თქო. თავისთავად ცხადია, ჩვენ დიდს, ხოლო არა ერთადერთ იმედს ვამყარებთ ახალი იარაღის გამოყენებაზე.

გამოცდილია, რომ წარმატება, რომელიც შეიძლება ტექნიკური გამოგონებით იარაღის ქმედობაში მიღწეულ იქმნას, ხშირად მხოლოდ მოკლე-ვადიანია. მაინც მისი შესაძლებლობა არ უნდა დავაკნინოთ. იგი ჩვენს ფართო განზრახვებს ზედერთვის და მათ შედეგიანობას აძლიერებს. ყოველ შემთხვევაში, ზედმეტი არ იქნება, თუ განვაცხადებთ: თუმცა წარსულმა ზაფხულმა გაგვამწარა, მაგრამ არამცდაარამც ვერ დაგვაჩოქა. ყოველ უბედურებას ჩვენ გამოვუნახეთ საწინააღმდეგო წამალი. დღეს ფრონტი გვიჩვენებს არსებითად სხვაგვარ სურათს, ვინემ რამოდენიმე კვირის წინად. ჩვენი ხალხი პირველი შერყევის შემდეგ, რომელიც გამოიწვია ჩვენმა სამხედრო უკანდახევამ, განსაკუთრებით დასავლეთში, გამოფხიზლდა სავსებით და როგორც ყოველთვის ისევ მტკიცედ ფეხზე დადგა. თუ ამერიკელ პრეზიდენტს ეგონა, რომ ევროპაში გამარჯვებით მას თავისი ახალი საარჩევნო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კამპანიის წამოწყება შეეძლო, გერმანიის მეთაურობამ მთელი გერმანელი ხალხის დახმარებით მას ეს იმედები გაუცრუვა.

უმადური საქმეა ომში წინასწარმეტყველება ითამაშო, და ხვალინდელი დღე ამ საღამოს არ უნდა შეაქო. რასაკვირველია, საერთო სამხედრო მდგომარეობა ჯერ კიდევ ძალიან დაჭიმულია და ამიტომ ჩვენთვის, არავითარი საბაბი არაა ჩვენ ძალთა დაძაბვა შევასუსტოთ ან ოცნებით დავტკბეთ, რომ მთავარი გადალახული გვაქვს და სიძნელეთა მთაზე უკვე გადასული ვართ. ამაზე, სამწუხაროდ, ლაპარაკი ნაადრევია. მომავალ კვირეებსა და თვეებში არაჩვეულებრივი ტვირთი უნდა ავსწიოთ, რომელიც ალბად აწიც, ომის დასასრულამდე, კიდევ უფრო დამძიმდება, ვინემ დამჩატდება. მაგრამ ჩვენ ეს წინასწარ გავითვალისწინეთ. ომის დაწყებიდანვე ჩვენთვის აშკარა იყო, რომ ჩვენს მტრებს ჩვენი დახრჩობა სურთ და არც ერთ საშუალებას არ დაზოგავენ ამ მიზნის მისაღწევად. ხალხი, რომელიც მუდმივ სასიკვდილო საფრთხეშია, თავის ეროვნულ არსებობას იცავს, უმრავლეს შემთხვევაში გადაულახავია, ვინაიდან იგი ყველაფრისათვის მზადაა და თავდადებული.

მხოლოდ ის ხალხები, რომელთაც უხასიათო მეთაურობა ჰყავთ, ხდებიან მსხვერპლი იმ ცდუნებათა, რომელთაც სიძულვილით აღსავსე მტერი ასეთ წუთში მათ აწოდებს. იტალიის, რუმინეთის, ბულგარეთის, ფინეთის მაგალითებით განვიცადეთ ჩვენ, თუ ამას საით მივყევართ. რომ ამ ხალხებსა და მათ მთავრობებს განვითარების ჩარხის შეტრიალება შესძლებოდათ კიდევ ერთჯერ, სანამ ისინი საერთო საქმეს ჩამოშორდებოდნენ, მათ ალბად უკეთესად ეცოდინებოდათ, თუ რა უნდა ექმნათ, როცა ისინი მძიმე-შედეგიანი გადაწყვეტილების წინაშე იდგნენ. სრულებით არავითარი განსხვავებაა არა იმაში, მათ საბჭოთა თუ ინგლის-ამერიკის ხელისუფლებას მოუხარეს ქედი. ვინც იარაღს ხელიდან აგდებს, იგი კარებს ულებს შიმშილს, ტერორს, მიმძლავრებას, აგრეთვე ანარქიას და ამგვარად საბოლოო შედეგით — ბოლშევიზმს. საშინელი გაჭირვება, რომელიც ჩვენს მტრების მოსვლას თანასდევს, ბატონობს როგორც იტალიაში, ისე საფრანგეთში, როგორც ეს სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებშია და ფინეთში. ამიტომ ხალხმა ამ კრიტიკული დროის წუთებში სათანადოთ უნდა გაიგოს, თუ რა უნდა აკეთოს მან და არასოდეს გვერდი არ უნდა აუხვიოს ომის მტკიცე წესს, არავითარ, თუ გინდ უსაშინელეს პირობებშიაც-კი, იარაღი არ უნდა დაჭყაროს, სანამ უკანასკნელი ბრძოლა გათავებული არ არის. ვინც სიკვდილის შიშის გამო თვითმკვლელობას სჩადის, ამით იგი თავის მტრებს უმსუბუქებს საქმეს, რომლის გაკეთება უმრავლეს შემთხვევაში მათ არ შეუძლიათ: ვინაიდან რამდენად ისინი ამით იმუქრებიან, იმდენად ნაკლები ღონე აქვთ მათ იგი განახორციელონ.

ჩვენ არ ვდავობთ იმაზე, რომ ჩვენ გავიარეთ მძიმე კვირეები. მაგრამ ამ ომში რომელი დრო არ იყო ჩვენთვის მძიმე! ჩვენს მტრებს ჩვენზე უკეთესად არა აქვთ საქმე. მაგრამ მათ მეტი მოხერხება აქვთ, თავისი საკუთარი ჭირი საზოგადოების გამსინჯავ თვალებს დაუმალონ. მაგრამ მათ აღარ შესწევთ კადნიერება ამტკიცონ, რომ ომი მათ სიხარულს უმზადებს. ჩვენ ვცხოვრობთ ომის მეექვსე წელში და მისმა ხანგრძლივობამ მასში მონაწილე თვითეული ქვეყნის არსება და ნერვიული ძალა დაასუსტა. ჩვენ არა ვართ მარტოდ ერთი, რომელიც ამ უბედურებას განიცდის და ამიტომ არაგვსურს ომის დასასრულს ომის წამგები ვიყოთ. მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენგან არის დამოკიდებული. ჩვენ წარმოვადგენთ ჭაბუკ, რევოლუციურ სახელმწიფოს. ჩვენი ხალხი ჯანმრთელია და წინააღმდეგობის უნარიანი. მისი სამხედრო მორალი ხელუუხლებელია, და აგრეთვე მატერიალური წინასწარი პირობები ომის შემდეგი წარმატებითი წარმოებისათვის ყოველ მხრივ მოცემულია. ჩვენ, რასაკვირველია, უნდა გადავიაროთ მთელი რიგი ვიწრო გადასავალი, ხანდახან ძალიან ძნელიც; მაგრამ ამ ომის განმავლობაში როდის არ ყოფილა ასეთი შემთხვევა! ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ჩვენს საზღვრებზე სამ მსოფლიო ძალას ვებრძვით, რომელიც ყველაფერს მიმართავს, რათა ჩვენ წაგვაქციოს და ჩვენი წინააღმდეგობის ძალა გასტეხოს. თუმცა ერთი მხრივ ჩვენ ასეთ არაჩვეულებრივ სიძნელეებს განვიცდით, მეორე მხრივ გვაქვს აგრეთვე ყოველი საფუძველი მით ვიამაყოთ, რომ მტერთა ადამიანურ და ნივთიერ მასსათა სწორედ ასეთ შემოტევისას მტკიცედ ფეხზე ვდგავართ და არ ვექანებით. ეს არის ნამდვილი სახელოვანი ქმედობა ამ ომისა, რომელიც ისტორიაში შევა. და რომ ამასთანავე მარცხი განვიცადეთ და გადავლახეთ, შემდეგში იგი მხოლოდ განიწმინდება და უფრო სხივოსან სინათლეში გამოცხადდება. რა არ მოვიმოქმედეთ ჩვენ ამ ომში! არაა არც ერთი ისეთი მწვერვალი გამარჯვებისა, რომლისათვისაც ჩვენ არ მიგვეღწიოს ომის განმავლობაში, და არაა ისეთი დამარცხების უფსკრული, რომელსაც ჩვენ ამავე ომის მიმდინარეობაში გადავრჩენოდეთ. მაგრამ ყოველ ამ შემთხვევაში ჩვენი ხალხის ურყევმა პოლიტიკურმა ხასიათმა თავი გვიჩვენა გამარჯვებით. ჩვენ მრავალჯერ გვქონდა შემთხვევა გამარჯვების სიმთვრალის ან დამარცხების შემაძრწუნებელი ტკივილის გამო ნერვები დაგვკარგოდა. ჩვენ ეს არ დაგვმართია არც ერთჯერ. ეს გვიმტკიცებს მეტს, ვინემ ყველაფერი სხვა, რომ გერმანელი ხალხი თავისი მორალური სიმტკიცის გამო, როგორც ბედნიერებაში, ისე უბედურებაშიც საბოლოო გამარჯვების მიმღწევია. ამას რა უნდა დაუპირისპირონ ჩვენმა მტრებმა? არაფერი, გარდა თავის ადამიანთა მასსებისა და მასალათა სიუხვისა; ესენი-კი, თუმცა ამოუწურავად გვეჩვენებიან, ერთჯერ მაინც ხომ გამოილევიან! მტრები რომ ამით ჩვენ გვაიძულებენ დიდი მსხვერპლი გავიღოთ. ჩვენთვის ეს თუმცა მეტად მტკივნეულია, მაგრამ შედარებით იმასთან, რასაც ჩვენ დავკარგავდით იმ შემთხვევაში მტერს რომ დავნებებოდით, ეს არაფერია. გერმანიაში ამაზე არც არავინ ლაპარაკობს, არც არავინ ფიქრობს. ჩვენს დამუქრებულ საზღვართა შიგნით სდგას თავდადებული გერმანიის ხალხი, რომელსაც სურს ყველაფერი გასწიროს, მაგრამ მტრის მონობის უღელს-კი არ დაიდგამს. მათ სრულებით არა სჭირდებოდათ ეთქვათ, თუ რა ბედს მოგვანიჭებდნენ ისინი თავის გამარჯვების შემთხვევაში, რათა ჩვენი თავგანწირული მოწინააღმდეგობა გაეხურებინათ; ეს ისედაც მოხდებოდა.

ვინაიდან ჩვენ ვიცავთ ქვეყანას, ურომლისოდაც სიცოცხლე თავის აზრს დაჰკარგავდა და ამით სიცოცხლის ღირებულებისა აღარ იქნებოდა. ესაა ქვეყანა ჩვენი ნაციონალ სოციალისტური იდეალებისა, რომელიც ჩვენს მტრებს სძაგთ, რადგან იგი მათ აღვირახსნილი მატერიალიზმის ქვეყანას სავსებით ეწინააღმდეგება. ჩვენი შემოქმედება ჩვენი ეროვნული არსობის დასამკიდრებლად სხვაა, ვინემ მათი. ჩვენ დავსძლიეთ მსოფლიო ომის შემდგომი დროის არეულობანი და ახალ სახელმწიფოებრივ ფორმაში აგრეთვე ახალი სახელმწიფო იდეალი მოვიპოვეთ. იგი უკვე დიდი ხანია გადაიქცა მთელი ჩვენი ხალხის საქმედ, ამ ომში დაღვრილ სისხლთა ნაკადებით განიბანა და მოინათლა იგი. არასოდეს ჩვენ არ ვუორგულებთ ჩვენს მთავარ დებულებებს და არასოდეს არ გავქეჟავთ ჩვენს მტკიცე ნებისყოფას, რათა მათ ვუმფარველოთ და ჩვენს განკარგულებაში არსებული ყოველი საშუალებით იგინი დავიცვათ. არც ერთი, გერმანიაში არ ფიქრობს არც ერთი წუთითაც, ჩვენს მტერ ჯალათებს ჩვენი ხალხი გაუბოძოს. ჩვენ გვირჩევნია ყოველი გაჭირვება და აგრეთვე უსაშინელესი უბედურება ავიტანოთ, ვინემ მტრის ნებას დავმორჩილდეთ. ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ პატივი და სახელი აგრეთვე სიცოცხლეა, და არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება ამის შენარჩუნება, თუ იმათ დავკარგავთ. უზენაესი სიმშვიდით შევცქერით ამ ომის შემდგომ გახვითარებას სამხედრო და პოლიტიკურ ძალთა ასპარეზზე. დამაშინებელი მუქარის ძახილი, რომლითაც მტრები მოგვმართავენ, ჩვენს გულში არავითარ გამოძახილს არა პოულობს; ჩვენ ვიბრძოლებთ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე და ვიცით ნამდვილად, რომ ყოვლად-შემძლე ბედისწერა ასეთ განწყობილებას და გარდაწყვეტილებას გამარჯვებაზე დაბოლოს უარს მაინც არ ეტყვის.

არა მარტო ჩვენი მტრები, ჩვენც თვითონაც ვუყურებთ გერმანიის საზღვრებს. მათ სურთ საზღვრებზე გადმოიტანონ უბედურება და გაჭირვება, და შემოიტანონ იგი ჩვენს სამშობლოში; ჩვენ ყველაფერს ვიზამთ, ამას რომ ხელი შეეშალოთ. ისინი იბრძვიან ქაოსისათვის, ჩვენ-კი ჩვენი ახალი წესისათვის. არავითარი ეჭვი არაა, ამ ბრძოლის დასასრულს ვინ გაიმარჯვებს. ერთჯერაცაა განიფანტება შავი ღრუბლები ჩვენს გარშემო და ნათელი ცისკიდური გამოჩნდება. მანამ-კი ჩვენ დროთა ქარიშხალს უნდა გავუძლოთ. ჩვენ ვართ ამით თავმდები ახალი მომავალისა მთელი კულტურული კაცობრიობისათვის. იგი შთაინთქება, თუ ჩვენ ჩვენს თავზე თვითონ უარს ვიტყვით.

„დას რაიხ“, 8 ოქტომბერი, 1944 წ.

ეროვნული ერთობის საფუძვლები

ამიერკავკასიის ერთობისათვის. საგარეო პოლიტიკის გეზი

ამიერკავკასიის რესპუბლიკის დაშლის შემდეგ, 26 მაისს 1918 წ., როგორც ვიცით, დაარსდნენ ცალ-ცალკე რესპუბლიკები: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი. როგორი უნდა ყოფილიყო ამ სამი სახელმწიფოს ურთიერთობა? ნოე ჟორდანიამ ამ დღეს განაცხადა, რომ ქართველი ერი და მის მიწაწყალზე მცხოვრებნი სხვა ერები(!)

„შეჰკრავენ კავშირს იმ ერებთან, რომელნიც ჩვენი ქვეყნის ფარგლებში იმყოფებიან და ამით წარმოიშობა ის სახელმწიფოებრივი კავშირი, რომელიც აღადგენს აქ, ჩვენს წინაშე დაღუპულ სახელმწიფოს. ეს სახელმწიფო იქნება კავკასიის კონფედერატიული კავშირი. ამ რიგად, ჩვენი სავალი გზა, ჩვენი იდეალი უნდა იყოს ამ კავშირის შედგენა, ეს კავშირი იქნება სახელმწიფოებრივი ორგანიზმი, — სახელმწიფოთა კავშირი, — რომელიც საერთო ძალღონით შეკრებილი, მთლიანი წარსდგება გარეშე მტრის წინაშე და დაიცავს თავის თავს, აი მაშინ შეიძლება ასრულდეს ის, რაც სეიმმა ვერ შექმნა. ამით დამყარდება ამიერკავკასიის ერთობა და აქ მოსახლე ერების ძლიერება“-ო. ეს შეხედულება გახდა საქართველოს საკავკასიო პოლიტიკის ღერძად, კავკასიის ერთობის შესაქმნელად, მაგრამ, როგორც დავინახავთ, კავკასიის ერები ჯერ კიდევ არ იყვნენ მზად ამ ისტორიულად გამართლებულ გზას დასდგომოდნენ.

მთავარი სადავო საკითხი, რომელსაც შეიძლება ამ სახელმწიფოთა შორის გულცივობა ან მტრობა, იქნებ ომიც გამოეწვია, იყო საზღვრების საკითხი. ამ საზღვრების საკითხის გარშემო დავა მიმდინარეობდა ჯერ კიდევ რუსეთის ბატონობის დროს, როცა მაზრების გადამიჯვნის, ადმინისტრატიული ერთეულების დაწესების ან ერობის შემოღების საკითხი ისმებოდა ხოლმე. ჩვენ, რასაკვირველია, ამის ისტორიას ეხლა არ აღვწერთ.

ყოველ შემთხვევაში, ყველაზე მეტად დავობდა სომხეთი, როგორც საქართველოსთან, ისე აზერბაიჯანთან. სომხეთის მიმართ საქართველო არა ერთჯერ შეეცადა სადავო საკითხები მოლაპარაკებით გადაწყვეტილიყო, და თუ ეს შეუძლებელი გახდებოდა, მესამე პირისათვის გადაეცათ განაჩენის გამოტანის უფლება, ამიტომ საქართველო წინადადებას იძლეოდა 27 ოქტომბერს 1918 წ. ამიერკავკასიური კონფერენცია მოწვეულიყო, რომელზეც ეს საკითხები გაირჩეოდა. სომხეთმა ამიერკავკასიის კონფერენციის მოწვევაზე უარი სთქვა და პირველ რიგში წარმოადგინა მარტოდ საქართველო-სომხეთის კონფერენცია. შემდეგ არც ეს კონფერენცია შესდგა, რადგან სომხეთის წარმომადგენლები არ გამოცხადდენ და მალე სომხეთმა ომიც აუტეხა საქართველოს, დეკემბრის დასაწყისში 1918 წელს. საქართველომ მაშინვე ჯერ მშვიდობიან-ზომას მიმართა: გაგზავნილ იქმნა სომხებთან მოსალაპარაკებლად საქართველოს სომხების სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელი, მაგრამ ამ ცდამ ფუჭად ჩაიარა და 17 დეკემბერს 1918 წ. საქართველოს პარლამენტმა **ერთხმად** მიიღო ასეთი გარდაწყვეტილება:

„მოისმინა რა მთავრობის მოხსენება შესახებ სამხედრო მოქმედებისა საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკების შორის — პარლამენტი აღიარებს: 1. რომ საქართველოს მთავრობას არავითარი საბაბი მტრული განწყობილებისა არ მიუცია სომხეთის მთავრობისათვის; რომ მან მიიღო ყოველივე ზომა ორ მოძმე სახელმწიფოთა შორის საქმის მშვიდობიანად გადასაწყვეტად. 2. რომ სომხეთის მთავრობის ჯარი ვერაგულად შემოიჭრა საქართველოს საზღვრებში და მოულოდნელად თაეს დაესხა საქართველოს სადარაჯოებს, პარლამენტი იწონებს მთავრობის ყველა მოქმედებას და მისგან მიღებულ სამხედრო ზომებს“.

როგორც ვიცით, ეს ომი დასრულდა მაინც დროებითი შეთანხმებით. — ინგლისელებმა ჯერ მოითხოვეს, ქართველებს დაეცალათ ბორჩალო და ახალციხის მაზრა, რომელიც დროებით მათ გამგებლობაში გადავიდოდა, სანამ საზავო კონფერენცია ამის შესახებ დადგენილებას მიიღებდა. ქართულმა მთავრობამ ამაზე უარი განაცხადა და დასთანხმდა იმ წინადადებაზე, რომელიც გამომუშავებულ იქმნა კომისიის მიერ, სადაც წევრებად შედიოდნენ ინგლისელების, ფრანგების, ქართველების და სომხების წარმომადგენელნი; პირობა ასეთი იყო: ქართველი ჯარი რჩებოდა იმ ხაზზე, სადაც იგი იდგა ომის დაწყების წინ; სომხეთის ჯარი უკან წავიდოდა და ორი მხარის შორის დაწესდებოდა ნეიტრალური ზონა, რომელსაც შერეული მართველობა ეყოლებოდა; ახალქალაქის მაზრაში ქართული მმართველობა იქნებოდა.

1919 წლის თებერვალში საქართველომ თავის მეზობლებს, სომხეთსა და აზერბაიჯანს კვლავ მისცა წინადადება ამიერკავკასიის კონფერენციის შესახებ; კონფერენციას უნდა განეხილა საერთო საკითხები: რკინისგზა, — ფოსტა — ტელეგრაფისა, საბაჟოებისა, ფულისა, ლტოლვილთა დახმარებისა და სხვა. საქართველოს საგარეო მინისტრი ევ. გეგეჭკორი სწერდა სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობებს:

„ამ საკითხთა გადაწყვეტა გახდება საფუძვლად ჩვენ სახელმწიფოთა მჭიდრო დაახლოებისათვის და შეთანხმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მიღწევისათვის ყველა დანარჩენ საერთო საკითხების შესახებაც“-ო.

1919 წლის მხოლოდ 30 მაისს გახდა შესაძლებელი ამიერკავკასიის სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენციის მოწვევა. ამ კონფერენციის მოწვევა შესაძლებელი გახადა იმ მოვლენამ, რომ იმჟამად კავკასიის მთის რესპუბლიკა დაიპყრო დენიკინის ჯარმა და იგი მოიწევდა წინ აზერბაიჯანისაკენ და ემუქრებოდა აფხაზეთსაც. ამ კონფერენციას დესწრნენ მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენელნიც. ყველამ, რასაკვირველია, ერთხმად დაჭგმო დენიკინის ეს ლაშქრობა და გამოითქვა სურვილი ერთობით დაცვის საჭიროების შესახებ. მაგრამ საქმე როდესაც ამ ერთობის შექმნაზე მივიდა, მაშინ სომხეთის წარმომადგენელმა ტიგრანიანმა განაცხადა, რომ მას არა აქვს უფლება რაიმე კავშირის შესახებ იმსჯელოს, სანამ საზღვრების საკითხი არ გამოირკვევაო; ხოლო ს. არუთინოვმა დაუმატა: — დენიკინის ლაშქრობა შეეხება საქართველოსა და აზერბაიჯანს და არა სომხეთსო! ეს კონფერენციაც ბერწი გამოდგა და უნაყოფო გახდა, რადგან მას არავითარი საერთო დადგენილებანი არ გამოუტანია და არც რაიმე ხელშეკრულება დაუდვია. ხოლო 16 ივნისს 1919 წელს საქართველომ და აზერბაიჯანმა დასდვეს თავდაცვითი ხელშეკრულება გარეშე მტრის წინააღმდეგ და ამასთან ერთად საზღვრების საკითხზე ორივე მხარე თანხმდებოდა მშვიდობიან მოლაპარაკებასა ან არბიტრაჟს.

ამ ხელშეკრულების მეათე მუხლში განსაკუთრებულად მოხსენებული იყო სომხეთის რესპუბლიკა:

„ამიერკავკასიის მესამე რესპუბლიკას უფლება აქვს მიემხროს ამ ხელშეკრულებას 15 დღის ვადაში ოფიციალურად მისი შეტყობინების შემდეგ“-ო. მაგრამ სომხეთმა არ მოისურვა ამ საქართველო-აზერბაიჯანის ხელშეკრულებას მიმხრობოდა, — და ამგვარად განზე დარჩა. იმ ხანად აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის დიდათ გამწვავებული ურთიერთობა იყო და დაჭიმული მდგომარეობა დღედღეზე ომით იმუქრებოდა. ამ გარემოებით აიხსნება ალბად ჯიუტური ყოფნიდან სომხეთის გამოსვლა და საქართველოსთან მაინც შეთანხმება.

საქართველო დაჟინებით მოითხოვდა ორივე მეზობელთან კეთილგანწყობილების დამყარებას და თუ ეს აზერბაიჯანთან შესძლო, დაბოლოს, სომხეთთანაც შეთანხმებას მიაღწია. 1919 წლის სამ ნოემბერს საქართველო და სომხეთმა დასდეს ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ყველა სადავო საკითხი მათ შორის პირდაპირი და მშვიდობიანი მოლაპარაკებით ან არბიტრაჟით უნდა მოწესრიგებულიყო.

ამ დროს უკვე სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ზანგეზურში შეტაკებები ხდებოდა. საქართველოს მთავრობა ჩაერია ამ დაჭიმულსა და დაძაბულ ვითარებაში და წინადადება მისცა სომხეთსა და აზერბაიჯანს საკითხი მშვიდობიანი საშუალებით მოეგვარებინათ. მაგრამ ამაოდ. ომი სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის დაიწყო. აქაც ანტანტის წარმომადგენელნი ჩაერევნენ და 23 ნოემბერს 1919 წ. თბილისში შესდგა სომხეთ-აზერბაიჯანის წარმომადგენელთა შეხვედრა, რომელსაც დესწრო საქართველოს მთავრობის წარმომადგენელიც. გადაწყდა შეწყვეტილიყო სამხედრო მოქმედებანი და მოწვეულიყო სომხეთ-აზერბაიჯანის კონფერენცია საზღვრების გამოსარკვევად.

1920 წელს მარტში თბილისში შესდგა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენცია, მაგრამ არც მას გამოუღია ნაყოფი; ვინაიდან ამავე დროს სომხებსა და თათრებს შორის ბრძოლა გრძელდებოდა, და მალე, აპრილის 29-ს, 1920 წელს აზერბაიჯანში წითელი რუსეთის ჯარები შევიდნენ ისე, რომ აზერბაიჯანის მთავრობას არც კი უცნობებია მოკავშირე საქართველოს მთავრობისათვის ამის შესახებ. ჩვენ ამ საკითხს დაწვრილებით უკვე შევეხეთ (იხ. „დამოუკიდებელი საქართველო“, № 51, 52, 54, 55, 56 57, პარიზი, 1930 წელი. და „ქართლოსი“, გვ. 305, 1939 წ.) და აქ აღარ გავიმეორებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ბაქოში მოხდა ღალატი ქემალისტური ოსმალეთის დაწოლით. აზერბაიჯანის მთავრობის უმრავლესობა, ოსმალების ჩაგონებით, მომხრე იყო საბჭოთა რუსეთის ბაქოში შემოსვლისა და წითელი რუსული ჯარი უბრძოლველად შევიდა ბაქოში.

კომუნისტმა სულთანოვმა 27 აპრილს 1920 წ. პარტიის სახელით აზერბაიჯანის მთავრობას ულტიმატუმი წარუდგინა, რათა ხელისუფლება კომუნისტურ პარტიას გადასცემოდა; აზერბაიჯანის პარლამენტმა სულთანოვთან მოსალაპარაკებლად ექვსკაციანი კომისია აირჩია; ამ კომისიასაც, რასაკვირველია, სულთანოვმა მოსთხოვა: ხელისუფლება კომუნისტური პარტიისათვის ჩაებარებინათ. აზერბაიჯანის პარლამენტის საგანგებო სხდომამ დაადგინა: გადაეცეს ხელისუფლება კომუნისტურ პარტიას, ვინაიდან საქმე წაგებულიაო. მთელი ეს საქმე წინდაწინვე იყო მოგვარებული ანუ „ჩაწყობილი“. ეს იქიდანაც სჩანს, რომ სულთანოვი, რომელიც შინაგან საქმეთა კომისარი გახდა, მეორე დღეს ამბობდა: „არავითარი ექსცესები, არავითარი სისხლისღვრა არ ყოფილა. ამ წუთში ქალაქში სრული ხიწყნარეა. ჩვენი წითელი ნაწილები უტევენ სომხებს, აიღეს ევლახი და იმედი გვაქვს, რომ ქართველი პროლეტარიატი მიჰყვება მათ მაგალითს. რაც შეეხება დაშნაკცაკანების ხელისუფლებას, ჩვენ მას ავიღებთ იარაღის ძალით, ჩვენ სრული გარანტია გვაქვს, რადგან იმედებს ვამყარებთ **ასოთხმოც ათასიან არმიაზე, რომელიც ამ უამად აზერბაიჯანში იმყოფება.** გილოცავთ რევოლუციურ ხელისუფლების სახელით, რომ ხელისუფლება გადმოვიდა ჩვენს მხარეზე სრულიად სისხლის დაუღვრელად“. ანუ კიდევ: „ევლახისა და ნუხის გზით უტევენ სომხებს, აქ ჯარის მიზანია ანატოლიასთან შეერთება“... და ეს მართალია. ქემალის თურქეთსა და წითელ რუსეთს შორის უკვე წინასწარი შეთანხმება იყო; სწორედ ამ შეთანხმების მიზნით, თურქეთმა აიძულა აზერბაიჯანი ბოლშევიკური რუსეთის ფარგლებში შესულიყო, სამაგიეროდ რუსეთი აძლევდა ოსმალეთს იარაღსა და ფულს, რათა მას ანტანტის წინააღმდეგ ბრძოლა გაეგრძელებინა.

ბოლშევიკურმა რუსულმა ჯარებმა მართლაც გაილაშქრეს სომხეთის წინააღმდეგ. ნაწილი ამ ჯარებისა გამოეშურა საქართველოს საზღვრებისაკენ და შეუტია საქართველოს: დაიწყო ვითომდა საბჭოთა აზერბაიჯანისა და საქართველოს ომი; სინამდვილეში კი აქ რუსეთი დაესხა თავს საქართველოს და მოინდომა მოულოდნელი შეტევით საქართველოს რესპუბლიკის გადაყრავება. ბაქოში ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ ანუ 3 დღის მერმე, 1 მაისს 1920 წ. წითელი ჯარები საქართველოს საზღვრებს მოაწყდნენ; წითელი კავალერია 2 მაისს თავს დაესხა ქართულ ნაწილებს „წითელ ხიდთან“; წითელმა ქვეითმა ჯარმა და ჯავშნოსნებმა შეუტიეს ქართველებს „ფოილოს ხიდთან“; საპასუხოდ, ქართველმა ჯარმა გადარეკა ისინი საქართველოს საზღვრებიდან და თვით შეიჭრა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და გასდია მტერს. ომი გაგრძელდა 1920 წლის 12 მაისამდე. ბოლშევიკები დამარცხდნენ, და 16 მაისს 1920 წ. საქართველოს მთავრობამ საზავო ხელშეკრულება დასდო საბჭოთა აზერბაიჯანთან. ეს კეთილი ურთიერთობა საბჭოთა აზერბაიჯანთან შემდეგ უფრო გაფართოებულ იქმნა და 20 ნოემბერს 1920 წ. საქართველოს მთავრობამ აზერბაიჯანის საბჭოთა მთავრობას და მასთან ერთად, მის მფლობელ რუსეთის საბჭოთა მთავრობას ხელშეკრულება დაუდო, რომელიც ვაჭრობისა და ტრანზიტის საკითხებს ეხებოდა. საქართველო, ყოველ შემთხვევაში, სცდილობდა მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა ქვეყნებთან განემტკიცებინა, მაგრამ ამაოდ.

O

ახალი სახელმწიფოს დაარსება საკმაო-არაა იმისათვის, რომ იარსებო. სახელმწიფოს დაარსებით ერი გამოხატავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის წადილს, რომ მას სურს დამოუკიდებელი ცხოვრება. მაგრამ თუ შენ დამოუკიდებლობას სხვა სახელმწიფონი არა სცნობენ და არ ჩაგთვლიან სახელმწიფოდ, ამ შემთხვევაში არსებობა დღეს შეუძლებელია, ამიტომ საქართველოს მთავრობა ყოველღონეს ღებულობდა, — ევროპიულ სახელმწიფოებს ეცნოთ საქართველოს რესპუბლიკის არსებობა. ამ მიზნით უცხოეთს გაიგზავნა განსაკუთრებული წარმომადგენლობა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძისა და ირაკლი (კაკი) წერეთელის მეთაურობით.

რუსეთის მიერ გეოგრაფიული რუკიდან ამოშლილი საქართველო ევროპაში ცნობილი აღარ იყო. საჭირო შეიქმნა დიდი მუშაობა, რათა სამინისტროების დახურული კარები გაეღოთ და ქართველებისათვის მოესმინათ. ამ ამბავსაც თავისი გრძელი თავგადასავალი აქვს, მაგრამ მასზე არ შევჩერდებით და ვიტყვით მხოლოდ, რომ მოკავშირეთა სახელმწიფოების ანუ ანტანტის (საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, ბელგია, იაპონია და სხ.) უმაღლესმა საბჭომ 12 იანვარს 1920 წელს ფაქტიურად იცნო საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა. ამით ნათქვამი იყო, — ვიცით არსებობს საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებელი სახელმწიფოო; სომხეთის ცნობა შემდეგ იქმნა აღიარებული, ვინაიდან სომხური საკითხი დაკავშირებული იყო თურქეთის საკითხების მოგვარებასთან (სევრის ხელშეკრულება). ამას შემდეგ მოსაპოებელი იყო იურიდიული ცნობა, რომლის შემდეგ საქართველოს საშუალება ექნებოდა ევროპიულ სახელმწიფოებთან ჩვეულებრივი ურთიერთობა დაემყარებინა. 27 იანვარს 1921 წელს ანტანტის სახელმწიფოებმა, ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ და სხვებმა იურიდიულად იცვნეს საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისი წარმომადგენლები წარმოგზავნეს თბილისს, საქართველოს მთავრობასთან. ეს იყო პირველი შემთხვევა ქართულ ისტორიაში, როცა საქართველო ევროპის სახელმწიფოთა ოჯახში წევრად შევიდა და ევროპიელმა სახელმწიფოებმა თბილისს თავისი წარმომადგენლები გამოაგზავნეს.

საქართველო შეეცადა აგრეთვე ერთა ლიგის წევრი გამხდარიყო, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. სათანადო კომისიაში, სადაც საქართველოს წევრად მიღების საკითხი ირჩეოდა, მას 14 ხმის წინააღმდეგ მხოლოდ ათმა დაუჭირა მხარი; მიუღებლობის მიზეზად ასახელებდნენ საქართველოს საზღვრების გაურკვევლობას და არამყარ ვითარებას საქართველოში, მაგრამ სინამდვილეში ასე არ იყო. ერთა ლიგის ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება იმით იყო გამოწვეული, რომ ყველა მოელოდა: დღეს თუ არა ხვალ, რუსეთი იარაღით დაიკავებს საქართველოსო. თუ საქართველო ერთა ლიგის წევრი გახდებოდა, მაშინ ერთა ლიგა იძულებული შეიქმნებოდა რუსეთ-საქართველოს შორის ამტყდარ დავაში ჩარეოდა და, რასაკვირველია, მის საარსებო დებულებათა მიხედვით, საქართველო დაეცვა. ეხლახან დაარსებულ ერთა ლიგას, რომელსაც ჯერ ხერხემალი მომაგრებული არა ჰქონდა, არ შეეძლო ასეთ ხიფათში გადავარდნილიყო და არც იმდენი ძალა გააჩნდა, რომ რომელიმე მისი წევრი სახელმწიფო მოსალოდნელ დავაში გაერია. ამიტომ ბრძნულად განზე გადგა.

დამოუკიდებელი საქართველო შეუერთდა საერთაშორისო საფოსტო კავშირს და გახდა მისი წევრი; იგი ჩაეწერა წევრად აგრეთვე საერთაშორისო წითელი ჯვრის დაწესებულებაში და ასე გაჭირვებით, იკაფავდა გზას საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე.

მთავარი მაინც იყო წითელ რუსეთთან ურთიერთობის დამყარება და ნორმალური ვითარების შექმნა. გუშინდელ ბატონთან ლაპარაკი, რასაკვირველია, საჭირო იყო და ამის შედეგად, სხვა ვითარებებთან დაკავშირებით, რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულ იქმნა ხელშეკრულება შვიდ მაისს 1920 წელს. ამ ხელშეკრულების [illegible] მუხლის ძალით:

„რუსეთი ყოველი პირობის გარეშე აღიარებს საქართველოს სახელმწიფოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას და თავის ნებით ხელს იღებს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, რომელიც რუსეთს ეკუთვნოდა საქართველოს ხალხზე და მის მიწაწყალზე“.

მეორე მუხლი: „რუსეთი ვალად იდებს და უარს ამბობს საქართველოს შინაურ საქმეებში ყოველგვარ ჩარევაზე“.

მესამე მუხლი: რუსეთი უდავოდ სცნობს საქართველოს სახელმწიფოში შემავალად თბილისის, ქუთაისის და ბათუმის ოლქებსა და მაზრებს და აგრეთვე სოხუმის და ზაქათალის ოლქებს“...

მაგრამ რომელმა რუსეთმა შეასრულა დადებული ხელშეკრულება, რომ წითელს ეს მოემოქმედნა? რიგი ჯერ სომხეთზე იყო.

სომხეთის მთავრობა ერთი მხრივ ებრძოდა აჯანყებულ თათრებს, რომელნიც მისი სახელმწიფოს ფარგლებში ცხოვრობენ, და რომელთა შორის ხელსა და ფულს აფათურებდნენ ერთი მხრივ აზერბაიჯანელები და რუსები და მეორე მხრივ ქემალის აგენტები, და ამასთანავე სომხეთი იგერიებდა რუსეთის წითელ არმიას, რომელიც მის გაჭყლეტას ლამობდა. მდგომარეობის შენელების შემდეგ, საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა ლეგრანმა სომხეთის მთავრობას მოსთხოვა რკინისგზები წითელი ჯარების გადასაყვანად ქემალის ჯარების დახმარებისათვის, რომელნიც იმ დროს საბერძნეთს ეომებოდნენ. ამასთან ერთად ქემალის ოსმალეთის ჯარები მიუახლოვდნენ სომხეთის საზღვრებს და ყარსის მიმართულებით წინსვლა იწყეს. სომხეთმა საბჭოს წარმომადგენელს უარი უთხრა წითელი ჯარების რკინის-გზით გადაყვანაზე და ოსმალეთმა იარაღით აიღო ყარსი და ალექსანდროპოლი. ამასთან მოჰყვა თათრების აჯანყება სომხეთში. სომხეთი იძულებული გახდა ზავი ეძებნა. 7 ნოემბერს 1920 წელს საომარი მოქმედება შესწყდა, მაგრამ ქემალის მთავრობამ შემდეგ ისე მძიმე პირობები წაუყენა სომხეთის მთავრობას, რომ მისი შესრულება სომხების სრულ განადგურებას მოასწავებდა. საომარი მოქმედება ისევ დაიწყო. 18 ნოემბერს 1920 წ. ომი კვლავ შესწყდა და რუსეთის წარმომადგენელი მიწვეულ იქმნა საზავო მოლაპარაკებისათვის შუაკაცად. ეს მოლაპარაკება ჯერკიდევ მიმდინარეობდა, როდესაც დილიჟანში გამოცხადდა კომუნისტური რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც „ბურჟუაზიული სომხური მთავრობა“ გადაგდებულად აღიარა და რუსეთის წითელ ჯარებს დახმარება სთხოვა. — საბჭოთა ჯარები კი, როგორც მოვიხსენიეთ, სომხეთის საზღვრებზე იყვნენ აზერბაიჯანის მხრიდან თავმოყრილი და საბრძოლოდ გამზადებული. „რევკომი“ ამ წითელ ჯარებთან ერთად გაეშურა ერევანს. სომხური მთავრობა, რომელსაც თავჯდომარეობდა ვრაციანი, გადადგა და მთელი ხელისუფლება სამხედრო მინისტრს ჰდროს ჩააბარა. ჰდრომ კიდევ ეს ხელისუფლება თავის მხრივ „რევკომს“ გადასცა. ასე მოხდა სომხეთის გასაბჭოება, და სომხეთი ორმა მეზობელმა გაინაწილა: ყარსის ოლქი მიიღეს თურქებმა, დანარჩენი სომხეთში გამოცხადდა სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკა, 29 ნოემბერს 1920 წელს.

რკალში მომწყვდეული საქართველო

1920 წლის დასავალს საქართველოს რესპუბლიკის გარშემორტყმა და რკალში მომწყვდევა დასრულებული იყო. საქართველოს ყოველი მხრიდან ერტყნენ მტრული მეზობლები და ქვეყანა შემოქალტული იყო ბოლშევიკური რუსეთით, ბოლევიკური აზერბაიჯანით, ბოლშევიკური სომხეთით და ნაციონალისტური, ქემალისტური თურქეთით (ოსმალეთით). ქემალისტურ თურქეთს განსაკუთრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული მდგომარეობა ჰქონდა, რადგან იგი მაშინ ანტანტას ებრძოდა, რუსეთის მზეს ფიცულობდა და საბჭოთა რუსეთთან დიდი მეგობრობის პირველ ბედნიერებას განიცდიდა. — სრულიად აშკარა იყო, დღეს თუ არა ხვალ, საბჭოთა მთავრობა მოითხოვდა ნეიტრალური ზონიდან ქართული ჯარების გაყვანას; ამასთანავე პროტესტს აცხადებდნენ, თითქო ქართული მთავრობა რკინისგზით ტრანზიტს აფერხებდეს და სხ. მარტო ეს ნიშნები საკმარისი იყო იმის გასაგებად, რომ საქართველოზე შემოტევა მზადდებოდა, მაგრამ ეს მომზადება მოხდა აგრეთვე თურქეთთან შეთანხმებით.

ჯერ უწინ, 1920 წლის ნოემბრის 28-ს, კომუნისტური პარტიის მდივანთა ყრილობაზე ტროცკიმ განაცხადა: „სომხეთის გასაბჭოების შემდეგ ჯერი მიდგა საქართველოზე; სულ ცოტა დაჭიმვა გვჭირდება, რომ ბათუმი შევუერთოთ ბაქოს“-ო. ჰეკერს, მეთერთმე რუსული არმიის სარდალს მოსკოვმა მოსთხოვა მოხსენება, თუ როგორ შეიძლებოდა საქართველოს დაპყრობა. — თავის პატაკში სარდალი ჰეკერი მოახსენებდა, რომ ამისათვის საჭიროა თურქეთის გულის მოგება, რათა მან ხელი არ შეგვიშალოსო. ეს საჭირო ახსნა-განმარტება თურქეთთან მოგვარდა და 11 თებერვალს 1921 წელს საბჭოთა სომხეთის მხრიდან წითელი ჯარები შეიჭრნენ საქართველოს საზღვრებში. როგორც კი წითლებმა შულავერი დაიპყრეს, იქ გამოცხადებულ იქმნა „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა“, რომელშიც შედიოდნენ: ფილიპე მახარაძე, ბუდუ მდივანი, მამია ორახელაშვილი, სომხები, თათრები და სხ.

ბოლშევიკებმა აქაც გაიმეორეს ის, რაც ერთჯერ უკვე გააკეთეს სომხეთში, მაგრამ აქ, ამ შემთხვევაში, ამ შეთითხნილ, სრულიად უკანონო მთავრობას ხელისუფლება არავინ ჩააბარა, და ომი დაიწყო.

საქართველოს მთავრობამ მაშინვე მიმართა რუსეთის წარმომადგენელს შეიმანს, თუ რატომ გვესხის წითელი არმიაო. შეიმანმა განუცხადა მთავრობას, რუსეთმა ამის შესახებ არაფერი არ იცის და სამხედრო მოქმედება დაიწყო საბჭოთა სოხეთმაო.

იმავე წუთში საბჭოთა სომხეთის წარმომადგენელმა შავერდოვმა განუცხადა საქართველოს მთავრობას: სომხეთი აქ არაფერ შუაშია, ის ომს არ აწარმოებს და საბჭოთა სომხეთი მზადაა ყველა სადავო საკითხი მშვიდობიანი მოლაპარაკებით გადასწყვიტოსო.

ხოლო 15 თებერვალს კი ეხლა უკვე აზერბაიჯანის მხრიდან უტევენ საქართველოს რუსული წითელი ჯარები.

16 თებერვალს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია პირდაპირი მავთულით მიმართავს მოსკოვს მოსალაპარაკებლად, მაგრამ მოსკოვში მას არ უპასუხებენ.

მაშინ იგი მიმართავს საქართველოს ელჩს მოსკოვში, მაგრამ მას აპარატზე არ ეძახიან.

17 თებერვალს საქართველოს მთავრობა რუსეთის საგარეო მინისტრ ჩიჩერინისაგან ღებულობს რადიოდეპეშას, რომელშიც, თითქო რუსეთი აქ არაფერ შუაში იყოს, ნათქვამია, რუსეთი მზადაა შუამავლობა გასწიოს საქართველოსა და სომხეთს შორისო.

საქართველოს მთავრობამ უპასუხა: იგი მზადაა მიიღოს ეს წინადადება, თუ მოსკოვი გაიყვანს რუსულ ჯარებს საქართველოს ტერიტორიიდანო.

ამ დიპლომატიური ამბების დროს საქართველოს მიწაწყალზე სისხლი იღვრებოდა. ქართულმა ჯარებმა მოიკრიბეს ძალა და მოიგერიეს მტრის იერიშები.

21 თებერვალს (1921 წ.) მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია კვლავ ეკითხება ჩიჩერინს, რა მიზეზია რუსეთი რომ ომს აწარმოებს პატარა საქართველოს წინააღმდეგო? **„რა გნებავთ ჩვენგან? წამოაყენეთ მოთხოვნილებანი, რომელთა გულისათვის თქვენ ჩვენს წინააღმდეგ ომი დაიწყეთ. შეიძლება ჩვენ სისხლის დაუღვრელად შევთანხმდეთ“-ო.**

რასაკვირველია, ნ. ჟორდანიას ამ დეპეშაზე პასუხი არ მიუღია.

22 თებერვალს ნ. ჟორდანია ეხლა მიმართავს ლენინსა და ტროცკის და სთხოვს მათ შეწყვეტილ იქმნეს ომი, რომლის დამპყრობითი და თავდასხმითი ხასიათი ეჭვს გარეშეაო. ესეც უპასუხოდ დარჩა.

პასუხი ნამდვილი კი ის იყო, რომ სომხეთ-აზერბაიჯანის მხრიდან ადრე, შემდეგ დარიალის მხრიდან, მამისონის მხრიდან, აფხაზეთის (სოჭის) მხრიდან საქართველოს მოასკდნენ რუსული ჯარების ერთეულები: მეთერთმეტე არმია, მერვე, მეცხრე და მეთორმეტე არმიის ერთეულები, და კავალერია ბუდიონისა და ელობისა.

17 თებერვალს 1921 წ. სოლანლულთან ბრძოლა მეტად სისხლიანი იყო. სამი დღე გაგრძელდა იგი. მაგრამ ქართულ ჯარს აკლდა იარაღი.

23 თებერვალს 1921 წ. საქართველოს მთავრობა ქემალის თურქეთის მთავრობისაგან ღებულობს ულტიმატუმს: ქართულმა ჯარებმა დასცალოს არდაგანი და ართვინიო.

საქართველოს ამდენი აღარ შეეძლო: ებრძოლა ეხლა კიდევ თურქეთის წინააღმდეგ! მან პროტესტი განაცხადა თურქეთის მთავრობის მოთხოვნის წინააღმდეგ და ფრონტის შემოკლების მიზნით არდაგან-ართვინიდან ჯარები გამოიყვანა.

საქართველოს ხუთი მხრიდან ურტყამენ: 1) სომხეთის, 2), აზერბაიჯანის, 3) დარიალის, 4) მამისონის და 5) აფხაზეთის მხრიდ.

24 თებერვალს წითელი ჯარი მტკვარზე გადმოვიდა და 24 თებერვალს 1921 წ. კოჯორთან მწარე ბრძოლათა შემდეგ, ქართული ჯარის მთავარსარდალმა გენერალმა გ. კვინიტაძემ თბილისი დასცალა.

აფხაზეთში წითელი ჯარები სოხუმს უახლოვდებოდნენ; მამისონიდან უკვე რაჭაში შემოვიდნენ. თურქებმა არდაგანი და ართვინი დაიკავეს. ქართულმა ჯარებმა დაიხიეს მცხეთისაკენ; აქ ფეხი ვერ მიიმაგრეს; დაიხიეს გორისაკენ; დაიწყეს სურამის ხაზის გამაგრება; აქედანაც დაიხიეს და რაიონის პირად, საჯევახოს ზემოდ დაიკავეს პოზიციები.

ამ დროს თურქეთის მთავრობა საქართველოს მთავრობას უცხადებს: იგი დაკმაყოფილებულია არდაგანისა და ართვინის დაკავებით, სხვა რაიმე მოსათხოვი მას არა აქვს და მზად ვარ დაგეხმაროთ და ბოლშევიკური ჯარები არ შემოვუშვათ ბათუმის მხარეშიო. ამიტომ ნება მოგვეცით შევიყვანოთ ჩვენი, თურქული ჯარები, ბათუმში და თქვენთან ერთად ვიბრძოლებთ ბოლეევიკების წინააღმდეგო.

გაჭირვებულ საქართველოს მთავრობას ეს განცხადება გულწრფელი და მართალი ეგონა და ოსმალეთს ნებადართო თავისი სამხედრო ნაწილები ბათუმში შეეყვანა.

მაგრამ შევიდნენ თუ არა თურქები ბათუმში, რამოდენიმე დღის შემდეგ, 16 მარტს 1921 წ., ქალაქში გააკრეს ფურცლები, რომ ბათუმი და მისი ოლქი ეკუთვნის თურქეთს და შედის მის საზღვრებშიო (ამის შესახებ დაწვრილებით ჩვენს ნარკვევში; „საქართველოს აღდგენისათვის, ბრძოლა მესხეთის გამო“, „ქართლოსი“, გვერდი 305, 1939 წ.). თურქებმა მოიწადინეს ბათუმის ციხის ფორტების დაკავებაც და ეხლა ბრძოლა დაიწყო თურქეთის წინააღმდეგაც. ბათუმში მყოფმა ქართულმა ნაწილებმა გაილაშქრეს თურქების წინააღმდეგ და სისხლიანი ბრძოლით ისინი ბათუმიდან გარეკეს.

ამ დროს ქართული ჯარი რიონის ხაზზე ქეაბშია მომწყვდეული და აღარავითარი იმედი აღარაა! არც ეინმეს დახმარებაზე შეიძლება ოცნება!

17 მარტს 1921 წ. საქართველომ მთავრობამ გასცა ბრძანება ქართული ჯარის დაშლის შესახებ; დამფუძნებელი კრების უკანასკნელმა სხდომამ დაავალა საქართველოს მთავრობას უცხოეთში გაეგრძელებინა ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ და დაეცვა ქართველი ერის უფლებები. 18 მარტს 1921 წ. საქართველოს მთავრობა გაემგზავრა ევროპაში და რამოდენიმე საათის შემდეგ ბოლშევიკური ჯარები ბათუმში შევიდნენ.

როდესაც საქართველო ბრძოლის ველზე სისხლსღვრიდა, მოსკოვში რუსეთსა და ოსმალეთს შორის მოლაპარაკება ხდებოდა, რომელიც 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებით დასრულდა. ესე იგი: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ჯერ კიდევ ბათუმში იმყოფებოდა და რუსეთი ოსმალეთთთან საქართველოს გამო ვაჭრობდა. ეს ვაჭრობა დასრულდა მით, რომ რუსეთმა თურქეთს მისცა ქართული მიწაწყალი: არდაგან-ართვინის მხარე და ქალაქი ბათუმი კი თავისუფალი ნავსადგური გახდა თურქეთისათვის. ამ ხელშეკრულების დამტკიცება მოხდა ყარსში 13 ოქტომბერს 1921 წ. მასზე ხელი მოაწერეს აგრეთვე აზერბაიჯანისა, საქართველოს და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლებმაც; ასე რომ ეს ღალატი ამათაც დაამტკიცებინეს. ასე უბედურად დასრულდა რუსეთ-საქართველოს ომი, უფრო სწორად რომ ვთქვათ, რუსეთის მუხანათური თავდასხმა საქართველოზე და დაიწყო ახალი თავგადასავალი ქართველი ხალხისა, რომელიც რუსეთის ახალ ბატონობას სამი აჯანყებით და მუდმივი წინააღმდეგობით შეხვდა. მრავალი ათასი დაიღუპა ამ ბრძოლაში: ბევრი დახვრიტეს, ბევრი ციხეში დაიხოცა, ბევრი გადასახლებაში გარდაიცვალა...

მოსკოვის მთავრობამ განსაკუთრებული დეპეშებით მსოფლიოს ამცნო, — „საქართველოს გლეხები და მუშები აჯანყდნენ ბურჟუაზიული და კონტრ-რევოლუციური მთავრობის წინააღმდეგო“. შემდეგ ამას ის ცნობაც დაურთეს, რომ ქართველმა გლეხებმა და მუშებმა დაიპყრეს საქართველოს ხელისუფლება და საბჭოთა ძალაუფლება დაამყარესო! რასაკვირველია, ეს იყო მტკნარი სიცრუე. არც ქართველი გლეხები და არც ქართველი მუშები საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ არ აჯანყებულან, საქართველო დაიპყრო წითელმა ჯარმა. მაგრამ ამ სიცრუით მოსკოვს სურდა ევროპა შეცდომაში შეეყვანა და თავისი ძალადობა დაემალა. ევროპის პრესა დიდი აღშფოთებით შეხვდა რუსეთის ამ უხეშ თავდასხმას და გაიმართა გაზეთების ფურცლებზე სასტიკი ბრძოლა საქართველოს საკითხის გარშემო. გარდა კომუნისტური გაზეთებისა, მთელი ევროპიული პრესა ჰკიცხავდა რუსეთის ამ მუხანათურ მოქმედებას და რუსეთზე ბეჭდვითი სიტყვით თავდასხმა ისე შორს წავიდა, რომ თვითონ ტროცკი იძულებული გახდა მოსკოვის მთავრობის გასამართლებლად წიგნი გამოეცა საქართველოს შესახებ, რომელშიც ზემოაღნიშნული ზღაპარიც განმეორებული იყო. მაგრამ ეს ზღაპარი არავის სჯეროდა; არავის, გარდა კომუნისტებისა, არ გაუზიარებია ის ტყუილი, რუსეთმა რომ მსოფლიოში დაარხია.

შემდეგში ბოლშევიკებს უკვე აღარ დაუმალავთ ის მოვლენა, რომ არა აჯანყებულმა ქართველმა გლეხებმა და მუშებმა დაიპყრეს ხელისუფლება საქართველოში, არამედ ნამდვილმა წითელმა რუსეთის ჯარმა. 1936 წელში, რუსულ სამხედრო ჟურნალ „მეხანიზაცია ი მოტორიზაცია“-ს თებერვლის ნომერში (გვერდი 18), მოთავსებულია საქართველოზე რუსეთის ლაშქრობის შემდეგი ამბავი:

„საქართველოს განთავისუფლებისათვის (თუ დაპყრობისათვის!?) მეთერთმეტე არმიის ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ამ არმიის იმ ნაწილებმა, რომელნიც აღჭურვილი იყვნენ ჯავშნიანი მატარებლებითა, ავტომობილებით და ტანკებით... ორი მოკლე გზაა აზერბაიჯანიდან საქართველომდე, მენშევიკური ცენტრისაკენ, თბილისისაკენ და ამ ქალაქზე დარტყმას შეეძლო გადაეწყვიტა ბრძოლის ბედი... ამ მიმართულებით გაგზავნილ ჯარებს დაემატა რკინისგზით ხუთი ჯავშნიანი მატარებელი № 5, 7, 61, 77, 94) და შარაგზით ჯავშნიან ავტომობილთა ჯგუფები (№ 55) და ტანკების ჯგუფები (№ 2)... ჯავშნიანი ავტომობილების ჯგუფმა (№ 55 ბრწყინვალედ შეასრულა თავისი ამოცანა 1921 წ. 16 თებერვლის ღამით... 16 თებერვლის განმავლობაში ჩვენი ჯავშნიანი მატარებლები... უპასუხებდა ყუმბარებითა და ტყვიაფრქვევებით მტერს, რომელიც რამოდენჯერმე შეეცადა ჩვენს ჯარებზე იერიში მოეტანა. მტრის ჯავშნიანმა მატარებელმა სცადა შეტევა ჩვენი ჯარების წინააღმდეგ სალოღლის მხრიდან, მაგრამ ჩვენი ჯავშნიანი მატარებელის № 94 შორსმსროლმა ქვემეხებმა აიძულა იგი უკანდაეხია“... რასაკვირველია, არც ქართველ გლეხებს და არც ქართველ მუშებს, რომელნიც ბოლშევიკების თქმით თითქო აჯანყდნენ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ და ჩამოაგდეს იგი, ეს არ მოუმოქმედებიათ.

ეს ამბავი ძნელი დასამალი იყო ისედაც, ვინაიდან მაშინ საქართველოში უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები ცხოვრობდნენ და საერთოდ იქ ბევრი უცხოელიც იყო. მაგრამ ესეც არ იყოს, ბოლშევიკების წარმომადგენელი რადეკი მაინც იძულებული გახდა სამთა ინტერნაციონალის ერთ-ერთ სხდომაზე განეცხადებინა, რომ საქართველოს დაკავება გამოწვეული იყო ბათუმის საჭიროებით, რადგან ბათუმი ბაქოს ნავთის მილის ბოლო არისო, და ნავთი არამც თუ მარტო სხვებისთვის, რუსეთისათვის მეტისმეტად საჭირო არისო. ამგვარად, ბოლშევიკების ქადაგი, თითქო საქართველოში შიგნიდან მოხდა ბოლშევიკური გადატრიალება, სრულიად უსაფუძვლო იყო და არც ერთ კეთილგონიერს იგი არ დაუჯერებია, და საერთაშორისო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, თუ პარტიებმა, და სხვადასხვა დაწესებულებამ ერთხმად რუსეთის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადეს. არ შემდგარა არც ერთი ქვეყნის სოციალისტურ პარტიათა ყრილობა, არც ერთი საერთაშორისო მუშათა ორგანიზაციების ყრილობა, არც ერთი მუშათა პარტიის ყრილობა თუ საერთაშორისო ხასიათის დაწესებულებათა ყრილობა, სადაც საქართველოს საკითხი არ დასმულიყოს და მოსკოვის წინააღმდეგ საყვედური და გაკიცხვა დადგენილების სახით არ გამოტანილიყოს. თავიდანვე, იმავე 1921 წ. ჟენევაში, ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოებათა საერთაშორისო ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც იგი რუსეთს საქართველოს დაპყრობისათვის პროტესტს უცხადებდა და ამასთანავე ერთა ლიგას სთხოვდა საქართველოს საკითხისათვის სათანადო ყურადღება მიექცია, და მართლაც 1922 წლის წლიურ ყრილობაზე-ერთა ლიგამ იქონია მსჯელობა საქართველოში შექმნილი ვითარების გამო და ერთხმად მიიღო შემდეგი დადგენილება:

„ერთა ლიგის ყრილობამ განიხილა რა საქართველოს მდგომარეობა, მოუწოდებს (ლიგის) საბჭოს ყურადღება მიაქციოს მსოფლიოს ამ ნაწილში მომხდარ ამბებს ისე, რომ ისარგებლოს შემთხვევით, რომელიც შეიძლება წარმოიშვას, და მას დაეხმაროს მშვიდობიან საშუალებათა შემწეობით და საერთაშორისო უფლების წესთა თანახმად, დააბრუნოს ეს ქვეყანა ნორმალურ მდგომარეობაში“.

ერთა ლიგის მეხუთე ყრილობამ 1924 წელში დაადასტურა კიდევ ეს დადგენილება და ლიგის დამხმარე საზოგადოებათა ყრილობა შემთხვევას არ უშვებდა, რომ საქართველოს საკითხი არ აღეძრა (1932 წელში, 1934 წ.); ამას გარდა მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციები და ევროპის პარტიები ყოველთვის თავის წლიურ ყრილობაზე საქართველოს საკითხს არდგენდნენ და საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნას აყენებდნენ. ზავის საერთაშორისო საზოგადოებამ არა ერთჯერ გამოიტანა ასეთივე გადაწყვეტილება (1936 წელს, 1937 წელს). ევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როპის სახელმწიფოთა პარლამენტებში არა ერთჯერ წამოიჭრა საქართველოს საკითხი და საქართველოს მეგობარი პოლიტიკური პარტიები თუ კერძოდ დეპუტატები თავისი მთავრობისაგან მოითხოვდნენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ჩარეულიყვნენ. მაგრამ დიდი ომის შემდეგ დაღლილ-დაქანცულ და ეკონომიურად, სამხედროდ დასუსტებულ სახელმწიფოებს, საერთოდ მეტად გაღრმავებულ ზავისა და მშვიდობიანობის განწყობილებათა დროში, არ შეეძლოთ საქართველოს გულისათვის რუსეთთან დავა გამოეწვიათ, მით უმეტეს ომი დაეწყოთ. ამის ინტერესი არავისა ჰქონდა, პირიქით, თითქმის ყველა დაინტერესებული იყო რუსეთი ევროპიული პირობებისათვის შეგუებინათ და იგი ევროპის ოჯახში შეეყვანათ თავისი საკუთარი გამოყენებითი ზრახვებით. ამგვარად, მხოლოდ საერთაშორისო სიმპატიური შეხედულება და თბილი თანაგრძნობა ხვდა წილად დაპყრობილ საქართველოს და თუ მას უცხოეთში მცირედ იცნობდნენ, ქართველი ერის ბრძოლამ საქართველოს სახელიც მოუხვეჭა მთელს მსოფლიოში და სიყვარულიც თავისუფლების მოტრფიალე საზოგადოებაში. რასაკვირველია, ჩვენ კერავის დავემდურებით, ვინაიდან არც ერთი სახელმწიფო ოცი წლის მანძილზე საქართველოს გულისათვის რუსეთს არ ეჯახებოდა, — არც ერთი სახელმწიფოს ინტერესები ამას არ მოითხოვდა, — ხოლო რადგან თითქმის ყველა დარწმუნებული იყო ახლო მომავალში ომის ატეხის აუცილებლობაში, — ამიტომ ყველა იმედით შესცქეროდა მომავალს, როცა ქართველი ერი მონობის მძიმე უღელს უფსკრულში გადაისვრიდა და განთავისუფლდებოდა.

წამებისა და ტანჯვის ეკლიანი გვირგვინი, რომელიც ქართველ ერს კვლავ წილად ერგო, ტახტის მემკვიდრის ბატონიშვილი დავითის ლექსი რომ გავიხსენოთ: „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“, ქართველ ერს უნდა ეტარებინა, სანამ მისი დამპყრობელი რუსეთი არ დაიქცეოდა. რუსეთის დანგრევა კიდევ შესაძლებელი იყო მხოლოდ საერთაშორისო შეჯახებაში, მსოფლიო ომის მოედანზე. ეს დიდი ამბავიც დაიწყო. დღეს ჩვენ მონაწილე ვართ უუდიდესი მნიშვნელობის ომისა, როდესაც სწყდება მსოფლიოს ბედთან ერთად პატარა საქართველოს დიდი მომავალიც. ამ მსოფლიო ხასიათის დაჯახებაში ჩვენი ადგილი გარკვეულია: ქართველი ხალხი არის იქ, სადაც რუსეთის მტერია, და ჩვენ ვართ მეგობარი რუსეთის ყველა მტერისა, ვინაიდან ჩვენი საბრძოლო მიზანია მხოლოდ: საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ვ. ნოზაძე

სამთავრისის ეკლესია (მეთერთმეტე საუკუნე).



ხოფის მონასტრის ღვთიშობლის ხატი (მეათე საუკუნე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ავალიშვილი

კავკასიური პოლიტიკის ისტორიიდან

განსვენებული ზურაბ ავალიშვილის ეს ნარკვევი კავკასიური პოლიტიკის ისტორიიდან, რუსულად იყო დაბეჭდილი ჟურნალ „კავკაზ"-ში. 1936-37 წ. თარგმანი ეკუთვნის ბ. გულბანს. რედ.

1 სვიმონ-დელი

მე-16 და 17-ტე საუკუნეებში, კავკასიური თვალსაზრისით, ძირითადი საერთაშორისო მოძრაობათა და გავლენათა უღელტეხილი მიიმართებოდა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, კავკასიიდან ბაღდადამდე, სარწმუნოებრივი, პოლიტიკური და სამხედრო მეტოქეობათა ფრონტით ოტომანთა იმპერიის და სეფევიდების ახალ-სპარსული სამბრძანებლოს შორის.

კავკასიური ქვეყნები, რომლებიც ამ ფრონტის ფლანგზე მდებარეობდნენ, იძულებული იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ ბრძოლაში, ხშირად სხვა და სხვა ბანაკში, გადაქცეული იყვნენ ნებსით თუ უნებლიეთ ომის ასპარეზად და ერთდროულად ოსმალეთისა და სპარსეთის პოლიტიკური ზედაწოლის საგნად ხდებოდნენ. კერძოდ პირველი ისწრაფოდა იმისაკენ, რომ ხელთ ეგდო აღმოსავლეთი ამიერ-კავკასია, და განემტკიცებინა თავისი მდგომარეობრა კასპიის ზღვაზე; მეორისათვის კი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იყო ამ მხარეებიდან თურქეთის გაძევება. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ უკანასკნელს თავისი პოზიციების წყალობით ყირიმსა და შავი და აზოვის ზღვის სანაპიროებზე, შეეძლო გარკვეულ შემთხვევაში დაწოლა მოეხდინა კასპიის ზღვის მიმართულებით შირვანზეც არა მარტო დასავლეთიდან (საქართველოს საშუალებით), და სამხრეთიდან (თავრიზის მიმართულებით), არამედ ჩრდილოეთიდანაც და ამით თითქმის შორიდან მოვლის მოძრაობით ქსელში აბამდა კავკასიას. იყო კიდევაც დრო, როცა 16 საუკ. ნახევარში, სულთანი სოლიმან ბრწყინვალე სერიოზულად ფიქრობდა უზრუნველეყო თურქეთისათვის კასპიის ზღვაზე გასასვლელი სანაოსნო გზით — **ჩრდილოეთიდან.** საამისოდ აპირებდნენ დონის შეერთებას ვოლგასთან არხით ე. ი. იმის გაკეთებას, რასაც 400 წლის შემდეგ თანამედროვე რუსეთში აპირებენ განახორციელონ.

მოსკოვის სახელმწიფო მალე შეიჭრა სოლივით თურქეთისა და სპარსეთის გავლენათა სფეროში და, თერგის ყაზახურ კოლონიზაციასთან ერთად, თავის მხრივ იწყო დაფუძნება, როგორც კი შეეძლო, კავკასიის ჩრდილოაღმოსავლეთში, რადგან იგი დაინტერესებული იყო ვოლგა-კასპ-სპარსეთის სავაჭრო გზით. სწორედ მაშინ, მაგალითად, შამხალის სამფლობელო დაღესტანში მოექცა, ორს კი არა, სამს ცეცხლს შორის. საერთოდ, ყაზანისა და ასტრახანის დაპყრობა წინამორბედი იყო მოსკოვის კასპიური პოლიტიკის ზრდისა, მართლმადიდებელი საქარლო, არც თუ ბერძ. ზეგავლენის გარეშე, გულდასმით უსმენდა მოთხრობებს, „მესამე რომის" შესახებ. მაგრამ, ამაში უფრო მეტად მომავლის ხვეულები მოსჩანდა, ვიდრე საფუძვლები ქმედიანი პოლიტიკისა: ჯერჯერობით ქართველებსაც უხდებოდათ მისი ძებნა სხვა ადგილას — სახელდობრ იქ, სადაც, როგორც ვთქვით, გადიოდა ახლო-აღმოსავლური და კავკასიური პოლიტიკის მაგისტრალი.

მე-16 საუკუნის დასასრულს ოტომანთა იმპერიამ თავის უკიდურეს ნაპირებს მიაღწია, კროაცია-ჰუნგრეთიდან და ალჟირიდან მოყოლებით კასპიის ზღვის ნაპირებამდე. წინააზიაში წონასწორობა თურქეთსა და სპარსეთს — სეფევიდების აღორძინებულ სპარსეთს — შორის, ასე თუ ისე დამყარდა, იმ სასტიკი ბრძოლის შემდეგ, რომელიც მე-16 საუკუნის ნახევარში სწარმოებდა. მაგრამ ეს წონასწორობა თურქეთმა დაარღვია, როცა შაჰ თახმასპის (1576 წ.) სიკვდილის შემდეგ სპარსეთში არეულობა დაიწყო სამეფო კართან ახლო მდგომ კავკასიური მოდგმის პირთა ცხოველი მონაწილეობით. სწორედ მაშინ, სულთან მურად მე-3 დროს, თურქებმა მოახერხეს აღმოსავლეთ საქართველოს, აზერბაიჯანისა და შირვანის მნიშვნელოვანი ქალაქების ხელში ჩაგდება, ისინი თითქოს იქ საკმაოდ მკვიდრად და ხანგრძლივად დაფუძვნდნენ, განსაკუთრებით მაჰმადიანურ პროვინციებში. მხოლოდ მეოთხედი საუკუნის გასვლის შემდეგ, ე. ი. მე-17 საუკუნის დასაწყისს, ომი სპარსეთსა და თურქეთს შორის ნამდვილად კვლავ განახლდა და ყველაზე წინმჭვრეტ ხალხსაც კი გაუჭირდებოდა მისი შედეგის გამოცნობა.

ამაო იქნებოდა მარჩიელობა იმაზე, თუ როგორ წარიმართებოდა კავკასიის ისტორია, თურქები რომ გამაგრებულიყვნენ აზერბაიჯანში, არაქსის ჩრდილოეთითა და სამხრეთით. როგორც ცნობილია, ისინი იქ ვერ მომაგრდნენ. კასპიის სანაპიროებისათვის და კავკასიის დიდი ნაწილის დაპყრობისათვის ბრძოლაში, რომელიც სისხლითა და სარწმუნოებით დაკავშირებული იყო სეფევიდელთა შიიტურ მოძრაობასთან, გამარჯვებული დარჩა ირანი. ადგილობრივმა პოლიტიკურმა ფაქტორებმა აზერბეიჯანში, დაღესტანსა და საქართველოში მცირე როლი როდი შეასრულეს ამ დროს, მიუხედავად თვითეული ამ ქვეყნის პოლიტიკური დაქუცმაცებისა. დინასტიათა და სამფლობელოთა მრავალრიცხოვნობის გარდა, ბევრი რამ მათ პოლიტიკაში შემთხვევითად, აჭრელებულად, სწრაფწარმავალად გვეჩვენება. სამაგიეროდ, ზოგიერთ შემთხვევაში ვამჩნევთ უფრო ხანგრძლივი მნიშვნელობის ტენდენციებს. წინამდებარე ნარკვევი მიეძღვნება ერთერთ ამ ტენდენციას, სახელდობრ: ქართველთა პოლიტიკურ ირანოფილობას მე-16—17 საუკ; უფრო ზუსტად, მის აღორძინებას სპარსეთში **აბას** პირველის გამეფების წინ, რომელმაც შემდგომ თურქები დაამარცხა, და ქართველთა ირანოფილობის მნიშვნელობას აბასის მეფობის პირველ ხანაში. საქმე ეხება, რასაკვირველია. არა სიმპატიებს და ანტიპატიებს, არამედ მაშინდელი საქართველოს ერთერთ პოლიტიკურ მიმართულებას.

ამის საუკეთესო დასურათებას წარმოადგენს ცხოვრება და ბედი ქართლის შტოის ბაგრატიდის სვიმონისა (დაიბ. 1537 წ.), მის, ჭეშმარიტად, მშფოთარე კარიერაში, ნათლად გამოიხატნენ იმ დროის საშიში გარემოებანი, ერთერთი ყველაზე საშიში, რაც კი ოდესმე განეცადა კავკასიას. იგი აღიზარდა საქართველოზე გამანადგურებელი თავდასხმების და სახელოვანი, მაგრამ უიმედო, ბრძოლის გარემოცვაში. მამა მისი, ლუარსაბ 1, 1558 წ. გარდაიცვალა ჭრილობისაგან, რომელიც ბრძოლაში მიიღო; უფრო ადრე ბებიამ, რომელმაც დიდი დამცირება განიცადა ტყვეობაში, საწამლავს მიმართა. ნაზი გრძნობები არ შეეძლო გამოეჩინა სვიმონს „ყიზილბაშებისადმი".

ჩვენ არა გვაქვს საშუალება თუნდაც ერთი წუთით შევჩერდეთ ქართლის მეფის ლუარსაბ 1 ეპიურ ფიგურაზე, ამ მებრძოლი ქართველ-ქრიასტიანის დასრულებელ სახეზე. მისი მემკვიდრე სვიმონი აღიზარდა მამის სკოლაში და მისი საქმის განმგრძნობად ემზადებოდა. მაგრამ პირდაპირი „ჯვაროსნული" პოლიტიკის ჟამი დიდი ხანია გასული იყო და იგი ყველაზე ნაკლებ შეეფერებოდა მთელ რიგ სამფლობელოებათ დაქუცმაცებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მდგომარეობას, როცა მას გვერდით საშიში მეზობლობა უხდებოდა ორ მძლავრ მაჰმადიანურ იმპერიასთან. პირიქით, დადგა პოლიტიკურ შემთანხმებლობისა და რელიგიური ოპორტუნიზმის ხანა. საქართველოს ერთი ნაწილი კიდევაც დაადგა გაოსმალების საშიშ გზას; სარწმუნოებრივ-პოლიტიკური პროზელიტიზმი სასარგებლო აღმოჩნდებოდა სპარსეთისთვისაც. მრავალმნიშვნელოვანი სიმპტომი: სვიმონის მკვიდრი ძმა — დავითი მაჰმადიანი-შიიტი გახდა და წავიდა შაჰთაჰმასპთან. გასაგებია, რა მიზნითაც.

1562 წ. ინგლისელი ავანტურისტი ვაჭარი, იგივე დიპლომატი, ანტონი ჯენკინსონი, შემახაში იყო თავისი კამპანიის სავაჭრო საქმეების გამო. იგი, როგორც სხვები, იქ აბრეშუმმა, მაშინდელი დროის სავალუტო საქონელმა, მიიზიდა. მასთან მივიდა ერთი სომეხი, ქართველი მეფის (ე. ი. სვიმონ.) აგენტი და აცნობა მას იმ მძიმე მდგომარეობის შესახებ, რომელშიც ეს მეფე იმყოფებოდა „ორი სასტიკი ტირანის და მძლავრ ხელმწიფეთა შორის", ე. ი. სულთანსა და შაჰს შორის. სვიმონი სთხოვდა, ქრისტესადმი სიყვარულის ნიშნად, რჩევას იმის შესახებ, თუ როგორ გაეგზავნა მას ელჩი რუსეთის „იმპერატორთან", ეცნობებინა აგრეთვე თავისი აზრი შეუძლია თუ არა მას, იმედი იქონიოს რუსეთის დახმარებისა? ამასთან ერთად, სვიმონი სთხოვდა ინგლისელს, მოსკოვში დაბრუნებისას ეცნობებინა მოსკოვის მეფისათვის მისი თხოვნა, რომელიც აგენტმა ჯენკინსონს გადასცა სიტყვიერად, რადგან წერილობით მისი გადაცემა საშიში იქნებოდა. ინგლისელმა არა მარტო მოიწონა აზრი მოსკოვის მეფისათვის დახმარების თხოვნისა, არამედ კიდეც უკარნახა, როგორ გაუკეთებინა ეს საქმე: საჭიროა კეთილ დახმარებისათვის მიმართოთ თემრიუკსა „ჩერქეზთა ქვეყნის მეფეს", რომლის ქალიც ამას წინეთ ცოლად შეირთო ხსენებულმა მეფემ (იოანე მრისხანეს გულისხმობდა)".

დედოფალ ელისაბედის ელჩმა, ინგლისის კამპანიის აგენტმა მოსკოვში, სწრაფად დააფასა შირვანისა და საქართველოს ბაზრების მნიშვნელობა.

მოსკოვთან ურთიერთობა დაამყარა აბდულა-ხან შირვანელმაც, — ჯენკინსონის სტილიზაციით „ჰირკანიის მეფემ", რომელიც აღარ დაერიდა რუსის მეფის „გიაურობას".

საჭირო არ არის გავიხსენოთ იმის შესახებ, თუ როგორ და როდის დაიწყო ნამდვილად დიპლომატური ურთიერთობა ქართველი, უმთავრესად, კახელი დინასტებისა მოსკოვთან. ამ. ურთიერთობათა ძეგლები ბლომად არის დაცული, მაგრამ მათი პრაქტიკული შედეგები, ესეც კარგად არის ცნობილი, ძალიან მცირე იყო საქართველოსათვის სწორედ ამ ეპოქაში. იგივე ჯენკინსონი თავისი თვალით დარწმუნდა, რომ მისთვის, მოსკოვის გარდა, არსებობდა პოლიტიკური მიმართულების სხვა წერტილებიც. თაჰმასპის მიერ მიღებულმა ყაზვინში, სეფევიდების მაშინდელ სატახტო ქალაქში, ინგლისელმა დიპლომატმა-ვაჭარმა თავის წინადადებაზე მეგობრობის შესახებ შაისაგან პასუხად ის მიიღო, რომ იგი არ საჭიროებს ურწმუნოთა მეგობრობას. ჯენკინსონს ის-ღა დარჩა რომ გამოთხოვებოდა მას. აუდიენციას ესწრებოდა და თაჰმასპს განმარტება მისცა სიტყვა „ქრისტიანის" ნამდვილ მნიშვნელობაზე სწორედ სვიმონის ძმამ, უკვე ზემოთხსენებულმა დავითმა, რომელსაც მაშინ დაუთ-ხანი ერქვა. ეს იყო, სხვათა შორის, შეიძლება ითქვას, ტიპი უიღბლო რენეგატისა. იგი სრულიად დაჩრდილა ჯერ მისმა ძმამ, ხოლო შემდგომ მისმა საკუთარმა შვილმა ხოსროვ-მირზამ, რომელიც, ძალიან გვიან 1632 წ. მეფედ ავიდა თბილისს, როსტომის სახელწოდებით. სვიმონი ჯიუტობდა შეურიგებლობაში სპარსეთის მიმართ; ამიტომ შაჰ-თაჰმასპი და მისი მორჩილი მართველები აღმოსავლეთ კავკასიაში მხარს უჭერდნენ დაუთ-ხანს თბილისის ტახტისათვის სვიმონთან ბრძოლაში. 1569 წელს უკანასკნელი ტყვედ ვარდება: დავითი დროებით ზეიმობს. ყაზვინში ტყვე სათანადოთ მიიღეს. თაჰმასპმა შესთავაზა მას მრავალი წყალობა, ოღონდაც ისლამის სარწმუნოება მიეღო, ამაზე იგი არ დასთანხმდა. მაშინ იგი ალამუტის ციხეში ჩაამწყვდიეს: ის მაშინ სულ 32 წლისა იყო. ტუსაღობაში, რომელიც საპატიო უფრო იყო, ვიდრე აუტანელი, მან მთელი 7 წელი დაჰყო. ცნობილია, რომ ის დაუახლოვდა ალამუტში თაჰმასპის შვილს, ისმაილ-მირზას.

სვიმონს სპარსეთში სახელი დაუვარდა არა მარტო როგორც მამაც მხედარს, არამედ როგორც პოეტს (ეს სავსებით ეთანხმებოდა ბაგრატიდების ტრადიციებს) და „ფილოსოფოსს". ამას ვტყობილობთ იმ ცნობიდან, რომელსაც ოლეასი (1630-ან წლებში) იძლევა თავისი საინფორმაციო წყაროების საფუძველზე. არა ნაკლები დამაჯერებლობით აღნიშნულია ისიც, რომ მან შეითვისა ოპიუმისადმი მიდრეკილება, რაც სრულიადაც არ იყო უცხო იმ საზოგადოებისათვის, რომელიც ისმაილის გასართობებს ბოროტად იყენებდა. სვიმონის აზრთა მიმართულებაში, როგორც სჩანს, ღრმა ცვლილება მომხდარა. შესაძლოა მისი მსოფლმხედველობაც გაფართოვდა. იგი წავიდა რჯულის განდგომაზე, რაც მას უხსნიდა გზას მოქმედებისა და ბრძოლისაკენ. არც ის სჩანს, თითქო ამისთვის იგი საქართველოში დაძრახეს. მოკლედ, მან, დაბოლოს თანხმობა განაცხადა მასზე, რასაც მისგან თაჰმასპმა ვერ მიაღწია. მან, გარეგნულად, ისლამის სარწმუნოება მიიღო, ვალდებულება მიიღო ებრძოლა თურქებთან, რადგან სთვლიდა, რომ ისინი საქართველოს ყველაზე საშიში მტრები იყვნენ, ხოლო სპარსეთმა, ახალი შაჰის დროს, თავის მხრივ აღუთქვა მას ყველა აუცილებელი ნივთიერი დახმარება, ეს შეთანხმება საკუთრებით განხორციელდა, მიუხედავად შაჰ ისმაილის უდროო სიკვდილისა, რომელიც თაჰმასპის გარდაცვალების შემდეგ 1676 წ. ავიდა სამეფო ტახტზე. მაშინ გაათავისუფლეს სწორედ ჩვენი ტყვეც. როგორც კი იგი საქართველოში დაბრუნდა, დაუთ-ხანი თურქებთან გაიქცა.

სპარსეთის მთავრობამ იცოდა, რასაც აკეთებდა, როცა სვიმონი წინაპართა ტახტზე დააბრუნა და მასთან ერთად საქართველოში მთელი ჯგუფი სპარსეთში გაჩხირულ ქართველებისა გამოგზავნა; სვიმონის სახით მას ჰყავდა ძვირფასი მოკავშირე, ისიც სპარსეთისათვის მძიმე ხანაში, როცა თაჰმასპის სიკვდილის შემდეგ კრიზისი ჩამოვარდა. ომის ბედი დიდი ხნით გაუცბუნდა ირანს. 1578 წელს თურქებმა, როგორც უკვე ითქვა, შემახა, ბაქო და დერბენტი დაიკავეს, შირვანის პროვინცია 14 სანჯაკად დანაწილდა, დერბენტისა — შვიდათ. 1590 წ. შაჰ აბასი, რომელიც ტახტზე 1587 წელს ავიდა, იძულებული შეიქნა ფორმალურად მაინც ეცნო ეს მდგომარეობა. არსებითად იგი არც კი ფიქრობდა ხელი აეღო ძვირფას სამფლობელოებზე. იგი ემზადებოდა ახალი ბრძოლებისათვის მათ დასაბრუნებლად. სვიმონი-კი განაგრძობდა ომს თურქებთან, მოქმედებდა მის კომუნიკაციებზე და მუდამ საფრთხეში აგდება მის გარნიზონებს. მან გადაბა თავისი ბედი სპარსეთთან იმ დროს, როცა ძლიერ ცოტა სახელმწიფო მოღვაწეთ ესმოდათ, რომ იწყებოდა „შაჰ აბასის ეპოქა", და როცა სჩანდა, თითქოს თურქეთს საბოლოოდ განტკიცებული ჰქონდა თავისი ბატონობა აზერბაიჯანშიცა და საქართველოშიც.

ცხადია, საშუალება არ გვაქვს შევეხოთ აქ თუნდაც საერთო ხაზებში, არც 1578—1587 წ. წ. თურქ-სპარსთა ომის აწეწილ მოვლენებს კავკასიის ასპარეზის ფარგლებში, არც ამ ბრძოლასთან საერთოდ დაკავშირებულ სვიმონის პოლიტიკურ და სამხედრო ღონისძიებებს საუკუნის მთელი მეოთხედის მანძილზე (1576—1600). იგი იღებდა და ჰკარგავდა ციხე-სიმაგრეებს (თბილისი, ლორი, დმანისი, გორი), და არასოდეს არ აძლევდა მტერს საშუალებას განმტკიცებულიყო გამაგრებული პუნქტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის გარეშე. საინტერესოა, კერძოდ, მისი ლაშქრობანი დასავლეთ საქართველოში, სადაც შინაური ქართული არევდარევის მოტივები გადაჯაჭვულია საგარეო ორიენტაციების გაორებასთან. კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში ამ, მოძრაობით აღსავსე, ეპოქის სრული ისტორიისათვის დაცულია მრავალი ცნობა ქართულ, სომხურ, სპარსულ თურქულ, ევროპიულ, განსაკუთრებით იტალიურ (ვენეციელთა მოხსენებებში და სხვა) დოკუმენტებში. მაგრამ ეს ისტორია დაწერილი არ არის.

აბასის დაქორწინებამ სვიმონ ქართელის ქალზე, სჩანს, კიდევ უფრო განამტკიცა მათი კავშირი, რომელიც ურთიერთის პოლიტიკურ სარგებლიანობაზე იყო დაფუძნებული. ცნობილია სპარსეთის ცდა გაება დიპლომატური ურთიერთობანი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან გაერთიანებული ბრძოლის მიზნით ოტომანელთა იმპერიის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით ბუნებრივი იყო დაყრდნობოდნენ შაჰ აბასის კავშირს ქართველ-ქრისტიანებთან, მის ქრისტიან ცოლებს და ა. შ. თანდროულად რეკლამას უკეთებდნენ მის კეთილგანწყობილებას ქრისტიანებისადმი საზოგადოთ. ეს საკმარისი არ იყო. საჭირო იყო ამის დადასტურება თვითონ ქართველების მხრივ. ესეც მოხდა. არსებობს ნაკლებათ ცნობილი დოკუმენტალური დამტკიცებანი იმ დიპლომატური დახმარებისა, რაც ამ მოსაზრებით ქართველმა მეფეებმა შაჰ აბასს გაუწიეს. კასტილიის არქივებში ვალაბოლიდის მახლობლად დაცულია სიმონის წერილების დედნები ესპანეთის მეფისადმი, რომლებშიც იგი იტყობინება, რომ მას და კახეთის მეფეს ალექსანდრეს კავშირი აქვთ აბასთან. ეს მოულოდნელი, ასეთ ადგილას მოწმობა მეგობრობისა და სოლიდარობისა აღმოსავლეთ საქართველოს ქრისტიანი მფლობელებისა სპარსეთის მბრძანებელთან შეეხება 1595 წ. ე. ი. იმ ეპოქას, როცა აბასს არ შეეძლო იმედი ჰქონებოდა მარტო თავისი ძალებით აღედგინა სპარსეთის საზღვრები და ის ევროპის შესაძლო დახმარებაზე ჰფიქრობდა. სხვათა შორის, აი მეორე კვალიც ამ ქართულ-სპარსული დიპლომატიისა: ვენეციელთა არქივების მონაცემებიდან სჩანს, რომ 1597 წლის 23 ივნისს რესპუბლიკის სენატში გამოვიდა ქართველი ელჩი, განცხადებით იმის შესახებ, რომ სპარსეთის მისწრაფებანი ემთხვევა ვენეციის თვალსაზრისსო. სპარსეთი მხოლოდ შემთხვევას უცდის, რომ ქრისტიანებმა წარმატება მოიპოვონ, რათა შემდეგ ომით გადავიდეს შეტევაზეო (თურქების წინააღმდეგ) და სხვა.

ამის გამო შევნიშნავთ, რომ აბას 1-ის ერთმა ელჩთაგანმა ევროპაში, ულუბეგმა ქრისტიანობა მიიღო და ნათლობისას სახელი ივანე დაირქვა, რენეგატმა სხვა ბანაკიდან, **დონ-ჟუან სპარსელმა,** 1604 წ. იმავე ვალაბოლიდში (ახლო წარსულში აქ სამხედრო ხუნტის ბინა იყო, რომელმაც ომი გამოუცხადა მადრიდის მთავრობას 1936 წელს), გამოსცა წიგნი, რელაციები სპარსეთის შესახებ, მიძღვნილი „მის კათოლიკურ უდიდებულესობას, ბატონს ჩვენსას დონ-ფილიპე მე-3 მთელ ესპანელთა მეფისადმი“. აქ საკმაოდ დაწვრილებით არის აღწერილი სპარსეთისა და საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობანი, წამოყენებულია, თურქეთთან შედარებით, დიდი სარწმუნოებათა მოთმინება სპარსეთისა ქრისტიანების მიმართ (აბასის მართველობის პირველი ნაწილი საბაბს იძლეოდა ასეთი შეფასებისათვის); იგი იტყობინება სხვა წყაროებიდანაც ცნობილს, სრულიადაც არა მცირე მნიშვნელობის ფაქტს, სახელდობრ, იმას, რომ შაჰ-აბასის გვარდია შესდგებოდა ქართველი რენეგატებისაგან და ა. შ. ამ ესპანურ წიგნს სპარსეთის შესახებ იმიტომ ვიხსენიებთ, რომ გავარკვიოთ, თუ რა შორეული გამოხმაურება ჰქონდა კავკასიურ მოვლენებს, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ ორი დიდი მაჰმადიანურ ქვეყნის ბრძოლასთან.

ასე იყო თუ ისე, ქართლის შეფის დიპლომატიური, და სამხედრო კავშირი სპარსეთთან სრულიად ეწინააღმდეგებოდა იმას, რასაც ჯენკინსონი ურჩევდა. ეს ცხადია, მისი სპარსოფილური პოლიტიკა, როგორც ხანგრძლივი მოსაზრების და ბჭობის შედეგი ალამუტის ტყვეობის დროს მარტო მისთვის კი არ იყო მისაღები საქართველოში. თავის სრულ განვითარებას მან მიაღწია მისი ძმისწულის, როსტომის დროს, 17 საუკუნეში. ეს სისტემა საერთოდ შეიძლება ჩაითვალოს აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ერთერთ ნორმად, თითქმის 150 წლის განმავლობაში, დაწყებული სვიმონ 1 დაბრუნებიდან ალამუტის ტყვეობიდან ვახტანგ VI სჯულმდებელის გამოსვლამდე სპარსეთის წინააღმდეგ პეტრე დიდის სპარსეთზე გალაშქრების ეპოქაში. ნაწილობრივ ამ ტრადიციებისაკენ დაბრუნებით აიხსნება ზოგიერთი წარმატება თეიმურაზ II, და მისი შვილის ირაკლი II ნადირ-შაჰის დროს. ქართული პოლიტიკური ირანოფილობის უკანასკნელ აქტიურ წარმომადგენლად, რასაკვირველია, ბატონიშვილი ალექსანდრე ირაკლის-ძე უნდა ჩაითვალოს, რომელიც არაოდეს არ შერიგებია რუსების დამკვიდრებას საქართველოში 1801 წელს. იგი კიდევაც გარდაიცვალა სპარსეთში.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ სვიმონს. 1600 წელს, გაუფრთხილებლობის გამო (ტყვილა კი არ ეძახდნენ მას შეშლილს — **დელი სვიმონს)** იგი ტყვედ ჩავარდა; დაცულია მეტად დაწვრილებითი მოთხრობა იმისა, თუ როგორ მოხდა ეს და რა პატივით იქნა იგი მიღებული თურქი მთავარსარდლის ჯაფარ-ფაშის (წარმოშობით კროატელის) მიერ. სტამბოლში იგი ჩასვეს შვიდკოშკიან ციხეში, კიდევ უფრო შენიშნავენ ციხეში ვიდრე ალამუტი იყო. მემკვიდრემ, ეკლესიამ და დიდებულებმა შეაგროვეს და გაგზავნეს განძეულობა ტყვის გამოსახსნელად ტყვეობიდან. არაფერი გამოვიდა: განძეულობა დაიკარგა, ხოლო მეფე ისევ ტყვეობაში დარჩა. იგი საქართველოში უკვე მკვდარი დაბრუნდა: — მისი ნეშტი უკვე სწორედ იმ დროს მოასვენეს, როცა შაჰ აბასი ცდილობდა მიწასთან გაესწორებინა ურჩი კახეთი, რომლის ნაწილი უმთავრესად ამის გამო შედის ეხლა აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაში. მაგრამ ეს ქართულ-სპარსული ურთიერთობის სხვა მხარეა. ამ ჟამად საფუძველი არა გვაქვს მასზე შევჩერდეთ. ჩვენ მხოლოდ ის გვინდა გამოვარკვიოთ, თუ რა პირობებში ჩამოყალიბდა, თურქული საშიშროების გამო, ქართულ-სპარსული თანამშრომლობა მე-16 საუკუნეში, რაიცა მნიშვნელოვანი ფაქტია იმ დროინდელი კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი, როგორც დავინახეთ, დაკავშირებული უნდა იყოს „შეშლილი“ სვიმონის სახელთან.

ფიქრობენ, თუმცა არა დაბეჯითებით, იგი ტყვეობის შემდეგ მალე გარდაიცვალა. ეს არაა სწორი. ვენეციის საბჭოსადმი გაგზავნილ მოხსენებაში 1612 წელს, ს. კონტარინი აცნობებს რა დაწვრილებით სპარსეთის საქმეებს, იხსენიებს სვიმონის ქალიშვილს, როგორც პირველს აბასის ოთხ ცოლის შორის. თვითონ სვიმონი კი, ვენეციელი დიპლომატის სიტყვით, გარდაიცვალა შვიდკოშკიან ციხეში მას შემდეგ, რაც იქ 12 წელი დაჰყოო. მაშასადამე, იგი გარდაცვლილია 1612 წ. კონტარინი იტყობინება არას, როგორც ახალ ამბავს.

შესანიშნავია სვიმონის მონაწილეობა თურქულ-სპარსული ზავის საქმეში, რომელიც აუცილებელი შეიქმნა მას შემდეგ, რაც სპარსეთისათვის ბედნიერი მიმართულება მიიღო იმ განმათავისუფლებელმა ომმა, რომელიც აბას-მა დაიწყო. ძნელია იმის თქმა, თუ საიდან მოდიოდა ამ ცდის ინიციატივა. ეს აიხსნება, რასაკვირველია, სვიმონის პირადი მნიშვნელობით და მისი ახლო კავშირით ძლევამოსილ შაჰთან. სვიმონის ცოლი, გულკარა ჩავიდა კონსტანტინეპოლს; მან შესძლო ენახა ტყვე-მეფე სულთანის დედის დახმარებით. გადაწყდა სვიმონისა და გულკარის გაგზავნა სპარსეთის სამეფო კართან, რათა აბასის გავლენიანი დედის ზეინაბ-ბეგუმის დახმარებით, დაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანხმებინათ სპარსეთის ხელმწიფე მაჰმადიანთა შორის აღძრული ომის სწრაფ დამთავრებაზე. მაგრამ სვიმონი გზიდან დააბრუნეს; სულთან ახმეტ პირველის მთავრობას ეშინოდა (ამის სრული საბუთიც ჰქონდა), რომ იგი შესაძლოა უკან აღარ დაბრუნებოდა და ამხელდა სპარსეთის მთავრობის წინაშე იმდროინდელი ოტომანური იმპერიის მთელ სისუსტეს. გულკარა კი დანიშნულებისამებრ ჩავიდა: აბასმა განაცხადა, რომ იგი თანახმაა ზავის ჩამოგდებისა იმ პირობით, თუ მას დაუბრუნებდნენ იმ ადგილებს, რაზედაც მისი წინასწარის — დინასტიის დამაარსებელის — შაჰ-ისმაილის ცხენს ფეხი დაუდგამსო. გულკარა ამით დაბრუნდა სტამბოლს.

ეს საყურადღებო დიპლომატიური ცდა სამი ქალისა მოხდა მას შემდეგ, რაც 1606 წლის მაისში თურქებმა განჯა დასთმეს. უფრო გვიან, შემახის, ბაქოს და დერბენტის ოპერაციების დროს, სადაც თურქთა გარნიზონები იდგნენ, სვიმონი უკანასკნელად გამოდის პოლიტიკურ ასპარეზზე; აბასისადმი მიმართული წერილით იგი მხარს უჭერს თურქული მთავრობის ღონისძიებებს ომის სწრაფი დამთავრების სასარგებლოდ. ყოველივე ამის შესახებ ვტყობილობთ 1610 წელს დაბეჭდილ ანგარიშში შაჰ-აბასის ომებისა და გამარჯვების შესახებ, რომლის ავტორი არის პორტუგალელი ანტონ დე გუვეა, სწავლული ბერი-ავგუსტინელი, ფილიპე მესამეს ელჩი სპარსეთში.

როცა სვიმონის ნეშტი საქართველოში ჩამოასვენეს, უთანხმოება მოხდა იმის გამო, თუ სად უნდა მიებარებინათ იგი მიწისათვის. აბასი წინააღმდეგი იყო იგი მცხეთაში დაესაფლავებინათ, რასაც ბუნებრივად მოითხოვდნენ (და ვგონებ კიდეც მიაღწიეს) ქართველები, რომელნიც მეფის გამაჰმადიანობას მნიშვნელობას არ აძლევდნენ. პირიქით, შაჰს სურდა იგი მიწისათვის მიებარებინა კუმას, სპარსეთში, სეფევიდების საფლავთა გვერდით. ესეც შესაძლოა. — არსებობს ასეთი ვერსია — ნეშტი „დაიკარგა“ და საკამათო აქ არაფერი იყოო. ეს დასკვნითი აკორდი, რასაკვირველია, სიყალბეს მოკლებული არ იყო. ნამდვილი ჰარმონია არ შეიძლებოდა იქ არსებულიყო, სადაც, სხვათა შორის, ორი ბოროტებიდან იმას ირჩევდნენ, რომელიც ნაკლებ ბოროტებად მიაჩნდათ. არჩევანი კი დიდი გამჭრიახობით მოახდინეს. შეიძლება ეს იყო იმ შეგნებით ნაკარნახევი, რომ სპარსული მონობის უღელი უფრო მსუბუქი იყო ვიდრე თურქული?

სწორედ სვიმონის მეფობაში გადაწყდა ბედი ეგრედწოდებული მუსლიმანური საქართველოსი, რომელიც ვერც მან, ვერც საერთოდ ქართველებმა და ვერც სპარსეთმა, მთელ რიგ ღონისძიებათა მიუხედავად, ვერ შესძლეს გადაერჩინათ იგი თურქების დაპყრობისაგან: ეროვნული გადაგვარებისათვის იგი განწირული აღმოჩნდა. უკვე მარტო ამით გამართლებას პოულობს „შეშლილი“ სვიმონის დაჟინებითი ბრძოლა და მისი პოლიტიკის მიმართულება. იგი თბილისს თავიდან აცილებდა ახალციხის ბედს, და ხელს უწყობდა თურქულ-სპარსულ წონასწორობას კავკასიაში, ხოლო უამისოდ არც თანამედროვე აზერბეიჯანი იქნებოდა.

სვიმონ 1-ლის პოლიტიკური კარიერა სწორედ მაშინ ჩაესვენა, როცა კავკასიის ასპარეზზე აბასის ზეიმი იწყებოდა. ეს მოხდა სწორედ იმ გართულებათა წინ ქართულ-სპარსულ პოლიტიკაში, რომელთაც შედეგად მოჰყვა ნგრევა და სისხლისღვრა, რამაც საქართველოში საძულველად აქცია შაჰ-აბასის სახელი, მაგრამ რომელთაც მაინც ირანოფილობის შემდგომ პოლიტიკას ზღვარი ვერ დაუდეს.

2. კონსტანტინე მამისმკვლელი

მეთექვსმეტე საუკუნის სულ ბოლო წლებში განხორციელდა შაჰ-აბასის მიერ დაწყებული გარდაქმნა ირანის სამხედრო ძალებისა. საამისოდ ევროპიელი „ექსპერტების“, უმთავრესად კი ინგლისელი ავანტურისტის რობერტ შირლეის, რჩევითაც ისარგებლეს. სპარსული ცხენოსანი ჯარი ყოველთვის აღემატებოდა თურქულს: ახლა ამას კარგი არტილერიაცა და ქვეითი მხედრობაც დაუმატეს წინააღმდეგ სახელგანთქმული ოტომანელი იანიჩარებისა, რომელნიც იმ დროს ნამდვილ რისხვად მიაჩნდათ.

მშვიდობიანობა და წესრიგი, როგორც ეს მაშინ ესმოდათ, თავდაპირველად სპარსეთის აღმოსავლეთ განაპირა ოლქში, ხორასანში, აღადგინეს. ირანის სატახტო ქალაქი ისპაჰანში გადაიტანეს, რადგან გამოცდილებამ დაანახვა, რომ თავრიზი და ყაზვინიც კი საამისოდ ნაკლებ გამოსადეგი იყვნენ, ვინაიდან ოსმალთა თავდასხმის მუდმივ საფრთხეში იყვნენ ხოლმე; გარდა ამისა, ახალი სატახტო ქალაქის არჩევანი უპასუხებდა სეფევიდების ძირითად სახელმწიფო ამოცანას, რადგან იგი ხელს უწყობდა შიიტური იდეების დროშის ქვეშ ირანის მრავალნაირ ტომთა და მრავალი ენით მოლაპარაკე ელემენტების შემჭიდროებას, კერძოდ, თურქული ჩრდილო-აღმოსავლეთის გაერთიანებას სპარსულთან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სამხრეთთან.

გადახალისებულმა ჯარმა წარმატებით, ღმერთმა უწყის როგორი, მაგრამ მაინც წარმატებით დაიჭირა გამოცდა ბალხის (ახლანდელი ავღანისტანის ფარგლებშია) ლაშქრობაში. ეს მოხდა 1602 წელს. ეხლა უკვე დრო დადგა ანგარიში გაესწორებინათ თავის მემეკვიდრე მტერთან — ოტომანის იმპერიასთან, რომელმაც 1578 წლიდან მთელი რიგი სპარსული პროვინციებისა ხელთ იგდო.

უნდა შევნიშნოთ, უკანასკნელი (თურქეთი) იმ მომენტში დროებითი სისუსტით იყო შეპყრობილი, მაგრამ ამასთან ერთად იგი მაინც მძლავრი მოწინააღმდეგე იყო; როდესაც შაჰმა განმათავისუფლებელი ომის დაწყება გადაწყვიტა, იგი, აბასი, შეეცადა მოემზადებინა ეს ომი არა მარტო თავისი ჯარის გარდაქმნით, არამედ პოლიტიკური ზემოქმედების მოხდენითაც მასსებზე და განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი ბელადების, ადგილობრივ გამგებელთა, ქურთული და თურქული წარმოშობის საგვარეულო უხუცესთა და სხვათა შეგნებაზე, რომელნიც თურქულ ხელისუფლებას მორჩილებდნენ, სპარსეთისაგან ჩამოცილებულ პროვინციებში, ქურთისტანიდან მოყოლებული კასპიამდე. ეხლა მათ შორის გარკვეულად იჩინა თავი მოძრაობამ: უკან ირანისაკენ. თანამორწმუნე შიიტთა გრძნობებზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია.

1603 წ. 14 აგვისტოს მოულოდნელი მანევრით აბასმა ხელთ იგდო თავრიზი. ასეთი დარტყმით ბედის ჯარა მის ნებაზე დატრიალდა. საომარი მოქმედება კავკასიის არეზეც გადავიდა: თურქული გარნიზონები ყველგან — არაქსიდან დაღისტნამდე — თავდაცვისათვის ემზადებოდნენ.

ნახიჭევანის დაკავების შემდეგ, ერევანის ციხის ალყას შეუდგნენ. ზამთარმა ხელი შეუშალა ოპერაციებს და ისიც გაჭიანურდა. ყუმბარების დასაშენად საჭირო ზარბაზნებს იქვე, ადგილზე ასხავდნენ. დაბოლოს 1604 წლის მაისის მიწურულში ციხე შეტევით აიღეს.

ალყის დროს აბასის ბანაკში გამოცხადდა და დიდი ამბით მიიღეს კახეთის მეფე ალექსანდრე. შაჰი კმაყოფილი დარჩა მირთმეული საჩუქრებით. და როცა ალექსანდრემ გადმოაფრქვია შაჰის წინაშე რამდენიმე თეფში ოქროს ფული, საგანგებოდ ამისათვის მოჭრილი, შაჰი თითქო დიდმა აღტაცებამ შეიპყრო. (იხილეთ უახლოესი (1932

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ.) მშვენიერი აღწერილობა აბას პირველის ცხოვრებისა, რომელიც ეკუთვნის ლ. ბელანის კალამს, ფრანგულ ენაზე. ასეთ ზოგად მიმოხილვაშიაც კი თვალში გეცემათ, თუ რა მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სპარსეთის პოლიტიკაში კავკასიურსა და კერძოდ ქართულ საქმეებს).

ალექსანდრე კახელი და გიორგი ქართლელი (მაშინ თურქების ტყვეობაში მყოფი სვიმონ მეფის შვილი), ინდუსტანის იმპერატორის, დიდი მოგოლის აკბარის ელჩთან ერთად დაესწრნენ ერევნელი შარიფ-ფაშის კაპიტულაციას. ქართულმა ნაწილებმა შეტევაში მონაწილეობა მიიღეს.

შეიძლება კაცმა იფიქროს, აბასსა და კახეთის დინასტიას შორის სრული თანხმობა სუფევდაო. მაგრამ ერთი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც ერევანში მათ ერთმანეთს ნიამტკბილობა გაუზიარეს, რომ ალექსანდრე მოკლულ იქმნა. თანახმად გავრცელებული ვერსიისა, მისი საკუთარი შვილის კონსტანტინეს მიერ აბასის წაქეზებით და თითქმის ბრძანებითაც კი. ეს მოხდა 1605 წლის 12 მარტს, ზაგემში, კახეთის მეთექვსმეტე საუკუნის მთავარ სავაჭრო დაბაში (ჯენკინსონის ცნობით, აქედან ყოველწლიურად გაჰქონდათ სპარსეთს მარტო თხილი 4.000 აქლემის საპალნე; მთავარი სავაჭრო საქონელი, რასაკვირველია, აბრეშუმი იყო), რომელიც მალე მიწასთან იქმნა გასწორებული; იგი მდებარეობდა ეხლანდელ ზაქათალის ოლქში.

ალექსანდრე კახელის და, მასთან ერთად, მისი შვილის გიორგისა და სხვა თვალსაჩინო პირთა მკვლელობამ საკმაოდ გააოცა თანამედროვენი. ამ ამბის რამოდენიმე აღწერილობა, დაცული, სხვათა შორის, არჩილ ბაგრატიონის დიდებულ პოეტურ ეპოპეაში, რომელიც მიძღვნილია კახეთის მეფის თეიმურაზ პირველისადმი (ალექსანდრეს შვილიშვილებისადმი) და რომელიც მე-17 საუკუნეს ეკუთვნის. რათქმაუნდა, კონსტანტინეს სამუდამოდ შერჩა საქართველოში მამისა და ძმის მკვლელის სახელი. მისი ზნეობრივი რეპუტაცია საბოლოოდ შეილახა და ამ თემაზე უსაფუძვლოა ვრცელი მსჯელობა. უფრო მნიშვნელოვანია ამ დრამის პოლიტიკური მხარის გამორკვევა: იგი გაუგებარი დარჩება თურქულ-სპარსული ისტორიის გარეშე, ესეიგი, მის 1605 წლის მოვლენათა გარეშე და იმის გარეშეც, რაც მათ წინუძღოდა.

ალექსანდრე კახელი იყო მემკვიდრე თავისი მამის ლევანისა, რომელიც ხანგრძლივ და ოსტატურად იცილებდა თავიდან სხვა და სხვა საფრთხეს 1575 წელს. სამეფო ტახტზე მას ეცილებოდა ორი ძმა, სხვა დედისაგან (დაღესტანელი შამხალის ქალისაგან) შობილი: ორივე ძმა ბრძოლაში დაიღუპა. ალექსანდრემ, რომელიც ცნობილია მითაც, რომ ერთგულებისა და ქვეშევრდომობის ფიცი დასდო მოსკოვის მეფის თევდორე ივანეს-ძეს წინაშე, უფრო ადრე იმისათვის, რომ თავი დაეზღვია შესაძლო სპარსული რისკისაგან, გაგზავნა, ვგონებ, თავისი მეფობის დასაწყისში, ერთ-ერთი ვაჟი, სახელდობრ, უკვე ზემოდ-მოხსენებული კონსტანტინე მძევლად და თანაც აღსაზრდელად შაჰ-თაჰმასპის კარზე. ეს უნდა მომხდარიყო 1575—76 წ. წ. არსებობს, სხვათა შორის, ცნობა თითქო ეს 1574 წ. მოხდა (თაჰმასპი გარდაიცვალა 1576 წელს). მაშინ კონსტანტინე შვიდი წლისა იყო. იგი მაჰმადიანად აქციეს; აღიზარდა შაჰის კარზე; სახელად კუსტენდილ-მირზა ეწოდა და დაბოლოს აბას პირველს ძალიან დაუახლოვდა.

მოსკოვის მთავრობას, რომელიც ალექსანდრე კახელს, თუნდაც ნომინალურად, თავის მფარველობაში სთვლიდა, და ამავე დროს შაჰთან დიდ მეგობრობაში იყო, არ შეეძლო, რა თქმა უნდა, იმის გამო უხერხულობა არ ეგრძნო, რომ ქართველი მეფის ვაჟი „გაბუსურმანებულია“ და მოსკოვის ნაცვლად, ყაზვინში იმყოფებოდა. „კონსტანტინე მურზას“ შესახებ, რომელიც ალექსანდრე მეფემ „წარსულ წლებში თაჰმასპ-შაჰს გადასცა რწმუნებად იმისა, რომ იგი შაჰის ხელქვეით იქნებოდა და შაჰი დაიცავდა მას „თურსი“ ესე იგი თურქი სულთანისაგან, ცნობას ვპოულობთ გრიგოლ ბორისის-ძის ვასილჩიკოვის (1588—93) სპარსული ელჩობის სასტატიო სიებში. შემდგომი ელჩის, თავად ანდრია ზვენეგოროდსკის ელჩობის დროს, კონსტანტინეს შესახებ პირდაპირ დაუსვეს კითხვა აბასს: ალექსანდრე ხომ ბერძნული რჯულის ქრისტიანი მეფეა, ჩვენი ერთმორწმუნე; ამიტომ შაჰმა, მოსკოვის მეფისა და სიყვარულის ნიშნად, გაუგზავნოს უკანასკნელს მეფისწული თავისი საკუთარი ელჩებითა და ზვენიგოროდსკის თანხლებითო. კონსტანტინე დაესწრო ამ საუბარს. პასუხად შაჰმა სთქვა: დაე, თვითონ გადასწყვიტოს როგორც სურს, მე წინააღმდეგობას არ გავუწევო. პირობა დასდეს, რომ ბატონიშვილი თვითონ მოელაპარაკებოდა ელჩს. მაგრამ ამ მოლაპარაკებას კონსტანტინემ თავი გაარიდა, ზვენიგოროდსკის თარჯიმანს, რომელმაც ბატონიშვილს სთხოვა ელჩი ენახა, „გაბუსურმანებულმა და დაცოლებულმა“ მეფისწულმა ყაზვინში მიუგო: „მე არაფერი მაქვს სალაპარაკო თავად ანდრიასთან: ღვთის ნებაა, რომ მე აქ ყმად დავრჩე“-ო. ეს მოხდა 1595 წ. დასაწყისს.

საკითხი ქართველი ბატონიშვილის შესახებ კვლავ თანაბარი ძალით ისმება მოსკოვის მთავრობის ინსტრუქციებში ელჩების თავად ვას. ვას.-ძის ტუვიაკინის და დიაკ ემელიანოვის (1595—1598 წ.) მიმართ და თავად ჟიროვოი ზასეკინის ნაკაზში 1600 წელს. ერთი სიტყვით, კონსტანტინეს შესახებ ჩინებულად იცოდნენ მოსკოვში, და თუ ამის გამო უსაყვედურებდნენ შაჰ-აბასს, ისიც ძალზე მეგობრული ტონით.

საერთოდ ალექსანდრე კახელის „მოსკოვური ორიენტაციის“ გამომჟღავნებას შაჰ-აბასი განსაკუთრებული ეჭვიანობით არ უყურებდა, რადგან იმ დროს მოსკოვის პროტექტორატი პლატონიურ ხასიათს ატარებდა. სულ სხვა იყო თურქული ორიენტაციის გამომჟღავნების ცდა: აქ ის ნამდვილ საფრთხეს გრძნობდა სპარსული ინტერესების მიმართ და შაჰ-აბასს, რა თქმა უნდა, საფუძველი ჰქონდა ეფიქრა, რომ ალექსანდრე მისთვის არასაიმედო მოკავშირე იქნებოდა.

როგორც ზემოდ ვნახეთ, ყოველგვარი საფრთხისაგან თავის დასაზღვევად, კახეთის მეფემ ერთი თავისი ვაჟი სტამბოლს გაგზავნა. მართალია, ამბობდნენ, რომ იგი საკუთარი რისკით წავიდა, რადგან თავისიანებს წაეჩხუბაო, მაგრამ ეს ბევრს არა სჯეროდა. ლალა მუსტაფა ფაშის ცნობილი კომპანიის დროს, ალექსანდრე გარკვეულად კეთილგანწყობილი იყო თურქების მიმართ და დაეხმარა მათ დაეკავებინათ კახეთის მოსაზღვრე, შექის (ამჟამად ნუხის) პროვინცია, რომლის მიმართ, შესაძლოა, თვითონაც ჰქონდა თავისი პრეტენზიები. კიდევ უფრო მეტი შთაბეჭდილება დასტოვა, როგორც სჩანს, სხვა გარემოებამ. განჯის ბეგლარბეგი შახ-ვერდი, რომელიც თურქების დევნისა გამო თავშესაფარს ალექსანდრესთან ეძებდა, უკანასკნელის ბრძანებით, მოკლული ანუ მოსაკლავად იქნა გადაცემული მტრის ხელში. ამ შეცოდებას მას არ აპატიებდნენ. აშკარა გაზვიადებული წარმოდგენისაა ამაზე მე-17 საუკუნის გვიანდელი ეპოქის მწერალი გორგიჯანიძე, რომელიც კახეთის მეფის ამ აქტში ხედავს ყველა იმ უბედურებათა მიზეზს, რაც გვიან მის ქვეყანას თავს დაატყდა (ე. ი. კახეთის აოხრებისას მისი შვილისშვილის თეიმურაზ 1-ის დროს 1614—15 წ. წ.)

სხვათა შორის საჭიროა შეეჩერდეთ იმ ბრალდებებზე, რომლებსაც უყენებდნენ მოსკოვის ახლადმოვლენილ კლიენტს სპარსულ მთავრობის მხრივ. ამათზე ბევრი რამ ესმოდა ელჩს თავ. ზვენიგოროდსკისაც სპარსეთში, თვით შაჰ-აბაზის პირით, და აგრეთვე სხვებისაგანაც. შაჰსა და მოსკოვის მეფეს შორის „მეგობრობა და ძმობა“ სუფევდა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურქეთის სახით მათ მაშინ საერთო მტერი ჰყავდათ; ამით აიხსნებოდა ასეთი ლაპარაკის სანდომიანი ტონი. მთავარი კი რაშიც სცდილობდნენ დაერწმუნებიათ თავ. ზვენიგოროდსკი მის თანამოსაუბრეებს (1595 წ.) იყო ის, რომ ალექსანდრე სანდო არ არისო. იმ დროს, როდესაც ელჩი შაჰს და კონსტანტინეს ესაუბრებოდა, რაღაც გართობის დროს, ვგონებ, ქეშანში, ქართველმა ბატონიშვილმა თურმე აბასს უთხრა: „მამაჩემი ყველა ხელმწიფეებს აცთუნებს, როგორც თურქთა, ისე მოსკოვის ხელმწიფესა და ისევ თქვენც, დიდებულო შაჰო, და არავის შეუძლია მას ერწმუნოსო“. ცოტა გვიან, ყაზვინში, აბასის ერთერთმა დიდებულთაგანმა დაუდასტურა მოსკოვის ელჩს: „ალექსანდრე, ქართველთა მეფე, სიმართლის მოყვარე კაცი არ არის, ერთი ვაჟი ყიზილბაშად გაგზავნა, ხოლო მეორე თურსს მისცაო“.... (ამას მისდევს ჩამოთვლა მთელი იმ „უხეშობისა და სიცრუისა“ რაც კახეთის მპყრობელს აბასის მიმართ მიუძღოდა).

მართალია, ალექსანდრე წინასწარი თადარიგით შეუდგა ზრუნვას სპარსეთის შაჰის კართან კავშირის აღსადგენად — ისიც იმ დროს, როცა თურქეთის მიერ მთელი აზერბაიჯანის ოკუპაციის გამო კახეთის ურთიერთობა სპარსეთთან ძალზე გაძნელებული იყო; მაგრამ ვერც ამ მეგობრობის დადასტურებამ, ვერც დამხმარე ლაშქრით ერევანში გამოცხადებამ 1604 წელს, ვერ გააქარწყლა, როგორც ირკვევა, აბასის გონებაში ძველი იეჭვები და მტკიცედ ჩამოყალიბებული წარმოდგენა კახეთის მეფის არასაიმედო მოკავშირეობაზე თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამავე დროს, საომარი მოქმედების ვითარებიდან გამოირკვა, რომ თურქული გარნიზონების წინააღმდეგ საბრძოლველად განჯაში, შემახასა და სხვა ქალაქებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ ადგილობრივ ძალებს ეძლეოდათ, კერძოდ, მათ ახლობელ მეზობლებს — კახელებს. დაისვა ამოცანა გამოეყენებინათ თურქების წინააღმდეგ ეს ქრისტიანული ელემენტები, რომლებსაც დიდად აფასებდნენ სპარსელები, ადგილობრივ თურქულ ჯგუფებთან ერთად, რომლებიც ეხლა სეფევიდების ძველ ქვეშევრდომობას დაუბრუნდნენ და ოტომანელთა მატდურობა სძლიეს. საკითხს ის უფრო ამწვავებდა, რომ მანძილები დიდი იყო, საკუთარი ჯარი არ კმაროდა; აბასის მთავარ საზრუნავ საგანს, ბუნებრივად, თავრიზ-ბაღდადის ფრონტი წარმოადგენდა. სხვათაშორის, ბაღდადის ბლოკადა, რომელიც წარმატებით იქნა განხორციელებული აბასის იმ დროინდელი თანამოღვაწის, მისი არმიის რეფორმატორის ალაჰ-ვერდი ხანის (წარმოშობით ქართველი) მიერ, ჯერჯერობით მოხსნილი იქნა იმ მიზნით, რომ ძალები არ დაექსაქსათ. ერევნის აღების შემდეგ აოხრებული იქმნენ სომხეთის ნაწილები ვანის ტბისა და ერზერუმის მიმართულებით. სწორედ მაშინ, ერევნის რაიონში მდინარე არაქსის დაბლობზე სპარსელებმა მოახდინეს ცნობილი ნგრევანი და მოსახლეობის იძულებითი გადასახლება სპარსეთში (1609 წ.) ე. ი. განახორციელეს ომის წარმოების „ასურული საშუალება“, რომელიც ათი წლის შემდეგ გამოიყენეს კახეთშიც. სომხეთი და საქართველო დღემდე განიცდიან თავისთავზე შედეგებს ბრძოლის წარმოების ასეთი ხერხებისას... თურქეთთან.

ასეთი იყო ის საერთო გარემოება, რომელიც საკმაოდ ნათელჰყოფს იმას, თუ რატომ დაავალა აბასმა კუსტენდილ მირზას სარდლობა შირვანში. ამასთან, ცხადია, ისიც იქმნა მხედველობაში მიღებული, რომ ის მაჰმადიანი იყო და შაჰთან დაახლოებული პირი. კონსტანტინეს საკმაო ავტორიტეტი ჰქონდა თურქეთის ბატონობის წინააღმდეგ ამბოხებული შირვანელების თვალში; და რადგან ამასთანავე თავისი წარმოშობით კახეთის დინასტიის წარმომადგენელი იყო, მას ადვილად, ვიდრე სხვას, შეეძლო ომში მაჰმადიანებთან ერთად თანამემამულე-ქართველების მონაწილეობაც უზრუნველეყო. ასე თუ ისე, იგი შეუდგა მასზე დაკისრებული ამოცანის შესრულებას.

ალექსანდრესთან ერთად კახეთში ჩასვლის შემდეგ-კუსტენდილ-მირზას ზაგემში მოლაპარაკება ჰქონდა მამასა და ძმასთან. განსაკუთრებით უკანასკნელს არაფრად სიამოვნებდა კონსტანტინეს ასეთი ამაღლება. მათ შორის შეხლა-შემოხლა მოხდა, არსებითად იმის გამო, თუ ვისი იქნება კახეთი, ფორმალურად-კი ყველაზე საფიქრებელია, იმის გამო, რომ გადაეცათ კონსტანტინეს განკარგულებაში შეიარაღებული ძალები ოსმალთა წინააღმდეგ სამოქმედოდ. ამ შეხლა-შემოხლის დაწვრილებითი მიზეზი უცნობია, მაგრამ მათი შედეგის შესახებ უკვე მოგახსენეთ: ეს იყო ჯერჯერობით ალექსანდრეს, გიორგისა და მათი უახლოესი მრჩეველების გვამები.

სროლის ხმა და აურზაური, რომლებიც ამ მკვლელობას მოჰყვა, მოესმათ ამ დღეს (1605 წ. 12 მარტს) ზაგემში მყოფ მოსკოველ ელჩებს მიხეილ ტატიშჩევს და დიაკ. ანდრია ივანოვს, რომლებიც საუდენციო მიღებას ელოდნენ. (ისინი მოსკოვიდან გაემგზავრნენ ჯერ კიდევ მეფე ბორის თეოდორეს ძის გოდუნოვის დროს, მოხსენება კი ზაგემის „დეისტვოს“ გარშემო წარუდგინეს დაბრუნებისას უკვე დიმიტრი ივანეს-ძეს ე. ი. ცრუ დიმიტრის). როგორადაც საინტერესო და შინაარსიანი არ უნდა იყოს მათი მოხსენება იმ საკითხების გარშემო, რომლებიც აქ ჩვენ გვაინტერესებს, რასაკვირველია, არა გვაქვს შესაძლებლობა ამ და სხვათა ჩვენებებზეც (რომლებიც საკმაოდ ბლომად მოიპოვებიან) შეეჩერდეთ. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ალექსანდრეს და გიორგის მოკვლით, — მიუხედავად იმისა, მოხდა ეს აბასის შთაგონებით (ასე ამბობდნენ თავიდანვე, მაგრამ უცნობია, რა საბუთის ძალით), თუ კონსტანტინეს თავხედობით, თუ, დაბოლოს, შექმნილ გარემოებათა გამო „ჩხუბის დროს“, როგორც მოსკოველი ელჩები სწერდნენ სულ ერთია, ამით მთავრდება კახეთის მეფის ოჯახში უთანხმოება, რომელიც როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ჯერ კიდევ ალექსანდრეს გამეფებისთანავე დაიწყო. მისი მართველობის ბოლო წლებში კი მისმა ვაჟმა, გიორგიმ, (რომელიც მასთან ერთად დაიღუპა), როგორღაც შეთქმულება მოაწყო თავისი უფროსი ძმის დავითის წინააღმდეგ. შეთქმულება გახსნეს და მისი მონაწილენი სასტიკად დასაჯეს; თვითონ დავითმა კი რომელმაც ამით ისარგებლა, ჩამოაგდო ტახტიდან მამა, ხელთ იგდო სამეფო ტახტი და თავისი ძმა გიორგი ციხეში ჩაამწყვდია. მალე ამის შემდეგ დავითი მოკვდა; მამა მისი ძალაუფლებას დაუბრუნდა; გიორგი სატუსაღოდან გამოვიდა, ხოლო დავითის ვაჟი, ჭაბუკი თეიმურაზი (კახეთის მომავალი მეფე და პოეტი) დედა მისმა ქეთევანმა მოსალოდნელი ხიფათის ასაცილებლად, აბასის კარზე გაგზავნა (1603 წ.), სადაც მან შემდგომი აღზრდა მიიღო.

მამის-მკვლელი თუ არა ძმის-მკვლელი, კუსტენდილ-მირზა კახეთის მეფედ იქნა გამოცხადებული. ქართველთა და „ყიზილბაშთა“ (მასთან იყვნენ რამდენიმე ხანი და სულთანი) ჯარებს იგი, სათავეში ჩაუდგა და გაემართა სალაშქროდ შექისაკენ (ნუხა) და სასტიკად დაამარცხა თურქები, რომელთა ნაშთებმა შემახისაკენ დაიხიეს. დაიწყო ამ ქალაქის ალყის შემორტყმაც, რომელიც მაშინ ძლიერ გამაგრებული იყო. მაგრამ ამავე დროს ალყის შემომრტყმელთა შორისაც გახრწნა დაიწყო. ქართველები უკმაყოფილონი იყვნენ კონსტანტინეთი, რომელიც ნაკლებ ჰგავდა მათთვის ცნობილ კახეთის პატრიარქალურ მეფეებს. მასზე ხელყოფაც მოაწყვეს, მაგრამ მან თავის გადარჩენა შესძლო. დაბოლოს ქართული ლაშქარი ალბად იმის გამო, რომ შემახის ალყას თავის საქმედ არ სთვლიდა, შინ დაბრუნდა, დანარჩენები კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბრალოდ გაიქცნენ. წარმატებით დაწყებული საქმე სამარცხვინოდ დამთავრდა.

კონსტანტინე სულიერად არ დაეცა. იგი გაემგზავრა ერდებადს, სეფევიდების სამშობლოში, გადაახდევინა იქ ვაჭრებს კონტრიბუცია და ამ ფულით მოაწყო ახალი ლაშქარი ყოველნაირი ბრბოსაგან შემდგარი, მაგრამ არტილერიით აღჭურვილი. მისი მიზანი იყო ჯერ კახეთში გამაგრებულიყო. სჩანს მას ჯერ კიდევ ფიქრად ჰქონია თავის ხელქვეით შეენარჩუნებინა კახეთის სამეფო და შირვანის მთავარი უფროსობაც. ასეთი კომბინაცია, სრულებითაც არ იყო უსარგებლო მისი თანამემამულეებისათვის, მაგრამ უკანასკნელნი ასეთ ფართო მოსაზრებებს ანგარიშს არ უწევდნენ და მასში, პირველ ყოვლისა, მამის-მკვლელს ხედავენ და მის გაყოლაზე უარს ამბობენ. ყოველ შემთხვევაში, კონსერვატიული უმრავლესობა, რასაც სათავეში უდგას ქეთევანი, დედა თეიმურაზისა, რომელსაც ყველანი, და მათ შორის აბასიც, სცნობენ კანონიერ მემკვიდრედ. ამ ჯგუფმა, რომელიც, სჩანს, პოლიტიკური თვალსაზრისით, აგრეთვე სპარსოფილური იყო, მაგრამ მტკიცედ იდგა ქრისტიანობის ნიადაგზე, — მეფის სარწმუნოებრივ კონფორმიზმს იგი სახელმწიფო და ნაციონალურ სარგებლობაზე მაღლა აყენებდა — შესძლო მოლაპარაკება დაეწყო თეიმურაზის უკან დაბრუნების შესახებ სპარსეთიდან, სადაც, როგორც მკითხველმა უწყის, იგი, შეიძლება ითქვას, უმაღლეს განათლებას იძენდა — (შაჰის კარზე ყოფნის დროს ის 16 წლისა იყო). მას ხელს უწყობდა აგრეთვე აბასის უკმაყოფილებაც იმ თვითნებური საქციელის გამო, რაც კუსტენდილ-მირზამ არდებილში გამოიჩინა.

პირველ ხანებში მაინც მოხერხდა ზაგემის კვლავ დაპყრობა. უფრო გვიან იგი თავს იცავს შეტევაზე გადმოსული ქართველებისაგან; კონსტანტინე მათ ამარცხებს, მაგრამ შემდეგ თვითონ განიცდის მარცხს და იღუპება (1605 წლის 18 ოქტომბერს) „ბრმა“ ისრით განგმირული; უუფროსოდ დარჩენილი მისი ჯარი-კი გაიქცა.

ანტონი დე გუვეა — ესპანეთის მეფის ელჩი, — აბასის მიერ წარმოებული ომების აღწერილობაში (იგი მთელ თავს უძღვნის კონსტანტინეს მიერ წამოწყებულ საომარ მოქმედებას შირვანში) შენიშნავს, რომ მისი გამგმირავი „ბრმა“ ისარი არსებითად კონსტანტინეს გულისაკენ ღვთაებრივი მართლმსაჯულების ხელით წარიმართა (მამისმკვლელობისათვის შურისძიებად) და რომ ქართველებმაც მყის შესწყვიტეს სროლა, როგორც-კი გაიგეს იმის სიკვდილი, რომელმაც საბაბი მისცა მათ გამოსვლას: მათ უნდოდათ მოეშორებინათ თავიდან კონსტანტინე და სრულებითაც არ სურდათ ომი აბასთანო.

ასეთი განწყობილებანი, რასაკვირველია, უპასუხებდნენ მას, რასაც შაჰი ელოდა და რაც მას სურდა. იგი ელოლიავებოდა ყველა ხელსაყრელ ელემენტს კავკასიის საომარი მოქმედების არეზე, სადაც ახლო მომავალში უნდა ჩაეტარებინა თურქული გარნიზონების ლიკვიდაცია თბილისში, განჯაში, შემახაში, ბაქოსა და დერბენტში, რაც გადადებულ იქნა ერევნის აღების შემდეგ 1604 წელს იმის გამო, რომ საჭირო შეიქნა ბრძოლა თურქულ ძალებთან სომხეთსა და ქურთისტანში. აბასმა მივიწყებას მისცა კუსტენდილ-მირზას სიკვდილის გარემოებათა გამორკვევა, თანხმდება თეიმურაზის დაბრუნებაზე საქართველოში კახთა მეფედ და ინვესტიტურის ზეიმოვანი წესით (იგი მის ბანაკში მოეწყო) და განსაკუთრებული მოფერებითა და ყურადღებით ფიქრობს ირანზე ჭაბუკი ვასალი.

ასეთი იყო კონსტანტინეს ისტორიის ეპილოგი. მისმა ცდამ ნაყოფი ვერ გამოიღო. მაგრამ მასში ჩამარხულ მოსაზრებას ეკუთვნოდა მომავალი. აღმოსავლეთ საქართველოს მეფეები, ტრადიციული ძალაუფლების მატარებელნი თანადროულად ირანის დიდებულნიც შეიქმნენ და სეფევიდების კლიენტებიც. მომავალი მსხვერპლის გაღებით და სისხლის ღვრის შედეგად ისინი იძულებული იყვნენ ქართულ-სპარსულ საკითხის ასეთი კომპრომისული გადაწყვეტით დაკმაყოფილებულიყვნენ. უკეთესის მიღწევა მათ ვერ შესძლეს ანდა ამას ვერც ახერხებდნენ.

ზურაბ ავალიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარულის ტრაგედია

ლირიკული პოემა

ვ. ურდოელი

თეთრი პერანგის ამარა თეთრ ტაიჭს მივაგელვებდი,
გზად ყვავილები მხვდებოდნენ ჩემი სამშობლო ველებრ,
ნიავი თმებს მივარცხნიდა და შლიდა ვარდისნაირად,
ნამ ვერცხლივით ეყარა ბალახებსა და, აი რა
გულში სხივივით შეიჭრა, აელდა, ცეცხლად ალა
და სიჭაბუკე იმ დილის მზესავით ამიბრიალა:

თეთრკაბიანი გოგონა, თეთრ ყვავილების კონებით
წყაროდან მოიმღეროდა ვარდების გულზე კონებით,
დამინახა და შეჭკივლა, შერცხვა, გაწითლდა, დაიბნა,
მერე გაფითრდა, გათეთრდა, თავის ყვავილის ნაირად,
თავი დახარა... შეიპყრო გულის უცნაურ ფრთხიალმა,
ნელა დაჭქროლა ალა ფერმკრთალ ლოყებს აკოცა ნიავმა.

ცხენით გარდვი[illegible]. ვეახელ მოკრძალებით და რიდითა:
რამ დაგაფიქრა გოგონა, ან მოწყენილი რითრ ხარ?
მოდრ, ჯაიჭზე შემოგსვა, — ორივ გავფრინდეთ ქარუ-
ლად...
(მე სიყვარული ვიგრძენი გულში ტკბილად და ფარუ-
ლად!)
გადავიაროთ ეს ველი — თეთრ-წითელ-ყვავილოვანი,
ზურმუხტისფერი ჭალები და მთები მაღალკლდოვანი...
უარმყოფელი რად ვიყოთ ჩვენრ ფიქრის და გულის-
თქმის? —
ღმერთმა ქვეყანა გვაჩუქა ტკბობის და სიყვარულისთვის.

ჯერ იუარა: უცხო ხარ, როგორ დაგენდო მარტოო,
გინდა წყურვილი მოიკლა, შემარცხვინო და დამტოვო.
ხშირად მეტყოდა გამზრდელი: თუ გინდა გაიხარეო,
უცხო ჭაბუკთან, თამარო, მარტოდ არ გაიაროო...
რაღა ვქნა: — რატომ გეწყინა? — სახე დანისლდა მზე-
შლილი,
მაგრამ შენ უცხო ვაჟი ხარ, როგორ დაგენდო? — მეში-
ნის!..

— მაღლა მზეს ვფიცავ, თამარო, დაბლა — შენს სახელს
მშვენებელს,
ამ ცისქვეშეთის დამმოსველს, შემოქმედსა და მშენე-
ბელს,
ვფიცავ სიყვარულს, — ოდიდგან ღმერთრ რომ მაღლით
გვთავაზობს,
არასდროს არ გიღალატო, არ დაგივიწყო ლამაზო...
ნუმც გავიარო ამქვეყნად, დავმუნჯდე — თაღრ ვით
ცისა,
თუ გამტეხელი შევიქენ, მე სიყვარულის ფიცისა...

დამთანხმდა... შევჯექ ტაიჭზე — დამტკბარრ ამბის ბო-
ლოთი,
თეთრი პენარგის ამარა, თეთრყვავილიან გოგოთი...
„ფრთხილადო", მეჩურჩულება, „მიწა რბილია, უგვა-
ლო",
მაგრამ ტანთეთრი მერანი მირბის, მიგვაფრენს უკვა-
ლოდ;
ხელმარცხნივ გვესალმებრან ალვის და ვერხის ჩრდი-
ლები,
ხელმარჯვნივ — შავი მიწები, სახნისით აჩიჩქნილები!..

ხან ჩავუქროლებთ ბუჩქნარებს, ხან კურუმ ტყეთა
ნაპირებს,
თეთრ ყვავილებს და ნარგიზებს ჩვენი ამბავი აკვირ-
ვებს,
ვარდთა სურნელრ და ეშხი გულში ნექტარად მხვდენია,
საქართველოში სიყვარულს ყველგან ამგვარად ხვდე-
ბიან:
ფეხქვეშ უფენენ ია-ვარდს, ესალმებიან დიდებით
და მით სტკბებიან ერთავად ტრფიალის გადამკიდენი!..

დამათრო ახლო სურნელმა ჩემი თეთრკაბიანისა,
წინ შეჯდა... ხელი მოვხვრე, ვიგრძენ მოდება ალისა!
როგორც ნიავის ჩურჩული — შრიალი მესმა ყურებთან...
ეს დამალული არ იყო, ბუნება ჩვენ გვიყურებდა:
მივეახლე და ვაკოცე, შეკრთა, შეტოკდა ელდაურ,
გარდმოიჭრა და უეცრად ფეხქვეშ მოექცა ბედაურს!..

თვალთ დამიბნელდა... მომესმა გულისმომკვლელი კი-
ვილრ,
გარდვიჭერ... ახლოს მივედი... ზაფრანისფერი ჰშვე-
ნოდა,
ხელები გულზე ეყარა, თმაც მკერდზე გადაჰფენოდა,
თვალები განთიადს ჰგავდა — მზეამოუსვლელ დილისას
და დაფერილი ტუჩები ჰქონდა გაშლილი იისა...

ეს მითხრა: უცხო ჭაბუკო, ნუ მიწყენ, შემიბრალეო,
დღეს მზეა ჩემი სიცოცხლის, აღარ ვიქნებრ მალეო,
გულში სიკვდილის ისრები ტალღებად შემოსეულან,
ნურსად ნუ იტყვი ჩემს ამბავს, აქვე დამმარხე ეულად...
შენ რა განაღვლებს? რად სტირი? — წადი და გაიხა-
რეო, —
ვარდებით ხომ სულ სავსეა ჩემი სამშობლოს მხარეო!

თამარო მეც მომისმინე, თამარო — თეთრკაბიანო,
თქვენც: ტკბილო მიწავ, და ზეცავ — ნათელო, მზეკა-
რიანო;
ვარსკვლავებო და მთვარეო, მინდვრის ვარდო და იაო,
ქარო და მდინარეებო, ზღვის დუდუნო და ნიავო,
შენც მომისმინე ბულბულო, და ანგელოზებრ ტკბილი
ხმით
მერე ქვეყანას გადაეც ეს ჩემი გულისტკივილრ:

დღეს გახარება ვიგრძენი, დღეს ტკბილმა გრძნობამ
ამანთო:
თეთრკაბიანი ვიხილე და სიყვარულმა დამათრო;
დღეს ვარდებს გადმოესხურა, სხურვამ ტკივილი მიამა,
მაგრამ აქ ბედმა ღრუბლები დღესვე რმნაირ აშალა, —
ეს სიყვარულრ მიქრება თვალწინ, ცხადად და აშკარად.

გემუდარები ზენაო — უფალო ცა და ქვეყნისა
არ დამიკარგო სიცოცხლე, რაიც შენგანვე მეღირსა!
მთლად შეიწირე რაცა მაქვს შენგანვე დანერგულიდან,
ოღონდ მის სახელს ნუ მოშლი ცეცხლად ანთებულ გუ-
ლიდან;
ოღონდ მოწმე არ გამხადო ამზიანებულ თვალების
სამარადისოდ ჩაქრობის, ტკბილრ სიცოცხლის დალევის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარო, შენც გეხვეწები, თამარო — თეთრკაბიანო:
ჩემთან ირჩიე დარჩენა, სხვაგან სად გინდა იარო?!.
თეთრ კოშკს აგიგებ ბრძოლისას, თეთრ ყვავილებით შევმოსავ,
რა — ზამბახით მოვქარგავ თვით კოშკის გარეშემოსა...
არავის არ გავაკარებ, — გარდა მზისა და მთვარისა,
მიწას სამოთხედ გარდავქმნი, ტანჯვას ტკბობად და ხალისად.
მე მარტო არ გეხვეწებით... ღმერთო, თვითონ ხარ მოწამე:
ჩემთან არიან ყველანი, ვინც სიყვარულით ეწამენ...
შენს წინ დამდგარან უფალო, მუხლმოყრილ-თავდახრილები;
მათ ასხივებულ თვალებში ახლა ჩამდგარან ჩრდილები,
გევედრებიან, შეგთხოვენ—როგორც ღმერთსა და წმინდანსა,
რომ სიყვარული აჩუქო ამ ცოდვილ დედამიწასა!..
არვინ ისმინა მუდარა — არც მზემ, არც ღმერთმა და მიწამ:
თვალები ჩაქრა ლამაზი, თეთრი ოცნება დამიწდა...
ჩემივე ხელით ავჩიჩქნე საფლავი გულის ქურუმის,
შუბლზე ვაკოცე, რიდებით,.. თვალები ჰქონდა წკურუმი...
და მივაბარე შავ მიწას, ვინც კოშკში უნდა დამესვა,
ვის მზესთან უნდა ეცხოვრა, გაჰყროდა შავსა ღამესა...

გაუფერულდა ყოველი, ქვეყნის შევიქენ უწამო,
დღეს დავიბადე და დღესვე რად გავიწირე უწყალოდ!..
რა დავუშავე ამ ვარდებს — ათასფრად აქარგულებსა,
ან ვარსკვლავებით მოკენჭილ და მძაფრად ნაქარბუქევ ცას!..
რა დაგიშავე შენ თვითონ თამარ — გულო და აისო,
დღეს ჩემი გული ცრემლით და მწარე ნაღველით აივსო!..

ყვავილებს ფერი არა აქვთ, დაშავებულან ყველანი,
კუპრით დაფერილ ურჩხულს ჰგავს ჩემი ტანთეთრი მერანი,
სვილისფრად დამსველებია პერანგიც თეთრი ფერისა,
შავ ფოთლებს დამსგავსებიან თამარის ყვავილებიცა
და, როგორც ძეწნა დახრილი, — ეს გიშრის თმები წვრილები
კლაკნილ გველებად დაყრილან თმისავე შიბით წნილები.

ან თმა სად არის? ან თვალი? — საფლავში წვანან ყველანი,
ტანი შავფერად შევმოსე, შავად შევსუდრე მერანიც,
შავი ფოთლები დავყარე, შავ დროს შავფერად შლილები...
საფლავთან: შავნი ქანდაკნი — დგანან შავ ხეთა ჩრდილები,
ღამე ბულბულნი მოდიან, — იცვამენ თურმე შავებსა,—
და დასტირიან თამარის და ჩემსა სიბედშავესა!..

——— ... ———

ნურსად ნუ ვეძებთ სიყვარულს ქვეყნად მგზავრნი ვართ გვიანნი,
უსიყვარულოდ ცხოვრობენ მიწად ვარდნი და იანნი!
ცაზეც აგრეა: ვარსკვლავნი ხშირად იმიტომ სწყდებიან,
ღრუბლები მიტომ მოდიან, ღმერთებიც მიტომ სწყრებიან, —
ეს უფერული საგნები, აქ რომ დაყრილან ურგებად,
რას გვაძლევს ბოლოსდაბოლოს, — ვერავინ ვერ გვეუმოგბნება!
ცა ნისლით დახურულია, გული ბოლბლების ძაძებით,
შავფერად გამურულია მუდამ ტანრუხი ნაძვებიც;
თვალში სინათლე გვიშრება შეუმჩნევლად, ნელიად,
რაც გუშინ მზიური იყო, დღეს ღამესავით ბნელია...
სიყვარულს ბინა არა აქვს, კაცი კაცისა მტერია,
უსიყვარულო სიცოცხლე —აბა რა სანატრელია!..

დავდივარ ქვეყნად მარტოკა, ჩემივე სევდის მოწამე,
თეთრი მერანი არა მყავს, ისიც დარდებმა მოსწამლეს!
შავნი ყვავილნი შლილობენ, დღემუდამ შავი ქარია —
სად სიყვარული ღვთიური მარტოკა ასაფლავია!..
რანი ვართ? რისთვის მოვედით? ბედმა ვის რა მზე გვაჩუქა? —
გულს გახარება არ უნდა, დაიკეტა და დაჩუმდა!

მაისი, პარიზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ილია

ილია ჭავჭავაძე ჩვენი ერის ცხოვრებაში ძალიან დიდი მოვლენაა. არც ერთი ქართველი მოღვაწე — ოქროს ხანის შემდეგ — ასე ღრმად არ ჩასწვდენია ქართველი ერის სულს და ასეთი სისწორით არ უგრძვნია ქართველი ერის გულის ნადები. მიუხედავად ამისა, ჩვენდა სავალალოდ, ილია დღემდე შეუსწავლელია: მას ვიცნობთ მხოლოდ ზერელედ. ჩვენ არა გვაქვს ილიას ვრცელი შემოქმედებისა და საზოგადოებრივ-ეროვნული მოღვაწეობის ობიექტიური, მეცნიერული ანალიზი, სრული და ყოველმხრივი შეფასება, ამიტომ ეს ბუმბერაზი ადამიანი დღესაც ვერა სჩანს სრულად თავისი ბრწყინვალე ნიჭის სიდიდითა და შემოქმედებითი უნარის ძლევამოსილებით. ილიას შესწავლა მომავლის საქმეა — ის ელის მიუდგომელი მკვლევარის მოსიყვარულე გულსა და პატიოსან კალამს.

ჩვენთვის უცხოეთში, ილიას სრული და ჯეროვანი შეფასება მეტისმეტად ძნელია, თვით პიროვნების იშვიათი სირთულის გარდა საჭირო მასალების სიმცირის გამოც. ამიტომ, რასაკვირველია, ამ სტატიის ავტორს პრეტენზია არა აქვს ზემოდ აღნიშნული ნაკლის შევსება სცადოს. ჩვენა გვსურს მხოლოდ ამ თემაზე საუბარი ჩამოვაგდოთ, რომ საკითხის დასმით სხვებს აღვუძრათ ხალისი ამ მიზნით მუშაობისა.

ილიას რაობის გასაგებად, მისი ღვაწლის სიდიადის დასანახად ჩვენ უნდა მოვიგონოთ მე-19 საუკუნის საქართველო. თვალი გადავავლოთ თუნდაც გაკვრით ჩვენი ქვეყნის მაშინდელ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებას და ქართველი ერის სულიერსა და კულტურულ მდგომარეობას. გარეშე ამ ისტორიული ფონისა ილიას სურათი მუდამ ნაკლული იქნება. ამ მოსაზრებით აღვადგინოთ ზოგიერთი ფაქტი: — მე-19 საუკუნის კარები საქართველომ სამშობლოს დასაცავად აჯანყებულ მამულიშვილთა ბრძოლით შეაღო. ამ საუკუნის დასაწყისში ქართველი ერის ცხოვრებაში მოხდა ისეთი ამბავი, რომლის მსგავსი ჩვენს ისტორიასაც არასოდეს ენახა. მოყვარედ, დამცველად შინ მოწვეულმა რუსეთმა მუხანათურად საქართველოს ზურგში მახვილი ჩასცა და ქვეყანას სამი ათასი წლის ტანჯვითა და გმირობით, მოხერხებითა და ბრძოლით შენარჩუნებული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივობა მოუსპო. რუსეთმა თითქოს დაგვცინა კიდეც — საქართველოს სასიკვდილო განაჩენი სწორედ იმ ქართულ სიონში წაიკითხეს, რომელიც ეროვნული სახელმწიფოს ხანგრძლივობისა და დიდების ცოცხალი ნაშთი და სიმბოლო იყო.

ჩვენი ქვეყნის დიდება შორეულ წარსულიკენ არ ეკუთვნოდა — გუშინდელი დღის სინამდვილეს ეხებოდათ. ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ის თაობა, რომელიც ლეგენდარული პატარა კახის მეთაურობით საქართველოს განდიდებისათვის საკუთარი სისხლი გაიღო და საქართველოს შორეულ დასავლეთამდე გაუთქვა სახელი. ერეკლე 2-რე სულ სამი წლის გარდაცვლილი იყო. ხოლო მისი დრო ჩვენს ისტორიაში სამართლიანად ქართული გენიის გაშლისა და შემოქმედებითი უნარის აღმაფრენის ეპოქად ითვლება. ერეკლე ერთი უშესანიშნავესი მეფეთაგანია ჩვენს ისტორიაში, რომლის სამხედრო ნიჭსა და მხნეობაზე, დას. ევროპის მაშინდელ პრესაშიც სასაზღვრო ცნობებია დაცული. საქართველოს სამეფო თავის ეთნოგრაფიულ საზღვრებს ბევრად გადასცდა და ქართველ გვირგვინოსანს თითქმის მთელი ამიერ-კავკასია ეჭირა, ამიტომ პატარა კახი ასე იწოდებოდა:

„ხელმწიფე და მფლობელი ქართლისა, მეფე კახეთისა, მემკვიდრე მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსი, მთავარი შამშადილისა, მთავარი კაკისა, მთავარი შაქისა, მთავარი შირვანისა და მფლობელი და ბრძანებელი განჯისა და ერევანისა“. ამ ტერიტორიაზე გაშლილი, სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი საქართველო, კულტურულადაც განვითარების მაღალ დონეზე სდგას.

ერთის შეხედვით ამ დროის ჩვენი ისტორია საკმაოდ პარადოქსალურია: ჯერ ვხედავთ საქართველოს ძლიერს, პოლიტიკურად კავკასიაში გაბატონებულს და მთელ წინა აზიაში მნიშვნელოვან ფაქტორად ქცეულს და უცებ, სულ 6 წელიწადში (მე ვანგარიშობ აღა-მაჰმად-ხანის შემოსევიდან ალექსანდრე 1-ს მანიფესტამდე.) მისი სრული დაცემა და სახელმწიფოთა რიგიდან ამოშლა. გუშინდელი და დღევანდელი სინამდვილე ერთმანეთს აღარ ეგუებოდა, გარდატეხა მეტად უხეში იყო. ეს ჰგავდა მთის მწვერვალიდან მოულოდნელად უფსკრულისაკენ მოწყვეტას, დღის სინათლიდან ჯოჯოხეთურ წყვდიადში ჩავარდნას. საქართველო გუშინ სხვათა მპყრობელი და სხვებზე გაბატონებული, დღეს — თვით დაპყრობილი და ორ გუბერნიათ ქცეული! კონტრასტი მეტად დიდი იყო და ქართველი კაცის გონებისათვის ძნელად ასახსნელი. რა თქმა უნდა, ამ საკვირველების პასუხი ქართული ისტორიის ბუნების თავისებურებაშია. მაგრამ სიონის ტაძარში რუსული მანიფესტის გამგონე ქართველობას ისტორიის ფილოსოფია არ აინტერესებდა. მათთვის საკითხი მარტივად იდგა: მტერმა, მართალია არა პირისპირ შეტაკებით, არა ბრძოლის მოგებით, არამედ მუხანათურად, ზურგში მოპარვით, მოტყუებით, — მაგრამ მაინც, ქვეყანა დაიპყრო. მთელი თავისი ისტორიის მანძილზე არსებობისათვის ნაბრძოლი ერი თავის ტრადიციას ვერ უღალატებდა და უბრძოლველად ვერ დასთმობდა ეროვნულ თავისუფლებას. ქართველობას იარაღი უნდა აესხა დაკარგული სახელმწიფოებრივობის აღსადგენად. იწყება აჯანყებები. კაკობრიობის ისტორიაში იშვიათად მოინახება მეორე მაგალითი, რომ ჩვენსავით პატარა ერს, სულ ოცდაათიოდე წლის მანძილზე ამდენი აჯანყება ზედიზედ მოეწყოს და მებრძოლი სული არ გასტეხოდეს. მეცხრამეტე საუკუნის პირველი მესამედი შეუწყვეტელ აჯანყებათა მორევია. აქ არ შეუდგებით მათ აღწერას, მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ 1812 წლის კახეთის აჯანყებად წოდებული მოძრაობა, სრულიად განსაკუთრებული მოვლენა იყო. ის კახეთის ფარგლებს ბევრად გასცილდა და თითქმის მთელ აღმოს. საქართველოს მოედო. ღენერალ ციციშვილი მას „საშინელ რევოლუციას“ უწოდებს და დასძენს: „ამ აჯანყებას ხალხის სულის გაუგონარი გაბოროტება ახასიათებდაო“. მართლაც, აჯანყებულები გადაჭრით აცხადებენ: „ბასტა, მეტის ატანა აღარ შეგვიძლია, გათავდა ყველაფერი. გადავწყვიტეთ სიკვდილი და დავიხოცებით კიდეცო“. „თქვენ დაიწყეთ და ბრალიანსა და უბრალოს ახრჩობთ ბაწარზე. მაგრამ ამასაც ვითმენდით. რაც არა გვქონდა იმას ეგზეკუციებითა და ხიშტებით გვართმევდით. გვიხოცავდით ცოლ-შვილს და გვეუბნებოდით: ბალახი სძოვეთო! ჩვენ მეტს ვეღარ მოვითმენთ და ჩვენი ცოლშვილის დახოცვას ისევ თქვენ დაიხოცენითო“. რომ ეს უბრალო მუქარა არ იყო და რუსებს მართლაც დაუზოგველად ებრძოდნენ, ამას მოწმობს ალ. ჭავჭავაძის მოხსენება რუსეთის მეფის კარისადმი წარდგენილი, სადაც ნათქვამია: „ძნელად დასაჯერებელია ხალხის მაშინდელი გაბოროტება. იგი სულ ახლობელსაც არ ინდობდა თუ-კი მას რუსების მომხრეობას შეამჩნევდაო“. კახეთის აჯანყება უფრო ჰგავს ნამდვილ ომს, რომელიც ოთხ თვეზე მეტი გაგრძელდა.

ეს მოძრაობანი რუსეთმა ველური მრისხანებით, ტყვიით და ცეცხლით ამოსწვა. ამ მოძრაობათა უმთავრესი ნაკლი იყო ასპარეზის სიმცირე და საერთო ცენტრის, გამაერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიანებელი ორგანოს უქონლობა. აჯანყებები სეპარატიულად, კუთხურად და სხვა და სხვა დროს ხდებოდა, რაც რუსეთს უადვილებდა ცალ-ცალკე მათ განადგურებას. ბრძოლის მეთაურებმა ეს შეცდომა დაინახეს და მის გამოსწორებას შეუდგნენ. იწყება სამზადისი ახალი შეტაკებისათვის. სავსებით იცვლება ბრძოლის ძველი ტაკტიკა და სტრატეგია. იქმნება ერთი სამეთაურო ცენტრი, რომელშიდაც ჩვენ ვხედავთ ალ. ჭავჭავაძეს, გრ. ორბელიანს, ალ. ორბელიანს, სოლომონ დოდაშვილს და ყველა იმ დროის ნარჩევ ქართველობას. ეს ცენტრი ამუშავებს ვრცელ გეგმას. შეთქმულების სამზადისში აკტიურ მონაწილეობას იღებს სასულიერო წოდებაც. მებრძოლი ცენტრის ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი ბერი ფ. კიკნაძე სწერს საგანგებოდ ფიცის ტექსტს, რომელიც უნდა მიეღოთ შეთქმულთა მეთაურებს. ბრძოლა უნდა დაწყებულიყო ერთ და იმავე დროს მთელ აღმოს. და დასავლეთ საქართველოში. მეთაურთა ცენტრი ითვალისწინებს აღდგენილი საქართველოს სახელმწიფოებრივ ფორმასაც. გამარჯვების უზრუნველსაყოფად შეთქმულები უკავშირდებიან მთელ რიგ სახელმწიფოებს. დღეს შეიძლება დანამდვილებით ვსთქვათ, რომ შეთქმულებს კავშირი ჰქონიათ საფრანგეთთან, პოლონეთთან, სპარსეთთან და ზოგიერთი ცნობებით სამუსულმანო ქვეყნების იმ დროის ბატონთან — ეგვიპტის ფაშასთანაც. მაგრამ მიუხედავად დიდი სამზადისისა და დიდი თადარიგისა, ღალატის წყალობით ამ ფართო გეგმასაც განხორციელება ვერ ეღირსა და ჩვენს ისტორიაში ის მხოლოდ „1832 წლის შეთქმულების“ ან კიდევ „აჯანყების“ სახელით შევიდა.

ამ შეთქმულების დამარცხებამ მთელ მოწინავე ქართველობაზე ღრმა და წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ დროიდან იწყება ქართულ აზროვნებაში გარდატეხა, წარსულის რევიზია, გადახდილი ბრძოლების კრიტიკა, და ახალი გზებისა და გეზის ძებნა. 1832 წლის შეთქმულების ლიკვიდაცია ქართული პოლიტიკის მებრძოლი ოპოზიციის ლიკვიდაციად გადაიქცა. რუსეთის მთავრობამ ქვეყანას ის პირებიც მოაშორა, რომლებიც ბაგრატიონთა გვარეულობის განადგურების შემდეგ, ფარულად ქართული მებრძოლი ნაციონალიზმის მეთაურობას ეწეოდნენ. რუსეთი მტკიცედ მკვიდრდება საქართველოში. იწყება ბნელი ხანა რუსის მოხელეთა თავაშვებული თარეშისა. იდევნება ყოველივე ქართული. ეკონომიურად გაღატაკებულ, ბრძოლებში დაღლილ და იმედ გაცრუებულ ქვეყანას ეროვნულად გადაგვარების საფრთხეც დაუდგა. საქართველოს მოსარჩლე არავინ სჩანდა. ნიკ. ბარათაშვილის კვნესა — დამწუხრებული ჭირისუფლის მოთქმაა ძვირფას საფლავზე. საქართველოს სჭირდებოდა პიროვნება, რომელიც განსაცდელში მყოფ ერს თავისი თავის იმედს დაუბრუნებდა და მომავლისაკენ სავალ გზასაც გაუნათებდა. საჭირო იყო წინამძღვარი, რომელიც ახალ მდგომარეობასთან შესაფერის ბრძოლის ხერხს მონახავდა; თავი — კაცი, რომელიც შესძლებდა მარადიული მიზნის მისაღწევად ბრძოლის ახალი მეთოდების შერჩევას და ქვეყნის ახალ გზაზე დაყენებას.

აი ასეთ დროს საქართველოს ცაზე შეუმჩნევლად ამოდის ახალი ვარსკვლავი. ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალი ამ ვარსკვლავს უნდა გაეშუქებინა? ვინ მიხვდებოდა, რომ კახეთში, სოფელ ყვარელში 1837 წლის 27 ოქტომბერს დაბადებულ ბავშისათვის განგებას შუბლზე წაეწერა ჩვენი ხალხის მოძღვარი და გზის მაჩვენებელი გამხდარიყო?

ილია ჭავჭავაძე ჩამომავალია ცნობილი ისტორიული პირებისა, მამუკა (17 საუკ.), ბესპაზ და ერეკლე 2-ს ერთგული, განთქმული სარდალი პაატა ჭავჭავაძისა. ილიას მამა გრიგოლიც სამხედრო პირია — რუსის ჯარის პორუჩიკი. ილიას დედა მაგდან ბებურიშვილის ასული სარწმუნოებით გრიგორიანი ყოფილა. გრ. ყიფშიძის ცნობით, როცა მაგდანი ილიას მამამ შეირთო ის 13 წლისა იყო. მაგდანს თავისივე სურვილით მართმადიდებლობა მიუღია: — რადგან ქართველის ოჯახში რძლად შევდივარ, უეჭველად მათი სარწმუნოება უნდა მივიღოვო. გათხოვების შემდეგ ის უკვე მარიამად იწოდება — გარდაიცვალა სულ ახალგაზრდა, 30 წლისა. ჰყოლია ექვსი შვილი: კოსტანტინე, ნინო, ილია, ელისაბედი, თეიმურაზი და სვიმონი. მარიამს ქართული კარგად სცოდნია და შვილებისათვის წერა-კითხვა თვითონვე უსწავლებია. ილია 11 წლისა ყოფილა როცა დედა მოუკვდა. აქედან 4 წელიწადში ე. ი. 1852 წ. მას მამაც მოუკვდა — ისიც ახალგაზრდა, 40 წლისა. კიდევ ორი წლის შემდეგ წინანდალში ლეკებს მოუკლავთ ილიას უფროსი ძმა კოსტანტინე. მარიამის გარდაცვალების შემდეგ ილიას მამას ოჯახის მომვლელად თავისი და მაკრინე ჩამოუყვანია — არაგვის ერისთავის მეუღლე, ამ დროს უკვე ქვრივი — და მას აქეთ ოჯახის გამგე და ილიას ნამდვილი გამზრდელი ეს მამიდა იყო. ილია პატარაობიდანვე მეტად მგრძნობიარე, კეთილი, ფაქიზი სულის, თავაზიანი და მორიდებული ბავში ყოფილა. ილიას ოჯახის გამდელი სალომე ლოლაძე თავის მოგონებაში ამბობს:

„... ილიას ოჯახში მიმიყვანა დავით ერისთავმა, ილიას ნათლიამ. ვიქნებოდი 8-9 წლისა. ილიაც ჩემი ხნისა იქნებოდა. ანგელოზივით ბავში იყო. ცელქობა და თამაშობა ეგრე რიგად არ უყვარდა. პატარაობიდანვე ლექსებს გამოსთქვამდა ხოლმე. მახსოვს ძალიან კარგი ლექსები გამოსთქვა კოშკზე, მარანზე, წინად კარგად ვიცოდი მაგრამ დავბერდი და ეხლა აღარ მაგონდება. ბავშვი ილია ხშირად გაიხმობდა ხოლმე ბიჭ-მოსამსახურეებს და ლექსებს ათქმევინებდა. ერთხელ ერთმა ბიჭმა რაღაც ბინძური ლექსი უთხრა, ილიას არ ეჭაშნიკა და მელექსეს უთხრა: შენ კარგი ლექსები არა გცოდნიაო. მეტის მეტად ხათრიანი ბავშვი იყო. ხმას არ აუმაღლებდა თავის დღეში მოსამსახურეს. მისი მამიდა ხშირად გაგზავნიდა ხოლმე მუშების დასათვალიერებლად და სამუშაოზე დასაძახებლად. ილია მარტო დაბრუნდებოდა და არავის მოიყვანდა. მამიდა გაუჯავრდებოდა ხოლმე, ილია — კი უპასუხებდა: „ოჰ, მამიდაო, ისე ტკბილათა სძინავთ ჩრდილში, რომ ვერ გავაღვიძე, შემეცოდნენო“.

ილიას ასეთ თვისებებს ადასტურებს მისი დის ელისაბედ საგინაშვილის ერთი მოგონებაც: „ერთ წელიწადს ზამთარში ვცხოვრობდით ქალაქში. ილია გიმნაზიაში სწავლობდა და იმ ზამთარს ჩვენსას ცხოვრობდა, თავისთვის ოთახი ჰქონდა, ძალიან მორიდებული და უწყინარი იყო. ერთ დღეს შევედით, ვნახეთ კრაოტი ჩასტეხია და ისევ ისე წევს. ჩვენ შევეკითხეთ რატომ არ შეგვატყობინე, ან მოსამსახურეს არ უთხარი გაესწორებინაო? — „რათ შემეწუხებინეთ დაო, ასე მწოლარესაც ტკბილად მეძინაო!“ ილიამ საშუალო განათლება საქართველოში მიიღო: დაამ[illegible]ავრა თბილისის გიმნაზია. მისი ახალგაზრდობის შ[illegible]ებ საინტერესო ცნობებს იძლევა კოტა აფხაზი. [illegible]ს ამბობს ის:

„ილია [illegible] მე ერთად შევიზარდენით. რაც ჩემი თავი მახსოვს იმ დღიდან მახსოვს ილიაც. ის ერთი წლით იყო ჩემზე უფროსი, დაიბადა 1837 წ. მე-კი 1838-ს. გიმნაზიაშიც ერთად ვიყავით და სტუდენტობის დროსაც ერთს ოთახში ვცხოვრობდით. როგორც მახსოვს ილია პატარაობიდანვე სწერდა ლექსებს. მახსოვს ასეთი შემთხვევა: ილია იქნებოდა ასე 11 წლისა, ჩვენს სოფელში კარდანახში ვიყავით — ორივენი გიმნაზიელები. კვირა დღე იყო და ერთი ოცი თუ ხუთმეტი ვერსის მანძილზე მამაჩემს მამითადი ჰქონდა. ჩვენც იქ წავედით. მთელი დღე უცქეროდით გახურებულ მამითადს. საღამოთი შინისკენ დავბრუნდით და კარდანახამდე ასე 7 ვერსი რომ დაგვრჩა, კოკისპირული წვიმა დაუშვა და მთელი ნიაღვარი მოვარდა. მეტი გზა არ იყო, შევბრუნდით ახლო მდებარე სოფელში და ღამე იქ გავატარეთ. ერთ გლეხკაცის სახლში ვიწექით, ღამე იმოდენა მკბენარი დაგვეესია (რწყილები), რომ არც კი მოგვითვლემია, გათენებისას გამოვარდით გარეთ ლოგინებითურთ და ერთ დიდ კაკლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეშ გავშალეთ და ცოტა მაინც გამოვიძინეთ. აი სწორედ აქ დასწერა, ილიამ თავისი პირველი ლექსი „რწყილები“. ამ ლექსში დიდის ოხუნჯობით და მეტად კომიკურად იყო აღწერილი ჩვენი რწყილებთან ბრძოლა და ლექსმა ბევრი გვაცინა. ილიამ მეტის მეტი მოსწრებული ხუმრობა იცოდა და თუ კი ვისმე სასაცილოდ აიგდებდა, მართლადაც რომ მიწასთან გაასწორებდა. გიმნაზიაში ილია ნიჭიერ და გონებაგახსნილ შეგირდათ ითვლებოდა, მაგრამ ზარმაციც დიდი იყო. არასოდეს გაკვეთილებს არ ამზადებდა და მარტო, როდესაც მოახლოვდებოდა გამოცდა, მაშინ ბეჯითად შეუდგებოდა სწავლას და ორ-სამ საათში იმოდენას შეისწავლიდა და დასძლევდა რომ სხვას ამისათვის ორი დღეც მოუნდებოდა. უნდა მოგახსენოთ, რომ ილია პატარაობიდანვე როგორღაც მიუკარებელი და უფრო ჩუმი იყო, ამხანაგებს აგრე რიგად არ უახლოვდებოდა, მაგრამ ამხანაგის გამტანი და მხარის დამჭერი კი ყოველთვის იყო. მახსოვს ერთხელ პავლოვსკიდან, სადაც ქართველი სტუდენტები ზაფხულს ვატარებდით — წავედით ცარსკოე სელოში და იქ ვეწვიეთ ქალბ. დადიანისას, სამეგრელოს მთავრის ასულს. ქალბატონ დადიანისამ, სხვათაშორის გამოიტანა და მოგვცა წასაკითხად ნ. ბარათაშვილის ლექსები, რამდენადაც მახსოვს ნ. ბარათაშვილის საკუთარი ხელნაწერი. ეს ლექსები იყო „ქართლის ბედი“ და „მერანი“. ვერ წარმოიდგენთ რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ. თითქმის ერთი კვირა ყმაწვილი ჰბოდავდა ბარათაშვილით... მამულისადმი უანგარო სიყვარული პატარაობიდანვე შეჰყვა ილიას. მეტის მეტად უყვარდა ბაასი გლეხკაცებთან, მეტადრე მოხუცებულებთან. ჰკრეფდა და აგროვებდა ზღაპრებს, ანდაზებს, გამოცანებს. უყვარდა მესტვირეები და სიამოვნებით უგდებდა ყურს. დიდი პატივისმცემელი იყო ინგლისის სახელმწიფო წყობილებისა. აღმერთებდა გარიბალდის და პატივსა სცემდა გლადსტონს. ქართველების შესახებ ილია ხშირად ამბობდა: ჩვენ ჯერ ჭოჭინა გვჭირიაო“.

გიმნაზიის გათავების შემდეგ ილია მიემგზავრება რუსეთში და შედის პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. პეტერბურგში ილია გულმოდგინეთ მუშაობს. იმავე კოტა აფხაზის ცნობით: „უნივერსიტეტში ილიას განსაკუთრებით პოლიტიკური და ეკონომიური სამეცნიერო საგნები აინტერესებდა“. თურმე ძალიან ბევრს კითხულობდა სხვა და სხვა დარგიდან და განსაკუთრებით დაინტერესებული ყოფილა ძველი ქართული მასალებით. გამოცდების დროს 18—20 საათს მუშაობდაო. საცხოვრებლად ფულს რასაკვირველია საქართველოდან უგზავნიდნენ, მაგრამ როგორც ეტყობა საკმარისი არა ჰქონია და ხელმოკლედ სცხოვრობდა. ამ მოსაზრებას ადასტურებს ერთი ანეგდოტი ილიას ცხოვრებიდან: პეტერბურგში ილია გატაცებული ყოფილა ღენერალ ჩაიკოვსკის ქალიშვილით — ცნობილი კომპოზიტორის და. ერთხელ ამ ქალს ილია და მისი მეგობარი კ. აფხაზი დაუპატიჟია დღეობაზე. ილიასა და აფხაზს მხოლოდ ერთი სადარბაზო ტანისამოსი ჰქონიათ და რადგან ორივეს ნდომია სტუმრად მისვლა, დახურული ეტლი ჩაიკოვსკის სახლის მოშორებით გაუჩერებიათ ჯერ ერთი შესულა სტუმრად, მერე ეტლში გადაუცვამს და იმავე კოსტუმით ილიაც შებრძანებულა. ხელმოკლეობას მოწმობს ის გარემოებაც, რომ ილია მარტო ვერ იღებს ბინას და ამხანაგთან ერთ ოთახში სცხოვრობს. ამავე წლებში ილია თავის თხზულებებზეც მუშაობს. აქ თანდათან ყალიბდება და სრულდება ილიას პიროვნება — რუსეთიდან წამოსვლის დროისათვის ის უკვე დასრულებული მოაზროვნეა, რომელსაც ყოველ საკითხზე აქვს გარკვეული და საბოლოო აზრი.

ილია უკვე მომწიფების და დავაჟკაცების შემდეგაც გულჩვილი და მეტად ფაქიზი გრძნობის ადამიანი ყოფილა. ის თურმე განსაკუთრებულ სიბრალულსა და სიყვარულს იჩენდა ცხოველების მიმართ. იგივე კოტა აფხაზი იხსენებს ასეთ შემთხვევას: „მახსოვს ერთხელ ალაზანზე წავედით რამდენიმე კაცი სანადიროდ. დავდექით ნომრებზედ. ჩემს გვერდით, ცოტა მოშორებით იდგა ილია. ხშირი და დიდი ტყე იყო. ძაღლებმა უკვე დაჰყეფეს, როგორც ეტყობოდა კვალს მიაგნეს. გაფაციცებით ველი ნადირს და არ გავიდა ბევრი ხანი, რომ გამოჩნდა დიდი ირემი, მაგრამ ხეებს ისე იყო მოფარებული რომ ვერ ვესროდი. ილიასათვის — კი ირემი მეტად მარჯვედ იდგა. ველი გულის ფანცქალით, რომ აი ან ეხლა გავარდება ილიას თოფი ან ეხლა მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ. კარგა ხანი გავიდა. იდგა, იდგა ირემი, მერე ერთი დაიფრუტუნა და გადახტა და გაჰქრა ტყეში. გავქანდით ილიასაკენ, დაუწყეთ ჯავრობა: „კაცო რა ჰქენი, რატომ არ ესროლე? — „უჰ, ისეთი ლამაზი, ისეთი მოხდენილი რამ იყო, რომ მაგას როგორ ვესროდი, როგორ გავიმეტებდიო“. ან კიდევ მეორე შემთხვევა — ჩაწერილია ნიკო ოსიტაშვილის ნაამბობიდან — (მე მომყავს შინაარსი) „ილიას მოსამართლედ ყოფნის დროს დუშეთის სასამართლო გზის პირად ყოფილა. ერთხელ ილიას უნახავს ასეთი სურათი: გლეხს მოაქვს ძნით მაგრად დატვირთული ურემი. კამეჩები მკათათვის სიცხისა და ტვირთის სიმძიმით გალექებულან და ერთი კამეჩი მუხლებზე დაცემულა. გაბრაზებულ მეურმეს დაუწყია ცემა დაჩოქილი კამეჩისა. ილიას მაშინვე მეურმე დაუბარებია და დაუტუქსავს. გაკვირვებულ მეურმეს უთქვამს: „ბატონო საქონელი ჩემია და რასაც მინდა იმას უზამ ჩემ კუთვნილებასაო“. ილიას უპასუხნია: შენ რომ ქრისტიანი კაცი ყოფილიყავ ამ კამეჩის ვედრებას შეისმენდი; განა შენთვის საკმარისი არ იყო რომ დაჩოქილი, ენა გადმოვარდნილი საქონელი გევედრებოდა: შენი ჭირიმე ჩემო პატრონო ნუღარ მცემ, ძალიან მცხელა და გაწევა აღარ შემიძლიანო? გასწიო უთქვამს — ეხლა მიპატიებია, მაგრამ თუ კიდევ ჩაგიდენია ეგეთი საქციელი ცხენში ჩაგსვამო“.

ილიას იურიდიული პრაკტიკიდან საინტერესოა ერთი ორიგინალური შემთხვევა: დუშეთის სასამართლოში ერთ სომეხს საჩივარი აღუძრავს — ამა და ამ გლეხს ფული ვასესხე, თამასუქი ხელზე მაქვს, დრო გავიდა და აღარ მიბრუნებსო. საქმის გარჩევის დღეს გლეხი აცხადებს, რომ მან ფული გადაიხადა და სასამართლოს მოუთხრობს: „ყანაში ვმუშაობდი, შორს გზაზე შევამჩნიე ჩემი მევალე, გამეხარდა რომ ქალაქში წამოსვლა ამცდა, დავედევნე და მოვაბრუნე. ერთი ხის ჩრდილში დავსხედით. ფული ჩაუთვალე და მადლობაც უთხარი. თამასუქი თან არა ჰქონდა და როცა ქალაქს ამოხვალ მაშინ მოგცემო. სომეხი გადაჭრით უარს ამბობს: არც ფული მიმიღია და არც მინახავს ეგ კაცი, იმ მხარეშიც არა ვყოფილვარო. ილია გლეხს ეკითხება მოწმე თუ გყავს ვინმეო. გლეხი უარს ამბობს, მაგრამ იფიცება რომ ფული გადაიხადა.

ფორმალურად სადაო თითქოს არაფერი იყო, რადგან თამასუქი სომეხს ჰქონდა, ყველა ქვეყნის სასამართლო მას გაამართლებდა. მაგრამ ილიამ ინტუიციით იგრძნო რომ გლეხი მართალი იყო და სიმართლის გასაგებად მეტად ნიჭიერსა და არაჩვეულებრივ ხერხს მიმართა. ილია გლეხს შეეკითხა „მოწმე არავინა გყავს მაგრამ თუ შეგიძლია, საცა დასხედით და ანგარიში გაასწორეთ იმ ხეს ერთი ტოტი მოსტეხო და მომიტანო?“ გლეხმა თანხმობა განაცხადა, ქუდს ხელი დაავლო და კარებისაკენ გაქანდა. ველარ მოითმინა სომეხმა: — ბატონო, ეგ კაცი თუ იქ წავიდა ხვალამდე ვერ მობრუნდებაო! ილიამ გლეხს უკანვე დაუძახა და სომეხს ეკითხება... — აკი არ იცოდი სად იყო ის ადგილი და ამ კაცის ნახვაზედაც უარს ამბობდიო?! სასამართლომ გლეხი გაამართლა.

○

ილია გულის ფანცქალით უახლოვდებოდა სამშობლოს. მას უკვე შემუშავებული ჰქონდა მიზნის მისაღწევად საჭირო პროგრამა. კავკასიონის ქედიდან — უთუოდ უკეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გადაეწკდინა მთელ საქართველოსათვის — ხმა მაღლა, ქვეყნიერების გასაგონად დასძახებს ქართველობას ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეკუთვნოდესო! ე. ი. საქართველოს სახელმწიფოებრივობა, დამოუკიდებლობა უნდა აღვადგინოთო. ეს იყო ჭექა-ქუხილი მოწმენდილ ცაზე. ბრძოლებში მოღლილი, მტრის მრისხანებით სასოწარკვეთილი. თავის უბედობას თითქოს შერიგებული ქართველობა იქნებ საღი ეროვნული ინსტიკტით გრძნობდა, რომ ეს მოწოდება გამომხმაურებას საჭიროებდა, მაგრამ ჩვენი ცხოვრება იმდენად იყო დაძაბუნებული, რომ მოდუნებული ეროვნული გულისცემის გასაღვიძებლად მარტო მოწოდება არა კმაროდა. საჭირო იყო გულგატეხილი ხალხისათვის ხელის ჩავლება და საფუძვლიანად შეჭანჭყარება, ქართული ნიადაგის ძლიერად შერყევა, რომ ხალხს „უგემური ძილისაგან“ თავი დაეხწია, ქვეყანა გონს მოსულიყო და უკვე დაყრილი ფარ-ხმალი კვლავ აეკრიფა. ეს კარგად ესმის ილიას. ამიტომ ასე სხარტულად, ლამაზ ფორმულაში მოცემული საქართველოს მარადიული მიზნის მისაღწევად, ის მოითხოვს აკტივობას, მოქმედებას, ბრძოლას. ის მოქმედებაში, ბრძოლაში ხედავს ქართველი ადამიანის სიცოცხლის გამართლებას. ამიტომ არის რომ უძრავ მყინვართან შედარებაში მღვრიესა და მღელვარე თერგს აძლევს უპირატესობას, როგორც განსახიერებას შეუწყვეტელი მოძრაობისა და ბრძოლისა. ილია იმასაცა გრძნობს თუ რა ვეებერთელა შრომის გაწევაა საჭირო ქვეყნის ასამოძრავებლად და ერთი წუთით იჭვიანობს კიდეც:

„შევძლებ კი რომ მას (სამშობლოს) ღვიძლი სიტყვა უთხრა და იმ სიტყვით უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გაუადვილო?“ მაგრამ ეს ეჭვი მხოლოდ წუთიერია. დასმულ კითხვას თითონვე უპასუხებს და რწმენით აცხადებს: შევიძლებო!

უნდა ითქვას, რომ ქართული სინამდვილე ილიას უფრო უნუგეშო და გულის მომკვლელი დახვდა ვიდრე შეიძლება თითონაც ეგონა. ეროვნული იდეა, თითქმის გამქრალი იყო, რუსული პოლიტიკა დღითი დღე ახალ პოზიციებს იჭერდა და დიდი დრო აღარ სჭირდებოდა, რომ ქართველი ერის სახელიც მოესპო. საუკუნეების განმავლობაში ერის პოლიტიკური ცხოვრების მესვეური თავადაზნაურობა რუსეთმა პოლიტიკურად რომ გაანადგურა, ეხლა გახრწნის გზაზე შემდგარიყო. მისი ერთი ნაწილი რუსეთის მოწყალებაზე, მისგან ჩინ-მენდლების მიღებაზე ოცნებობდა, და ამისათვის იღწოდა, მეორე ნაწილი, უმცირესობა, ვინც პირველი გზა ეარყო, ისიც თავისთვის ჩაკეტილიყო და საქვეყნო საქმეებზე ზრუნვა დროისათვის მიენდო. ხოლო ქვეყნის უმრავლესობა, საყრდნობი და სიმტკიცე ჩვენი ქვეყნისა — გლეხობა, ბატონ-ყმობით დამონებულ-გაღატაკებული, იმდენად იყო სულიერად და ნივთიერად, შებოჭილი და შევიწროებული, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების წინმსვლელობაზე და ეროვნულ იდეალებზე ზრუნვა მას არ შეეძლო. ამ რიგად, ილიას მოღვაწეობის დაწყების ხანაში, შეიძლება გადაუჭარბებლად ვსთქვათ, რომ საქართველოში აღარ არსებობდა არც ერთი წოდება, არც ერთი საზოგადოებრივი წრე, გარდა თითო-ოროლა ადამიანისა, ვინც დამონებული ქართველი ერის აწმყოზე და მომავალზე ზრუნვას საჭიროდ სთვლიდა. ამ შემზარავი და სასტიკი სინამდვილის წინაშე, უმრავლესობისათვის გაუგებარი და ამიტომ მისგან არა თუ გამხნევებას არამედ თანაგრძნობასაც მოკლებული ილია ჭავჭავაძე მართლაც უნდა არა ჩვეულებრივი არსება ყოფილიყო, რომ გული არ გასტეხოდა და ხელი არ ჩაექნია. რამდენი სიყვარული ქვეყნისადმი, რამდენი უანგარო გულწრფელი გრძნობა, როგორი ნებისყოფა და ენერგია უნდა ჰქონოდა მას, რომ ასეთ პირობებში საქართველოს ბედის ჭედვა, მომავლისათვის, უკეთესი დროისათვის არ გადაედო და მარტოდ მარტოს დაუყონებლივ დაეწყო.

ილიამ საქართველოში რომ მიიხედ-მოიხედა გამამხნევებელი და სანუგეშო ვერაფერი ნახა. კიდევ მეტი, ის ველარ პოულობს ქართველებსაც და დამწუხრებული მოსთქვამს:

„... სად არის ქართველი და ქართველობა? ერთი ეს მინდა გკითხო ვართლა სადმე? ქართველები არ არიან მაშ რა არიანო? არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, ჩინიანი და უჩინონი, ყველანი არიან და ქართველი — კი არსად არის!... აბა დაიძახე ქართველოთქო, თუ შავი ზღვიდან მოყოლებული კასპის ზღვამდე მარტო ღიპ-გადმოგდებულის ქართლელის (ე. ი. გორის მაზრა) მეტმა შემოგხედოს ვინმემ და თუ გაჭირდა, იქნება კახელმაც თავისი მსხვილი კისერი შენსკენ მოიღრიჯოს. სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქო ამათ არ ეძახიანო, თითქო ისინი ქართველები არ არიანო... ის შემკრებელობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ჰხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენი გონებიდან ამოშრა და ქართველი ეხლა _ერთის კუნჭულის მცხოვრებია, საკუთარი კერძობითი სახელი-ღა გახდა და არა საერთო, საყოველთაო მთელის იმ ხალხისა, რომელიც ერთად ტანჯულა, რომელსაც ქართველთა შესისხლულის ისტორიის მძიმე უღელი ჭირში თუ ლხინში ერთად ძმურად უწევნია, რომელსაც ერთისა და იგივე ენით ჭირში უგლოვნია, ლხინში უმხიარულნია და რომელიც დღესაც ერთსა და იგივე ენით — თუ არაფერს აკეთებს — თავის მომძეს მაინც აბეზღებს ღმერთთანაცა და კაცთანაცა“.

ასეთ გულისმომკვლელ მდგომარეობაში იყო ქვეყანა და აბა რა გასაკვირია რომ თავისი მოღვაწეობის დასაწყისში ილია ვერავისა პოულობს რომ გვერდში ამოიყენოს და ზურგზე აკიდებული ტვირთის სიმძიმე შეიმსუბუქოს:

„მაგრამ მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არის,
ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არის,
რომ ფიქრი ჩემი, გრძნობა ჩემი განვუზიარო“...

მთელი სირთულე და სიძნელეც სწორედ იმაში იყო, რომ ყოველივეს თავიდან დაწყება სჭირდებოდა და ყველაფრის გამკეთებელი, ყველაფრის დამწყები ილია უნდა ყოფილიყო. მისი სიტყვა ჯერ არავის ესმოდა, ის მარტო იყო. ხალხს გაღვიძება სჭიროდა, მერე მომზადება და აი მერე იქნებ გაეგოთ ილიას გულის ნადები. ილიას ჯერ უნდა საძირკველის ჩაყრით დაეწყო, პირველი აგური დაედო და თვით შენობის აგების საკითხს ამ საფუძველის სიმტკიცის ხარისხი გამოარკვევდა. მხოლოდ ეს საძირკველი კი ილიას გაგებით, იმ ვარაუდით უნდა ჩაყრილიყო, მისი გამძლეობა ისეთი მათემატიკური სისწორით გამოანგარიშებული, რომ მომავალში, როცა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეკუთვნებოდა“, მკვდრეთით აღმდგარ საქართველოს სახელმწიფოს უნდა უშიშრად მასზე დაყრდნობა შესძლებოდა. ეს მეტად რთული და ძნელი საქმე იყო. გარდა სწორი ანგარიშისა და იშვიათი წინდახედულებისა საჭირო იყო აგრეთვე მოცემული მასალის ზედმიწევნით შესწავლა და ნავარაგუდევი შენობის აღნაგობის გათვალისწინებაც. ამ შენობის ასაგები მასალა თვით საქართველო, მთელი ქართველი ხალხი იყო. ის საქართველო სადაც ილია ვერავისა ხედავდა, რომ თავისი ფიქრი და ზრახვა გაენდო და ის ხალხი, სადაც იყვნენ თავადნი და აზნაურნი, ჩინიანი და უჩინონი, ყველანი ვიცა გნებავთ მაგრამ ქართველი-კი — არსადა სჩანდა. ამ გარემოში, ამ მოცემულობაში თავის ქვეყნის განთავისუფლებაზე მეოცნებე ადამიანს თითქოს ერთი გზა რჩება: გადაარჩიოს უკეთესი, თავი მოუყაროს იმ თითო ოროლა მოწინავე ქართველს, სამშობლოზე გული რომ სტკივათ და მათი დახმარებით მიზნის მიღწევა სცადოს. ეს ნაკლებ დროს მოითხოვდა, თანაც ქართველისათვის ნაცნობი, ტრადიციული ბრძოლის ხერხია. ილიასათვის არ უნდა ყოფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიყო ძნელი, რამდენიმე ათეული კაცი დაემუშავებინა და ძველ ქართულ აჯანყებათა ყაიდაზე ბრძოლის დროშა აღემართა, ეს იყო თუ გნებავთ ყველაზე პრაკტიკული და შედარებით ადვილად განსახორციელებელი საქმე. მაგრამ ილიას გატკეპნილი ბილიკი, ადვილად სავალი გზა არ იზიდავს. მან იცის რომ თავისუფლების მოპოება არ არის საკმარისი. მას უნდა უტყუარი გარანტია მომავლისა, სრული რწმენა, რომ თავისუფლების შენარჩუნებასა და განმტკიცებას შეეძლებთ. ამისათვის — კი მთელი ერის, მთელი ხალხის მომზადებაა საჭირო. თუ მთელი ქვეყანა, შეგნებულად, ერთი კაცივით სამშობლოს სადარაჯოზე გამოვა — ეს იქნება გარანტია საქართველოს მომავლისა. და სწორედ ამ შეგნების, ამ გარანტიის, ქვეყნის მომავლის უზრუნველსაყოფად საჭირო ძალის შესაქმნელად ილია იწყებს ქართველი ერის კულტურულ-პოლიტიკურ აღზრდას. რუსეთიდან ჩამოსვლისთანავე, მის მიერ დაარსებულ გაზეთ „საქართველოს მოამბე"-ში ილია ასე გვიხსნის თავის მიზანს: „მოამბეს" დანიშნულებაა გაადვილოს მეცნიერების და ხელოვნების ნაყოფის მოკრეფა ყველასათვის და განავრცელოს საჭირო სწავლა ხალხშია **... ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა, მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია.**

„ღმერთმა გვიხსნას იმ სულელურ თამაშობისაგან, რომელიცა ფიქრობს გადაასხვეაფეროს ცხოვრება თავისებურად. ჩვენ ისე არ გავბრიყვდებით, რომ ჩვენს საკუთარ წესზე მოვინდომოთ ცხოვრების გატარება. თვითონ ცხოვრება აღმოშობს ხოლმე თავისთვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის სჯულსა და კანონსა — მხოლოდ ამ კანონსა გაგება უნდა, გამოფენა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ გზის გახსნა, რომ მისი წარმოება არაფერმა არ შეაჩეროს. ამიტომაც ჩვენი „მოამბის" უმთავრესი საგანი აწინდელი ცხოვრებაა თავისი სრული წარმოებითა, სრულის ვითარებითა. ჩვენ წინადვე ვერას ვიტყვით იმის მეტსა, რომ აწინდელის ცხოვრების წრეში ჩადგომა გვინდა, მისგან ყრუდ ჩამოძახილის — ამოძახნა, მისის ვითარების ცნობაში მოყვანა, მოძრაობისათვის გზის გახსნა. ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ ჟურნალი უნდა იყოს უთუოდ დღევანდელის ცხოვრების წრეში მოჯადოებულსავით გაჩერებული — არა, ყოველ განიერ ჟურნალის თვალი არის მიმართული მომავლისკენა: აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა! „და ამ დეკლარაციას ასე ამთავრებს: „ჟურნალმა უნდა წინ წარიმძღვაროს მეცნიერების სინათლე და ხელოვნების კალამი... მეცნიერებასა და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათაო".

თანახმად ამ დაპირებისა ილია გაბედულად, გოლიათივით იჭრება ჩვენი ცხოვრების შუა გულში და იშლება განსაცვიფრებელი, ათასფეროვანი, საქმიანობა. აქ ილია იყო პოეტიც, ბელეტრისტიც, დრამატურგიც, რედაქტორიც, კრიტიკოსიც, მთარგმნელიც, ისტორიკოსიც და დირექტორიც. მთელი ნახევარი საუკუნე ჩვენი ერის ცხოვრებაში არ აღძრულა არც ერთი საკითხი, რომლის გადაჭრაც ილიას გარეშე მომხდარიყოს. მის ყურადღებას არაფერი ეპარება, საქმე ეხება გზების გაყვანას თუ წიგნის გამოცემას, სკოლის გახსნას თუ ქართულ ეკლესიას, გლეხობას, ხიზნებს თუ რკინის გზას — ილია ყველგან არის და მისი მადლიანი კალამი ყველა საკითხზე იშვიათი სიმარტივითა და სიცხადით უტყუარ პასუხს იძლევა. რა საქმეშიაც არ უნდა ჩარეულიყო, რა საკითხზედაც არ უნდა ეწერა, მისი ყოველი ნაბიჯი ისე იყო გამოანგარიშებული, რომ მთავარი მიზანი მუდამ თვალწინ ჰქონოდა. ამიტომ სხვებსაც ურჩევდა ყველაფერი ისე გაკეთებულიყო, რომ ქართველი ერის ვინაობის დაცვას დახმარებოდა: „ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდან არ აგვცდენია — ყველასათვის ცხადზე ცხადია... სხვა საგანი ამაზე უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელ საქართველოს შვილს. ყველამ ვისაც რამ შეუძლიან ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს „თავი და ერთად ძმურად იმოქმედოს... ყოველი საქმე, ყოველივე საგანი, რაც ჩვენის ცხოვრების მიმავლობაში თავისით თუ სხვისით აღმოჩნდება, სულ ყოველისფერი ჩვენი ვინაობის საქმეს უნდა შევურჩიოთ, ქვეშ დავუყენოთ. სკოლაა, ბანკია თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისკენ უნდა მივუბრუნოთ თავი"-ო.

ამრიგად, პირველ რიგში — ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენა — ხოლო ამის მისაღწევად მთელი ერის, მთელი ხალხის ამოძრავება და ეროვნულ საქმიანობაში ჩაბმა. ეს იყო უდიდესი ეროვნული იდეის — საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის, მიწაზე ჩამოტანა, რეალურ ნიადაგზე დაყრდნობა და პრაქტიკული, თვითმოქმედების გზით მისაღწევ მოვლენად გადაქცევა. იწყება პრაქტიკული მოღვაწეობა, თვითმოქმედება ხალხის ასამოძრავებლად, ხალხში განათლების შესატანად, წერა-კითხვის გასავრცელებლად და საერთოდ გონებრივი დონის ასამაღლებლად. რომ აქაც საქმეს პირველი ანბანიდან სჭირდებოდა დაწყება, ამას მოწმობს შემდეგი მაგალითი: „ჩვენ დიდის სიამოვნებით შევნიშნეთ, რომ ჩვენს ქალაქში თანდათან ვრცელდება წიგნის მოთხოვნილება. ამ მოთხოვნილებას ყველაზე უფრო ის გვიმტკიცებს, რომ ძლიერ დიდი ხანი არ არის, რაც ტფილისში არც ერთი წიგნის მაღაზია არ იყო. ეხლა ერთის მაგიერ სამი გვაქვს"-ო. სწერდა გახარებული ილია 1863 წელს თავის გაზეთ „საქ. მოამბეში". და თუ ასეთი იყო მდგომარეობა უკვე 63 წელს და ისიც ჩვენს დედა ქალაქში, ადვილად წარმოსადგენია რა წყვდიადი უნდა ყოფილიყო დანარჩენ საქართველოში, პროვინციებში. მაგრამ ილია ღვთით მოვლენილი ერის მეთაური აღარ იქნებოდა საქმის სიძნელეს რომ შეშინებოდა. მისი სასწაულთმმქმედი გონებისათვის არ არსებობს დაუძლეველი დაბრკოლება. და მართლაც, შედარებით მოკლე დროში რადიკალურად იცვლება მდგომარეობა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ილიას მეთაურობით მომქმედ წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. ეს ორგანო არ იყო, მარტო წერა-კითხვის გამავრცელებელი, როგორც სახელი გვეუნება, არამედ დიდი ხნის მანძილზე ეს იყო ერთად ერთი ინიციატორი და აღმასრულებელი ყველა კულტურული და ეროვნული საქმისა. ასე მაგალითად: ნიკ. ბარათაშვილის ნეშთის საქართველოში გადმოსვენებაც — კი ამ საზოგადოების მოწყობილია. ილია სიკვდილამდე დარჩა ამ საზოგადოების თავმჯდომარედ და სიკვდილის შემდეგ ანდერძით მასვე დაუტოვა მთელი თავისი ქონება.

ხალხის კულტურული დაწინაურებისათვის, ეროვნული აღვიძებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თეატრსაც, ამიტომ ილია მხურვალე მონაწილეობას იღებს მის ცხოვრებაშიც. ის თავმჯდომარეა დრამატიული საზოგადოების გამგეობისა. სწერს რეცენზიებს, სცენის მოყვარეთ დარიგებას აძლევს და ახალისებს. მასვე დაუწერია და წარმოდგენილიც ყოფილა ერთი პიესა. (სხვათაშორის ეს ნაწარმოები დაკარგული იყო და სულ ბოლო დროს აღმოუჩენია პოეტ ი. გრიშაშვილს). ილიას ასეთი ინტერესი თეატრისადმი რა თქმა უნდა მარტო ხელოვნების სიყვარულით არ აიხსნება. თვითმპყრობელობის დროს თეატრს დიდი ეროვნულ პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. დევნილი ქართული ენა აქ პოულობდა თავშესაფარს და აქედან ისმოდა ეროვნული შეგნების ამაღვიძებელი მოწოდება. მოვიყვან ერთ მაგალითს: როდესაც პირველად დასდგეს დ. ერისთავის პიესა „სამშობლო" (1882 წ.) და მესამე აქტში სცენაზე აფრიალდა საქართველოს დროშა, ყველა მაყურებელი ფეხზე წამოდგა და დარბაზში გაისმა ხმა-მაღლა ქვითინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილიასათვის მთავარი სწორედ ეს მომენტი იყო: „ძლივს ერთი საჯარო ადგილი მაინც გვექნება, საცა ჩვენის ენით ვილხენთ, ჩვენი ენით ვინაღვლებთ, ჩვენის ენის მოწყალებით გავიტარებთ თვალწინ ჩვენს ცხოვრებასა მთელი მისი ჭკუისა და გულის მონაგარითაო“. გარდა თეატრისა ის ენერგიულად მუშაობს სკოლების გავრცელებაზე. აქტიურად მონაწილეობს თბილისის გიმნაზიისა და მის მიერვე გახსნილ წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სკოლის კომიტეტების საქმიანობაში.

„თუ ჩვენი ხალხის ბედნიერება გვინდა უნდა ვეცადოთ რომ მისი მდგომარეობა გავაუმჯობესოთ: სწავლა შევძინოთ და უკეთესის ცხოვრების ღონეც მივცეთო... ჩვენ სწავლა გვჭირდება და რადგან სახალხო სკოლები სწავლის პირველ საფეხურს შეადგენენ, მხიარულებით უნდა მივეგებოთ ყოველ საზოგადოებას, რომელსაც სახალხო სკოლების გამრავლება განუზრახავს“.

რა იმედებს ამყარებს ილია სწავლა-განათლების გავრცელებაზე, რას მოელის ამ საქმიდან?

„გავრცელდება სწავლა განათლება სამშობლო ენაზე და ამით მიეცემა ჩვენს ქვეყანას ის ყოვლად უსაჭიროესი ნიადაგი, ურომლისოდ **საგვარტომო და თვითმომქმედი ცხოვრება და წარმატება შეუძლებელია“.**

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მაშინდელი რეჟიმის პირობებში: ეროვნული და დამოუკიდებელი — ამ გამოთქმის ხმარება შეუძლებელი იყო და ამიტომ ილიას მისი შესატყვისი — საგვარტომო და თვითმომქმედი ცხოვრება — შეურჩევია. ამიტომ იყო რომ თითონ ყოველ ღონეს ხმარობდა და სხვებსაც მოუწოდებდა:

„... უნდა აღმოუჩინოთ რაც შეიძლება მეტი სახსარი და საშუალება, ფულით თუ სხვა რითიმე. ნურას დავზოგავთ ამ საქმისთვისო“. მაგრამ ილიას აწუხებს, რომ განათლების მიღება ღარიბებისათვის, გლეხობისათვის ძნელია მატერიალური სივიწროვის გამო, ამიტომ მთავრობისაგან მოითხოვს ამ წოდებას დახმარება გაეწიოს და შემოღებულ იქმნას საყოველთაო სავალდებულო განათლება:

— „საშუალო სასწავლებლები მარტო შემძლებელთათვის არის მისაწვდომი, ესე იგი თავად-აზნაურობისათვის და მოქალაქობისათვის. ამის გამო მთავრობის მზრუნველობა განათლების შესახებ დღეს აქამომდე მარტო წოდებათა განათლებაზე მზრუნველობას მოასწავებდა და სხვას არაფერს. სხვა დანარჩენი ფრიად დიდძალი ხალხი, **კი, რომელიც ქვეყნის ჭეშმარიტ ღონეს შეადგენს,** ამ მზრუნველობიდან გამოკლებული იყო“...

და როცა ზოგგან თვით ხალხის თაოსნობით იწყება სკოლების გახსნა ილია გახარებული ამბობს:

„ამაში ვხედავთ ბედს სანუგეშოსო“.

ილია თავგამოდებით იცავს სასწავლებლებს ქალებისთვინაც, რადგან მისი აზრით:

„საქართველოში საქალებო სკოლამ ქართველს უნდა გაუზარდოს ქართველი დედა, ქართველი დაი, ქართველი დედაკაცი. და თუ სკოლა ამას არ იქმს, ის სკოლა წყალსაც წაუღიაო“.

მაგრამ მას იმედი აქვს რომ საქალებო სკოლა თავის დანიშნულებას გაამართლებს და გადაჭრით მოითხოვს:

„მოგვეცით სასწავლებელი ქართველის ქალისა, ქართველის დედისა, ქართველის ოჯახის დედაკაცისაო“.

ამას გარდა ილია 1877 წლიდან კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტია და როგორც თავის ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს: „იღებდა მონაწილეობას თითქმის ყოველ კომისიაში, რომელიც არკვევდა ჩვენი მეურნეობისა და სხვა საჭიროებათა საგნებსა“. ამრიგად, ილია ერთბაშად ეხლება ჩვენი ცხოვრების ყოველ ღარგს, ყოველ მის გამოსახულებას, რომ ყველაფერი საფუძვლიანად გადააბრუნოს და ახალ პრინციპებზე, ახალ ყაიდაზე გარდაქმნას.

ილია საქართველოში შემოდის ახალი დროშით, ევროპული პროგრესიული იდეებით. ილიას გამოსვლა ახალი საუკუნის, ახალი ეპოქის გამოძახილია. ის ილაშქრებს ბატონ-ყმობის წინააღმდეგ და ამ სოციალურ ბოროტებას დემოკრატიზმს, შრომის პრინციპს, პიროვნების თავისუფლებას უპირისპირებს. როგორც მოსალოდნელი იყო და როგორც ეს მოსვლია ყველა ნოვატორს, ილიასაც აქ უდიდეს დაბრკოლებათა გადალახვა მოუხდა. ქვეყანა ორ ბანაკად გაიყო: ერთის მხრით დაირაზმენ ძველი, ტრადიციული წყობის დამცველნი, კონსერვატორები, ხოლო მეორეს მხრით ილია და თანდათან მის ირგვლივ თავმოყრილი წრე — ბატონ-ყმობის მოსპობის მომხრენი, ქართული ენისა და ერის უფლებათა დამცველნი, ევროპული განათლებისა და კულტურის მქადაგებელი პროგრესისტები.

კონსერვატორებს თავი მოუყრიათ ჟურნალ „ცისკარის“ გარშემო და მათ მეთაურობას იმ თაობის ბუნებრივი მეთაური გრიგოლ ორბელიანი კისრულობს. მეორეს მხრივ ილიას მეთაურობით ირაზმება ახალგაზრდობის პატარა წრე. ამ ახალი თაობის ორგანო „საქართველოს მოამბეა“. იწყება მათ შორის იდეური ბრძოლა. მე არ შევუდგები ამ ბრძოლის აღწერას, ეს ყველასათვის ცნობილია და შეუძლებელია თვითეულ ჩვენგანში გაკვირვება არ გამოეწვია იმ დაუზოგველობას, რომელსაც ილია იჩენდა „მამებთან“ ბრძოლაში. თუმცა უნდა ითქვას, რომ ვალში მამებიც არა რჩებოდნენ. ბრძოლისა და შეტაკების აუცილებლობას ამ ორი ბანაკის ბუნების სხვადასხვაობა ჰქმნიდა. ილია ამზადებს ახალი საქართველოს საყრდნობს, მთავარ საფუძველს, მას უნდა ყველა ქართველი ადამიანის შემოქმედებითი ძალების გამომზეურება, მისი გამოყენება ეროვნული აღდგენა-განვითარებისათვის, ხოლო გაბატონებული წყობილება ხელს უშლიდა საზოგადოებრივი ცხოვრების გაშლას; ბატონ-ყმობის ინსტიტუტი სულის შემხუთავ ჯოჯოთ აწვა ქართულ ცხოვრებას და ილიას გამოთქმით „საქართველოს დიდ უმრავლესობას, ჭეშმარიტ ღონეს ჩვენი ქვეყნისას“ საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზიდან სრულიად რიცხავდა. რაღაი ძველი წყობილების დამცველები უბრძოლველად არა სთმობდნენ, შეტაკებაც აუცილებელი იყო.

ბრძოლა იწყება სამწერლო ქართული ენის შესახებ თვით ილიას მიერ დაწყებული დავით. მას არ აკმაყოფილებს ძველი მწიგნობრებისა და კათალიკოზ ანტონის „თეორეტიკები“ და „კატეღორიები“ ენასა და ლიტერატურაზე. ის ითხოვს ქართული ენის გაწმენდას, გამარტივებას, ზედმეტი ასოების ამოყრას და დრომოჭმული ფორმებისა და ხერხების მწერლობიდან განდევნას. სასულიერო-საეკლესიო ენით წერის მაგივრად უბრალო ხალხისათვის გასაგები, ხალხური ენით წერას. ილია თავისებური ოსტატობით ამტკიცებს, რომ წინაპრებისა და მამების ყველაფერში მიბაძვა, მუდამ მათი კვალ და კვალ მიყოლა ქვეყნისათვის საზარალო იქნება:

„რაც მამა-პაპას უქნია ის ჩვენ უნდა ვქნათო — ეგ ჩინეთის ფილოსოფია არის. თუ მამას მივყევით ჩვენც ჩინელებივით შევსდგებით ერთ ადგილზე და წინ ფეხს ვეღარ წავრსდგამთო“...

ილიას აზრით უცვლელი არაფერია და ენაც ემორჩილება განვითარების კანონებს. „ენის კანონებს თვით ენა იმუშავებს თავის განვითარებაში“ და თვით „ხალხია „ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკაო“. ამ მიზნის მისაღწევად ჯერკიდევ 1961 წელს ილია იწყებს ახალ ლიტერატურულ მოძრაობას და შედარებით მოკლე დროში დიდ შედეგებს აღწევს. ამას მოწმობს ნ. ნიკოლაძის შემდეგი სიტყვები:

„რაც კი რამ იყო ჩვენში მხნე, ახალგაზრდა, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნედ ეკავა ილია ჭავჭავაძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ძველმა წესმა, ძველმა თაობამ თავი შეაფარა, „ცისკარს“ და ამნაირად იმ ბრძოლაში რომელიც გაიმართა „საქართველოს მოამბესა“ და „ცისკარს“ შორის, ჩანდა ის ნამდვილი და ძლიერი ბრძოლა, რომელიც იმ დროს სდუღდა ძველსა და ახალს შუა ჩვენს ცხოვრებაში“.

როგორც ვნახეთ ძველი თაობის ციტადელი ჟურნალ „ცისკარი“ იყო და ილიამაც სწორედ მას დაუმიზნა. „ჩვენი „ცისკარი“ ჯოჯოხეთის კარია და არა ცისაო, ამბობს ის და ჟურნალის ირგვლივ შეკრებილთ დასცინის:

„ყვავებო ფარშავანგის ფრთებითა, ბულბულებო ყორანის ჩხავილითაო“. „ლიტერატურა ხალხის ჭკუა, ხალხის გონება, გრძნობა, ფიქრი, ჩვეულება და განათლების ხარისხია. ლიტერატურის წარმომადგენელი ჩვენში მარტო „ცისკარია“ ამჟამად. ნუთუ მართლა, რაც ცისკარში იწერება საქართველოს ხალხის ფიქრია, ჭკუაა, გონებაა, ჩვეულებაა? ნუთუ მართლა ცისკარში ჩვენი განვითარებაა, ჩვენი განათლების ხარისხია გამოთქმული? ნუთუ მართლა ეგრე დაეცა რუსთაველის ხალხი, რომ ეგრე ფიქრობს, ეგრე გრძნობს? მეც მაგასა ვჩივი და ვტირი რომ არა, ათასჯერ არა; მეც იმიტომ ესე პირდაპირ ვლაპარაკობ, რომ ვინც წინდაუხედავად ბლაჯნის აღარა ბლაჯნოს; რადგან იგინი თავისი ბლაჯნითა ამდაბლებენ ჩვენს ენასა“-ო და ბოლოს მიმართავს „ცისკარს“ „რომ უნიჭონი და ამასთან უსწავლელნიც გარეთ ლიტერატურაში ნუ გამოგყავს — ამას ვთხოვ ხალხის სახელითა, ხალხის სახელის დაცვისათვის“-ო!

და მოწინააღმდეგეებისათვის მაგალითის საჩვენებლად, ილია თითონვე იძლევა ამ ხალხური, დაბალი ხალხისათვის გასაგები ენის ნიმუშებს. სწორედ ამ პერიოდში ჰქმნის ის თავისი სოციალური შინაარსის მხატვრული შედევრების უმრავლესობას და თავის ნაბიჯს ასეთ პოლიტიკურ გამართლებას აძლევს:

„ჩვენი დიდკაცობა, ჩვენი წარჩინებული მოხელენი გადაგვარების გზაზე არიან დამდგარი, იმათ ქართულიც და ქართველობაც ორივე ფეხებზე ჰკიდიათ, ამათთვის წერა ტყუილი შრომა, წყლის ნაყვა იქნება. ჩვენ რუსულ ინსტიტუტებში გამოზრდილ, თუ სხვა ამ გვარ ნასწავლ ქალებისათვის? ესენიც სულ მთლად დაკარგულები არიან ჩვენთვის და სამწუხარო უფრო ის არის, რომ ესენი თავიანთ შვილებსაც გადაგვარების გზაზე დააყენებენ. ამათთვის ვწეროთ? აბა რას გავაგებინებთ იმათ, ვისაც ისიც-კი დაჰვიწყნია თუ რასა ჰქვიან პანტა. განა სავალალო და სამწუხარო არ არის რომ ქართველი ადამიანი ქართულ სოფელში მიდიოდეს და კითხულობდეს: კვსკესე ლა პანტა? იქნებ ჩვენი ინტელიგენციისათვის უნდა ვწეროთ? ამათაც რუსული გაზეთების კითხვა უფრო ეხერხებათ ვიდრე ქართულისა. ამათთვის წერა ყრუთათვის ზარების რეკვას მიემსგავსებოდა. მაშ ვინღა დაგვჩა? ის ვინც საქართველოს პირველი ქვაკუთხედი იყო, ვინც ისტორიულ ქარტეხილს, წვა-დაგვას გაუძლო და ქვეყანა გააშენა. ეს ის მაგარი, მკვიდრი მუხაა, რომელიც ქარ-ცეცხლს უძლებს და არ ეცემა. ეს არის ჩვენი გლეხობა, ეს არის ჩვენი მშრომელი ხალხი, რომელიც თავის მარჯვენით თავსაც ინახავს და ქვეყანასაც საკვებს აძლევს. ესენი არიან ჩვენი მუხის საქართველოს ფესვები, ესენი ამზადებენ იმ საკვებავ წვენს, რომელითაც საზრდო და ღონე ეძლევა მუხის მთელ ტანს. ამათი მეოხებით იმოსება ხე ფოთლებით, ყვავილებით და მოაქვს ნაყოფი. დეე, კენწეროები გაუხმეს ხეს, ფოთლები შემოსცვივდეს, ყვავილები შემოაჭკნეს — არა უშავს რა, ოღონდ ძალა და ღონე არ გამოელიოთ ფესვებს: ხე ხელახლად შეიმოსება ფოთლით და ყვავილით და უხვად გამოიღებს ნაყოფს. ხე არა კვდება თუ ფესვები მაგარი და ღონიერი აქვს. აი სწორედ ეს ფესვებია ჩვენი მდაბიო ხალხი, ჩვენი გლეხობა, თუ ეს ფესვები მაგრად გვექნება შენახული, კარგად მოვლილი მაშინ ჩვენ საქართველოს განსაცდელი არ მოელის, კვლავ გამხნევდება და გაძლიერდება. დეე ჩვენი წარჩინებულნი განადგურდენ, როგორც გამხმარი კენწეროები, ამათ ადგილს სხვა უფრო ღონიერი და ჯანსაღი ყლორტები ამოვლენ! აი სწორედ ამ ფესვებს უნდა მოუაროთ ჩვენც, ამ მდაბიო ხალხისათვის, მუშა გლეხობისათვის უნდა ვიზრუნოთ. ჩვენს მოვლას, ჩვენს ზრუნვას ფასი ექნება მხოლოდ მაშინ თუ იმათი ენით დავიწყებთ ლაპარაკს, თუ ჩვენი სიტყვა იმათ ყურს მისწვდება იმათ გულს მოხვდება. აი გეგმა ჩვენი მუშაობისა. აი ვისთვის უნდა ვფიქრობდეთ, ვისთვის უნდა ვზრუნავდეთ, ვისთვის უნდა ვწერდეთო“.

ეს დიდი ტირადა განგებ შეუმოკლებლად მოვიყვანე, რადგან აქ დიდი სიცხადით არის მოცემული ილიას სოფლხედველობა, მისი პოლიტიკური პროგრამა. და ეს პოლიტიკური პროგრამა ახალი სიტყვა იყო საქართველოს ისტორიაში. ეს იყო სრული შებრუნება ქართული ეროვნული პოლიტიკის საჭისა. ჩვენი ერის ცხოვრებაში პირველი შემთხვევა იყო რომ პოლიტიკურ ასპარეზზე, ეროვნული პოლიტიკის საფუძვლად და მის მეთაურად ერის ფიზიკური უმრავლესობა ე. ი. გლეხობა ისახებოდა.

მას ნულარ ვსტირით რაც დამარხულა
რაც უწყალოს დროთ ხელით ჩანთქმულა
. . . . . .
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვალავს
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს.

და ამ მომავლის გარანტად მას გლეხობა გამოჰყავს. მართალია ილია კლასებად არ ანაწილებდა საქართველოს და მისთვის სრულიად უცხოა საზოგადოების დახარისხება. მაგრამ მიუხედავად ამისა, მთელ მის ნაწერებში, მთელ მის მოღვაწეობაში გლეხობისადმი განსაკუთრებული ყურადღება და სიყვარული მოსჩანს. ილია ახდილად ამბობს, რომ მთელ იმედებს გლეხობაზე ამყარებს:

„უბრალო გლეხობა — ეს უმრავლესობა ქართველობისა, ეს სული და გული ჩვენი ეროვნული იმედებისა“-ო.

მისი გაგებით სწორედ ეს წოდება უნდა გამხდარიყო იმ ურყევ, მტკიცე საძირკველად, რომელზედაც საქართველოს დამოუკიდებლობა დაშენდებოდა.

ამით აიხსნება ილიას დაუღალავი და თავ-დაუზოგველი ზრუნვა-მფარველობა მდაბიო ხალხის, გლეხობის. ის საკუთარი სხეულის იარებივით განიცდის ხალხის ტკივილს, მის ჭირ-ვარამს; ამიტომ საქართველოში ჩამოსვლისთანავე, ცდილობს ჟურნალ-გაზეთებში მიკიბულ-მოკიბულად მაინც შეეხოს ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს. მაგრამ რუსეთის ცენზურა, უმოწყალოდ, ძირშივე სწვავდა თავისუფალი აზრის ყოველგვარ ჩანასახს. ასეთ პირობებში ილიას რჩებოდა მარტო მხატვრული სიტყვა და ისიც ფრებ შეკვეცილი. თუმცა ესეც დიდი ნუგეში იყო. მით უფრო ისეთი პოეტური აღმაფრენის ადამიანისათვის როგორც იყო ილია. მართლაც, მან ააჟღერა თავისი ხელთუქმნელი ჩანგი და მისი ხმა საქართველოს კიდითი-კიდემდე გადააწვდინა. ილია ძირამდე ჩასწვდა მშობელი ერის სულის სიღრმეს. ქართული სულის საიდუმლოს მიაგნო და საქართველოს გულის ნადები ამოიკითხა. ამით აიხსნება, რომ საქართველოს ყოველ კუთხეში, სულ მიყრუებულ სოფლებშიც ილიას ლექსებს ზეპირად გეტყვიან და საკრავებზე ამღერებენ. ილიას პოეზიას ამოძრავებს ორი მთავარი მომენტი: პირველი — უღრმესი სიყვარული სამშობლოსადმი, განუზომელი თაყვანისცემა ქართველი ერისა:

„მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული
ჰოი მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამ მხურვალე სიყვარულის შედეგად ყოველგვარ მსხვერპლის გასაღებად მზად ყოფნა:

„მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამადაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი
ვისაც რომ დაჰზარებია“.

ილიას შემოქმედებაში სამშობლო — საქართველო არის ყველაფრის სათავე, ძირითადი გამოსავალი წერტილი, წმიდათა შორის უწმიდესი და უმაღლესი ღირებულება. მან შეჰქმნა სამშობლოს ნამდვილი კულტი და ყველა საკითხი ამას დაუმორჩილა. მაგრამ ილიასათვის ერის აღორძინება და ერის ბედნიერება ნიშნავს ხალხის კეთილდღეობას და ბედნიერებას. მისი აზრით ეროვნული ვინაობის შენახვა და ეროვნული სახელმწიფოს აღორძინება შეუძლებელია გარეშე ხალხის აღორძინებისა — აქედან, ილიას პოეზიის მეორე მამოძრავებელი მომენტი: ადამიანთა ურთიერთობა. საზოგადოება ხომ ინდივიდებისაგან, ადამიანებისაგან შესდგება, ამიტომ ილიასათვის მთავარი ზრუნვის საგანი ადამიანია. ის თავდადებული და დაუღალავი დამცველია პიროვნებისა, კაცისა, ადამიანისა. მისი მიზანია ყველა ქართველი ადამიანის შემოქმედებითი ძალების გამომზეურება და გამოყენება ეროვნული მეობის აღდგენისათვის. ილია ეყრდნობა ხალხს და მთელ იმედებს მასზე ამყარებს. დავით ერისთავისადმი მიწერილ წერილში ილია სხვათაშორის სწერს: „... ამ „აჩრდილმა“ ტყავი გამაძრო. ისტორიულ ნაწილზედ შევდექ და ერთი ბიჯი წინ ვერ წავდგი. რა ვქნა, ვამბობ (ამ „აჩრდილს“) თავი დავანებო მეთქი. ეგ ოხერი ჩვენი ისტორია, მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსადა სჩანს. მე-კი ისეთი აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეებისა და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა სჩანს“-ო. ილია ცდილობს ამ ნაკლის შევსებას — ასპარეზზე ხალხის გამოყვანას. მის პოეზიაში და საერთოდ მის შემოქმედება-მოღვაწეობაში „ხალხი“ და ხალხის კეთილდღეობის საკითხს უმთავრესი ადგილი უჭირავს.

აღსანიშნავია, რომ ილიას შემოქმედებას ახასიათებს მეტად ჯანსაღი ოპტიმიზმი. აქ ვერ ნახავთ უიმედობას და მით უფრო სასოწარკვეთილებას. ის სრულიად დამშვიდებული, სრული რწმენით შეჰყურებს მომავალს. მართალია სამშობლო აწყოში დამონებულია, მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა, წარმავალია, და მომავალი მას ეკუთვნის:

„ჩემო კარგო ქვეყანავ რაზედ მოგიწყენია!
აწყოო თუ არა გვწყალობს მომავალი ჩვენია;
თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალნი ხომ შენია,
მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია;
ჩემო თვალის სინათლევ რაზედ მოგიწყენია?“

ილიას ასეთი ოპტიმიზმი მარტო საქართველოს შინაურ ვითარებას არ ეყრდნობოდა. ღრმა ანალიზის უნარით დაჯილდოვებული და ფართო განათლებით აღჭურვილი, ის მშვენივრად ერკვევა მაშინდელ საერთაშორისო მდგომარეობაში და იშვიათი წინდახედულებით ითვალისწინებს მოსალოდნელ მოვლენებს. მაგალითად, ბერლინის ხელშეკრულების გამო ილია სწერდა:

„ბალკანეთის ნახევარკუნძულზედ აღმოსავლეთის საქმეს ბერლინის ხელშეკრულებით წვერი შემოერღვა როგორც პაჭიჭს, და რაკი წვერი შემოერღვა ბოლომდინ რღვევით უნდა წავიდეს. ჩვენ აქ რა შუაში ვართო იტყვის მკითხველი. ეს პატარა ქვეყანა, რომელსაც ამიერკავკასიას ეძახიან და სადაც უპირატესობა ყოველისფრით ქართველობას უპყრია, დღეს იმ ქვეყანად შეიქმნა, რომელშიც ბერლინის ხელშეკრულების შემდეგ გამოიკვანძა დიდი კვანძი აღმოსავლეთის საქმისა. ჩვენის ფიქრით ეხლა აღმოსავლეთის საქმემ, აქამომდე სლავიანებზე გაჩერებულმა, აქეთ აზიაში გადმაიწია და რუსეთი და ინგლისი — ეს ორი დაუძინებელი მეტოქე აზიაში მფლობელობისათვის — აქ, აზიაში დაეჯახებიან ერთმანეთს და ბოლოს საქმე იქამდის მივა, რომ მაგ საქმის კვანძი აქ უნდა გაიხსნას. რით გაიხსნება ეს კვანძი, ხმლით გაჰკვეთენ თუ საცივილიზაციო ღონისძიებითა, ამისი გადაწყვეტილად თქმა ძნელია წინათვეო“.

ილიას სჯერა, რომ საერთაშორისო მოვლენათა განვითარება კავკასიის საკითხსაც დასვამს გადასაჭრელად ევროპის ქვეყნების წინაშე.

o

მხატვრული ლიტერატურა, სიტყვა კაზმული ილიასათვის ერთ-ერთი საშუალებაა, ხერხია თავის იდეების საქადაგებლად. ის დიდ იმედებს ამყარებს ამ საშუალებაზე და თურმე ხშირად ამბობდა: „ხმალი იმდენს ვერას იქმს მრისხანე და ძლიერიო, რასაც იქმს მშვიდობიანი, კალმის პატარა წვერიო“. და რომ ეს იმედი მას გაუმართლდა, დღეს სადაო აღარ არის. ილიას „კალმის წვერმა“ „ქართლის ცხოვრება“ შეატრიალა და ორ მატერიკს შორის ხიდად გადებული ქვეყანა საბოლოოდ ევროპისაკენ ბრუნდება. ამავე კალამმა შეჰქმნა ახალი ეროვნული დოკტრინა და უზრუნველჰყო საქართველოს პოლიტიკური მომავალი.

ილია, როგორც მწერალი ქართულ ლიტერატურაში მამამთავარია რეალიზმისა, ან უფრო სწორედ-კრიტიკული რეალიზმისა; სხვათაშორის ამ ლიტერატურულ მიმდინარეობას ეკუთვნოდნენ ევროპიელი მწერლებიდან მაგ.: სტენდალი, ბალზაკი, ფლობერი და სხვ. რუსეთში: პუშკინი, გოგოლი, ტოლსტოი; ილიას სიუჟეტი მუდამ რეალობაა, ის გვიხატავს კონკრეტულ სინამდვილეს, მხოლოდ მას ანზოგადოებს, აძლევს ზოგად სახეს ტიპიური ნიშნებით. ილიას აქვს არაჩვეულებრივი ძალა განზოგადოებისა; ის იშვიათი გემოვნებისა და მაღალი ხარისხის მხატვარია, ამიტომ მისი გმირები მუდამ დასრულებული, დიდი ოსტატის ქანდაკებასავით უნაკლო, სავსებით ხორც შესხმული ცოცხალი ადამიანები არიან, რომლებიც მეხსიერებაში სამუდამოდ გრჩებათ. რომ ილია თავისი მხატვრული შემოქმედების სიუჟეტს მუდამ ცხოვრებიდან იღებდა, ამას მრავალ სხვა ცნობებთან ერთად მოწმობს კოტა აფხაზის — ილიას მეგობრის — ერთი მოგონებაც, სადაც ნათქვამია:

„რაც შეეხება მის შემოქმედებას და მის ნაწარმოებების ისტორიას, მე მხოლოდ კაკო ყაჩაღის შესახებ მახსოვს კარგად, რომ კაკო პირდაპირ ცხოვრებიდან არის აღებული. კაკო გახლავთ ერთი კარდანახელი გლეხი ვინმე **გაუხარაშვილი,** რომელმაც მართლა ესროლა თავის ბატონს ვაჩნაძეს და ყაჩაღად გავარდა. იმალებოდა ალაზნის ტყეში. ხმა და სახელი დიდი ჰქონდა გავარდნილი. ერთხელ ილია სწორედ ამ გზით მოდიოდა ჩვენსა კარდანახში, თან ახლდა მოსამსახურე ბიჭი. უცბად ერთ ალაგას წინ გადასდგომია შეიარაღებული გაუხარაშვილი და შეუჩერებია, გამოუკითხავს ვინაობა და მოგზაურობის მიზანი. რომ გაუგია ჭავჭავაძის გვარი, უკითხავს ჭავჭავაძეს კარდანახში რა უნდაო? ბიჭს აუხსნია, რომ კარდანახში თავის ნათესავ აფხაზიანთსა მიდისო. მაშინ ყაჩაღს თოფი დაუშვია ძირს და ილია მიუწვევია თავის ბინაზე. კარგად გამასპინძლებია და დაუთვრია კიდეც. ასე რომ როდესაც ილია ჩვენსა მოვიდა, ბარბაცებდა და მარტო იმას გაიძახოდა ენის ბორძიკით: „დამაძინეთ, დამაძინეთო“! მეორე დღეს კი გვიამბო თავისი თავგადასავალი და დაუმატა, რომ გაუხარაშვილი სულ ბატონებს სწყვევლის და აგინებსო“.

ეს შემთხვევა ილიამ დიდი ხელოვანის ოსტატობით გამოიყენა. მან ასპარეზი გაადიდა, მოქმედებას საერთო, ზოგადი ხასიათი მისცა, სისრულისათვის სცენაზე გამოიყვანა ახალი პერსონაჟები — დამახასიათებელი ტიპები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თავის თავად ადგილობრივი მნიშვნელობის მოვლენა, არსებული სოციალური წყობილების, ბატონ-ყმობის წინააღმდეგ მიმართულ სასტიკ გალაშქრებად გადააქცია. მაგრამ „კაკო ყაჩაღი“ მარტო პროტესტი, არსებული წყობილების სიმახინჯის ასახვა კი არა, ბრძოლისაკენ მოწოდებაც იყო. კაკოს ტყეში გავარდნის გამართლება, მისი დიალოგი ზაქროსთან, როცა ამ უკანასკნელს ხოტბახ ასხავს ბატონის მოკვლის გამო — ერთგვარი წაქეზებაა ბრძოლის დასაწყებად. და როცა დღეს ამ თხზულებებს კითხულობ გაკვირვებული რჩები, როგორ ახერხებდა დაებეჭდა არსებულ წყობილებაზე ისეთი გამანადგურებელი მკვეთრი სატირა, როგორც იყო „კაცია ადამიანი?“, როგორ გაეპარა მაშინდელ სასტიკ ცენზურას „გლახის ნაამბობი“ და ისეთი ახდილი, აშკარა მოწოდება ბრძოლისაკენ როგორიცაა, „კაკო ყაჩაღი“? ან კიდევ დიდი, სოციალური შინაარსის უკვდავი ქმნილება „აჩრდილი“? როგორც ვიცით „გლახის ნაამბობი“ დაწერილია 1862 წ. „კაცია ადამიანი“ 1863 წ. ამავე დროს ეკუთვნის „აჩრდილი“ და „კაკო ყაჩაღიც“. ოთხივე ნაწარმოები დაბეჭდილი იყო ილიას გაზეთ „საქართველოს მოამბეში“, რომელიც 1863 წლის ბოლოს უკვე დაიხურა. მაშასადამე ეს თხზულებანი დაბეჭდილან ჯერ კიდევ იმ დროს, როცა საქართველოში ბატონ-ყმობა ოფიციალურად, კანონიერად არსებობდა. ვინც მაშინდელი წერის პირობებს, იმდროინდელი ცენზურის მრისხანებას დაახლოებით მაინც გაიცნობს, არ შეიძლება გაკვირვებული არ დარჩეს. ცნობილია რომ ცენზურა საქართველოში განსაკუთრებით სუსხიანი იყო. ხშირად ქართულად კრძალავდნენ ისეთი წიგნების გამოცემას, რომლებიც რუსულად უკვე იყო დაბეჭდილი მოსკოვს, პეტერბურგს და სხვა ქალაქებში. ყოველგვარი ნაწარმოები უნდა გატარებულიყო უწინარეს ცენზურაში, ხელთნაწერის სახით დაბეჭდვამდე. უწინარეს ცენზურას რამდენიმე განყოფილება ჰქონდა ყველა სახის ნაწარმოებისათვის, ასე მაგ.: დრამატიული ნაწარმოები სპეციალურ განყოფილებაში მიდიოდა. თუ ავტორს ნახსენები ჰყავდა ვინმე მაღალი მოხელე, ან მით უფრო სამეფო კართან დაახლოებული პირი, ხელთნაწერი ეგზავნებოდა განსახილველად სასახლის ცენზურას. თუ ნახსენები იყო ვინმე სასულიერო პირი, ან ღმერთი ან რომელიმე წმიდანი, ხელნაწერი მიდიოდა სასულიერო ცენზურაში, რომელსაც ანხორციელებდა ეგ. წ. უწმინდესი სინოდი. ცენზურაში წარდგენილი ხელთნაწერი ხშირად სრულიად იკარგებოდა, ზოგჯერ ერთი ან ორი წლის შემდეგ ბრუნდებოდა ერთობ დასახიჩრებული და გადაკეთებული. ნაწარმოების ასაკრძალავად მცირე მიზეზი კმაროდა. ერთი შენიშვნის შემდეგ აპატიმრებდნენ როგორც ავტორს ისე რედაქტორსაც და ხშირად ასახლებდნენ კიდეც. თუ რა დიდ მზრუნველობას იჩენდა ცენზურა „ტუზემცების“ გასანათლებლად, როგორც თითონ ამბობდა, ესა სჩანს შემდეგი მაგალითებით: კავკასიის საცენზურო კომიტეტმა გაზეთ „კავკაზ“-ს (1882 წ.) აუკრძალა გ. კინეს ნარკვევის „ისტორიჩესკი ი ეტნოგრაფისკი ოჩერკ გრუზი“-ის ბეჭდვის დროს სათაურში და ტექსტში სიტყვა გრუზია ეხმარა და მოითხოვა მის ნაცვლად ტფილისისა და ქუთაისის გუბერნია ყოფილიყო თქმული. ან კიდევ: საქართველოს ეგზარხოსმა სასწავლო პროგრამიდან ამოშალა ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი“ იმ მიზეზით, რომ „მასში გარდა სალიტერატურო მასალისა, მოთავსებულია ბოტანიკური, ზოოლოგიური, ანტროპოლოგიური, გეოგრაფიული და ისტორიული წერილები და ეს საგნები მხოლოდ სახელმწიფო ე. ი. რუსულ ენაზე უნდა ისწავლებოდესო“. თვით ილიას ცნობილი ლექსი „ბაზალეთის ტბა“ ორჯერ ზედიზედ აიკრძალა. და ბოლოს ილია, ის ილია, რომელიც მიზნის მისაღწევად არავითარი დაბრკოლების წინაშე არა სდგებოდა და გულს არ იტეხდა, იძულებულია აღიაროს რომ ცენზურა — ქართული აზროვნების აღორძინების გზაზე ისეთი სულის შემხუთავი ჯოჯო იყო, რომლის დაძლევაც არაფერს შეეძლო.

„ჟურნალის საქმეში ზოგი იმისთანა დაბრკოლებაა — ამბობს ის — რომელიც უნდა სძლიოს რედაქციამ და რომლის ძლევაც შეიძლება; ზოგი კი იმისთანაა, რომელთანაც ყოველი ბრძოლა, მეცადინეობა და თავგამოდება უქმიაო“. ქართულ ბეჭდვითი სიტყვასთან ბრძოლაში განსაკუთრებით თავი ისახელა ვინმე ისარლოვმა, რომელსაც დღემდე სიძულვილით იხსენიებს ყველა იმ დროინდელი მოღვაწე. მასა და ქართველებს შორის მომხდარი უთვალავი შეტაკებიდან მოვიყვან ერთ კურიოზულ მაგალითს: გაზეთ „იმედის“ ერთ-ერთ ნომრის ფოსტაში ვკითხულობთ: „ამ ნომერში განსვენებული მ. ასათიანის მოთხრობაში დაბეჭდილი იყო პატარა ელეგია სამშობლოზე; პატივიცემულმა ცენზორმა უფალმა ისარლოვმა წაშალა ამ ლექსში ადგილები და ჩვენდა სასიხარულოდ შემდეგ... თავისი შედგენილი ლექსი ჩააწერა. ამისთანა გამოჩენილმა პირმა გააბედნიერა ჩვენი მცირედი ჟურნალი თავისი ძვირფასი ნაწერებით, რომელიც ჩვენ ვერ გავბედეთ ასათიანის ნაწერებში მოგვექცია — ერთი მხრით იმიტომ რომ ეს დაუფასებლობა იქნებოდა უფ. ცენზორის პატივისცემისა ჩვენდამი, რომ მისი ნაწერი სხვის ნაწერებში ჩაგვერთო უსახელოდ; ხოლო მეორეს მხრივ ჩვენ დიდათ თავმომწონე ხალხი გახლავართ და გვინდა თავი მოვიწონოთ, რომ ამისთანა განთქმული გვამის სახელი მთლიანად გამოვაცხადოთ ჩვენს ჟურნალში და ავწიოთ ამით ჩვენი ავტორიტეტი...“ და გაზეთი ასე ამთავრებს ...„ჩვენ ვბეჭდავთ უფალ ცენზორის ლექსს ცალკე, თანაც ფოჩტის განყოფილებაში, რომ ყველამ მიაქციოს ყურადღება. აი ეს მეტად ლაზათიანი და მშვენიერი ლექსიო“ და მართლაც მოთავსებულია ისარლოვის ნაბლაჯნიც.

ეს შემთხვევა იმიტომ მოვიყვანე, რომ ილიას მოღვაწეობის დროისათვის იგი დამახასიათებელი და ტიპიურია. რაც ცენზორს არ მოსწონდა — ვერ დაიბეჭდებოდა. და თუ მიუხედავად ამისა ილიამ მაინც შესძლო იმ დროისათვის დიდათ მემარცხენე, ნამდვილი რევოლუციონური ლიტერატურის შექმნა — ეს ცენზორების მოუმზადებლობით, მათი უკულტურობით აიხსნება. ეტყობა ისინი ვერ ერკვეოდნენ მხატვრული ნაწარმოების სირთულეში, როგორც ეს ჩვენი დროის სულთა მხუთავებს, ბოლშევიკების ცენზორებსაც მოსდიოდათ პირველ ხანებში.

ილიას კალამი ეხება ისეთ საკითხებსაც, რომლებიც საქართველოს, ჩვენი ცხოვრების ფარგლებს სცილდებიან და საყოველთაო ხასიათისანი არიან. როგორც დიდი პოეტი, და იშვიათი კაცთმოყვარე, ის კენესის საკაცობრიო საკითხებზეც. მისი სიყვარულის საგანი როგორც აღვნიშნეთ საერთოდ პიროვნებაა, ამიტომ ილია ადამიანის ღირსების დაუღალავი დამცველი და ერთგული ქომაგია. ილიას პოეზიაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მაშვრალთა, ჩაგრულთა, მშრომელთა დაცვას: „რომ ბედში მყოფნი შენ ძმად მიგაჩნდეს — ეგ ვერაფერი სიყვარულია — საქმე ის არის კაცს ის უყვარდეს — ვინც ბედისაგან დაჩაგრულია“-ო. და ილია პირველი ქართველი პოლიტიკური მოღვაწეა რომელიც ეხება „შრომისა“ და „შრომის სუფევის“ საკითხს. თავის შესანიშნავ პოემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„აჩრდილში“ — რომელიც დაწერილია 1860 წ. და გამოქვეყნებულა, როგორც უკვე ვსთქვით 1863 წლის დასაწყისში — მან ამ საკითხებს უძღვნა სამი თავი. აქ სხვათაშორის ნათქვამია:

„შრომა ამ ქვეყნად ტყვეთა პყრობილი
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ ვნებულა,
ხოლო რღვეულა მისი ბორკილი
და დასამსხვრევად გამზადებულა“.

ილია იმედს გამოსთქვამს რომ —
„ველარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების“.

მისი აზრით:
„შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი
ძლევა მოსილის ამ საუკუნის,
და ამ ზვიადმა საუკუნემ
უნდა შვას იგი შრომის სუფევა“ *

ეს მოპოებული შრომის სუფევა ილიას ასე ესმის:
„მაშინ მაშვრალო შენც განკაცდები
წართმეულ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,
სხვას ძირს არ დასწევ, თვით ამაღლდები
არც ვის ემონვი და არც იმონებ“.

და ეს არ იყო შემთხვევით მოსული აზრები, ან ილიას ახალგაზრდობის გატაცება. ეს იყო მთელი მისი შინაგანი ბუნება, შინაგანი რწმენა. ამიტომ როცა უფრო გვიან, ე. ი. 11 — 12 წლის შემდეგ 1871 წელს პარიზში კომუნარები დამარცხდნენ, ილია გულდაკოდილი ამბობს:

„კვლავ შეფერხდა ისტორია
განახლების შესდგენ ძალნი
და კვალვ დღესასწაულობენ
გამარჯვებული მტარვალნი“.

ხოლო 1888 წელს ე. ი. ამ ლექსის დაწერიდან 17 წლის შემდეგ ილია ეხება ამავე საკითხს „ივერიაში“ და ამბობს:

„გვითქვამს და ეხლაც კიდევ მიზეზი გვაქვს ვსთქვათ, რომ ქვეყანა და მისი მადლი ყოველთვის და ყოველგან მარტო მშრომელისა და გამრჯელის ყოფილა და არის.... გამრჯელი და მშრომელი არის შემქნელი და მომქმედი ამ ცხოვრებისა და კერძსაც ცხოვრების სუფრაზედ მარტო იგი შოულობს სხვის დაუყვედრებლად, სხვის უმუნათოდ. სხვა ყველანი ნალოები არიან ამ გამრჯელსა და მშრომელზედ ათასნაირი ხვანჯებით გამობმული“-ო.

ჩემის აზრით, აქ მოცემულია ზოგადი, პრინციპიალური დებულებები, საერთოდ „შრომასა“ და „მშრომელზე“ რაც ქართველებსაც ისევე ეხება როგორც სხვებს.

ილიას შემოქმედებაში არის კიდევ ერთი საყურადღებო მომენტი, სულ სხვა ხასიათის — მაგრამ ცხადათ მაჩვენებელი, თუ როგორ განიცდიდა ილია საკაცობრიო, ან საერთაშორისო ამბებს. პეტერბურგში, სტუდენტობის დროს ილია ძალიან არის დაინტერესებული საერთაშორისო პოლიტიკური ამბებით და განსაკუთრებით ნაციონალური მოძრაობებით. როგორც ვიცით, ეს იყო დრო იტალიის ეროვნული გამანთავისუფლებელი მოძრაობისა. ილია პირდაპირ აღმერთებს გარიბალდის და გადაწყვეტილი ჰქონია მის რაზმში ჩაწერილიყო მებრძოლად. ხოლო როცა ეს მოძრაობა იტალიის გაერთიანება-აღდგენით დასრულდა, ილია აღფრთოვანებული — მას უძღვნის შესანიშნავ პატრიოტულ ლექსს და თავისი ქვეყნისთვინაც ნატრობს იტალიის ბედს:

„მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მსხვრევისა;
სიმართლის ხმა ქვეყანადა ჰქუხს
დასათრგუნვად მონობისა,

„აღმიტაცებს ხოლმე ეს ხმა
და აღმიგზნებს იმედს გულში;
ღმერთო, ღმერთო ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში!“

ასეთი იდეალების მატარებელმა ილიამ ეს მაღალი ჰანგები ქართულ სინამდვილეზე გადმოიტანა. ერთის მხრივ ილია მოქმედებისა და ბრძოლის მქადაგებელი — მეორეს მხრივ შრომისა და მშრომელთა იდეალიზატორი — ის ქართულ სინამდვილეში ცდილობს ამ ორი მცნების სინთეზის შექმნას და არც გასაკვირია, რომ მისი ყურადღების ცენტრში მოექცა სწორედ ის ნაწილი ჩვენი ხალხისა, რომელიც პატიოსანი შრომით ქვეყანასა ჰკვებავდა და საჭიროების დროს ბრძოლის ველზეც იდგა. ილიას აზრით მცონარა, ზარმაცი კაცი და გარჯის, შრომის უნარს მოკლებული ხალხი განწირულია დასაღუპავად — ხოლო ეს ქვეყანა მშრომელს უნდა ეკუთვნოდესო:

„ჩვენის გულითადის ფიქრით ქვეყანა იმისა, ვისაც ერთ ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანი. ხმალი იცავს გუთანს, ხოლო გუთანი ასაზრდოვებს ხმალს — გუთანს კი ერთი განსაკუთრებული მშვიდობიანი დანიშნულება აქვს: დიდა-მიწის უხვი გული გადაგვიშალოს და იქიდან საზრდოება გვაწოდოს. გუთანი ქართველებო, გუთანი! და ხმალი იყოს ფარი მისი! თავი და ბოლო აქ არის, დამიჯერეთ აქ!“

ეს იყო დიდი ხნით ჩამოყალიბებული აზროვნების დასკვნა, ილიას მრწამსი, და ამით აიხსნება რომ ის მუდმივ მფარველად დასტრიალებდა ჩვენს გლეხ-კაცობას. ჩვენ ვიცით რომ ბატონ-ყმობასთან ბრძოლაში ილია გლეხობის დასაცავად ფერადების სიჭარბესაც არ ერიდებოდა. თავადები მას გამოჰყავს ყოველგვარ ზნეობრივ ნორმათა გარეშე მდგომ ცხოველად (დათიკო) ან ფუქსავატ, ქვეყნისათვის ზედმეტ ბარგად ქცეულ, მხოლოდ გაძღომაზე მეოცნებე რეგვენად (ლუარსაბი) და ან კიდევ უგულო, ადამიანურ სულიერ სიფაქიზეს მოკლებულ მხეცად (ზაქროს ბატონი). მაგრამ ეს საქმის ერთი მხარეა. ილია მარტო მწერლობით არ დაკმაყოფილდა. ის პრაკტიკულად, რეალური საქმიანობით შეუდგა გლეხობის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოყვანას. აქ ზედმეტი არ იქნება ვიკითხოთ, თუ როგორ მოექცა თვით „კაკო ყაჩაღისა“ და „აჩრდილის“ ავტორი თავისი საკუთარი გლეხების მიმართ? როგორც ვიცით ჭავჭავაძეები თავადები იყვნენ და მათ მამულებიც ჰქონდათ და ყმებიცა ჰყავდათ. ილიას საგვარეულო მამული კახეთში, სოფ. ყვარელში იყო. ილიამ რუსეთიდან ჩამოსვლისთანავე. ე. ი. ბატონ-ყმობის ოფიციალურად გადავარდნამდე დიდი ხნით ადრე გლეხების მიერ ხმარებული საკომლო, სახლკარის მიდამო და მათი ხვედრი ვენახები სრულიად უსასყიდლოდ დაურიგა და ხელუხლებელ საკუთრებად დაუმტკიცა გლეხებს. ამით ილიამ სამუდამოდ მოსპო ყოველგვარი ბატონ-ყმური დამოკიდებულება ყოფილი ყმების მიმართ. უფრო გვიან, როცა ბატონ-ყმობა ოფიციალურად გადავარდა, დაისვა კითხვა, როგორ მომხდარიყო გლეხთა განთავისუფლება, მიწიანად თუ უმიწოდ? თავად-აზნაურობის დიდი უმრავლესობა მოითხოვდა გლეხების უმიწოდ განთავისუფლებას და აქაც

*) აქ უნდა აღინიშნოს რომ „შრომის სუფევის“ დამყარების დროთ ილიას გარდა ბევრი სხვაცა სთვლიდა გასულ საუკუნის ბოლოს. ასე თვით ენგელსს შრომის სუფევის დამყარების თარიღად 1898 წელი მიაჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხობას თავისი დამცველი გამოუჩნდა. ეს იყო ილია. ქრ. მამაცაშვილის მოგონებაში ვკითხულობთ:

„გლეხების გამანთავისუფლებელ კომიტეტის მუშაობის შემდეგ, რომელმაც დაადგინა, რომ გლეხობა უნდა განთავისუფლდეს უმიწოთო, მოწვეულ იქმნა თავადაზნაურთა საგანგებო კრება კომიტეტის შრომის განსახილველად, ოქმების წაკითხვის შემდეგ დაიწყო კამათი. წამოდგა ახალგაზრდა პოეტი და პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე და მოითხოვა რომ გლეხებს მიწა უნდა მიეცესო. კრების უმეტესობა ამ კადნიერმა აზრმა ააშფოთა. ერთმა თავადმა ხანჯალი იშიშვლა და ლანძღვა გინებით ილიასკენ გაიწია და ყვიროდა:

„გამიშვით, გამიშვით ეხლავე უნდა მოვკლაო“ გაგიჟებული თავადი შეაკავეს და ძლივს ძლივობით გაიყვანეს კრებიდან... მეორე კრებაზე გლეხთა განთავისუფლების წინააღმდეგ იალპარაკა ღენერალ ლეიტენ. ივანე მუხრანსკიმ. მან განაცხადა, რომ უმიწოდ გლეხთა განთავისუფლებას მთელი თავად აზნაურობა მიემხრობაო, მიწიანად კი მხოლოდ ორიოდე კაცუნაო“. ამის გაგონებაზე ილია თვალებ ანთებული, გაალმასებული მივარდნია ღენერალს, ჩაუვლია ხელი, შემოუბრუნებია თავისკენ და უკითხავს: „გთხოვთ დაასახელოთ ვინ არიან ეგ კაცუნებიო“? ღენ. მუხრანსკი თუმცა ახოვანი, კარგი ვაჟკაცი ყოფილა, მაგრამ ამ გაცეცხლებულ ახალგაზრდას დანახვაზე შემკრთალა და უთქვამს, რომ ის შესცდა და რამდენიმე კაცუნა კი არა — მას უნდოდა ეთქვა რამდენიმე კაცი“.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე დიდი ქართველის, ილიას ერთგული თანამებრძოლის იაკობ გოგებაშვილის მოგონებებშიც ვპოულობთ ამავე მოსაზრების დადასტურებას:

„ილია ჭავჭავაძე — ამბობს ის — ყოველთვის შეურიგებელი მტერი იყო ვიწრო ეგოისტურ წოდებრიობისაო“.

მისი მოგონებიდან მომყავს სამი საინტერესო მაგალითი:

„როცა არსდებოდა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკი და უნდა გადაწყვეტილიყო საკითხი, თუ რას უნდა მოხმარებოდა ყოველწლიური მოგება ბანკისა, თავად-აზნაურთა დიდი უმრავლესობა იმ აზრისა იყო რომ მოგება მოხმარდეს შემამულეებს, რომლებმაც ბანკი დაარსესო. ილია წინაღუდგა ასეთ აზრს და გადააწყვეტინა კრებას, რომ ბანკის მოგება მოხმარებოდა როგორც მიწის პატრონებს, „ისე მიწის მუშებს, საერთოდ მჴვნელმთესველთო“.

„როცა არსდებოდა წერა-კითხვის საზოგადოება ილიამ დაარწმუნა სათავად-აზნაურო ბანკის კრება, რომ თერთმეტი ათასი მანეთი გადაედოთ ამ საზოგადოების სასარგებლოდ იმ მოსაზრებით, რომ მის გარშემო შეერთდებოდა ყველა წოდება და კლასი სწავლა განათლების მისაღებად“.

„როდესაც ადგენდნენ წესდებას სათ. აზნაურო სკოლისას, რომელიც უნდა შეენახა სათ.-აზნაურო ბანკს — ილიას მოთხოვნით გადასწყვიტეს სტიპენდიანტებათ მიეღოთ „საერთოდ მიწად მომქმედთა შვილები“-ო.

ეს მაგალითები ილიას პოლიტიკური გზების უცვლელობას მოწმობს და სრულიად არღვევს ქართველ მემარცხენეების დებულებას, რომ თითქოს ილია სხვა იყო სამოციან წლებში და 80—90 წლებისათვის კი აზროვნება შეიცვალაო.

ილია სიკვდილამდე დარჩა თავისი იდეების ერთგული და მთელი ხალხის, ერის მებრძოლი დროშა ერთხელაც არ დაუხრია, მაგრამ თავისი მოღვაწეობის მეორე ნახევარში ის აშკარად ჰხედავდა, რომ ბრძოლის მოსაგებად მარტო ხალხის ამოძრავება არ იყო საკმარისი. საქართველოს ის დრო არ ედგა, როცა ერთის დარტყმით, ცხელი შეტაკებით ქვეყნის ბედი სწყდებოდა. ქვეყანას სჭირდებოდა ხანგრძლივი და მეთოდიური ბრძოლის წარმოება — ეს კი მოითხოვდა, მებრძოლებს ეკონომიურ-ფინანსიური საფუძველი მაგარი ჰქონოდათ. მშიერსა და მწყურვალს, როგორი მაღალი იდეიაც არ უნდა ამოძრავებდეს ხანგრძლივი ბრძოლა არ შეუძლია. ეს უბრალო ჭეშმარიტებაა და შეუძლებელია ილიას ყურადღებას გამოჰპაროდა. ილიამ შესძლო პათეტიური მოწოდებებითა და გონიერი, ფრთხილი და დაუღალავი მუშაობით ხალხის პოლიტიკურად ამოძრავება, მაგრამ უკვე გამოღვიძებულ ხალხს, რომ მიზნისაკენ ბოლომდე წასვლა შესძლებოდა, საჭირო იყო გარდა პოლიტიკური საფანელისა მატერიალური შესაძლებლობაც და თავისი მოღვაწეობის მეორე ნახევარი ილიამ სწორედ ამ საკითხის მოგვარებას მოანდომა.

„... სულიერ დონესთან ერთად უნდა ვლიდეს ღონე ხორციელიც, რომ სულის, ჭკუისა და გონების გაძლიერებას მხარ-დამხარ უნდა მისდევდეს ქონებისა, ჯიბის გაძლიერებაცა. ერი და ქვეყანა რომელთაც ან ერთი აკლია ან მეორე ვერას გახდება — თუ თავის წარმატების საყევარში ეს ორი უღლადი ყოველი შემძლებელი ძალღონე არ ეყოლება შებმული ერთად და განუყრელად“-ო.

ამ მიზნის მისაღწევად ილია სათავეში უდგება ქართულ სათავად-აზნაურო ბანკის საქმეს. შეცდომა იქნება ეს ბანკი რომელიმე ევროპიულ ფინანსიურ საზოგადოებას შევადაროთ. ეს იყო დაწესებულება ეროვნულ-საზოგადოებრივი. საქართველოს ბიუჯეტისა და ქართული ფინანსების შემქმნელი. ჩვენი ეროვნული დოვლათის მფარველი და ყველა კულტურულ დაწესებულებათა შემნახველი. ეს ბანკი იყო მაშინ ერთად ერთი ასპარეზი, სადაც საქართველოს ჭირ-ვარამზე ლაპარაკი შეიძლებოდა და სადაც ქართულ ეროვნულ ძალებს თვითმოქმედებისათვის ასპარეზი ეხსნებოდა. ეს იყო დაწესებულება, რომელიც ჩვენს ქვეყანას პარლამენტისა და მთავრობის მაგიერობას უწევდა და საქართველოს მტრებს მათი ქონების კონფისკაციით სჯიდა. ამიტომ იყო რომ ილია მას დიდ მნიშვნელობას აძლევდა:

„თავი დავანებოთ იმას რომ ბანკები ღონისძიებას გვაძლევენ ფულის სესხად შოვნისა, ნურც იმაზ გავიხსენებთ რომ ამ ორ ჩვენს ბანკს (ტფილისის და ქუთაისისა) შეუძლიანთ, ცოტა რამა ვსთქვათ წელიწადში ორი ათასის თუმნის შეძენა საზოგადო საჭიროების დასაკმაყოფილებლად, გავსინჯოთ ბანკი იმ მხრით, რამ მხრითაც იგი უფრო სანატრელი უნდა იყვეს მათთვის ვისაც სწამს ძალა თვითმოქმედებისა ქვეყნის სადღეგრძელოდ და საბედნიერად. ჩვენ, თევზისა არ იყვეს პირი სავსე გვაქვს წყლითა და მითითებით ვერას ვიტყვით. მაგრამ ვინც ამ მხრით ღრმად დააკვირდება ჩვენის ბანკების არსებობას და საფუძვლიანად თავიდან ბოლომდე გაავლებს გონების თვალსა, ის რასაკვირველია დაგვეთანხმება, რომ აქაც, როგორც ყველაფერ სხვაში, ჩვენის ყელის საბელის ჩვენს ხელშივე ჩაგდება სანატრელიც უნდა იყოს და საესიხარულოც. ეგ საქმე ჩვენთვის ამ მხრივ დიდი რამ არის. დღეს „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“ ჩვენთვის მარტო ბანკია მხოლობითი მოედანი, რომელზედაც უნდა აღიზარდოს, ფეხი აიდგას, გაიწურთნოს, გაინავარდოს ჩვენმა თვითმოქმედებამ, ჩვენმა ზნეობრივმა ძალღონემ“.

და მართლაც ბანკის კრებებზე ირჩევა და სწყდება ისეთი საკითხებიც. რომლებსაც ფინანსიურ ოპერაციებთან არავითარი კავშირი არა აქვთ. ეს იქნება მეღვინეთა საზოგადოების დაარსება, მუზეუმების შექმნა, კუთხური შოვინიზმის წინააღმდეგ გალაშქრება, ჩვენი ისტორიის დაცვა თუ სხვა ათასგვარი — ცხოვრების მიერ დღის წესრიგში წამოყენებული საკითხები. მაგრამ ეს ბანკიც ისევე როგორც თავის დროზე მხატვრული სიტყვა — ილიასათვის საშვალებაა, გზა და ხერხია მიზნის მისაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევად. თუ კაზმული სიტყვითა და მწერლობით ილია ხალხის პოლიტიკურ გაღვიძებასა და ეროვნული პათოსის შექმნას ემსახურებოდა, სათავად-აზნაურო ბანკის საშვალებით ის მომავალ საქართველოს ფინანსიურ ეკონომიურ საფუძველს უმკვიდრებდა. ამავე დროს ის ერთგული, ფხიზელ გუშაგათ უდგას საქართველოს სახელს და ჩვენი მტრების წინააღმდეგ დაუზოგველ, სასტიკ შეტევებს აწარმოებს. ამ პერიოდშია დაწერილი მისი უკვდავი „ქვათა ღაღადი“ „აი ისტორია“ და სხვა მრავალი შრომები, მტერს ბასრი მახვილივით რომ ანადგურებდა. ერთობ საქართველოს შეუტევდნენ თუ რომელიმე მის კუთხეს, ქვეყნის სახელით პასუხის გამცემი ილია იყო. ილიას ერთი თანამშრომელი იაკობ განსვეტაშვილი იგონებს, რომ როცა ქვეყანას გასაჭირი დაუდგებოდა, მაშინდელი მოწინავე ქართველები, ნ. ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე და სხვები მაშინვე ილიას მიაშურებდნენ: „გაგვიძეხ ბერო მინდიავ, კარს გასაჭირი მოგვდგომიაო“, ილიაც თუ საჭირო იყო ჯერ საკითხს შეისწავლიდა, მერმე დინჯად, უნაკლოდ შეიარაღებული საქართველოს დასაცავად ბრძოლის ველზე გამოდიოდა და დღეს ჩვენ ვიცით, რომ ილიამ ქართული ღირსების შელახვა არავის შეარჩინა და ყველა შეტაკებებიდან ქვეყანა გამარჯვებული გამოიყვანა.

მაგრამ ილია დაუზოგველია არა მარტო საგარეო მტრებისა, არამედ შინაურისაც, ისეთი ქართველებისა, რომელნიც სიტყვით ან საქმით ჩვენი ქვეყნის მარადიულ ინტერესებს, საქართველოს მთლიანობას ზარალს აყენებენ. როცა ილიამ ქართველების ერთ ნაწილს კუთხური განწყობილება შეამჩნია, როცა მან ყური მოჰკრა ამერელ-იმერელობაზე, ლაპარაკს, ისეთი განრისხებული ეკვეთა ამ აზრის მატარებელთ, რომ დიდი ხნით ლაპარაკის მადა დაუკარგა: „აქ თქმულა ერთი რამ ისეთი (ბანკის კრებაზე), რომელმაც შეაძრწუნა ჩემი მამულიშვილური გრძნობა და ეს არ შემიძლია აღუნიშნავად დავტოვო. აქ ერთ ორატორს მეორეზედ უთქვამს, ეგ მოსული არისო. მე არ ვახსენებ ვის უთქვამს ეს. მე მთქმელთან საქმე არა მაქვს-რა, მე ვებრძვი აზრს და ამ აზრის გამოსარკვევად მარტო ის კი არ არის საჭირო ვიცოდეთ ვინა სთქვა, არამედ ის ვის უთხრეს. ეს უთხრეს იმიერ ქართველს. როგორ? იმიერი ქართველი აქ ჩვენს კრებაზედ, ამ ჩვენს საქართველოში მოსულია, უცხოა და არა სახლი კაცი, არა სისხლ-ხორცი იმ დიდი ოჯახისა რომელსაც საქართველო ჰქვიან? არა ბატონებო! ყოველს ქართველს საქართველოს ნაწილისას — გურული იქნება, მეგრელი, იმერელი, კახელი თუ ქართლელი, ჩვენის ერთიანი ოჯახის კარი ღია აქვს, რომ ჩვენს საერთო ჭირსა და ლხინში ძმური მონაწილეობა მიიღოს. ეს არამც თუ უფლებაა თვითეული ჩვენგანისა არამედ უწმინდესი მოვალეობაა. ძმობა და ერთობა ამაშია. ეგ ძმობა და ერთობა არის იგი კლდე, რომელზედაც უნდა აშენდეს დიდი სასახლე ჩვენის ცხოვრებისა... დღეს სხვას გვეუბნებიან, დღეს უნდათ ერთმა ნაწილმა საქართველოსამ მეორეს უთხრას: შენ ჩვენ შორის მოსული ხარო! სამართლიანი გულისწყრომა მამულისშვილობისა ამ აზრს ვერ მიიკარებს. მე ამით ვაცხადებ ჩემ მაგიერ და ჩემთა თანამოაზრეთა სახელით, რომ მამულიშვილურ გრძნობის წყევლა-კრულვით ჩვენ ზურგი შეგვიქცევია ამ უკეთურ აზრისათვის. თქვენც მოგიწოდებთ ასევე მოიქცეთ. დეე ამ უკეთურმა აზრმა იქვე გაითხაროს თავისი საკადრისი სამარე და დაიმარხოს, სადაც დაიბადა და აკვანი დაიდგა“-ო.

როცა რუსეთმა საქართველოდან სამეგრელოს ჩამოშორების პროპაგანდა დაიწყო და მეგრული ანბანის გამოგონებამდე მივიდა, ილია დაუყონებლივ ესტუმრა სამეგრელოს. იქაურობა მოიარა და იონა მეუნარგიას სიტყვით, მან განაცხადა: — „სამეგრელოს სანახავად ჩამოვედი და საქართველო ვნახეო“. როგორც მოსალოდნელი იყო ილია წინაღუდგა რუსეთის ამ საზიზღარ განზრახვას და თუ რუსულმა პოლიტიკამ მიზანს ვერ მიაწია, საქართველოს დანაწილება ვერ შესძლეს — ესეც ილიას ძლიერ ჩარევას უნდა მიეწეროს.

ასე თავგამოდებით იცავდა ილია ჩვენი ქვეყნის ყველა ნაწილს — ერთობ საქართველოს. იცავდა წარსულს, აწმყოს ამშვენიერებდა და მომავლისაკენ სავალ გზასა ჰკაფავდა. ილია ნაწილობრივ მოესწრო თავისი ნათესის მომწიფებას. ის მოესწრო ხალხის გათვითცნობიერებას და ამოძრავებას, ან როგორც თითონ ამბობდა „უგემური ძილიდან“ გამოღვიძებას. მისი მოღვაწეობის მიწურულში საქართველო უკვე აღარ იყო ის ქვეყანა, რუსეთიდან ჩამოსულ ილიას რომ დახვდა. შედარებისათვის ერთი უბრალო მაგალითი: თუ 63 წელს ტფილისში მესამე წიგნის მაღაზიის გახსნა იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომ ამ საკითხს თვით ილიამ საგანგებო წერილი უძღვნა და სიხარული გამოსთქვა, ცხრაასიან წლებში, საცენზურო უწყების მეთაურის მოხსენებით, საქართველოში: „წიგნი, ჟურნალი და განსაკუთრებით გაზეთი თანდათან გახდა ერთერთ აუცილებელ კუთვნილებად მოსახლეობის ყოველდღიურ მოთხოვნილებისა“. ეს ანუგეშებს ილიას და მომავლის რწმენას უქმნის. მან იცის, რომ კიდევ დიდი მანძილია გასავლელი, კიდევ დიდი შრომა და ბრძოლაა საჭირო მიზნის მისაღწევად, მაგრამ თვით მომავალი იჭვს გარეშე სწამს:

„თუმცა ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა კიდევ არ გათავებულა და არც მალე გათავდება, იქნებ დიდი განსაცდელიც მოგველის მომავალში, მაგრამ მაინც დღეს ცხადად და უტყუარად შესამჩნეველია ნიშნები ერის გამოფხიზლებისა და ძველის საუკეთესო ნაანდერძევის აღდგენისა. დიახ, დღეს ბევრსაც ერთიანად გვწამს ჩვენი ქვეყნის მომავალიო“.

ეს გარემოება ახარებდა ილიას, რადგან ის ახალი ნაბიჯის გადადგმას აპირებდა და მთელი ეს 40 წლის დაუღალავი მუშაობა სამზადისი, წინასწარი თადარიგი, საჭირო საფუძველი იყო ამ ახალი ნაბიჯისათვის. როცა ილიამ ნახა, რომ საქართველო საკმაოდ მომზადებულია და ხალხზე დაყრდნობა შესაძლებელი, უკვე ახდილად, აშკარად აყენებს საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს. ილია ეხლაც თავისებურ სიფრთხილეს იჩენს და ნიადაგის შესასინჯავად ავტონომიის მოთხოვნით იწყებს. გ. ლასხიშვილი იხსენებს, რომ რუსეთის მეორე სათათბიროში არჩევნების გამო ტბილისში მოუწვევიათ კრება, რომელსაც დასწრებია ყველა პოლიტიკურ მიმართულებათა წარმომადგენელნი. აქ მისულა ილიაც და ფედერალისტებისათვის უთქვამს, რომ რუსეთის სათათბირო, რა შემადგენლობისაც არ უნდა იყვეს, საქართველოს არაფერს მისცემს და ამ საკითხზე თავის მტვრევა არა ღირსო. თუ თქვენ მართლა მებრძოლები ხართ და ბრძოლის ხალისი გაქვთ, ჩვენი ქვეყნის ავტონომია მოითხოვეთო. თავის მხრივ დაპირება მიუცია: თუ ამ აზრს გაიზიარებთ და დაიცავთ, მე ყველაფრით დაგეხმარებით და ამ საკითხს თავად-აზნაურთა საკრებულოსაც მივაღებინებო. მართლაც იმავე ხანებში თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებას, მიუხედავად რეაქციონურად განწყობილ უმრავლესობის პროტესტისა, თავის რეზოლუციაში ილიას მოთხოვნით შეაქვს ერთი მუხლი, სადაც დასაბუთებულია ფართო პოლიტიკური ავტონომიის აუცილებლობა.

ასე თანდათან, მეთოდიურად, ყოველი საკითხის გათვალისწინებით, ყოველი ნაბიჯის წინასწარ მოზომვითა და უმცირესი მსხვერპლის გზით, ილიამ საქართველო დიდ შარაზე გამოიყვანა და ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დროშა აღმართა. ამიერიდან ქვეყანას მიზანიც გარკვეული ჰქონდა და სავალი გზაც. მხოლოდ საჭირო იყო ამოძრავებული ქვეყანა ბრძოლის ჟინს უკიდურესობაში არ გადაეჩეხა. ილია საერთოდ წინააღმდეგია ყოველგვარი უკიდურესობისა და ხალხს ზომიერებასა და თანდათანობას ურჩევს. მისი სიფრთხილე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით უფრო დროული იყო, რომ საქართველოში უკვე ჩასახულიყო უკიდურესი ნიღილისტური მიმართულება, რომელიც ერსა და ერის უფლებას უარჰყოფდა და კლასთა ბრძოლასა და სამოქალაქო ომს ქადაგებდა. როგორც ვიცით ილია საქართველოში ახალი ევროპიული იდეებით მოვიდა. მაშინდელი ევროპა კი დემოკრატიული იდეების ასპარეზია.

ილია, თავისი ეპოქის საუკეთესო წარმომადგენელი, გაბატონებულ სოციალ-პოლიტიკურ იდეებს ქართულ სინამდვილეს უგუებს და მისი სამოქმედო პროგრამმა განსაცვიფრებელი შეთავსებაა ევროპიულისა და ქართულის. ილია საზოგადოებას არ ახარისხებს: მისთვის ყოველი შემადგენელი ნაწილი ქართველი ხალხისა თანაბრად საყვარელი, საზრუნავი და შესანახია. ის მთლიანი საქართველოს და მთელი ქართველი ხალხის უფლებათა დამცველია. დემოკრატიულ-ლიბერალური სკოლა ადამიანთა პოლიტიკური თანასწორუფლებიანობა და ეკონომიკაში კერძო ინიციატივის თავისუფლებაზე ამყარებს თავის თეორიას. მაშინდელ საქართველოში, სადაც ქვეყანაც დამონებული იყო და ადამიანის პიროვნებაც უცხო ძალითა და საზიზღარი სოციალური რეჟიმით, პიროვნების განთავისუფლება და კერძო ინიციატივის თავისუფლება, ილიას გაგებით ეროვნული თავისუფლების წინამორბედი უნდა ყოფილიყო. რადგან ილია ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის მედროშეა და მეორეს მხრივ, რადგან მისი რწმენით ეროვნული თავისუფლების მიღწევა და შენარჩუნება შეიძლება არა რომელიმე წოდების ან კლასის მეთაურობით, არამედ თვით ხალხის მომზადებით და ხალხისავე საშვალებით, ილია ემხრობა ზეკლასიურ მიმართულებას:

„ნუთუ ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთს კვალში ჩაყენება სანატრელი არ უნდა იყოს ყველასათვის. ნუთუ ყოველი ჩვენგანი არ უნდა ცდილობდეს სრულიად აღმოფხვრას ჩვენთა წოდებათა შორის განხეთქილების მიზეზები, რომ ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდეს ერთს დიდებულ დენას შეერთებულის ძალისას“[2].

არა კლასთა ბრძოლა და სამოქალაქო ომი, არამედ წინააღმდეგობათა შენელება, კლასთა თანამშრომლობა და მათი ინტერესების ურთიერთ შეგუება და მორიგება საერთო **ეროვნული ინტერესების** დასაცავად. ერის ინტერესების პირველობა, მისი უზენაესობა ყველა სხვა საკითხებთან — ილიას ამ დებულების საყოველთაო ჭეშმარიტებად აღიარება მხოლოდ ჩვენს დროში მოხდა.

ამ დებულებას ეწინააღმდეგება და უარყოფს მარქსისტული მიმართულება, რომელსაც მთლიანი საზოგადოების თუ ერის ინტერესები არა სწამს და ერთი კლასის ინტერესთა დამცველად გამოდის. ეს მოძღვრება ნამდვილ დემოკრატიას მის ერთ ნაწილს — პროლეტარიატს — უპირისპირებს და ერთობის დოკტრინას — კლასთა ბრძოლის თეორიას. ეს ორი სხვა და სხვა სამყაროა, იქ სადაც კლასთა ბრძოლის თეორია ანუ მარქსიზმი ბატონობს — ნამდვილი დემოკრატია დევნილია, ხალხი უფლება აყრილი ბრბოა, და ყოველი ცდა პოლიტიკური და საერთოდ ადამიანური თანასწორუფლებიანობის მოსაპოვებლად უკიდურესი საშუალებებით ისჯება. ამის ცოცხალი მაგალითი მარქსისტული რუსეთია.

ორივე ეს მიმართულება საქართველოში ერთ და იმავე ხანაში იკიდებს ფეხს, და რადგან მათი შეთავსება შეუძლებელია — კონფლიკტი აუცილებელი იყო.

ილიას თავის მოღვაწეობის მანძილზე ალბათ ბევრი მსუბუქი აზრი მოუსმენია, შეიძლება ბევრი სისულელეც, მაგრამ ის რაც ეხლა ესმოდა, მისთვის ყველაფერზე საშინელი უნდა ყოფილიყო. ილია აშკარად ხედავს, რომ ამდენი შრომითა და ვაი-ვაგლახით, აგურის აგურზე დადებით აშენებულ საქმეს ქვეყნის ორგული შვილები დანგრევით ემუქრებოდნენ. აბა როგორ აეტანა საქართველოს სიყვარულით სავსე გულსა და მის შორსმჭვრეტელ გონებას ეროვნული დამოუკიდებლობის სამასხროდ აგდება და ქართველთა შორის სისხლის ღვრისაკენ მოწოდება? არა, ილიას ამის ატანა არ შეეძლო. უკვე მოხუცებული, სულის სიღრმემდე აღშფოთებული ილია დაუზოგველად ეკვეთა ბოროტ აზრს. იწყება ბრძოლა. კლასთა ბრძოლის თეორიის ქადაგება ილიას ჩვენი ეროვნული ცხოვრებისათვის დამღუპველად მიაჩნია: „კლასი კლასის წინააღმდეგ“ — საერთოდ შეუწყნარებელია, ხოლო კერძოდ საქართველოსათვის გამანადგურებელი იქნებაო.

„ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთად, წოდებითა დაუყოფლად, დიდ-პატარაობის განურჩევლად და გამოუკლებლად, ერთის მეცადინეობითა და გარჯით ერმა ცხოვრების გზა გაიკვალოს და ბურთი ბედისა გაიტანოსო“.

ილია წინააღმდეგია სოციალურ უსამართლობასთან ბრძოლაში ხალხმა თითონაც უსამართლობა ჩაიდინოს: მკვლელობა და სისხლის ღვრა დაიწყოს. როცა გონიერი რჩევა-დარიგება არა სჭრის და ილია ხედავს, რომ ტერორისაკენ წამქეზებელთა პრესსა სისტემატიურად, დღითი-დღე ცეცხლში ნავთს უმატებს, ის საჯაროდ აყენებს პრესის დანიშნულების საკითხს, ჰკიცხავს მათ და მიუთითებს, რომ „დიდი მოვალეობა პრესისა, მისი ღვაწლი გლეხისა და თავად-აზნაურის ან მდიდრისა და ღარიბის ერთმანეთზე მისევა კი არ არის, შუა კაცობაა, მშვიდობიანობის ჩამოგდებაა, მოსარიგებლის მორიგებაა, შესარიგებლის შერიგებაა — იმის და მიხედვით ვის რა ზნეობრივი და მოქალაქეობრივი ან ერთობრივი სამართალი მიუძღვის ერთმანეთის წინაშეო“.

ილია იშვიათი სისწორით წინასწარმეტყველობს, რომ მარქსისტული მოძღვრების დამკვიდრება საქართველოში, ძალიან ძვირად დაუჯდება ქვეყანას და კერძოდ გლეხობასაო.

მაგრამ ილიას ოლიმპიური სიდინჯე და წინდახედული რჩევა უკვე აღზნებულ, აფორიაქებულ ხალხის სულს ველარ ამშვიდებს. როცა საგარეო გართულებათა გამო რუსეთში რევოლუციონური მოძრაობა გაძლიერდა და ეს ტალღა საქართველოსაც მოსწვდა — ქვეყანა ორ ბანაკად გაიყო. აგრესიულად განწყობილი გლეხების საპასუხოდ თავად-აზნაურთა ერთმა ნაწილმა თვითონაც შეიარაღება — შავი რაზმების შედგენა დაიწყო. შესაძლებელია საქმე ნამდვილ სამოქალაქო ომამდე მისულიყო, რომ ასპარეზზე ისევ ილია არ გამოჩენილიყო. 1905 წელს, თავად-აზნაურობის მიერ ამ საკითხის გასარჩევად მოწვეულ კრებაზე, დაუპატიჟებლად და ყველასათვის მოულოდნელად მისულა ილია და განუცხადებია:

„ბატონებო, რაც ჩვენში ხდება, ყველგან მომხდარა. არ არის მსოფლიოში არც ერთი ერი, არც ერთი სახელმწიფო, ასეთი რევოლუციები რომ არ მომხდარიყოს. ქარტეხილი გაივლის და ცხოვრება ისევ კალაპოტში ჩადგება. თავად-აზნაურობას ბევრი აქვს მოცემული, მაგრამ ვისაც მეტი აქვს იმას მეტი მოეთხოვება. რაც სხვას ეპატიება თქვენ არ გეპატიებათ. მე ვხედავ თქვენს გაჭირვებას, მაგრამ რას იზამთ, უნდა მოითმინოთ. ისეთ ნურაფერს ჩაიდენთ, რომ როცა ეს ამბები გადაივლის და შინ დაბრუნდებით მეზობელთან პირი გქონდეთ შერცხვენილი და თვალებში შეხედვას ველარ უბედავდეთ. უნდა მოითმინოთ, მეტი გზა არა გაქვთ. ცოტა ხნით გაჭირვება სჯობიან სამუდამოდ დაღუპვასა და საშვილისშვილოდ მტრობის ჩამოგდებას თავად-აზნაურობასა და გლეხობას შორის. რად გინდათ ეგ იარაღი რომ აგისხამთ? ვისთვის ამზადებთ თოფებსა? გლეხებისათვის? არ გაბედოთ! ახალეთ თავში ეგ იარაღი იმათ ვინც დაგირიგათ!“ —

„რაზმის იდეოლოგები არა სთმობდნენ, მაგრამ განაჩენი გამოტანილი იყო, ილიას სიტყვის შემდეგ აბდუშელიშვილის რაზმმა ველარ იბოგინა“-ო — სწერს თავის მოგონებებში არჩილ ჯაჯანაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილიას ავტორიტეტი ურყევია. სადაც გონიერ მოსაზრებას, საბუთსა და ლოგიკას ფასი არ დაუკარგავს, მისი სიტყვა კანონია. გარდა სხვა ღირსებებისა ილია იშვიათი ორატორიც ყოფილა. თურმე სიტყვის დაწყებისთანავე იპყრობდა მსმენელთ. რკინის ლოგიკითა, ღრმა პათოსითა და დახვეწილი ქართული ენით ისეთ ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა, რომ მოწინააღმდეგეები მუდამ როდი ბედავდნენ ილიას სიტყვის შემდეგ თავისი აზრის დაცვას. ის დიდი ტემპერამენტიანი ყოფილა ყველაფერში, მაგრამ არა ატაცებული, მუდამ დინჯი და აუჩქარებელი. ამიტომ იყო ძნელი მასთან ახდილ ბრძოლაში გამოსვლა. ან ვინ გაბედავდა პირისპირ შებმას სიტყვის ასეთ მფლობელთან და კალამის მეუფესთან? მით უმეტეს, რომ ახალი დასის — სამოქალაქო ომის მოციქულთა — მეთაურობა სრულიად შეუფერებელი იყო ასეთი როლისათვის. მარქსიზმისა და კლასთა ბრძოლის ქართველ მოციქულებს არც ცოდნა-გამოცდილებით, არც სხვა თვისებებით არ შეეძლოთ ახდილ პოლიტიკურ ბრძოლაში ილიასთან ჭიდილი. ამიტომ ილიას დასამარცხებლად საჭირო იყო სხვა ხერხის მონახვა, ნაკლებ სახიფათო გზის შერჩევა. დასელებმა ეს ხერხი მონახეს — დაიწყეს საზიზღარი ცილისწამებითა და ინსინუაციებით: — „ილია ბატონ-ყმობას არ ებრძოდა და თავის დროზე „კაცია-ადამიანის“ მეტი არაფერი დაუწერიაო“, ხოლო ფ. მახარაძეს ილია გამოჰყავს საშინელ ქმნილებად, რომელიც ცივ ზამთარში გლეხებს წყლით სავსე ჩაფებს თავზე ამტვრევდა და სხვ. და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ბრალდება ილიას სწორედ იმ დროს წაუყენეს, როცა ა. ჯაჯანაშვილის ჩვენებით ილიამ გლეხობის დასაცავად თავად-აზნაურთა განზრახვა ჩაშალა. პასუხის გარეშეც ყველასათვის აშკარა უნდა ყოფილიყო ამ ბრალდებათა უსაფუძვლობა. მაგრამ ილია ამას უპასუხოდ ვერ დასტოვებდა. გაზეთ „ივერიას“ დამატებად იბეჭდება მისი შესანიშნავი „ნუ-თუ?“ ილიას მოწამედ მოჰყავს თვით ბუნება, ადგილმდებარეობა: ირკვევა, რომ მას ეზოში წყარო არა ჰქონია, და მაშასადამე, არ არსებული წყაროთი სარგებლობას ვერავის დაუშლიდა; რომ იმ ზამთარში ილია სოფელში არც-კი ყოფილა და ამიტომ გლეხებს თავზე ჩაფებს ვერ დაამტვრევდა და სხვ. ილია არჩევს ფ. მახარაძის ყველა დებულებას, თითო თითოდ აბათილებს, ამსხვრევს მათ და საქვეყნოდ ააშკარავებს ამ ცილისწამებათა ავტორების ზნედაცემულობას. ილიას „ნუთუ?“ მუდამ დარჩება ქართულ ჟურნალისტიკაში დარბაისლური, თავშეკავებული, საბუთებითა და ლოგიკით დაუძლეველი პოლემიკის ნიმუშად. ილიასათვის ტალახის შესხმა ადვილი არ იყო — წმინდა ქურუმი ჭუჭყს არ იკარებოდა. დასელების საქციელმა დიდი აღშფოთება გამოიწვია. ქართველმა ხალხმა თავისი ნდობისა და სიყვარულის უცვლელობის ნიშნად, სწორედ ამ პერიოდში, ილია აირჩია თავის ერთად ერთ წარმომადგენლად რუსეთის სახელმწიფო საბჭოში. მიუხედავად ხანდაზმულობისა ილია იღებს საქართველოს ამ დავალებას, რომ თავის სამშობლოს კიდევ ერთი სამსახური გაუწიოს. ეს იყო დასელების დიდი მორალური და პოლიტიკური დამარცხება.

პეტერბურგში ჩასვლისას გაზეთებისათვის მიცემულ ინტერვიუში ილია ამბობს:

„სახელმწიფო საბჭოში მე ამირჩია თავად-აზნაურობამ. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საბჭოში მე მარტო თავად-აზნაურობის საჭიროებაზე ვილაპარაკებ. თუ ამას ფიქრობდნენ ჩემი ამომრჩეველნი, ეს დიდი შეცდომაა. საბჭოში მე მთელი საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები. მე ადგილობრივ ინტერესებს დავიცავ და საერთო კითხვებს შევსწირავ ჩემს ძალღონესო“.

სახელმწიფო საბჭოშიც ილიამ დიდი აქტივობა გამოიჩინა და ჩქარა მემარცხენე ფრაქციის მეთაური გახდა. იმ დროის ოფიციალური ხასიათის წიგნებში, სადაც სახელმწიფო საბჭოს წევრთა პოლიტიკური დახასიათებაა მოცემული, ილია მიჩნეულია მემარცხენე მოღვაწედ და ნათქვამია: „აგრარულ საკითხში მომხრეა მიწების იძულებით ჩამორთმევისა თუ ამას საზოგადოებრივ — სახელმწიფოებრივი საჭიროება მოითხოვს“. ცხობილია აგრეთვე, რომ მან დაამზადა ახალი კანონის პროექტი სიკვდილით დასჯის გასაუქმებლად. მაგრამ ამ პროექტის სახელმწიფო საბჭოში წარდგენა ვეღარ მოასწრო. დასასვენებლად საქართველოში ჩამოსული ილია უკან ვეღარ დაბრუნდა. 1907 წლის 9 სექტემბერს თბილისიდან საგურამოსაკენ მიმავალს, წიწამურის ველზე დახვდნენ ნაძირალები და ჩვენი ქვეყნის ჭირისუფალს, საქართველოს სიყვარულსა და ერთგულებაში გათეთრებულს შუბლი გაუპეს.

რად მოხდა ეს საშინელი მკვლელობა, რომლის სირცხვილსაც საქართველო ვერასოდეს ვერ ჩამოირეცხავს? ვინ ჩაიდინა ის?

ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს დაქირავებულ მკვლელთა ვინაობას. მთავარია ამ საშინელების მომწყობთა ვინაობის გამომზეურება! სამწუხაროდ, გადაჭრით, სრული პასუხის გაცემა დღემდე შეუძლებელია.

გადაჭრით მხოლოდ ამის თქმა შეიძლება, რომ მკვლელობა მოხდა პოლიტიკურ ნიადაგზე. ილია მოჰკლეს როგორც განსაზღვრული პოლიტიკის მედროშე და ცოცხალი სიმბოლო. მაგრამ ილიას მკვლელობამ ვეღარ შეაჩერა მის მიერ დაწყებული საქმე, ვით ქრისტეს წამებამ ვერ შეაჩერა ქრისტიანობის გავრცელება. ილიას მოძღვრება ისე ღრმად აღმოჩნდა დარგული, მისი ფესვები საქართველოს მიწაში ისე შორს წასულიყვნენ, რომ ამ მკვლელობიდან სულ 10 წელიწადში, ქართველი ხალხი ილიას დროშის ქვეშ დგება და საქართველო დამოუკიდებლობას აცხადებს...

აღსრულდა ილიას ნატვრა, საქართველო მკვდრეთით აღსდგა, — ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთვნოდა, — მაგრამ მომვლელად ილია აღარა გვყავდა.

ალ. ცოდაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მორიგი ეკონომიური საკითხები

სოფლის მეურნეობა

როგორც მოსახლეობის დანაწილების ცხრილიდან დავინახეთ, 1926 წელს სოფლის მოსახლეობა უდრიდა 2072273 სულს. მთელი ეს ამოდენა ხალხი გაფანტულია 69525 კვ. კილ. ტერიტორიაზე. თუ სახეში მივიღებთ, რომ ამ ფართობის 33 პროც. უვარგისად ცნობილია, გამოდის რომ კვადრატულ კილომეტრ ვარგის მიწებზე მოდის, დაახლოებით, 44—45 მოსახლე, თუ ამ „ვარგისში“ ჩავსთვლით საქართველოს ყველა ტყეს და საძოვრებსაც.

შედარებისათვის მოგვაქვს ცნობა შვეიცარიის შესახებ: იქ ოთხკუთხ კილომეტრზე 82 მცხოვრები მოდის. ამ გამოანგარიშებაში საერთო ტერიტორიიდან გამორიცხულია ყველა ტყე და სახეში მიღებულია მხოლოდ ის ტერიტორია, რომელზედაც ხდება სოფლის მეურნეობა.

ამნაირ მეთოდს თუ ჩვენც მივიღებთ, მაშინ თითო კვ. კილომეტრზე ჩვენშიც 45 მოსახლეზე გაცილებით მეტი მოვა.

შვეიცარიის უვარგისი მიწების რაოდენობა უდრის 28,40 პროცენტს, მთელი ტერიტორია კი 40076,2 კვ. კმ. (ტყეების გამორიცხვით). სოფლების საერთო რიცხვი ჩვენში უდრის 2296 ერთეულს. სანამ ბოლშევიკები ჩვენს ქვეყანას „კოლხოზებს“ და „სოვხოზებს“ ძალით თავზე მოახვევდნენ, ჩვენებური სოფლის მცხოვრებნი ცალკე მისდევდნენ თავ-თავიანთ მეურნეობასა და ამ უკანასკნელთა რიცხვი უდრიდა 317645. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ რიცხვსავე უდრიდა სოფლის ოჯახის უფროსობასაც. თუ თვითეულ ოჯახში ვიანგარიშებთ, რომ გარდა ამა უფროსისა ორი სხვა მოზარდი ოჯახის წევრიც შველოდა მას მეურნეობაში, შეიძლება დავასკვნათ, რომ აქტიური მომუშავე სოფლის ძალები საქართველოში იყო არა ნაკლები: (317645×3)=952935 მამაკაცისა. დანარჩენი სოფლის მოსახლეობა (2072273—952935)= 1119338 სული შეადგენს ოჯახის დედებსა და მოზარდ თაობას.

ჩვენი სოფლის მეურნეობის დასახასიათებლად მოგვაქვს კიდევ შემდეგი ცნობები: 1. უმამულო მეურნეობა ჩვენში იყო 22564=6,9 პროც.;

2. უმიწაწყლო მეურნეობა უდრის 16275=5,1%. (ამათში ნათესით ჩვენში ყოფილა მეურნეობანი:

1. უნათესო 40887 უდრის 12,9 პროც.; 2. სრულიად უსაქონლო უდრის 48722 უდრის 15 პროც.; 3. უმუშასაქონლო უდრის 123.288 უდრის 38 8 პროც.; 4. უძროხო უდრის 115948 უდრის 36,5 პროც.:

აი ამ ტერიტორიამ და მიწა-წყალმა და ასე მოწყობილმა ძალებმა, ქალაქებთან ერთად, უნდა აჩრინონ ჩვენი ქვეყანა და დაუკმაყოფილონ საქართველოს ყველა მისი მოთხოვნილებანი, მატერიალური, კულტურული, თუ სხვა.

ჩვენი ეროვნული მეურნეობის მთელი ანსამბლი, დღეს დღეობით, აშკარად ზრდას, რომ ვერც სოფელია სავსებით დაკმაყოფილებული და ვერც ქალაქი, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სამშობლოს მდიდარი ბუნება, ხელშემწყობი ჰავა, თუ ნიადაგი, გეოგრაფიული ჩვენი მდგომარეობა და მოსახლეობის გამრსჯელობა, სრულს შესაძლებობას იძლევიან, რომ უხვად დაგროვდეს ყოველნაირი დოვლათი, შინაური საჭიროების დასაკმაყოფილებლად და უცხოეთში გასაზიდათაც! სტატისტიკური ცხობები გვეუბნება, რომ მთელი საქართველოს ტერიტორია უდრის ექვს — შვიდ მილიონ ჰექტარს. თუ აქედან „უვარგისად“ ორ მილიონ ჰექტარს ჩავთვლით, დანარჩენი არე ასეა დანაწილებული:

1. სახნავ-სათესი (ერთ წლიან კულტურისათვის) უდრის 980.400 ჰექტარს, 2. ბაღ-ვენახები, ჩაის და ციტრუსების პლანტაცია და სხვა უდრის 159.900 ჰ. ტყეები (მათში 400 ათასი უკვე გაჩეხილია) უდრის 1.646.160 ჰ. 4. სათიბ-საძოვრები უდრის 1.860.000 ჰექტარს. სულ უდრის 4.643.460 ჰექტარს.

ამჟამად „უვარგისად“ ცნობილი შავ-ზღვის სანაპიროების ჭაობები, შემდეგ მათი ამოშრობისა (მართალია არა უახლოვეს წლებში) მოგვცემენ „ვარგისს“, ნაყოფიერ მიწებს, უდრის 400 ათას ჰექტრამდე. ასე რ[illegible] თავის დრომდე, სრული არე „ვარგისად“ ცნობილ ს[illegible]ეურნეო მიწებისა ავა, დაახლოებით **ხუთ მილიონ** ჰექტრამდე.

ზოგი დღევანდელი „ვარგისად“ ცნობილი მიწები, მათში საჭირო მელორაციის შეტანის შემდეგ, **სახნავ-სათეს არეს** აიყვანენ 1.500 ათას ჰექტარამდე. ეს მოხდება ტყეებ-საძოვრების და, ნაწილობრივ, ჭაობების ხარჯზე. ამ გვარი აგრიკულტურული ოპერაციები თუმცა ვერ გაადიდებენ საქართველოს საერთო ტერიტორიას, სამაგიეროდ, ნაკლები ღირსების მიწები მათ გადაჰყავთ უფრო მეტად შემოსავლიანზე.

რაც შეეხება კერძოდ ტყეებს, იქ 455000 ჰექტარი საკურორტო მნიშვნელობისა არის. ტურიზმის ფართე მაშტაბით მოწყობისათვის ამას დიდი ფასი აქვს და მომავალი, როგორც შვეიცარიის მაგალითი გვიჩვენებს.

ჩვენებური საძოვრების დიდი ნაწილი მდებარეობს 40 გრადუსის დაქანებაზე, ამნაირად მეცხვარეობას და მესაქონლეობას ყოველთვის შერჩებათ მიწების ეს მარაგი.

უნდა ითქვას, რომ გამოცდილება და საქონლის ჯოგნახირის მოვლა-მოშენების ხერხი და ცოდნა ეხლაც არ აკლიათ ჩვენ მესაქონლეებს. ცნობილია, მაგალითად, თუშური ცხვრის დიდი ღირსებანი, ცდები მათი გადაჯვარადინებისა ესპანურ მერინოსებთან, რითაც მატყლიც საუცხოო მიიღეს და მერინოსებზე უფრო გემრიელი ხორციც.

საუკეთესო მატყლის მრავლად დაგროვება და ყველის და ერბო-კარაქის ინდუსტრია დიდ მომავალს უქადის ჩვენ მესაქონლეობას. ამ დარგში ამ ჟამადაც იმდენი გროვდება, რომ შინ მოსახმარადაც ყოფნის ჩვენ ხალხს და კარგა ბლომად საზღვარ გარეთაც გადის.

როგორ დავინახეთ, ხვნა-თესვა და ბაღ-მევენახეობა დაახლოვებით 1200 ათას ჰექტარზე სწარმოებს. (საქართველოზე უფრო პატარა დანიაში ასეთი გამოსადეგი არე სამ ნახევარ მილიონს უდრის).

მეტ წილად ეს სახნავი მიწები პურითა და სიმინდით ითესება. აქა-იქ, უფრო ნაკლებად, მოჰყავთ ჭარხალი, კომბოსტო, კარტოფილი, ლობიო, თამბაქო და სხვა... უნდა ისიც ითქვას, რომ აგროტექნიკაც დაბალ დონეზეა ჩვენში დაყენებული, თვით კულტურათა დანაწილება და ჩარიგებაც არაა ყოველთვის რაციონალური.

სოფლის მეურნეობას ჩვენში დიდი პატრონობა სჭირია, აგრონომიული მეცნიერების მიშველებით და მცოდნე სპეციალისტების ხელმძღვანელობით დღეს დღეობით საქართველოს მიწები, ყველა დარგებში, ძალიან მცირე მოსავალს იძლევა, შედარებით შესაძლებლობასთან. აქ ამ საგანზე, სიტყვას ვერ გავაგრძელებთ. დიდად რთული გარემოებანი ჰქმნიან ამ მოვლენას და მათ აღნუსხვას ცალკე განხილვა დასჭირდება, ვიტყვით მხოლოდ, რომ აქ თვით ქართველი ერი არაფერ შუაშია, იგი უხსოვარ დროიდან არის ჩაბმული და გამოცდილი სასოფლო მეურნეობაში, ზედმიწევნით იცის მამულის მოვლის ხერხებიც და მოსავლის მოხმარებაც. ულმობელი ისტორიული ამბები უკრავდნენ მას ხელ-ფეხსა, რომ ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაეყვანა თვისი მეურნეობა, როგორც მის ქვეყნის უხვ ბუნებას და მის უხარიანობას შეეფერებოდა.

ამ საგანზე ჩვენ გვქონდა შემოხვევა ერთ სხვა ეტიუდში უფრო დაწვრილებით გველაპარაკნა.

სრულის რწმენით და საგნის დაკვირვების აწონით შეგვიძლია დაჟინებით ვაღიაროთ, რომ თუ არსებული პირობები შეიცვალა და ჩვენ ქვეყანას ეღირსა ხილვა მისთვის მზრუნავი მართველობის დამთავრების, ქართველი ერი სულ მოკლე ხანში შესძლებს თვისი მეურნეობა იმ მაღალ დონეზე აიყვანოს, როგორც ამას დაწინარებულ ქვეყნებში ვიხილავთ.

ეხლა კი მდგომარეობა ისეთია, რომ, მაგალითად, ჩვენი ქვეყანა იძულებულია ყოველ წლივ 15 მილიონი ფუთი ხორბალი უცხოეთიდან შემოიტანოს.

საქართველოს ამჟამად 80 მილიონი ფუთი პური და სიმინდი სჭირდება, ჯერ-ჯერობით კი ჩვენში მოდის მხოლოდ 65 მილიონი ფუთი.

ჰექტარზე მოსავალი 90 ფუთამდე (15 ცენტნერამდე) რომ ავიყვანოთ, ჩვენთვის სამყოფი პური შინვე მოგვივა. ზოგ ალაგას ამისთანა მოსავალი დღესაც მოჰყავთ ჩვენს ქვეყანაში. გაუმჯობესებული აგრიკულტურული ზომები უფრო დიდ მოსავალსაც მოგვცემს.

დანიისა და სხვა პატარა სახელმწიფოების მაგალითები დიდ დამაჯერებელ მომავალს გვიხატავენ.

გავიხსენოთ, რომ მეცხიერული აგრონომიის წყალობით თითო ჰექტარზე მოჰყავთ ამჟამად პური: ბელგიაში — 250 ფუთი, გერმანიაში 200 ფუთი, და ამ დროს ჩვენ მხოლოდ 90 ფუთ მოსავალზე ვოცნებობთ!...

ქართველ ერს, მტერნი თუ მოყვარენი, ხშირად უკიჟინებენ: თუ სასოფლო-მეურნეობაში მაგისთანა გამჭრიახი და მცოდნე ყოფილხართ წინეთ და დღესაც ვითომდა ხართ, იმდენი პურის მოყვანა მაინც როგორ ვერ მოგიხერხებიათ, რომ სხვა ქვეყნებიდან არ გიხდებოდესთ საჭირო საკვების შემოტანაო?

მართლაც და რაშია საქმე? თვით ბოლშევიკური ეკონომისტები ამბობენ, საკმაოა ათი პროცენტით აიწიოს პურის მოსავალმა, რომ საქართველოს აღარ დასჭირდეს უცხოეთში პურის სყიდვაო.

მაშ რატომ არ ცდილა ქართველი მშრომელი 50 ფუთის მაგიერ — 90 ფუთი მოეყვანა?!

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, მეტადრე მაშინ, როდესაც გაყვანილი იყო ფოთი — თბილისის რკინის გზა, შავს ზღვაზე ნაოსნობა გაჩნდა, კავკავ-საქართველოს გზატკეცილზე საქონლის გახშირებული გადაზიდვა-გადმოზიდვა გაჩაღდა, საქართველოს სასოფლო მეურნეობის ეკონომიური პირობებიც ძირითადათ იცვალა. საქართველოში შემოიჭრა **იაფი რუსის პური და სწორეთ ამან** თანდათან რადიკალურად შესცვალა ჩვენი ქვეყნის სამინდვრო, ე. ი. პურის მოყვანის პოლიტიკა. რუსეთის უფრო იაფმა პურმა დასცა ჩვენი ადგილობრივი პურის ფასები. რუსეთის პური რკინის გზით მოტანილი მოზღვავდა ჩვენს ქალაქ ადგილებში და აქედან ფეხი გაიდგა სწორეთ იქით, სადაც კარგი გზები იყო გაყვანილი. ჩვენს სოფლებში — კი რუსეთის პური ვერ გაუწევდა ღიდს კონკურენციას ჩვენებურს, რადგან ცუდს სოფლის გზებზე უხიდოთ დატოვებულ მდინარეებზე მისი გადატანა აძვირებდა უცხოეთის პურის ფასსა. რკინის გზები ჩვენი სოფლებისაკენ რომ ყოფილიყო გაყვანილი, პურის უხალისოდ მოყვანა უფრო მძლავრად იჩენდა თავსა.

იაფი რუსეთის პური მხოლოდ ადვილად მისავალ ადგილებში საღდებოდა და საღდება დღესაც.

ამიტომაა, რომ ჩვენი გლეხი, ცდილობს სწორედ იმდენი პური მოიყვანოს, რაც მის კერძო მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. ფართე ბაზარზე ჩვენი პურის გატანა აღარ ივარგებდა, რადგან იქ მას უცხოელი უფრო იაფი პური უჩაღებდა კონკურენციას. თუ ამასთანავე გავიხსენებთ რუსეთის მოხერხებულ სატარიფო პოლიტიკის მძვინვარებას, აშკარად დაეინახავთ თუ რამდენად ძნელი იყო ქართველი მეურნისათვის ფართე მაშტაბით საბაზრო და საექსპორტო პურის მოყვანა.

თვისი სატარიფო პოლიტიკით რუსეთის მთავრობამ ციმბირის პურის დაჩაგვრაც — კი მოახერხა, შიდა რუსეთის, ველიკორუსულ პურის სახეიროდ და აბა ჩვენ, ქართველებს რაღა ხეირს დაგვაყრიდა!...

ჩვენში გზების უვარგისობა, ხომ სწორედ საარაკოა: არც რკინის გზის ფართე ბადე, არც ხეირიანი ფოსტის, თუ სასოფლო გზები.

რუსეთში ამ მხრივ, შედარებით ჩვენთან, საქმე უფრო რიგიანად იყო მოწყობილი. იმის საჩვენებლად თუ რა გავლენას ახდენს საქონლის ფასებზე ამა თუ იმ ხასიათის გზები დავასახელებთ ორიოდე მაგალითს:

1) პურის ურმებით გადაზიდვა კარგად გაკეთებულს სასოფლო გზებზე ორიდან — რვაჯერ უფრო იაფად ჯდება.

2) საშუალოდ მომარაგებულს შოსსეზე — 3-4 ჯერ.

3) კარგს შოსსეს გზაზე — 4 ჯერ.

4) ავტომობილებით გადაზიდვა აიაფებს რვაჯერ და მეტადაც! სად არის ჩვენში ამისთანა გზები, და თუ არის რამდენ ალაგას?...

როდის იზრუნა რუსეთის მთავრობამ ჩვენშიაც გაეჩინა ამისთანა ეკონომიური არტერიები?

სხვა პირობებს რომ თავი დავანებოთ, ჯერ ამ გარემოებით უხდებოდა რუსებს თვისი პურის უფრო ხეირიან ფასებში გასაღება, ვიდრე ჩვენ. დაუმატეთ ამას ისიც, რომ ჩვენ მზიან ადგილებში გვიხდება ხვნა-თესვა, კამეჩ-ხარებით შებმულ გუთნებით, მაშინ როდესაც რუსეთის სტეპები ცხენის გუთანს ამუშავებენ და ეს გუთანი, უმეტესად, რკინისაა, იქ მათი ერობათა და მთავრობის ზრუნვით გავრცელებული.

გამოანგარიშებულია, რომ ხარებით მოხნულ მიწებზე პური ჯდება ფუთი 85 კაპ., ცხენის გუთნებით — კი 35 კაპეიკი!

რაც შეეხება, ერობისა და მთავრობის ზრუნვას სასოფლო მეურნეობისთვის აქ ხომ საქართველო სულ ბივწყებული იყო...

იძულებული ვარ სიტყვა აღარ გავაგრძელო, თუმცა სათქმელი კიდევ პევრია იმის გამოსაშკარავებლად, თუ რამ აიძულა ჩვენი მეურნე არსებულ პირობებში აღარ ცდილიყო პურის იმაზე მეტის მოყვანას, რაც ეხლა მოჰყავს. და საქართველო არ იყო განცალკევებული ამ შემთხვევაში.

ერთ დროს ამისთანავე მდგომარეობა დაუდგა მთელ რიგ ევროპიულ სახელმწიფოსაც, როგორც არის სკანდინავის ქვეყნები, დანიიდან დაწყებული; ჰოლანდია, ბელგია და მთელი წყება დიდი სახელმწიფოებისაც ჩავარდა დიდი კრიზისის ხანაში.

ეს მოხდა წარსული საუკუნის 70-ან წლებში, როდესაც ფართოდ მოწყობილმა და ახლად შემოღებულმა საორთქლო იაფმა ტრანსპორტმა ამ ქვეყნებს მიაყარა იაფი ამერიკის და რუსეთის პური.

ჩვენის რწმენით დაახლოვებით ამ წლებიდან იწყება საქართველოს ეკონომიური კრიზისიც და იმავე მიზეზებით, რომელიც იქ, უცხო სახელმწიფოებში, მეფობდნენ.

აქ ვერ მოვყვებით იმ კრიზისის დაწვრილებით აღწერას, თუმცა იგი ღირსია ჩვენი ყურადღებისა, რათა უკეთესად ჩავხვდეთ ჩვენი ერის წარსულს და აწყმო გაჭირებათა.

ვიტყვით მხოლოდ, რომ ის დიდი კრიზისი ევროპაში ყველგან დაძლეული იყო, სულ პირველად სახელმწიფოს ძალა-უფლების ჩარევით და შეილით. ამ მხსნელმა მიშველებამ იქ ისეთი ბედნიერი მდგომარეობა შექმნა, რომ ამერიკის და რუსეთის იაფი პურის შეჭრა საარგებლო და სახეირო გახდა იმ ქვეყნებისათვის, რადგან დროზე მოხდა სამეურნეო სისტემის შეცვლა თანახმად ახლად შექმნილი პირობებისა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ბრძოლიდან დანია, მაგალითად, უფრო ძლიერი და გამოიდრებული გამოვიდა, ვიდრე იყო მაშინ, როდესაც პურეულს თესვას ხარბად მისდევდა თითქოს ამაზე იყო ნათქვამი: „ზოგი ჭირი მარგებელიაოო“. მართალია დანიამ შეამცირა ის ფართობი, რომელზედაც წინად პურსა სთესდა, მაგრამ სწორედ მეურნეობის შეცვლილი სისტემის წყალობით, ამ უფრო მცირე ფართობზე წინანდელზე მეტი მოსავლის აღება მოახერხა, რომელიც თვითონაც ყოფნიდა და გარეთაც გაჰქონდა, თუმცა ეს ექსპორტი მას იმდენად აღარ აინტერესებდა...

როგორც ავღნიშნეთ ასეთივე მცირეა ჩვენში მოსავალი: სიმინდის, ჭარხლის, კომბოსტოსი, კარტოფილის, ლობიოსი და სხვ...

მიუხედავად ყველა ხელშემშლელ გარემოებათა, ჩვენი კულტურების მრავალ ფეროვანობის წყალობით, ქართველი მეურნე მაინც ახერხებს საზღვარგარეთაც გაიტანოს ნაწილი სოფლის მოსავალისა.

ომის წინ რუსეთის ექსპორტი, თითო სულზე ნაანგარიშევი, მოდიოდა წლიურად საშუალოდ, ათ მანეთამდე (10 მან.) ნაკლები; საქართველოსი — კი იყო 17 მან. 50 კაპ. გატანილი ყოფილა ჩვენი ქვეყნიდან ოციოდე სხვა და სხვა საქონელი. (იხილე ჩემი წერილები „საქართველო ციფრებით“.)

იმის საჩვენებლად, თუ რამდენად სახეიროა და სასწრაფოც ჩვენი ეკონომიკისათვის არსებული აგრიკულტურული სისტემის შეცვლა, უფრო რაციონალური ფორმით, მოგვაქვს ცნობები ჩვენ სხვა და სხვა კულტურათა მოსავლიანობაზე და მოგებაზე:

მეურნეობის დარგ.	უჯდება მეურნეს	მოუვიდა შემოსავალი	პროცენტი მოგებისა.
1. პური	52 მ. 50 კ.	84 მ. 20 კ.	60,4%.
2. სიმინდი	59 მ. 90 კ.	100 მ. „ „	83,6%.
3. ბამბა	63 მ. „ „	210 მ. „ „	233,3%.
4. მანდარ.	370 მ. 45 კ.	2400 მან	540%.
5. ხილი	353 მ. 10 კ.	1128 მან	218,6%.
6. ჩაი	277 მ. 55 კ.	600 „ „	116,2%.
7. თამბაქო	400 მ. „ „	„ „	50%.

ეს ცხრილი სულ პირველად იმას გვიჩვენებს, რომ სახეირო არ არის ხვნა-თესვისათვის დავაბანდოთ 900 ათას ჰექტარობით მიწები. ჩვენი ქვეყნის შინაური საჭიროების დასაკმაყოფილებლად მოსავლის მიღება ადვილად შეგვიძლია გაცილებით უფრო მცირე არეზე. განთავისუფლებული მიწები, სადაც შესაძლებელი იქნება, მიჩნეული იქნებიან იმ კულტურებისათვის, რომელნიც პურსა და სიმინდზე მეტ მოსავალს იძლევა.

გარდა ამისა მელიორაციით, მაგალითად მორწყვით, სადაც ეს აუცილებელია, ან ჭაობების ამოშრობით ჩვენი კულტურული მიწების არე საგრძნობლად გაიზრდება.

საბედნიეროდ, სწორედ ამოშრობილ მიწებში შეიძლება მოვიყვანოთ მანდარინ-ციტრუსები, დავრგათ ევკალიპტები და სხვა ძვირფასი მცენარეები. დანარჩენ კულტურისათვის ასეთი მიწები, იქნებ გამოუდეგარიც იყვნენ. დღეს დღეობით — კი ინვენტარი სასოფლო მეურნეობის მოსავლისა ასეთია (იხ. ს. ს. რ. გრუზი):

1. ჩაი:

პლანტაციებს უჭირავთ 35600 ჰექტ. 1936 წელს მიღებული იყო ჩაის მწვანე ფოთლები 19.250 კილო. დესეტინაზე მოსულა 1418 კილო. პლანტატორებმა მიიღეს ჩაბარებულ ჩაის ფოთლებში 55 მილიონი მანეთი.

პლანტაციების გადიდება განზრახულია 50—100 ათას ჰექტარზე.

2. ციტრუსები:

მათ ამჟამად უკავიათ 3,3 ათასი ჰექტარი. **ფანდარინებზე** მოდის 2856 ჰექტ. **ლიმონებზე** 361 ჰექტ. აპელსინებზე (ფორთოხალი) 63 ჰექტ. ამ ფართეთა გადიდებას აპარებენ 20 ათას ჰექტარამდე.

1937 წელს უნდა მიიღოთ 500 მილიონი ცალი ციტრუსის ხილი.

3. მევენახეობა.

ეს დარგი ამჟამად ჩამოსულია 40,7 ჰექტარამდე. კარგი დიდი ფართე ვენახებისა ამოგდებული იყო რევოლუციურ ხანაში, ასე რომ ვენახების არეს გადიდება ადვილად მისაღწევია.

4. მეხილეობა: ბაღებს ჩვენში უჭირავთ 49.400 ჰექტარი (მეტ წილად ვაზთან შერეული). 1936 წელს გასაყიდათ დამზადებული ხილი უდრიდა 50 ათას ტონას.

5. მეთამბაქობა:

17938 ჰექტარზე და თითოზე მოდიოდა 7,5 ცენტნერი.

6. მესაქონლეობა:

საერთო რაოდენობა ყველა ჯიშის ოთხფეხა საქონლისა უდრის 4.223.000 თავსა. ამათშია:

მსხვილი საქონელი	— 1685.600	თავი
ცხვარი	1593.000	„ „
ღორი	781.000	„ „
ცხენი	163.000	„ „
ხორცი მიღებული იყო	726600	ცენტნერი
მატყლი	27800	„ „
რძე	3595 ½	„ „

7. მეაბრეშუმეობა:

1936 წელს მიღებული იყო 3000 ტონა კოკონი.

8) პურისა და სიმინდის: მოსაყვანათ სულ გადადებული იყო 900 ათასზე მეტი ჰექტარი.

O

ჩვენს ეკონომიურ ეტიუდში „ქართველი ერი, როგორც მშენებელი“ (ჟურ. „სამშობლო“) ვამბობდით: „... ჩვენებური სასოფლო მეურნეობა სათანადო დონეზე რომ ყოფილიყო დაყენებული, ჩვენს ხალხს 700.000 ჰექტარის მოხვნა კი არ დასჭირდებოდა, არამედ არაუმეტეს **მესამედისა,** ბელგიის მეურნეობის მიხედვით. დანარჩენი ჩვენი მიწები განთავისუფლებული იქნებოდა პურეულობისაგან და იქ უფრო მაღალი ღირებულების კულტურას მივყვებოდით, უფრო ინტესიურ მეთოდებზე გადასვლით.

დღევანდელი უმწეო მდგომარეობა ჩვენი სასოფლო მეურნეობისა ადვილად და შედარებით, სულ მოკლე დროში შეიცვლება მეცნიერული აგრიკულტურის შემოღებით. ამისათვის საჭირო ზომები ყველგან, სულ პირველად, სახელმწიფოსაგან არის ნაჩვენები, რასაკვირველია თვით მოსახლეობის უნარის და ენერგიის მიშველებით, იმ ახლად დასახულ პირობებში და ახლად ნაფიქრ ეკონომიურ კონცეპციის წყალობით, რომელზედაც ამ მოხსენების თავში გვქონდა ბაასი, გაცილებით უფრო გაადვილებულია სოფლის მეურნეობის ახალ რელსებზე გადაყვანა. ის ევროპული ეკონომიური კომპლექსი და ოჯახი, რომლის შედგენას ესოდენის ენერგიით და ხერხით ეტანებიან გერმანიის ცნობილი ეკონომისტები, იმ ამოცანასაც ისახავს, რომ ყოველ მხრივ გაუადვილონ და დაეხმარონ ჩამორჩენილ პატარა სახელმწიფოებრივ ერთეულებსაც, რომელნიც ამ ევროპულ ეკონომიურ ოჯახში მოიწადინებენ შესვლასა.

სხვა პატარა ერებთან ერთად, ამისთანა პერსპექტივების მოლოდინში, ჩვენს ხალხსაც გულ გასატეხი არა აქვს რა? დღევანდელი ჩვენისთანა ჩამორჩენა, შესაფერ მაშტაბებში, სხვებსაც დამართვიათ, მაგრამ არსად სასოწარკვეთილებას არ მისცემიან...

თავის ალაგას ჩვენ გვქონდა მოყვანილი ჩვენი სამშობლოს ეკონომიკის დახასიათება. ნება მომეცით ერთი რამ დახასიათება კიდევ წარმოგიდგინოთ.

„ექსპერტები ერთხმად სცნობენ ჩვენი მიწების დიდ ნაყოფიერებას. იმ ჩინებულ პირობებსაც, რომელნიც მოსავლიანობას ხელს საუცხოოდ უწყობენ, როგორც არის ჩვენებური ჰავა, ანუ უკეთ ვსთქვათ ჩვენი ჰავის ნაირნაირობა, ჩვენი მიწის მუშაკის — მეურნის გამძლეობა და დიდი ენერგია. და აი მიუხედავად ყველა ამისა, ჩვენებური სასოფლო მეურნეობის ნაყოფიერება თანდათან მცირდება, უკანასკნელს წლებში მოსავალმა ხომ უფრო კიდევ მეტად იკლო“... კაცს ეგონება აქაც საქართველოს მეურნეობაზე არის ლაპარაკი! არა, ბატონებო, ეს გახლავთ დახასიათება დღევანდელი საფრანგეთის სოფლის მეურნეობისა, მოცემული დიდი სპეციალისტის მარსელ ბრებანის მიერ მის ახლად გამოსული წიგნში: „ლა ფრანს პეიზან ე ლიუროპ“. ამ წიგნის ავტორი დიდად დამაჯერებელ არგუმენტებით გვიჩვენებს, რა ბედნიერი მომავალი მოელის საფრანგეთის და მთლად ევროპის სასოფლო მეურნეობას, რათა მოისპოს ის დამშეულობა, რომლითაც ამჟამად მთელი დიდი ნაწილი დედა-მიწისა არის შეწუხებული.

ამერიკის ჩრდილოეთ შტატებში ორი ანკეტა ყოფილა მოხდენილი და გამოაშკარავებულა, რომ 1929 წელს ამერიკის ამ შტატების უმაღლეს კეთილდღეობის ხანაში, სულ ცოტა, 25 პროცენტი სოფლის მცხოვრებნი გაცილებით ნაკლებათ იკვებებოდნენ, ვიდრე ეს საჭირო იყო ადამიანის ორგანიზმისათვის. 1930 წელს ეს დამშეულთა პროცენტი ოცდაათამდე ასულა!

ინგლისშიც არა საკმაოდ იკვებებოდნენ უმუშევარნი, მუშები არა სპეციალისტები, და სოფლის მეურნენიც.

უდიდეს ნაკლებობას კვებაში აღმოსავლეთ ევროპის ხალხნიც განიცდიანო, მოგვითხრობს ავტორი. მოსახლეობა იქ, მეტწილად, სიმინდით იკვება და ისიც მცირედათ,ჰუნგრეთში სოფლებს საკვებად რძეც კი არა აქვთ, არც კვერცხი, არც ქათამი და ხილი, თუ შაქარი და სხვა ამ გვარი.

დანია და ჰოლანდია ხომ განთქმულნი არიან კარაქის დიდი ეპსპორტით; მიუხედავად ამისა, იქაური მოსახლეობა თვის საკვებად მარგარინს გაცილებით მეტსა ხმარობს, ვიდრე კარაქსა. 1936 წელს დანიაში, თუ საკვები კარაქი სულზე მხოლოდ 9 კილო მოდიოდა, მარგარინი სულზედ 20 კილო იყო. ასეთივე ნაკლუვანება მოდის სხვა პროდუქტებზედაც: შაქარია, რძე, ხორცი, თუ სხვა... და ყველა ეს იმიტომ ხდება, რომ ფასები სოფლის და საზოგადოთ ინდუსტრიის სხვა ნაწარმოებზე ყველგან ხელოვნურად არის აწეული. ეს კი გამოწვეულია კაპიტალიზმის არსებული წესებით, რომელიც აშენებულია კაპიტალიზმის ულმობელ კონკურენციაზე და დიდ ფულიან მაგნატების პერსონალურ — პირადულ მოგებაზე. ამიტომ არის რომ ისინი ვერ ურიგდებიან იაფი საქონლის მრავლად და უხვად დამზადებასა.

წარმოებათა დღევანდელ ბატონებს მით მეტი მოგება რჩებათ და მასთან გამარჯვებაც კონკურენტებზე, რაც ხალხისათვის საჭირო და აუცილებელი ნაწარმოებნი ძნელად საშოვარი ხდება. მხოლოდ ამ პირობებში შეუძლიანთ მათ დიდ ფასებში გაასაღონ ის, რაც ყველასათვის საჭიროა. ამიტომ არის ყველგან შემოღებული ის უმსგავსო და შემაძრწუნებელი ღონისძიებანი და ზომები, როდესაც თვით მთავრობათა დახმარებითაც კი, დიდს მოსავლიანობის დროს ღუპავენ და ღუმელებში სწვავენ ხორბალს, ყავას და სხვა პროდუქტებს. ამ ხერხით ისინი აღწევენ იმ მიზანს, რომ მაღალ ფასებში გაიყიდოს, რაც მათ დაუწვავი გადაარჩინეს. სწორედ ამისათვის ღვრიან მდინარეებში ზედ-მეტად მიჩნეულ რძესა, ან ჰყრიან სანაგვეზე ჭარხალსა, რომ არ გაიზარდოს შაქრის პროდუქცია; საფრანგეთში სჩეხავენ ვენახებს, რათა ღვინო ნაკლებად მოვიდეს. პრემიებსაც კი ურიგებენ იმ მეურნეთ, რომელნიც ჩვეულებრივ ნორმაზე ნაკლებ მოსავალს მოიყვანენ და სხვა... ერთის სიტყვით ორგანიზაციულად მოწყობილ წესებით აფუჭებენ მოსავალს, როდესაც ხალხი დამშეულია!.. ყველა ეს ხდება დღევანდელი კაპიტალიზმის კარნახით და მის სახეიროდ...

ამნაირმა ულოღიკობამ მსოფლიო ეკონომიკაში, ბუნებრივად რეაქცია გამოიწვია. ჩვენ დღეს ვხედავთ დიდ ცდებს, დიდის მაშტაბებით მოხდენილთ მთელ რიგ სახელმწიფოებში, სადაც იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ხსნა სწორედ პროდუქციის უხვად დამზადებაშია, ინდუსტრიის გაფართოებაში, მხოლოდ იმ წინასწარად გამომუშავებულის გეგმებით, რომელთაც თვით სახელმწიფო ადგენს, კორპორაციებში ერთად თავმოყრილ საუკეთესო და მცოდნე ძალების თანამშრომლობით.

ამ ახალ მოძრაობის სათავეში გერმანია მოექცა. ბევრი რამ საყურადღებო იტალიაში და პორტუგალიაშიც გაკეთდა და ამჟამად ამ გზაზე დადგომას ხომ საფრანგეთიც აპირებს.

გერმანიაში დიდი მცოდნე ეკონომისტები დაუღალავად მუშაობენ, რათა ეს ახალი გზა საყოველთაოდ გასაგები და გამოსაყენებელი გამომდგარიყოს. ჩვენი მოწინავე მოღვაწენი გულმოდგინებით ადევნებდნენ ყოველთვის თვალყურს მასაც, რაც გერმანიას დიდს სახელმწიფოდ და გერმანელებს დიდს ერად ხდის. ქართველი მწერლები და ქართული ეროვნული თეატრი თავიანთ სულიერ მასწავლებლებად გერმანელ კლასიკებსაც რაცხვენ; ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერნი სწორედ გერმანიაში ღებულობდნენ თავიანთ საბოლოო მეცნიერულ ფორმაციას; ჩვენი მოზარდი თაობა ეტანებოდა და ეტანება გერმანული ენის შესწავლას, რათა გერმანიის მრავალ ფეროვან და მდიდარ კულტურას დასწაფებოდნენ.

როგორც თანამედროვე გერმანიაში ხდება შეურყეველად და მძლავრად გაშინჯვა, შესწორება და გარდაქმნა ყველა იმის, რაც ძველ რეჟიმებს და მარქსისტულ სოციალ დემოკრატიას ახასიათებდა, ასეთივე მისწრაფება დაიბადა საქართველოს ფართე წრეებშიც.

არც ეს არის შემთხვევითი მოვლენა, რომ დღეს ქართველები თავის ყურადღებას მიმართავენ გერმანიისაგან, რათა კულტურულ, ეკონომიურ და სოციალურ სფეროებში მოიპოვონ ის დიდი მიღწევანი, რასაც დღეს ჩვენ გერმანიაში ვიხილავთ.

ცხადია თვითეულ ერსა და სახელმწიფოს თავისი საკუთარი ეკონომიური პირობებიც ახასიათებს და ბუნებრივია, რომ ახალი გეზი ყველგან ისე იყოს შემოღებული და იმ ცვლილებებით, რაც მათ თავისებურობას უკეთესად მიუდგება.

ჩვენი, ქართველი ძალების უახლოეს მოვალეობას შეადგენს კარგად შეისწავლონ, რაც დღეს ამ სფეროებში სხვაგან კეთდება, მოიაზრონ: რა და როგორ უხდა იყოს ჩვენგან მიღებული, რაც იქ სახელმწიფოებრივ მართვაში, სოფლისა და ქალაქურ წამოწყებებში ხორციელდება.

ქართული სოფელი და ქართული ქალაქი, ის დედის ორი ძუძუა, რომლითაც ჩვენი ერის სახეიროდ გამოიზრდება ახალი საქართველო. წინათაც გვითქვამს და ეხლაც ვიმეორებთ: ვისაც ჩვენი სოფლის აყვავება სურს, — ქალაქს მიხედოს, და ვისაც ქალაქის ზრდა ენატრება, სოფელს მოუაროს...

ჩვენში ახლად დამყარებული ქალაქური ინდუსტრია განმტკიცდება საბოლოოდ და მკვიდრად, თუ სოფლის მეურნეობას იმ სიმაღლეზე ავიყვანთ, რომელსაც დღეს ჩვენ იმ სახელმწიფოებში ვიხილავთ, სადაც ეროვნული ეკონომიკის სვლა ხდება სახელმწიფოს უზენაესი ხელმძღვანელობით და კორპორაციების თვითმოქმედებით.

საქართველოს სინამდვილეში ისტორიულად აქვს ღრმა ფესვები გადებული ჩვეულებას, რომლითაც ხდება სასოფლო მეურნეობის წარმოება: ურთიერთის ფართე დახმარებით. ძველი ქართული ადათი ერთგვარი წინამორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედი ეტაპია ჩვენში საწარმოო კორპორაციებ-კოოპერაციების შემოღებისათვის.

გვახსოვს ოთხმოცდაათიან წლებში, თბილისში, სასოფლო მეურნეობის საზოგადოებაში, მაშინ ახალგაზდა აგრონომმა, გავაკეთეთ მოხსენება, სადაც ვამტკიცებდით, რომ ჩვენი სოფელი, მიუხედავად იმისა, რომ მას წვრილი მიწის მფლობელობა და მიწის მუშაობა ახასიათებს, ადვილად შესძლებს მეცნიერული აგრიკულტურის და გაუმჯობესებული ტექნიკის მოხმარებას, თუ შემოიღო საწარმოო კოოპერაცია, რაიც მას დიდი მამულების ყველა უპირატესობათა და, თანაც, დღეგრძელობასაც მიანიჭებს.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათის დროს ოპოზიცია მიმტკიცებდა რომ წვრილი სოფლის მამულები, როგორც წვრილი სახელოსნოები და ქარხნები კაპიტალის კონცენტრაციის პროცესით და წყალობით, უსათუოდ გაჰქრებიან და ამიტომ ამაო არის ცდა ქართული სოფლის დღევანდელი ხასიათის შენარჩუნებაზე ფიქრიო. იმ ახალგაზრდებს ვუმტკიცებდი მართლაც და ამაოდ, რომ სოფლის მეურნეობას თვისი საკუთარი, თანდაყოლილი თვისებები, ახასიათებს, რაიც მას ასხვაფერებს ქალაქურ ინდუსტრიასთან: მეცნიერება გვიჩვენებს რომ სოფლის მეურნეობა არის ორგანიული პროცესი; მაშინიზაცია ქალაქურ ინდუსტრიაში — კი მექანიკური და ამიტომ სოფელს შეუძლიან სულ სხვა, თავისებურის კანონით ზრდა და განვითარება. იმ კამათის შემდეგ ჩვენ ისე გავშორდით, რომ ჩვენი პოზიციები არ დაგვითმია. და აი ეხლა, ამ ჩვენი საკუთარი დღეების მიწურულებში, როდესაც ვეცნობი, რაც გაკეთებულა სხვაგან ახალი კონცეპციების და კორპორატიული წესების შემოღებით, კვლავ გვებადება იმედი და რწმენა, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა გამარჯვებული გამოვა იმ ჩიხიდან, სადაც ულმობელმა ისტორიულმა ამბებმა და მტრებმა მოგვამწყვდია.

ბედნიერება იქნება თუ ამნაირისავე იმედით გამხნევებულნი ჩვენი ახალი თაობანი, საკუთარის თაოსნობით და უნარით, სათანადო ცოდნით შეიარაღებულნი შესძლებენ ჩვენი სამშობლოს ახალ გზაზე დაყენებას და მით ხელს შეუწყობენ მის მატერიალურ და კულტურულ აყვავებას.

რომ სწორედ ასე მოხდება, ჩვენ ამაში ეჭვიც არ გვეპარება!..

გიორგი ჟურული.

ოქტომბერი, 1941 წელი.
ქ. პარიზი.

მ. წულუკიძის ხსოვნას

შორიდან, ბოდენის ტბიდან, მსურს მოგაწვდინო გამოსათხოვარი სიტყვა. საფლავთან ყოველი სიტყვა გულის უკანასკნელი სიღმიდან იშვის, ხოლო იგი უმწეოა

† მიხეილ წულუკიძე
(1887 — 1944)

მაინც. ჩემი სიტყვაც ასეთია. ძვირფასო მიშა! გულმართალი იყავ შენ და ნათელგონიერი, მშვიდი და წყნარი, თავაზიანი და მორიდებული, ხელგაშლილი და სტუმარმოყვარე. უხვად გქონდა შენ ქართული ხასიათის თვისება მომადლებული: სხვისი გახარება. შეხვედრისას ვინმესთან, შენ თვით ხალისი იყავ. ორმოცი წლის მანძილზე ჩვენი მეგობრული ურთიერთობისა — ლაიპციგში სტუდენტობის დროს, თბილისში სალიტერატურო სარბიელზე, განსაკუთრებით ჩვენი საყვარელი უფროსი მეგობარის გიგო დიასამიძის ოჯახში, ბერლინში გადმოხვეწილობის ხანაში — ყოველთვის და ყველგან შეხვედრა შენთან იყო ჩემთვის გადამახალისებელი და გამამხნევებელი. გიყვარდა შენი მშვენიერი ოჯახი, გიყვარდა შენი ერთგული მეგობრები — ხოლო ეს სიყვარული საზრდოს იმ სიყვარულისაგან იღებდა, რომლითაც შენ საქართველოსადმი იყავ ანთებული. აუტანელია ხვედრი გადმოხვეწილისა; თუ სიცოცხლე ძნელია უსამშობლოდ, სიკვდილი სამშობლოს გარეშე მწარეა მეტად. ვინც მოგვავლინა ამ სოფელს, მანვე უნდა გადაგვასვენოს მარადისობაში სათუთი სიყვარულით. უკუღმართი ბედი ამ ბუნებრივ აქტსაც სულის განტევებისა არ იმეტებს გადმოხვეწილისათვის. შენ, ჩემო მიშა, თითქო წინასწარ გრძნობდი ამ სიმწარეს. გასული წლის დეკემბრის 21-ს მწერდი: „ჰე, ჩემო გრიგოლ! ასე განახევრებული ვართ ყველა! და განსაკუთრებული სიმწვავით განვიცდი სწორედ ეხლა ჩვენს შორს საძშობლოს; ხშირად მაგონდება პოეტის სიტყვები:

შავი ზღვიდან წამოსულო, იმერეთის ქარო, თუ მაისის ქუთაისმა გკითხოს; ვისი ხარ-ო, უპასუხე, რომ სუნთქვა ხარ, არ კი უთხრა ვისი — თვით მიხვდება ქუთაისი, ჩემი ქუთაისი.

ამ სიტყვას მაინც მივაწვდიდეთ საქართველოს!“. აბოლოვებდი დანაღვლიანებული ლექსის სევდით ავსილ სტრიქონებს. ძვირფასო მიშა! უკანასკნელი სუნთქვა შენ საქართველოსადმი აღმოგხდა უთუოდ და მრწამს: იგი მისწვდება შენს მშობელ მიწას. იმ საიდუმლო უსაზღვროებაში, საცა შენ ეხლა იმყოფები, არა იკარგება-რა. ღმერთმა მოგცეს, ძვირფასო მეგობარო, ნათელი განსვენება მარადისობაში. მშვიდობით!

გრიგოლ რობაქიძე.

იუბერლინგენ ამ ზეე,
14. 8. 1944.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ წულუკიძე

კიდე ერთმა საზარელმა ამბავმა შეაურვა ჩემი სული,— დაკარგვამ ძვირფასი მეგობრისა, ჩემთვის ულრმესად საყვარელი ადამიანისა, მიშა წულუკიძისა.

მიშას საქართველოშიც ვიცნობდი, ხოლო აქ, ემიგრაციაში დავუახლოვდი მას და გავიცანი მასთან ხანგრძლივი დამოკიდებულებით მისი მშვიდი და დიდი ბუნება, მისი მომხიბლავი პიროვნება. ჩემთვის, დაღლილისათვის და ათასი მწარე ფიქრით და ეჭვით შეპყრობილისათვის განსასვენებელი ადგილი იყო მიშას სახლი, სადაც მეფობდა სითბო და სიყვარული ურთიერთისადმი მისი სახლობის წევრთა, გულ-უხვობა მასპინძლისა სტუმრისადმი, და ბუდობდა სული იმ ძველი ქართული კულტურისა, რომელიც საუკუნოებით, მამა-პაპათაგან მოაქვნდა, როგორც დიდ-გვარიანს წარმომადგენელს ძველი ქართველი არისტოკრატიისა, მიხეილ წულუკიძეს. — მეუღლე მიშასი, ქალბატონი ბადუ, ეს განსაცვიფრებელი ენერგიისა და გონების მქონე ადამიანი, ახალგაზრდობითგანვე მებრძოლი დიდ დაბრკოლებათა წინაალმდეგ, რომ თვისი სახლისათვის ღირსეული ცხოვრება მოეპოვებინა, დამხმარე და გულ-შემატკივარი ყოველი ქართველისათვის, ვინც კი მიმართავდა საშველად მის მეცნიერებას ან მის დიდი სიკეთით აღსავსე გულს, ბურჯი იყო და დამაშვენებელი მიშას სახლისა. და შვილი მიშასი, გოგია, გერმანულ-ფრანგული განათლებით აღჭურვილი, აქ, უცხოეთში დაბადებული და აღზრდილი, ხოლო შინ მშობლთაგან სულ-ჩადგმული და ქართველ მამულიშვილად მოწიფული, — გოგია, რომელიც თვისი სპეციალობის საგანთაგან უაღრესად დატვირთული დროსაც კი პოულობდა ჩემი ხელმძღვანელობით ძველი ქართული შეესწავლა მეცნიერულად და ამას თავის-თავად საგულისხმო და საჭირო საქმედ სთვლიდა, — იმედი იყო ამ შვენიერი სახლისა, განმგრძობი მისი სახსენებელისა და მამის ღირსეული გვარისა. მიშას ხშირი ავადმყოფობის დროს ქ-ნი ბადუ ისეთივე ენერგიით იბრძოდა ძვირფასი მეუღლის გადასარჩენად, როგორც ეს წესი იყო მისი მთელ მის ცხოვრებაში, და მას ჩემთვის უთქვამს ხოლმე: „არ დავზოგავ არაფერს, რომ ჩემ სახლს მისი უფროსი შევუნახოო“. და მართლაც სამჯერ იხსნა ქ-ნმა ბადუმ მიშა სიკვდილისაგან, ხოლო უკანასკნელად ჩვენ ჩვენდა სატირლად გამარჯვება მაინც უწყალო სიკვდილს დარჩა. და მე მესმოდა აზრი მიშას მეუღლის იმ თავ-განწირული ბრძოლისა და ახლაც ყველა გაიგებს მას, ვისაც ოდესმე უგრძნია სითბო, გამომავალი მიშას კერითგან და მის ირგვლივ განუცდია სიამოვნება, სიმშვიდე და მოსვენება სულისა, ახსოვს საუბარნი, მსჯელობანი ბევრ საკითხზედ ჩვენი ცხოვრებისა მიშასთან და მისი სახლის წევრებთან ერთად და სხვა ბევრი რამ კეთილი. დღეს ამ კერის ერთი მხარე დაინგრა და მე ამას გულით ვსტირი და, ვიცი, სტირს ყოველი ქართველი, ვისაც ეს კერა უყვარდა.

მაგრამ მიშას დაკარგვა არა მარტო ჩვენთვის, მის მეგობართათვის და ჩვენი ემიგრაციისათვის არის დიდი დანაკლისი, არამედ მთელი ქართველი ერისათვის. საქართველომ დაჰკარგა რწმენის კაცი, განსაზღვრული მსოფლიოს — ხედვის ერთი გულ-ფრფელი აღმსარებელთაგანი, რომელთა მოღვაწეობა მთელი ეპოქა იყო საქართველოს ცხოვრებისა. ხოლო მიშა იყო მათ შორის ერთი უპატიოსნესთაგანი, უგონიერესთაგანი და უმტკიცესად ქართულ ნიადაზედ, ქართველ მამულიშვილობაზე მდგომი. ეს მან დაამტკიცა თვისი საქმით, სიტყვით და კალმით. ამისთვის მას განათლებაც შესწევდა, ენერგიაც და სულისა და გონების კულტურაც. იგი არ იყო ხნით დამაშვრალი და კიდე შესძლებდა თვისი ღვაწლის ნაყოფიერად განგრძობას, და უდროოდ წარტაცება მისი დაუნდობელი სიკვდილის მიერ ატკენს გულს მიშას თანამოაზრეთა და მთელ ქართველ ერსაც: პირველთ დაჰკარგეს ერთი საუკეთესო ამხანაგთაგანი მათი, ხოლო უკანასკნელმა ერთი საუკეთესო შვილთაგანი, მხურვალედ მოყვარე თვისი და მისთვის მუდმივი მოღვაწე.

ამიტომ მივუძღვნათ ძვირფასი მიშას სახლობას ჩვენი დიდი სამძიმარი და ვანუგეშოთ იგი, გავამხნევოთ, რათა არ ჩაქრეს მიშას ბრწყინვალე კერა; ვუსურვოთ მიშას თანამოაზრეთ, რომ ყოველი მათგანისათვის მიშა ყოფილიყოს მისაბაძი მაგალითი კეთილშობილობისა და ქართველობისა; და პატივი ვსცეთ მიშას ხსოვნას აქ, უცხოეთში, როგორც ერთმა ნაკვეთმა ქართველი ერისა.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ძვირფასო მეგობარო!

მ. წერეთელი.

შვაბ ცენფელდი, 18. VIII. 1944.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისიდორე მანწკავა

ისიდორე მანწკავა ეკუთვნოდა ჭაბუკთა იმ თაობას, რომელიც 1924 წლის აჯანყებისათვის ემზადებოდა და იარაღით ხელში რუსეთის საქართველოდან გაძევებას



† ისიდორე მანწკავა
(1900 — 1944)

ლამობდა; მებრძოლი თვალი მან გაახილა საქართველოს თავისუფლების ხანაში; ჭაბუკური აღფრთოვანებითა და გატაცებით შეიყვარა მან საქართველო თავისუფალი და თავისად გაიხადა იგი. ეს სატრფო მან დაჰკარგა და მისი სიკვდილის უბედურება მას თვალწინ გადაეშალა. საქართველოს თავისუფლების სიკვდილის სინამდვილეს იგი მწარედ განიცდიდა და მისებრ ჭაბუკებთან ერთად ამ სინამდვილის წინაშე დიდი საკითხის წინ დადგა: მივუტოვოთ სამშობლო დამპყრობელთ, ვინაიდან იგი ძლიერია? არა! და აქ იწყება მეგობრებთან ერთად ბრძოლა დამპყრობელი რუსეთის წინააღმდეგ, ჯერ ღიად და აშკარად: სტუდენტურ და პარტიულ ორგანიზაციებში; მერმე, როცა ჩეკა სასტიკად ამოქმედდა, მალული მუშაობითა და ბრძოლით. ისიდორე მანწკავა იყო მოქმედი წევრი ამ ფარული მუშაობისა და იგი ჩეკის კლანჭებს ვერ ასცდა: დაიჭირეს და ჩეკაში მრავალგზის წამების შემდეგ, მეტეხის ციხეში გამოამწყვდიეს. მეტეხის ციხე მაშინ მებრძოლი საქართველოს ტვინი და გული იყო; სირცხვილად ითვლებოდა ჭაბუკისათვის იმჟამად ეს ეროვნული ბრძოლის აკადემია არ გაევლო. ისიდორე მანწკავაც მეტეხის ციხის — ამ ქართული ეროვნული ბრძოლის მმართველის — ახალგაზრდა წევრი იყო და იმ საჭირბოროტო საკითხთა დამუშავებაში მონაწილეობას ღებულობდა, მაშინ რომ მეტეხის ციხეს აწვალებდა: ეროვნული ბრძოლის მიმართვისა და აჯანყების მწვავე საკითხი. და როცა აჯანყება დაიწყო, — ისიდორე ისევ მეტეხის ციხეში, იყო დამწყვდეული; ციხის საკანიდან გამოჰყავდათ ტუსაღები და მიჰყავდათ დასახვრეტად; არა გვარების მიხედვით, არა დანაშაულის მიხედვით... არამედ ყველა, ვინც განწირულ საკანში იმყოფებოდა; ნომრებით ჩამოჰყვნენ ჩეკისტები საკნებს... და ასე გაგრძელდა სამი დღედაღამე... ისიდორე მოწმე იყო ასეთი განუკითხავი ჟლეტისა და იგი, მისი საკანი, მასთან გამომწყვდეული ყველა, წუთებით აღსასრულს მოელოდნენ; ციხის ეზოდან მოისმოდა საბარგო ავტომობილთა ხრიალი, მოტორების გუგუნი... ციხეში და საკნებში გაისმოდა მწარე ყვირილი, გინება... მთელი ციხე ღრიალებდა... გაჰკივოდნენ ეროვნულ ჰიმნს: „დიდება"!.. წყევლა-კრულვას უგზავნიდნენ მრისხანე ჯალათებს... ურტყამდნენ წიხლს კედლებს და კარებს... იყო ჯოჯოხეთური ამბავი... მაგრამ ჯალათებმა იცოდნენ კარგად: — ისინი ხვრეტდნენ და სრესდნენ საქართველოს საუკეთესო შვილთა ტვინსა და სჭყლეტდნენ მათ გულს, — ეს იყო დაუზოგველი და შეუბრალებელი ამოწყვეტა და ამოჟლეტა ქართველი მებრძოლი ინტელიგენციისა. ისიდორე მანწკავაც უცდიდა თავის უკანასკნელ წამს და ეს მოლოდინი ალბად საუკუნეთ უდრიდა: ჯერი მიდგა იმ საკანზეც, სადაც იგი იჯდა... სწორედ მაშინ შესწყდა ტუსაღების ხვრეტა: — სრულიად შემთხვევით გადავრჩი! ბედი მქონია: სიცოცხლე მოვიგე და აწ დიდხანს კიდევ ვებრძოლებო, — იტყოდა ხოლმე იგი. და ეს თქმა ჭეშმარიტება იყო, ვინაიდან ისიდორეს ჰქონდა ნიჭი და ტემპერამენტი ბრძოლისა.

მეტეხის ციხიდან განთავისუფლებული, ვით მოუსვენარი მებრძოლი, ისიდორე კვლავ ჩაება არალეგალურ მუშაობაში, რომელიც იმჟამად ცოტა დამცხრალი იყო და მიადგა კიდეც მეორედ სიკვდილის ნაპრალს, ვინაიდან ისევ ჩეკაში მოხვედრა ნიშნავდა; ან დახვრეტას, ან კონცლაგერში ან შორეულ სამუშაო ბანაკში გადაგდებას, საიდანაც ბევრზე ბევრი აღარ დაბრუნებულა, — და მან აირჩია სხვა გზა გოლგოთისა, — ფეხით გადმოიარა აჭარის მთები, ოსმალეთი და შეუერთდა საფრანგეთში მყოფ ქართულ მებრძოლ ემიგრაციას, რომლის მომქმედი წევრიც იგი შეიქმნა.

პირველად იგი ვნახე ერთ-ერთ კრებაზე, სადაც აჯანყების გარშემო აზრთა სხვადასხვაობისა გამო დიდი დაჯახება იყო. მისმა მსჯელობამ ჩემი ყურადღება მიიზიდა: დინჯად, აუღელებლად იხებოდა იგი საკითხებს და მტკიცე ლოგიკით სინჯავდა მათ: ეს მომეწონა და აქედან დაიწყო ჩვენი დაახლოება. პარიზს მეც ბერლინიდან ახალი ჩასული ვიყავი და იგი ხშირად გამოსთქვამდა უკმაყოფილებას იმის გამო, რომ პოლიტიკურ გაზეთებს გარდა, ჩვენ არა გვქონდა სალიტერატურო კრებული. ისიდორესა და მის მეგობარ ედუარდ პაპავას დაჟინებით, დავთანხმდი გამოგვეცა „კავკასიონი", თუმცა კარგად მესმოდა, რაოდენ ძნელი იყო ამ საქმის გაძღოლა: უსახსრობისა გამო. მაგრამ ისიდორე, ედუარდი და მათი ამხანაგები დატრიალდნენ, საღამო მოაწყვეს, ფული შეაგროვეს და „კავკასიონის" გამოცემას შეგუდექით; დიდ დაბრკოლებათა გადალახვით: შვიდი წიგნი გამოვეცით; ისიდორეს პირველი წერილის წაკითხვისას დავრწმუნდი, რომ იგი ლიტერატურ-კრიტიკოსის ნიჭით იყო დაჯილდოებული, და ეს ჩვენთვის ძვირფასი იყო, რადგან ამ დარგში მეტად ღარიბი ვიყავით. მისი ენა და წინადადება იყო დახვეწილი, სადათ გამოკვეთილი, მოკლე და დასრულებული, საბუთიანი; მას ჰქონდა თავისი, საკუთარი სტილი და საქმიანი. მიდგომა ვასარჩევ საკითხისადმი. ლიტერატურის დარგში, მან გამოსცა მოწონებული წიგნაკი: ქართული აზროვნების ისტორიიდან მე-19 საუკუნეში. ამ ლიტერატურული მუშაობის გარეშეც, — პოლიტიკურ ასპარეზზე ერთმანეთს დაუახლოვდა ჩვენი აზროვნება და იმ ეროვნულ საკითხთა გამო, რომელიც ემიგრაციას აწუხებდა, ჩვენ ერთი შეხედულებისა გავხდით, ამიტომ მუშაობასაც ერთად ვეწეოდით. ამის შედეგად იყო, ჩვენ ავირჩიეთ ახალი პოლიტიკური გეზი და შევქმენით ახალი დაჯგუფება, რომლის გამომსახველი იყო საპოლიტიკო კრებული „ორნატი". თუმცა ისიდორე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილიდან საღამომდე შეუჩვეველი მძიმე შრომით ქარხანაში, მეტად იქანცებოდა, მაინც მას იმდენი უნარი და სურვილი ჰქონდა, რომ იგი სალიტერატურო და პოლიტიკურ ასპარეზზეც მოღვაწეობას ახერხებდა და ყოველთვის პირველ რიგში იდგა.

„ორნატ"-ის შვიდი რვეულის გამოცემის შემდეგ ჩვენ ერთმანეთს დავშორდით; მან თავისი გზით განაგრძო მოღვაწეობა და დააფუძნა პარიზში ახალი ორგანიზაცია, ყოველი პარტიული ჩარჩოების გარეშე ყველა ძალთა გაერთიანების პროგრამით.

ომის ხანაში ყველაფერი შესწყდა, მაგრამ ისიდორეს ეხლა მუშაობა სხვაგან ეწყება. იგი ასწავლის ქართულ ენასა და ქართულ მწერლობას პარიზის ქართველ ახალგაზრდებს და თავის სიყვარულს ქართული სიტყვისადმი შთააგონებს მათ. მისი ფიქრი და ზრუნვა, მისი გონება და გული საქართველოს განთავისუფლების საკითხებს დაჰფოფინებდა, — და რუსეთთან ომის დაწყების შემდეგ იგი იქ გაჩნდა, სადაც რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა იყო გამართული. მაგრამ გერმანიაში ჩამოსვლამდე, მან დიდი ენერგია დახარჯა თავის მეგობრებთან ერთად იმ ერთობის შესაქმნელად, რომელსაც იგი მუდამ ეტრფოდა. ბერლინშიც ამავე გზით განაგრძო მან მოღვაწეობა. მერმე იგი ქართული წიგნის გამომცემლობას ჩაუდგა სათავეში; ამასთან ერთად კითხულობდა მოხსენებებს ჯარისკაცთა შორის ქართული ლიტერატურისა და აზროვნების ისტორიის საკითხთა შესახებ; თანამშრომლობდა „ქართველ ერ"-ში და ამზადებდა გამოსაცემად თავის წიგნსაც, რომელიც ამჟამად უკვე აწყობილია დასაბეჭდათ: „ქართული კულტურის გზები". მისი უკანასკნელი წერილი (ი. გურულისა): „საბჭოთა რეჟიმის რაობა" ასე თავდებოდა: „მაშ როგორ მოხდა, რომ ასეთი უცნაური და საშინელი რეჟიმი კიდევ ფეხზე სდგას? დღევანდელი ომის მთელი სიმძიმე გადაიტანა და შიქნით ყველაფერი თავის ადგილას არის? ან მე ვაჭარბებ ანდა აქ კიდევ სხვა მიზეზებია, რომელსაც უნდა გავეცნოთ. ამაზე შემდეგ". სავალალოდ, „ამაზე შემდეგ" მას აღარ დაუწერია და თავისი მკვეთრი მოსაზრებანი საფლავში თან ჩაიტანა; ვერც თავისი წიგნის გამოცემას მოესწრო და ვეღარ იხილა უღრმესი სიყვარულით დაწერილი თავისი სტრიქონები.

ერთჯერ დაბომბვაზე ბაასი ჩამოვარდა და მან სიცილითა სთქვა: — სადა მცალია, კაცო, სიკვდილისათვის, ჯერ რამდენი საქმე მაქვს გასაკეთებელიო! დიაჰ! მას არ ეცალა სიკვდილისათვის, რადგან დატვირთული იყო სიყვარულით ქართული საქმისადმი და საქმიანობდა სიყვარულით; გარნა მოიცალა თვით სიკვდილმა მისთვის... მოულოდნელად ლოგინად ჩავარდა; არავის სჯეროდა, რომ ეს ჯანმრთელი ადამიანი ავად იყო, და როცა ექიმებმა გამოარკვიეს მისი მძიმე სნეულება (კიბოს დაგვარი), ყველა მისი ნაცნობი ღრმად შეწუხდა; მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავდით, იგი მძიმე ოპერაციას გადაურჩებოდა. ოპერაციის შემდეგ, გამოფხიზლებისას, ისიდორეს სიტყვა საქართველოს, ქართულ წიგნს, ქართულ ჟურნალს და მეგობართა ხსენებას ეხებოდა და სიტყვათა შემდეგ ამ ფიქრში მიიძინა სამუდამოდ. გარდაიცვალა იგი ზალცბურგ-ის ახლო, ბადიშლ-ში. დაასაფლავეს იქვე: თოვდა და ჰქროდა ქარი, ხოლო გერმანელი მღვდელი უკანასკნელ სიტყვას ეუბნებოდა გარდაცვალებულ მებრძოლს და დამსწრე გერმანული ჯარის ერთეულს განუმარტავდა, თუ როგორი მებრძოლი შვილი დაჰკარგა თავისუფლებისათვის მებრძოლმა საქართველომ; ხოლო ქართველი მეგობრები-კი ქვითინებდნენ.

ვ. ნოზაძე

1944 წ. ნოემბრის 20, ბერლინი.

სტეფანე კასრაძე

ბ ა ჯ ა დ ო

— მეტი არ აუდგათ გვერდები! მე ამ საღამოსვე ტფილისში მივდივარ! — ვთქვი თუ არა ეს, ხელათვე მომაგონდა ჩიტო, რომელიც უნდა დამეტოვებია, რატომღაც მომაგონდა აგრეთვე ნიკა.

— არა შვილო, შენ უნდა გამოცხადდე, იმიტომ რომ ოლია, ხომ იცი იმალება, მას მხოლოდ ხვალ საღამოს უშოვნიან ბინას და შენ რომ არ გამოცხადდე, ჩეკა ისევ მოგვაკითხავს და ოლია ვერ გადარჩება —

მე ერთი-ორი აღელვებული გავიარე ოთახში:

— გაგვეჭირეს, მამა, საქმე ამ სოციალ-დემოკრატებმა — დავიძახე ოლიას გასაგონად, რადგან ოლია და ჩემი დაი სოციალ-დემოკრატები იყვნენ.

— რაო ბიჭო, რაო!? — მეკითხება ოლია მეორე ოთახიდან..

— არაფერი, ქალბატონო ოლია. მე ხვალ მართალია გამოვცხადდები ჩეკაში, მაგრამ შეგიძლიათ მენდოთ, რომ თქვენს შესახებაც გამოვაცხადებ და თქვენც იქ მობრძანდებით! —

ოლია იცინის.

მე არ ვიცი, ბაბი დაიჭირეს ჩემს გამო, თუ მე მიჭერენ ბაბის მიზეზით. ყოველშემთხვევაში ბაბის არაფერი არ დაემართება, მე-რაც უნდა ის მომივიდეს, მაგრამ ედიკოს რომ რაიმე დაემართოს, ერიჰაა! საჩქაროდ დავწერე წერილი:

„ედიკელა! წუხელის ჩეკა გვეწვია და სახლი გაგვიჩხრიკა.

წაიღეს შენი სურათი და ძალიან ძიობდნენ შენს მისამართს, რომელიც ჯერ არ იციან. მე და ბაბი დატუსაღებული ვართ. იქონიე თადარიგი. ყველანი კარგად ვართ. მამა მხნედაა.

იყავი მშვიდობით ედიკელა! გაკოცებთ ყველანი. ბაჯადო" —

ედიკელა ჩემი ძმაა, აგრეთვე მეგობარია და ამიტომ მის წერილს ვწერდი ღიმილით, თითქოს ველაპარაკებოდი. ნამდვილი სახელია მისი ედუარდი. ბავშობისას მას ვეძახდით ედიკოს და შინაურობაში, გასაჯავრებლად ედიკელას. რა გაიზარდა, სახელი ედიკელა შერჩა, როგორც გამოხატულება უნაზესი გრძნობების.

„და მართლაც ედიკელა! თქვენ შორის და თქვენის წყალობით (მშობლებისა, შენი და ბაბის) ვცანი მე, თუ რამ ადამიანობაა ჩემში და თქვენი ჩემდამი სიყვარულის ძალით, გაიფურჩქნა ყველა ჩემი ნიჭი სიყვარულისა და სხვა გრძნობები.

მშვიდობით იყავ ედიკელა! გამარჯვებით ედიკელა!"

წერილი მამას გადავეცი. უნდა მიეტანა ალიკოსათვის, რომელიც გავიდოდა საფურზე და ვინმე სახლო პირს, ტფილისში მიმავალს, ჩაბარებდა, ძმისათვის დაუყოვნებლივ გადასაცემად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეხლა დავწვეთ მამა! —

— დავწვეთ შვილო! — მამა დაღონებულია. მე ვამთქნარებ; ეს მთქნარება მამის დასამშვიდებლად გამოვიგონე და ვთხოვ, რათა ხვალ დილას ძალიან ადრე არ გამაღვიძოს.

— ძილი ნების, მამა — ვთქვი მე და მამას ვეამბორე.

— შვილო ბაჯადო, დაგლოცა ღმერთმა!.. —

მამის ოთახი სამზარეულოს გვერდითაა, რადგან მამა ჰფიქრობს, რომ იგი უფრო თბილია.

მამა მიდის თავის ოთახში.

— ძილი ნების, ქალბატონო ოლია! — ვიძახი მე და ვაქრობ სინათლეს. პასუხი არ არის და რადგან ასეთი უპასუხოდ დარჩენა ადამიანს, რაღაც დაუკმაყოფილებლად სტოვებს, მე უპასუხებ ჩემს თავს მის მაგივრად: — გვძინავს ბატონო, გვძინავს! —

— რა დროს ძილია შე ქერქეტო! — არ სძინებია.

— მაშ, ოცნებობთ! —

— არაფერია! — ამბობს ოლია — ჩეკაში ჯდომა ბრძოლის ხალისს შეგმატებს —

ეს ჩემი პასუხი არ იყო, მხოლოდ ისე ითქვა, რომ ცხადია, ოლიამ თავისი ფიქრები ხმა მაღლა გაგრძელა.

„ყოჩაღ ქალო!" გავიფიქრე მე. ხელათვე ჩამეძინა.

კარგადაც არ იყო გათენებული, ჩეკაში რომ გამოვცხადდი. ვიღაც ერთი შეიარაღებული ვნახე და წარუდექი:

— მე ესა და ეს კაცი ვარ, გამოვცხადდი — მან მითხრა მომეცადა. მეორეს წარუდექი. იგივე პასუხი. ეს გამოდიოდა სასაცილო, არავის არ სურდა ჩემი დატუსაღება და მე გულში ვიცინოდი:

„ეხ ოლია, ოლია! თქვენ რომ არ ბრძანდებოდეთ სახლში, მე არ ვიქნებოდი აქ ხელგაწვდილი, რათა ღვთის გულისათვის დამატუსაღონ!"

ბოლოს, იქნებოდა საათის 10, მოვიდა იონა თავაძის თანაშემწე, მოქალაქე ანდრეევი და გუშაგს უთხრა:

— საერთო საკანი! —

გუშაგს გავყევი. საერთო საკანი იყო საკმაოდ ფართე ოთახი, ნახევრად სარდაფი. კარები გადარაზული იყო რკინის ურდულით. იდგა თოფიანი გუშაგი. საკნიდან მოისმოდა მრავალთა ხმა, მაგრამ დაიწყეს თუ არა გუშაგთ კარების გაღება, ხმები მიწყნარდა.

ნამეტარი განცვიფრებული, თანაც ნასიამოვნები დავრჩი, რა საკანში შევედი. აქ იქნებოდა დაახლოებით ოცი-ოდე კაცი; მაგრამ ვინ გინდათ აქ რომ არ იყო! ნავთსადგურის მტვირთველი მუშები, რკინისგზელები, ერთი მასწავლებელი, ერთი ვექილი, უბრალო მოქალაქენი, სულ ყველა ადგილობრივი მკვიდრი, რომელთაც ბევრჯერ შეეხვედრივარ ქალაქში და თუმცა უმრავლესობას არ ვიცნობდი, მათი სახეები ნაცნობი იყო ჩემთვის. მათ იწყეს ღიმილი და ყოველი მათგანი მომესალმა:

— აჰა ბაჯადო! —

— ბაჯადოს ვახლავართ! —

— ბაჯადოს გაუმარჯოს! — ყოველმხრივ გაისმოდა ძახილი და მათ ძახილში მესმოდა მოფერება. ბევრნი ჯერ კიდევ არ ამდგარიყვნენ და ნარებზე იწვნენ. მე მათ მივესალმე. მხოლოდ ერთ ბნელ კუთხეში, მომეჩვენა თითქოს ვიღაც მეტის-მეტად მიღიმოდა და ის უნდა ყოფილიყო ნაცნობი. მოღიმარი უეცრად წამოდგა და ნარიდან გადმოხტა. მე წამოვიძახე:

— ბიჭოს, ტიტე! — რადგან იგი ტიტე იყო.

ტიტეს, მეტის-მეტად ნასიამოვნებს ჩემის მისვლით, უხმო სიცილისაგან კისრის ძარღვები გამოსჩენოდა და პირი დაეღო. მან ხელი მომხვია და აღფრთოვანებით სთქვა:

— ბაჯადო! — შემდეგ კიდევ სთქვა: — აქაც ვიცხოვროთ ბაჯადო! —

ტიტე მოეყვანათ დილის სამზე.

არ გაევლო ნახევარ საათს, რომ საკანში შინაური კაცი ვიყავი. ნარზე, ტიტეს გვერდით მომეცა ადგილი. მე და ტიტე ვწევართ. ტუსაღები აბოლებენ თუთუნს. ისმის განუწყვეტელი ხუმრობა და სიცილი.

ფართე ფანჯარა დარკინულია. ფანჯრის რაფაზე აწყვია სასმელ-საჭმელი, რომელსაც პატრონობს ერთი პატარა მამაკაცი. მას გრძელი თმა აქვს. ტიტე მიხსნის:

— ეს არის ჭად-კომი. პირადი გადმოცემა ერთად გროვდება და ყველაზე ნაწილდება —

— ეს კარგია — ვამბობ მე — და სწორედ საჩემო, თორემ მამა სახლში მარტო დარჩა და ვეჭვობ, მან რაიმე მოახერხოს.

— კი მაგრამ თქვენი დაი სადაა?! —

— ჩემი დაი, ისე როგორც სხვა ბევრი, წუხელის იონა თავაძის ბადეში მოხვდა და აქ ბრძანდება — ჭად-კომი იძახის:

— ეგერ ბაჯადო შენი დაი! — ისე იძახის ამას ჭადკომი, რომ ემჩნევა იგი და ბაბი პარტიული ამხანაგები არიან, ერთმანეთს იცნობენ. ტუსაღები ფანჯარასთან მოგროვდნენ.

ტალახიან ეზოში, რომელსაც ქვის მაღალი გალავანი ერტყა, სასეირნოდ გამოეყვანათ ჩემი დაი და ერთიც უცნობი, ხნიერი მანდილოსანი. ქალებს წარბები შეეკრათ და უკმაყოფილო სახით მიმოდიოდნენ. მე მინდოდა ფანჯარა გამეღო და ჩემს დას მივსალმებოდი, მაგრამ ჭადკომმა, რომელიც ამავე დროს მამასახლისიც იყო, ნება არ დამრთო, რადგან ამ დროს, ჩვენს ფანჯარასთან იდგა თოფიანი გუშაგი. ისე უცქეროდნენ მანდილოსნებს ტუსაღები, რომ ნამდვილად ჩემი დაი მოხდენილი უნდა ყოფილიყო და თუ ამას (დის მოხდენილობას) ასე საეგებიოდ ვამბობ, იმიტომ რომ ძმა, დის სილამაზეს ვერც ჰხედავს და ვერც აფასებს და ამაში გასაკვირი არაფერია.

ქალებმა სეირნობა გაათავეს და ბატონი ალექსანდრე ისევ აბორგდა; ეს იყო მეორე აბორგება ბატონ ალექსანდრესი, რომელიც აცხადებდა, რომ ის მონადირეთა კავშირის თავმჯდომარეა, კლუბის გასაღებები მას აბარია, ხოლო კლუბში აწყვია თოფის წამალი, საფანტი და ყველაფერი ის, რაც მონადირეებს ძალიან სჭირიათ და რომ ყველაფერი ეს დაუშვებელია!

ბატონი ალექსანდრე იყო ხნიერი ადამიანი, ბოხი ხმის პატრონი, ეცვა ჩოხა-ახალუხი და თავს ეხურა ბუხრის ქუდი. მისი მღელვარება, ტუსაღებში იწვევდა წრფელ სიცილს, რაზედაც მას გული არ მოსდიოდა. რამდენჯერმე უთხრა მას ვექილმა:

— კრებაზე რომ საქმეს მიჰირვებდი: ამხანაგო, ფაქტიური შენიშვნა და ფაქტიური შენიშვნა, აი შენ ეხლა ფაქტიური შენიშვნა! —

ვექილი ნიშანს უცდიდა. ამაზე ბატონმა ალექსანდრემ უპასუხა ვექილს:

— მერე რა, ბიძია, შენ უკეთეს მდგომარეობაში ხარ თუ? —

საკანი იცინოდა. საზოგადოდ ყველაფერზე იცინოდა საკანი, რადგან თვის არსებობის მეორე წელში გადასული მთავრობა, ჯერ კიდევ განმტკიცებული არ იყო, ჰფიქრობდნენ რომ ის ადვილად დაიშლებოდა, ერთი სიტყვით არ იყო საჭირო დაღონება.

ბატონი ალექსანდრე ადვილად მშვიდდებოდა და აღშფოთებიდან პირდაპირ გადადიოდა „ჩვენ მშვიდობა"-ზე, რომელსაც ის იწყებდა თავისებური ბოხი ხმით. კარგად მღეროდა საკანი. მხოლოდ ბატონ ალექსანდრეს, ხმაზე და ერთობ სიმღერაზე ეტყობოდა, რომ ის უნდა ყოფილიყო (სულ უკანასკნელი რომ ითქვას!) ალალი და არა ნამეტანი ბრძენი კაცი.

სიმღერა მოთავდა და როდესაც საკანს სიცილი შემოაკლდა, ვექილმა უთხრა ალექსანდრეს:

— ბეჩავო ალექსანდრე, ჩემო ამხანაგო ალექსანდრე! გამომდგარხარ აქ და მე მიმტკიცებ, ესა და ეს ვარო. რათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდა მე! ისედაც ვიცი. შეუთვალე იონა თავაძეს შე კაი კაცო, იქნებ მართლა გაგანთავისუფლოს!.. —

საკანი გატვრენილია და გულში იცინის, რადგან ჯერ კიდევ საკითხია, გაბრიყვდება თუ არა ბატონი ალექსანდრე. ბატონი ალექსანდრე თვალებს ატრიალებს:

— მართალია, მართალია! — იძახის იგი. საკანი უდასტურებს. მალე ბატონ ალექსანდრეს სიტყვიერი განცხადება, გუშაგის საშუალებით მიდის საგანგებო კომისიის თავმჯდომარესთან, რომელიც გუშაგის საშუალებითვე უპასუხებს: — მანდ იჯდეს წყნარად, თორემ უარესად დაისჯებაო! — საკანი ხარხარებს.

ასე მოიწია სადილობა. მე მერგო უსასყიდლო სადილი, რადგან მამისაგან მოვიდა ერთი „გადმოცემა“ და ის წაუღეს ჩემს დას.

ერთი კვირის შემდეგ, ვექილი და ბატონი ალექსანდრე გაანთავისუფლეს. ჩემი დაც გაანთავისუფლეს. მე ეს მიამა უმეტესად მამის გამო, რომელიც უთუოდ სამზარეულოში ცეცხლზე მიმდგარი, ხშირად წამოიწყებდა დაბალ ღიღინს, რაიც შემცვლელი იყო ვაჯავრებულ ფურთხებისა, რადგან „ადამიანო, გულისწყრომის გამოჩენა არ ვარგა, იგი ამცირებს კაცის ღირსებას!“

ჩვენი საკნიდან ბევრი წავიდა, განახევრდა საკანი და მოგვცა არე.

მომაბეზრებელია საკანში ჯდომა. ჩვენ ვერთობოდით სიმღერით, სხვადასხვა ძველი ამბების მოსმენით, რასაც დრო გამოშვებით წამოიწყებდა რომელიმე ტუსაღი და იმ სათამაშოებით, რაიც ცნობილია ყველა ტუსაღისათვის და რაიც ერთი და იგივეა ყველა სატუსაღოში. ასეთია მაგალითად ხელის გულზე ცემა, ბნედა და სხვა.

ბაბი რომ გაანთავისუფლეს მას შემდეგ, მე ვღებულობდი რიგიან საჭმელს. ერთჯერ მე და ტიტეს მოგვივიდა საგანგებო სადილი და ნამცხვრები, რომელიც გამოეგზავნათ ჩიტოსა და მანანას. ჩვენ ვადავსწყვიტეთ, რომ უთუოდ სადმე წერილიც იქნებოდა ჩამალული და მართლაც, სოხვის ფოთოლში აღმოვაჩინეთ იგი. ქალები გვწერდნენ:

— ორივეს გაკოცებთ ორივენი. ჩიტო და მანანა. — ეს ჩვენ ძალიან გაგვეხარდა, მაგრამ ამის შემდეგ უფრო დავღონდით. მესამე თვეა ვიჯედით. გაზაფხული იწყებოდა და ფანჯრიდან ვხედავდით ამწვანებულ ხეებს და ლაჟვარდ ცას. ამასვე ვხედავდით, როდესაც გამოვყავდით სასეირნოდ. ჰაერში ტრიალებდა სულნელება იასამანის, რომელსაც ახლო-მახლო მართალია ვერ ვხედავდით, მაგრამ უთუოდ მერხსიერებაში აღვიდგენდით, გასულ წლეების ძიხედვით.

ყველაფერი ეს, შესაფერ განწყობილებას გვიქმნიდა ტუსაღებს. მე ვფიქრობდი უბრალოდ: „გამიშვით გარედ! მე გავიარ ამ ქვეყნად, ვინახულებ ყველას და რასაც ჩავიდენ, ფიქრით, სიტყვითა თუ საქმით, ყველაფერი იქნება სიყვარულისა და არა სიძულვილის! ასე ამბობდა ერთჯერ თომა ფერეული თავის კარავში; ეხლა მე ვიმეორებ, შეუძლებელია ეს იყოს საზოგადოებისათვის მავნე და აკრძალვა ამისი არის უსამართლობა!

უსამართლობა? სამართლიანობა!?

ნეტავი მაცოდინა რა არის ან ერთი, ან მეორე!“ —

მე და ტიტე ერთმანეთს უზიარებდით ჩვენს გულის ნადებს, ისეთსაც კი, რაიც ხშირად ჩვენთვისაც ბუნდოვანი იყო და ენით ძნელად გამოითქმოდა.

პოეტები ისეთი ხალხია, რომელნიც თავისი აღმაფრენის მიზეზს ყოველ პირობებში პოულობენ, ან ცდილობენ იპოვონ. ტიტემ მოიწყინა. დადუმდა და მე მომეჩვენა, თითქოს იგი, გულის ყურით ჩაიძირა თავის არსებაში, სადაც რაღაცას ჭვრეტდა თუ ისმენდა.

უმჯობესია ასეთ დროს კაცს მოეშვა, ხელს არ უშლიდე. ასე დაჰყო ტიტემ მთელი ათეული დღე; ბოლოს მეტად გამხიარულდა, თითქოს განვლილი ჰსურდა აენაზღაურებია და ჩვენ გამოგვიცხადაა, რომ მან დასწერა იონა თავაძესადმი ულტიმატუმი, რომელსაც წაგვიკითხავდა ამ საღამოს.

„შენ რომ ჩემი პატივისცემა არა გაქვს, ეს ვიცი იონა თავაძე! — სწერდა ტიტე — მაგრამ გამკვირვებია, თუ რატომ არ გეშინია ჩემი! ელოდე ამ დღეებში: ფიჩორიდან დაიძრებიან ველურ იხვებისა და გედების შეიარაღებული გუნდები! ზღვით მოგადგება ელვისებური კიფლები და საზარლად მქშინავ ვეშაპთა უამრავი რიცხვი, ხოლო ხმელეთით, მთებიდან დაძრული მოისწრაფიან ტურები, მგლები და ირმები! ადამიანი ვერ აღუდგება მათ! თქვენ განწირული ხართ! და ვეძლევი განცვიფრებას, ქვეყნიერება სწუხს, რა ესმის მათი მოახლოვება, თქვენ კი, არაფერი გეყურებათ! აჰა, ხელები დამიბანია! არაფერი მომეკითხოს იმის გამო, რომ უსამართლოდ შემიპყარ და აქ მამყოფებ“ —

ეს იკითხებოდა ლექსად; გაცილებით ვრცელი იყო ვიდრე აქ არის მოყვანილი და მისი მსმენელნი დავრჩით მოხიბლული. არაფერი არ აკლდა ლექსს; არც ფერების მოულოდნელობა, არც შინაგანი ძალა და მიუხედავად სისადავისა, იგი ჰქმნიდა წარმოდგენებს იმდენად ძლიერს, რომ გვეჩვენებოდა ბუნებრივად, სინამდვილის ზღაპარში გადასვლა. პოემის კითხვამ მთელი საღამო შეგვიქმნა. ტიტე, ქაღალდის ნაგლეჯებით ხელში, საკნის შუა გულში იდგა. დანარჩენი ტუსაღები ირგვლივ ვისხედით. როგორც დიდი შემთხვევების დროს ხდებოდა, ფანჯარასთან რამდენიმე თოფიანმა გუშაგმა მოიყარა თავი და ისინიც ისე ისმენდნენ და ისევ იცინოდნენ, როგორც ჩვენ. უთუოდ რომელიმე მათგანმა ყოველივე ეს ილაპარაკა და მეორე დილას ტიტე გამოიძახეს.

დაბრუნდა ტიტე გვიან. იგი იყო მღელვარე და თვალიდან ცეცხლს აფრქვევდა.

ტიტეს გარს შემოვეხვიეთ. ტიტე ლაპარაკობს:

— მიმიყვანეს იონა თავაძის კაბინეტში. იონა ზის. გაჯავრებას ვერ ვამჩნევ. უეცრად მეკითხება:

— შენ რა დაგიწერია! —

— ულტიმატუმი —

— წაიკითხე! — ვიწყებ კითხვას. სავარძელში ვიჯედი და თურმე ავმდგარვარ, ხმაც მეტის-მეტად ამიწევია და ყველაფერი ეს მაშინ მიეხვდი, როდესაც კითხვა გავათავე. წარმოიდგინეთ, თავაძე ილიმოდა. ერთი სცადა გაჯავრებულიყო, მაგრამ არ გამოუვიდა და განაგრძო ღიმილი.

— აჰა, პაპიროსი მოსწიე, შე სულელო! —

მოვწიე. შემდეგ თავაძე დაფიქრებული ლაპარაკობს:

— ცოდვაა შენი დატუსაღება, მაგრამ რომ არ ისვენებთ! ის სულელიც რომ ბრძანდება, შენი მეგობარი! ბიჭო, დაწყნარდით, გესმის, დაწყნარდით! ვის ეშინია შენი და ბაჯადოსი, თქვე გლახებო, მაგრამ რომ არ იქნა თქვენი დაწყნარება! წადი! წასასვლელად მოემზადე, მაგრამ ფრთხილად იყავი! თუ მეორედ მოხვდი აქა, შენს თავს დააბრალე! —

ტიტე, განთავისუფლების წარმოდგენით მთვრალი, საკანში მიმოდის, რათა ნივთები მოაგროვოს და შეჰკრას. მე მას დავყვები. მას უკვე მიუღოცეთ განთავისუფლება და ტუსაღები აბარებენ შინაურებისადმი სიტყვას, ზოგი წერილს სწერს.

დრო რომ ვიხელთე, ტიტეს თვალებში ჩავხედე.

— ტიტე! — ვამბობ მე და იგი მატყობს, რაღაცა მინდა ვთხოვო და ვყოყმანობ. — ჩიტოს ვაკოცო — აგრძელებს ის ჩემს მაგივრად და მე ვეთანხმები, თუმცა ასეთი რამ, არ მინდოდა ჩემი მეგობრისათვის მეთხოვნა; მინდოდა მხოლოდ ჩიტო მეხსენებია.

— შენც მალე გაგანთავისუფლებენ, ხომ იცი ბაჯადო! — ამბობს ტიტე. იგი ულიმის თავის შთაბეჭდილებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავაძესთან საუბრისას და უეცრად მეუბნება ხმა-დაბლა, აღფრთოვანებითა და თხოვნით, რათა დამითანხმოს:

— ბაჯადო, კარგი ბიჭია იონა თავაძე! —

— შეუძლებელია! — უპასუხებ მე — ხალხი ამბობს, რომ იონა თავაძე საძაგელია! — მეკარე აცხადებს, რათა ტიტე გავიდეს ნივთებით და ტიტე ვიდის.

მე გამანთავისუფლეს იმავ კვირაში. ახალი დაღამებული იყო, როდესაც ჩემი საბნით იღლიაში, გარედ გამოველ და ამწვანებულ ქვეყნიერებას შევხედე. კარგი რამ იყო სულნელება ზაფხულის შემოღამებისა. მე იგი თავ-ბრუს მახვევდა, მათრობდა და მეც მსურდა მას დავეთვრე, რადგან ეს იყო ნეტარება, რომელიც ადამიანს განაცხრობს და რომლის უფლებასაც მე მაშინ ვგრძნობდი, რადგან გმირი თუ არ ვიყავ, მცირეოდენი მონაწილე მაინც შევიქენ ბრძოლისა, რომელსაც ბოჰყვებოდა გამარჯვება.

ყველაფერ ამაში ერია ჩიტო. ხოლო გამარჯვება ისე შემობრძანდებოდა ჩვენს ქვეყანაში, როგორც ცაზე დადის მზე.

მე მივდიოდი ოდნავი ბარბაცით, ვით სიარულს გადაჩვეული კაცი. არ ვიცი, მიამებოდა თუ არა ვინმე რომ შემომყროდა გზაზე. მე ვიყავ დიდი ხნის გაუპარსავი და ბუჩუიანი.

ყრუ ქუჩებით მივედი სახლში, სახლში არავინ დამიხვდა. დაბნელებული ფანჯრები, შეშინებულ თვალებივით გამოიყურებოდნენ. მე უზომოდ დავღონდი; რაღაც დაღლილობა ვიგრძენ და ჩამოვჯექ კიბეზე.

— საღამო მშვიდობის ჩემო ბატონო! — მომესალმა მამა კიბეზე მჯდარს, რაგან ვერ მიცნო. შემდეგ სიხარულით გაიცინა, რამდენჯერმე დამლოცა და კიდევ იცინოდა ნასიამოვნები. ეხლა მეც ვიცინოდი. ნეტავ სად გაჰქრა ჩემი დაღონება, გინდ დაღლილობა!, და მე შევეკითხე ჩემს გონებას და ხელათვე დავივიწყე:

„ნეტავ როგორ იქცევიან ადამიანები, რომელთაც მუდამ აკლიათ მშობლიური თანაგრძნობა და ალერსი!?“.

მამას რომ ჩემი განთავისუფლება სცოდნოდა, საბანაო ოთახს მომიმზადებდა, აუზს გაათბობდა, მაგრამ არც ეხლაა გვიანი, რადგან ბაბი ჯერ არ მოვიდოდა.

მე და მამამ ვიწყეთ ოთახიდან ოთახში სიარული; ცეცხლს ვანთებდით, წყალს ვასხამდით და ასეთ საქმიანობის დროს, ვდგებოდით და უსმენდით ერთი-მეორეს ან ვიცინოდით.

— ედიკელას თუ გაუგზავნე წერილი! —

— გაუგზავნე და პასუხიც გვიწყალობა ედუარდმა —

მამა არაოდეს არ იტყოდა ძმაზე „ედიკო“ ან „ედიკელა“, მუდამ ედუარდი!“ ეს გასაგებია, ძლიერ უყვარდა და პატივს სცემდა.

— რაო, რას იწერება? —

— ჩემი დარდი ნუ გაქვთ, ერთმანეთს მოუარეთო —

ჯერ კიდევ აუზში ვიყავი, რომ მომესმა კარების მოხეთქება და ჩემი დის ხმა, რომელიც მიხმობდა მალე გამოვსულიყავ.

იმ ღამეს ბაბი იყო ნაზი, მგრძნობიარე და არა დამცინავი. სუფრა გაეშალათ. მამა მალე შეზარხოშდა და სთქვა:

— ყველაფერი საბუთი გვაქვს იმისათვის, რომ ჩვენი თავი, ამ საღამოს ჩავთვალოდ ბედნიერად და დიდი დანაშაული არ იქნება, თუ ღამესაც გავათენებთ! —

შვილებმა ეს მოვიწონეთ, თუმცა კარგად ვიცოდით, რომ დავწვებოდით ჩვეულებრივად.

ისეთი სიხარულითა და თანაგრძნობით მეგებებოდნენ ნაცნობები სატუსაღოდან გამოსულს, თითქოს დიდათ სასარგებლო საქმე გამეკეთებიოს და მისთვის დავისაჯე.

ჩიტოც ისე შემეგება, როგორც გმირს. მე მასთან ოჯახში ვიყავი. მე ვხედავდი მის გაშლილ თვალებს და მან რამდენჯერმე, თავისი თითებით თმები გადამილაგა შუბლზე. შემდეგ ჩვენ წავედით ზღვის პირად, უყურებდით მზის ჩასვლას და ჩვენთვის ყველაფერი იყო, ვით ბუნდოვანი სიზმარი, რომელიც ცვალებადია და არ გასტანს, მაგრამ დაუვიწყარია მთავარი — ნეტარება!

დაუსრულებლივ ვლაპარაკობდით და ვიცინოდით; შემდეგ უეცრად, თითქოს შემკრთალი ვწყვეტდით საუბარს და ურთ-ერთს თვალებში უცქეროდით, რათა გვეგრძნო ერთი მეორის სიახლოვე.

„ჩიტო ღვთაებრივი, ერთად-ერთი, განუმეორებელი!“

მან სთქვა, რომ ჩემს განთავისუფლებას უცდიდა, თორემ სიცხეები დაიწყო და რამდენი ხანია, მშობლებს სოფელში წასვლა უნდოდათ! აგარაკზე არ შეიძლება — სანოვაგე არ არის. ის წავა ეხლა სოფელში, იქნებ მე ჩავალ მათთან? ჰა, ბაჯადო? ეს არის შორს; მას თუ მოენატრება ჩემი ნახვა, უსამართლობა იქნება, მე რომ არ მომენატროს. —

ჩიტო სოფელში წავიდა.

ბაბი სოფელში წავიდა. ბაბი მსახურობდა ელსმენის ქსელზე და მოეხერხებია ორი თვის უფასო შვებულება. მე და მამა დავრჩით მარტო. ჩვენ ერთად ვაკეთებდით უგემურ საჭმელებს, თუმცა მამა მათ მუდამ აქებდა. მე ისევ ვმსახურობდი.

ჩემს მჭიდრო მეგობრებიდან ქალაქში იყვნენ ტიტე და ნიკა. ალიკო, გამოცდების ჩასაბარებლად ტფილისში წასულიყო და უთუოდ მალე დაბრუნდებოდა. ეს მითხრა მისმა დამ ნინუცამ, რომელმაც წელს დაასრულა გიმნაზია. ნინუცა იყო წერწეტი გოგონა, რომელსაც ისე ვით თავის ძმას, უყვარდა ხითხითი და ყოველთვის პოულობდა ამის საბაბს. ჩემთან შეხვედრისას მან სთქვა:

— ჩიტო სოფელში წავიდა! — და ამაზე დაიწყო სიცილი. მერე მისაყვედურა, რომ მათთან დიდი ხანია არ მივსულვარ და ამაზე მარტო კი არ მემდურის, არამედ დედა და მამაც!

— მგონი არ იქნებოდა, ურიგო, როცა გაგანთავისუფლეს, ჩვენთან ოჯახში გამოცხადებულიყავ! —

— მაშ შემოიარ, ბაჯადო?! —

ნინუცას ოჯახში შენობით მელაპარაკებოდნენ.

— უეჭველად, უეჭველად — დავპირდი მე.

ასეთი უბრალო დაპირება ადვილი იყო ისე, ვით უბრალო იყო დაპირების დავიწყება.

ქალაქში დიდი სიცხეები დადგა. ტიტე, ნიკა და მე, ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს და დავდიოდით საბანაოდ. ასეთ გასეირნების დროს, ერთჯერ ზღვის პირად, ჩვენ დავინახეთ „წყალქვეშა“, წელში მეტად მოხრილი ხნიერი ადამიანი, რომელსაც ქერა წვერები ესხა და რომელზედაც იტყოდნენ, ჩეკის მოენეაო. ჩვენ ის ხელათვე დავივიწყეთ და რამდენიმე ხნის შემდეგ ტიტემ სთქვა, რომ იონა თავაძე, რაც არ უნდა იყოს, მართლა კარგი ბიჭია!

მე შევატყვე, რომ ტიტესა და ნიკას ამ საგანზე ესაუბრათ და ნიკა ეთანხმებოდა ტიტეს.

არ არის საგანი, რაზედაც მეგობრები ერთმანეთში არ საუბრობდენ. ასეთ საუბარში გამოირკვა, რომ ტიტე, როგორიც იყო, ისეთივე რჩებოდა მემარჯვენე, უკიდურესი მემარჯვენე, ხოლო ნიკა, ნიკა! ნიკა ალაპარაკდა. ის ლაპარაკობდა ისეთი სიცხარით, გამოთქმების ისე შეუჩერებლად, თითქოს სურდა ჩვენთან წაჩხუბება.

— ყოველ შემთხვევაში საჭირო იყო ჩვენ გვცოდნოდა, რომ ყველაფერი რაც ღღეს საქართველოში კეთდებოდა, იყო უაზრო, იყო მავნე და ერთად-ერთი გზა საქართველოსი იყო გზა რუსეთისა, რადგან ევროპა შორსაა და ის ვერ შეიძლებდა ჩვენთან მოსვლას —

ასე ფიქრობდა ნიკა და უდავოდ, ეს იყო იონა თავაძის გავლენა.

— და რომ ევროპა მოვიდეს — განაგრძობდა ნიკა — განა ეს კარგია! მოვლენ კაპიტალისტები და ბანკირები; ეს უნამუსო იეზუიტები, მსუქან ღორებს რომ გვანან, რომელთაც თავიანთ მუშებისათვის შექმნილი აქვთ სამოთხისებური პირობები და მე რომ თქვენი სინდისის ამბავი

ვიცი, თქვენ თვითონ ამას ვერ აიტანთ, თქვენ თვითონ პირველი დაუწყებთ ბრძოლას და აუჯანყდებით — მე პირდაპირ მოუჭერი ნიკას:

— თუ კი ასეა, საკვირველია ნიკა, რატომ არ ჩაეწერები პარტიაში! იქ ალბად სიამოვნებით მიგიღებენ. —

ნიკა შორს წასულა. მან გამოწვევა მიიღო და სთქვა:

— დიახ, ჩავეწერები! რადგან ყოველი პატიოსანი მოქალაქე მოვალეა ასე მოიქცეს და ეს არის ბრძოლა და არა განცხრომა! —

მეტად ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე და ტიტეზე ასეთმა საუბარმა. ნიკა სულიერად დაგვშორებოდა, თუმცა მე ვფიქრობდი, რომ ყველაფერი რაც გამოირკვა არ ეხებოდა მეგობრობას, რომელიც შესაძლებელია და უნდა გაგრძელებულიყო.

გიგას ამბავი

დიდი თხოვნის შემდეგ, გიგა დასთანხმდა წარმოედგინა ჩვენთვის ჯოენ მორა.

ჯოენ მორა ყოფილიყო ზანგი მოჭიდავე, რომელიც ჩვენს ქალაქში, რამდენიმე წლის წინ, საგასტროლოდ ჩამოეყვანა რომელიღაც ქართველ მოჭიდავეს.

გიგა იყო ათი წლის ცუგრუმელა ბიჭი, ხოლო ჩვენ ვიყავით შემდეგი პირები: გიგას მშობლები, ძლიერ პატიოსანი ადამიანები, რომელთაც ეწყობოდათ მშვიდი მოხუცებულობა.

გიგას და-ძმა ნინუცა და ალიკო, აგრეთვე მე, მათი წვეული.

ალიკო წუხელის ჩამოსულიყო ქალაქიდან და დღეს რომ სახლში მივედი, მისი წერილი დამხვდა.

იგი მიბარებდა სადილად ვწვეოდი. მე ეს მიამა.

ნიკასთან საუბრის შემდეგ მე დამრჩა უკმაყოფილების გრძნობა, რომელიც უთუოდ გამივლიდა ალიკოსთან, რადგან ის იყო ფხიზელი გონებისა, მხიარული და ერთობ ნათელი.

ის იყო გიგა დასთანხდა, რომ მამა მისმა სთქვა:

— მე და ჩემი გიგლა ერთნაირად ვბერდებით. მეც დამაკლდა ერთი კბილი, მაგრამ ეს ჰქმნიდა ძვირფას სურათს პატარა ბიჭისა, რომელსაც ამისი უთუოდ სცხვენოდა.

გიგა დედასთან მივიდა და კიდევ სთქვა, რო არ იზამს! მე ვსთქვი:

— ჩემი ამხანაგის გიგას საქციელი სწორედ მაკვირვებს, პირადათ მე, რამეს წარმოდგენა რომ შემეძლოს, ამ წუთშივე წარმოვადგენდი —

არა მგონია ეს საკმარისი ყოფილიყო, მაგრამ ალიკომ სთქვა:

— და შენ წარმოიდგინე ბაჯადო, უნდა ჩვენთან ზღვაზე წამოვიდეს —

ამის შემდეგ გიგა დასთანხმდა. მამას, რომელიც სიცილს ვერ იკავებდა, მტრულად გადახედა, თითი ასწია და სთქვა:

— მხოლოდ... —

მამამ სიცილით დაამშვიდა: — არა არა! —

გიგა მეორე ოთახში გავიდა. წარმოდგენის მოლოდინში ალიკო და ნინუცა, აგრეთვე მამა, სიცილს ძლივს იხშობდნენ. მე ამიხსნეს როგორ უნდა მჭეროდა თავი წარმოდგენის დროს, რათა გიგა, აქ უკვე ჯოენ მორა არ გაჯავრებულიყო.

გიგამ პატარა ნოხი გამოიტანა და ჩვენს წინ გააფინა. ეს იყო სარბიელი. გიგა ისევ შებრუნდა და ცოტა ხნის შემდეგ გამოვიდა ჯოენ მორა, რომელსაც ჩვენ შეეგებეთ ტაშით.

მოჭიდავემ ჩვენს ტაშზე, ზიზღით ხელი ჩაიქნია: თქვენი ტაში რათ მინდაო და დაიწყო ჭიდაობა. ჯოენ მორას ტიტველ სხეულზე პატარა სამანაო ტრიკო ეცვა და ფეხთ, სუბუქი ჩუსტები. ჯოენ მორა მარჯვედ ჭიდაობდა. ეტყობოდა, მისი მოწინააღმდეგე გაცილებით მასზე ძლიერი იყო, რის გამო, ის ხშირად უსხლტებოდა ხოლო როდესაც ხელთ უვარდებოდა, იწყებდა ქშენას; ასეთ დროს, რაღაცას კიდეც წამოიძახებდა თავის გაუგებარ ენაზე, უთუოდ ლანძღვას.

ბოლოს, მოწინააღმდეგემ იგი მოდრიკა, მიწაზე დასცა და ჯოენ მორა ძლეულ იქნა.

— ბრავო ჯოენ მორა, ბრავო! — ვიძახოდით ჩვენ და ვსცემდით ტაშს. ჯოენ მორა წამოდგა, თავის ენაზე რაღაც შემოგვიბურღღულა, ხელები უმადურად ჩაიქნია: წადით, დამეკარგეთო! და კულისებში გაიქცა.

— ბრავო ჯოენ მორა, ბრავო!

ერთხმად წამოვიძახეთ დამსწრეებმა და ატყდა ტაშის ცემა და სიცილი, რაიც უკვე დაშვებული იყო, რადგან ჯოენ მორა გათავდა.

ღმერთო, მაინც რა ჯოენ მორა იყო ეს ჩვენი გიგლა, მზეზე გაშავებული თავისი ვიწრო სხეულით, ბავშური კუნთებითა და სოველი ცხვირით, რომელიც დამსწრეებმა დავინახეთ მაშინ, როდესაც იგი მიწაზე დასცეს.

ყველაზე მეტს იცინოდა ნინუცა და რა გიგლა გამოვიდა, მას ეს უთუოდ არ მოეწონა და დედას საყვედურით სთხოვა: დედა, არ მინდა!

ის ირგვლივ ხედავდა მოცინარ სახეებს და სურდა დავმშვიდებულიყავით.

— მოდი ჩემთან, მოდი! — სთხოვა მას მამამ, რა ცოტა სული დაითქვა.

გიგლა არ მივიდა. მე ვსთქვი:

— გიგა, შენი წარმოდგენა ძალიან კარგი იყო და სრულებით არ უნდა გიკვირდეს, ჩვენ რომ ვიცინით, რადგან ჩვენ ეს მეტის-მეტად გვიამა —

— სამაგიეროდ, შენ წამოხვალ ჩვენთან ზღვაზე! — ზღვაზე რომ წავედით, მზე დასავლეთით იყო გადახრილი. ცხელოდა. არ იძვროდა ჰაერი. გიგლა დაუსრულებლივ ტიტინებდა. ის იყო ნამეტანი მოუსვენარი, თითქოს რაღაც სულსწრაფი და სურდა დაენახა და გაეგო არა მარტო ის, რასაც ხედავდა და რაც არსებობდა ამ ქვეყნად, არამედ ისიც, რაც არ არსებობდა და მას ეგონა არსებობსო.

ალიკომ, გიგას არ გაუცინია, ისე მითხრა:

— შენ ძალიან კარგად ელაპარაკები გიგას; მეც მინდა ასე, მაგრამ არ შემიძლია! —

— მე მგონია — უთხარი მე გიგას — შენ ძალიან კარგი კაცი გამოხვალ — რათქმა უნდა მე ეს წამოვიძახე არა პირფერობით. გიგას იამა. მერე მკითხა:

— მე მქვია გიგლა ან და გიგა, შენ კი მეძახი, გიგ! რატომ? —

ამისი ახსნა ჩემთვისაც არ იყო ადვილი, შეიძლებოდა რაიმე გამომეგონებია, მაგრამ რადგან ბავშ-ადამიანთან ტყუილი დაუშვებელია, ამიტომ მე უპასუხე ასე:

— ეს მეც არ ვიცი კარგად; მგონია იმიტომ, რომ არ მინდა გეძახდე, როგორც გეძახის ყველა;

გარდა ამისა, ჩვეულება მაქვს სახელების გამოცვლის —

ასეთი და სხვა ამგვარი საუბრით ჩვენ მივატანეთ ზღვის პირად.

აქ ქარი ჰქროდა თუმცა მხურვალე, მაგრამ მაინც სასიამოვნო და ჩვენს წინაშე გადაშლილი ზღვა იყო ლურჯი და მღელვარე. ბავშმა შორიდანვე იწყო ტანთ გახდა. ჩვენ აუკრძალეთ:

— ნაოფლარი ვართ და გონიერება მოითხოვს, და სხვა და სხვა —

ღელვის ხმა იდგა და გვიხდებოდა ხმა-მაღალი ლაპარაკი. ამან განწყობილება გამოუცვალა ბავშს; იგი სიხარულით თრთოდა და ჩვენზედაც იმოქმედა, აგვაგზნო.

სილიან ნაპირზე, ვიდრე თვალი მიწვდებოდა, იწვა და მოძრაობდა მობანავე ხალხი, დასიცხული მოქალაქენი. ზღვაში ჩასულები ჰგავდნენ უმწეო პეპლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანთ გავიხადეთ და გიგამ, ქურდულად თვალი შეგვავლო სხეულზე. ალიკოცა და მეც ძველი მოვარჯიშენი ვიყავით და გიგა უთუოდ ნატრობდა ჩვენ კუნთებს.

— აბა ეხლა მე შენ ერთ ოინს გიჩვენებ — უთხარი მე გიგას, რა საკმაოდ გავგრილდით.

— რომელს? —

გიგა მხრებზე შევისვი და წყალში ჩავედი, თან ურჩიე კისერზე კარგად მომჭიდებოდა. წელამდე რომ მივახწიე დავიძახე: — მოემზადე! — და თავით გადავეში. მაგრამ გიგლამ თვით მიჩვენა ოინი. იგი ჩემზე წინ გადაეშვა და წყალში ჩაძირულმა დავინახე, იგი სცურავდა თვალებ გახელილი და მისი მოძრაობა იყო ნელი, მაგრამ თავისუფალი.

გიგლა მშვენივრად სცურავდა.

ბავშურ მკლავებში იმდენი ძალა ჰქონდა, რომ თავის სხეულს ტალღებში მსუბუქად ატარებდა.

ალიკო, რომელიც მოგვიახლოვდა, ყვირილით აფრთხილებდა თავის უნცროს ძმას, შორს არ წასულიყო. გაფრთხილება ზედმეტი არ იყო, რადგან ზვირთებმა იწყეს ზრდა. ისინი ეხლა, თითქმის ორი ადლის სიმაღლეზე იმართებოდნენ, გვესხმოდნენ თავს და ჩვენ ზედი-ზედ ვიყავით წყალში ჩაძირული, რადგან დავახწევდით თუ არა თავს ერთ ზვირთს, გვესხმოდა მეორე.

ეს არ იყო სასიამოვნო. მე ცოტაოდენი წყალიც ვყლაპე; ამას შეეძლო ხასიათის გაფუჭება; თან შევნიშნე, რომ ჩვენ მოვექეცით ტალღათა ისეთ მოძრაობაში, რომელიც წინ გვიტაცებდა, ხოლო ნაპირს ეხლაც საკმაოდ დაშორებული ვიყავით.

ნაპირს მოვხედე. ძალიან შორს იყო და გიგას დაუძახე:

— ჰეი გიგა, ვბრუნდებით უკან! —

მაგრამ ბავში, გატაცებული სურვილით, რათა უფროსებისათვის ეჩვენებია გულადობა და სიყოჩაღე, ისევ წინ მისცურავდა. ალიკო გაბრაზდა:

— ეხლა ამოვიყვან ამ ბაღანას და ვსცემ — სთქვა მან.

ამის შემდეგ ყველაფერი მოხდა ჩემ თვალ წინ, მაგრამ არ ვიცი როგორ მოხდა. ჩვენ მივცურავდით გიგლასაკენ და როცა ზვირთი თავს დაგვესხა და რამდენიმე მყისის შემდეგ ისევ ამოვტივტივდით, ბავში არ სჩანდა.

— ბიჭო, რა იქნა! — შემკრთალი ხმით მიყვირა ალიკომ. მას გალურჯებოდა ბაგეები. ცხადია უბედურება ახლოვდებოდა. ასეთ დროს, ყველაზე უმჯობესია გულგრილობა. ჩვენ, რამდენადაც შეგვეძლო ტალღებზე ამოვიწიეთ და არე-მარეს თვალი მოვავლეთ. ერთგან, ჩვენგან საკმაოდ მოშორებით, შევნიშნეთ რაღაც, გიგლა უნდა ყოფილიყო და თუ ეს იყო გიგლა, უეჭველია მას არც ძალა ჰქონდა, არც ცნობიერება.

— ეგერ! —

ერთ-და-იმავე დროს წამოვიძახეთ და რაც ძალ-ღონე გვქონდა, გავეშურეთ. ისევ თვალთაგან დაგვეკარგა. ჩვენ ვიწყეთ ყვინთაობა და ასე ძებნა, მაგრამ ამაოდ.

„არა" გავიფიქრე მე „ამპარტავნობის დრო არ არის!", ნაპირისაკენ პირი მივაქციე, ავსწიე ხელი და რამდენჯერმე დავიძახე: მოგვეშველეთ!!

არ ვიცი, რამდენი გავიდა დრო ასეთ ვაი-ვაგლახში, მხოლოდ მე ღონე გამომელია და ალალ-ბედზე ვიწყე ლასლასი, მაგრამ კიდეც რომ აქ ჩავმხჩვალიყავ, ალიკოს არ დავტოვებდი ამ განსაცდელში: „მაშინ მოკვდეს ბაჯადო".

ალბად ნაპირზე გაიგონეს ჩემი ძახილი, ან იქნებ თვითონ მიხვდნენ განსაცდელში ვიყავით და მე დავინახე ნაპირიდან წამოსული პატარა ლვილი, ამით გამხნევებულმა ალიკოს დაუძახე:

— ალიკო, არ შეშინდე ბიჭო! —

შესაძლებელია მე დავინახე უსასოო ბავში და მიტომ დავყვინთე, ან შეიძლება შემთხვევით დავყვინთე და შემდეგ დავინახე, მხოლოდ ეს იყო გიგლა. უკანასკნელი ძალ-ღონით მკლავში ვწვდი, რაც შემეძლო ხელს ვუჭერდი, რათა წყალს არ გამოეტაცა და მე ვიწყე ამოსვლა.

„უბედური ბავში!" ელვის ისწრაფით მიკრთის გონებაში. ძალიან ვჩქარობ; ადამიანს მეტი არ მოეთხოვება, თან მიხარია, რადგან ეს ბავში ან გადარჩება, ან თუ დაღუპვაა, დაიღუპება ჩემთან ერთად.

— მომეშველე! — ვყვირი მე. ალიკო ადვილად მიახლოვდება, რადგან ტვირთი მაქვს. ვამჩნევ, ალიკოს უნდა ტვირთი ჩამომართვას.

— ბიძგით! ბიძგით! — უძახი მე და არ ვთმობ, რადგან არა მგონია, მას ჩემზე მეტი ძალა შერჩენოდეს. ამის შემდეგ ალიკო გვერდით მომყვება და შეარჩევს თუ არა დროს, ბიძგსა მკრავს.

ჩვენ არ ველოდით მშველელთ, როდესაც ისინი მოგვიახლოვდნენ.

ტალღამ ლვილი მაღლა ისროლა და იქიდან გადმოხტა ოთხი კაცი.

მე ნახევრად ბურანში ვიყავი. მახსოვს ტვირთი ჩამომართვეს და მგონი ხელს არ უშვებდი, რადგან ერთმა მუშტი თავში დამკრა.

ჩვენც ხელი მოგვკიდეს და დიდი წვალებით აგვიყვანეს ლვილში.

ალიკოს ცრემლები გადმოსცვინდა თვალიდან.

არაფერი ეშველა უბედურ გიგლას. უკვე ბნელდებოდა, როდესაც ეტლი და თეთრში შეხვეული მისი სხეული შინ აიტანეს. მისი ტანისამოსი და პატარა ჩუსტები ცალკე წაიღეს;

გიგლას ისინი აღარ სჭიროდა.

წინასწარ გაეფრთხილებიათ ბავშის მშობლები. საბრალო დედა ზარდაცემული იდგა და გაშეშებულს ცრემლები არ სდიოდა; მხოლოდ თმები სულ დაეწეწა, სიმწრისაგან ხორცი დაეგლიჯა და სისხლი სდიოდა. მასთან იდგნენ ცხარედ მტირალი ქალები და მას აკავებდნენ; მხოლოდ, დედამ მე რომ დამინახა, გამოეშურა, თავზე ხელები მომხვია და მის თვალთან იწყეს ცრემლებმა დენა.

— მომკვდარხარ შვილო — ოდნავ გამოსთქვა მან — წადი, წადი დაისვენე შვილო — მასთან იდგა ნინუცა. ნინუცას მთლად სოველი ჰქონდა სახე. მამა მისსაც.

მე წამიყვანა მამა-ჩემმა სახლში; მაგარი სასმელები დამალევინა და მირჩია დავწოლილიყავ.

ბავშის დაღუპვამ დამაღონა და დამიწვა გული. ჩემს სულიერ ცხოვრებაში მან შეიტანა რაღაც ჩრდილი და სიცივე, და მგონია სამუდამოდ. მერჩია მე თვით დავღუპულიყავ.

ალიკოსაც ასე ერჩია. თითქოს რაღაც დავაკელით, სათანადოთ ვერ გაუფრთხილდით ბავშს, თუმცა ცნობილია, რომ ჩვენც გონებამიხდილი ამოგვიყვანეს.

ნაცნობები და მეგობრები გულისტკივილით მიცხადებდნენ თანაგრძნობას და ასეთ თანაგრძნობაში მე ვამჩნევდი, ან მეჩვენებოდა ერთგვარი სიბრალული ჩვენდამი იმის გამო, რომ უფროსები გადავრჩით, ბავში არა!

განა მე შემეძლო მეყვირა, რომ არც ალიკოს, არც მე, მხდალად არ გამოგვიჩენია თავი!, და რომ ჩვენ გაგვიმეტა ბედმა და შემთხვევამ!

გიგლა დავასაფლავეთ.

მთელი ქალაქი დაესწრო დასაფლავებას. მე მივაცილებდი ალიკოს.

მეორე კვირას ბაბი ჩამოვიდა. იმისთვის ეთქვათ, რომ გიგლა დაიღუპა, ხოლო ჩვენ, ალიკო და მე საავადმყოფოში ვწევართ სულთმობრძავები და საეჭვოა გადავრჩებით თუ არა.

საოცარია, როგორ ვრცელდება, ან ვინ ავრცელებს ასეთ ჭორებს!

ყოველშემთხვევაში, გონების თვალით მე დავინახე ვინმე ბუნდოვანი პიროვნება, ქალი გინა კაცი, ჩვენი თანამოქალაქე, რომელსაც სურს ეს ასე იყოს, რომ ეს ასე უმჯობესია და ეს არის შებრალება ჩვენი კაცობისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაბიმ მანუგეშა. ის უნდა მისულიყო სამძიმრით გიგლას მშობლებთან და მეც წამიყვანა.

ძალიან არ მინდოდა წასვლა.

— ხომ არ გაგიჟებულხარ! — მითხრა ბაბიმ — ხომ იცი რომ ეს სიმხდალეა! ასეთ დროს, უნდა ჩადიოდე იმას, რაც არ გსურს! —

წავედით. ვიხელთე თუ არა დრო, ალიკოს ოთახში გავედი. ის იჯდა მარტო, გამხდარი, გაუპარსავი, თვალებ დაწითლებული. ჩვენ მდუმარედ მივესალმეთ ერთმანეთს.

თუ ამდენ ხანს ჩვენს მეგობრობას ჰქმნიდა სიხარული, ეხლა ამას ზედ ერთოდა უბედურებაც.

ასე მდუმარე დავყავით რამდენიმე ხანი. ოთახში თანდათან ბნელდებოდა და მე გავიგონე ალიკოს ხმა:

— იმ ბავშის დაღუპვამ სიკვდილი შემაყვარა! —

განვცვიფრდი. არაფერი მიპასუხია. ეს იყო განრისხება სიცოცხლეზე თუ ბედზე, ეს იყო აგრეთვე გამოხატულება შეურაცყოფისა, რომელიც უგრძნია მაგარ გულს.

მე არ ველოდი ამას ალიკოსაგან, არ ველოდი თუ ის იპოვიდა ასეთ ძლიერ გამოთქმას; მოვიხიბლე და ჩემდა უნებურად, ხელი შევახე მუხლზე.

კარგად რომ დაღამდა, მე ის დავითანხმე, გარედ გავსულიყავით და ქუჩებში გვევლო.

ის სულ არ გამოდიოდა გარედ და შინაურები, მშობლები და დაი, ხედავდნენ რა მის მწუხარებას, შიშით, რათა უნებურად უფრო არ ევნოთ მისთვის, ვერაფერს უბედავდნენ.

ქუჩებში, სადაც ჩვენ განთიადამდე ვიარეთ, არავინ დადიოდა.

ბევრი მოვსწიეთ თუთუნი. ჩვენ არ ვსაუბრობდით. მხოლოდ როდესაც მეგობარი სახლში მივაცილე, მე მას უთხარი:

— ალიკო, ამ უბედურებაში შენთან ერთად მიგულისხმე და ამაზე, თუ ძმა ხარ უარი არ მითხრა! — ალიკომ მადლობის გრძნობით ჩამომართვა ხელი.

ყველაფერი ეს არის ცხოვრება. ყველაფერი ეს განაწყობს ჩვენს ყოფაქცევას და ხშირად, ადამიანთა შორის ჩვენს მიმოქცევას, აძლევს მიმართულებას.

ჩიტოს არ შეეძლო არ შეენიშნა ჩემი დაღონება. ის ჩამოვიდა სოფლიდან გაბრწყინებული; პირველად რომ შევხვდი, ჩიტომ სუნთქვა შეიკრა და მკლავები დამანახა:

— აი ჩემი მკლავები! —

ჩიტო მზეზე დამწვარიყო, დასდებოდა ელფერი დიდი ჰაერისა, მთისა და ტყის, რასაც შეექმნა გამოუთქმელი მშვენიერება და იგი სიხარულით თრთოდა, რადგან მე ვფიქრობ, ყოველივე ეს მოჰქონდა ჩემთვის.

მე ავადმყოფ კაცივით ვეამბორე მკლავზე. კიდევ რაღაც სთქვა ჩიტომ და დადუმდა.

რამდენჯერ ჰქონდა მას ჩემთვის ნათქვამი, რომ ხანდახან, მე ისე მოულოდნელად ვახელ თვალებს, გამოდის თითქოს ნაპერწკლებს ვაფრქვევდე; ამის შემდეგ მე მუდამ ვიცი რაღაც უცნაურისა და მოულოდნელის თქმა და ეს ძალიან — ძალიან კარგია, თუმცა არაფერიც რომ არ ვსთქვა მაშინ არა უშავს, იმდენად ჰხიბლავს მას ნაპერწკლები.

დღეს უთუოდ ნაპერწკლები არ იყო. ჩიტომ ჩუმად სთქვა:

— საბრალო ბავში! —

— გმადლობ ჩიტო! მხოლოდ შენ შეგიძლია გაიგო ეს! — წამოვიძახე მე, რაღაც ნაღვლით აღელვებულმა და როდესაც ჩვენ შეუდექით მდინარის პირად თვალუწვდენელ ხეივანს, დავიწყე ამბავი საბრალო გიგლასი.

ჩიტო მისმენდა ჩუმად და როდესაც მან, ხელში მკლავი გამომდო და ოდნავ მომეკრა თითქოს სციოდა, ვიგრძენ, რომ მას გადაეცა ჩემი მღელვარება.

ჯოენ მორაზე, დიდის მწუხარებით გაიღიმა ჩიტომ და ეს ღიმილი ისეთი სათნო და პატიოსანი იყო, რომ შეიძლებოდა იმისი ჩვენება თვით გიგასათვის, ან მისი მშობლებისათვის.

როდესაც მე მივახწიე წყალში ჩასვლის ამბავს, მდინარის პირიდან ამოვიდა ნიკა. იგი ხის ძირას მჯდარიყო. მან კარგად დაინახა, რომ ჩვენ განმარტოებით ვსეირნობდით, მოგვესალმა და პასუხზედაც უნდა მიმხვდარიყო, რომ ჩვენ ასე გვერჩია, მაგრამ მაინც შესაძლებლად სცნო, მოსულიყო.

მე შევწყვიტე ჩემი ამბავი. ამის შემდეგ საუბარი შეიქნა უხალისო, რაღაც იძულებითი, რომელიც შესდგებოდა კითხვა პასუხისაგან:

— როგორ ბრძანდებით! —

— კარგად, თქვენა: — და სხვა ასეთი.

ბოლოს ჩიტომ სთქვა, რომ ის დაბრუნდება სახლში, რადგან ძალიან არ უყვარს ასეთი უგნური, მრგვალი მთვარე. ჩიტომ ესა სთქვა ისეთი უკმაყოფილო კილოთი, რომ არა ბგონია თითქოს ეს ეხებოდა მხოლოდ მთვარეს. მე მომმართა:

— და თუ თქვენ გამაცილებთ ბაჯადო, ძალიან მადლობელი ვიქნები! —

რა თქმა უნდა მე გავაცილებდი, მხოლოდ ნიკა სახლშიაც გამოგვყვა; უთუოდ მან ეს გულუბრყვილობით ჩაიდინა და მე, მისდამი მეგობრობის ძალით, უნდა მეპოვნა საშუალება, მისი თავმოყვარეობის დაზოგვისა.

უმხიარულოდ მივახწიეთ ჩიტოს სახლამდე. ეზოს კარებთან ჩიტო გამოგვემშვიდობა და როდესაც ის ეზოში შევიდა და ჩვენ მას ვერ ვხედავდით, რადგან ჰფარავდა კედელივით ამართული ბუჩქები და ზედ გაბარდნილი ყვავილები, მე მას დაუძახე:

— ერთი წუთით! —

ჩიტო მიცდიდა გაკვირვებული და იღიმოდა. მე იმიტომ დავბრუნდი, რომ იგი მომაგონდა ერთბაშად, მომაგონდა მთლად და მე მას ვაკოცე ოდნავ ღია ტუჩებში.

— გადარეული! — სთქვა მან.

ვაკოცე ხელზე, თვალებში, ისევ ტუჩებში და არ ვიცოდი რას ვშვრებოდი.

— გაგიჟდი, გაგიჟდი! — რამდენჯერმე სთქვა ჩიტომ და მის ხმაში მომესმოდა ალერსი, შვება და ისეთი რამ, რაც იყო წვალებისა თუ ტანჯვის.

მე ჩიტო დავტოვე და მე და ჩემი მეგობარი დავბრუნდით სახლში. კარგა ხანს ჩვენ ვიარეთ მდუმარედ. შემდეგ ნიკა ალაპარაკდა და მე ვიგრძენი, რომ ეს კაცი არ უნდა ყოფილიყო გულუბრყვილო. შეიძლება მე ვცდებოდი! ან რა კავშირი ჰქონდა გულუბრყვილობასთან ყოველივე იმას, რასაც ლაპარაკობდა ნიკა. იგი ასე ამბობდა:

— მართალია საქართველო იარაღდება, მაგრამ ეს არის სასაცილო, რადგან აქედან არაფერი გამოვა. და ეს დაგვიანებული პატრიოტობაც არის სასაცილო. იგი წაგავს უხეირო ხელოვნებას, რომელიც ეთამაშება ცხოვრების ჩრდილს —

გამომცემელი: ქართული საკავშირო შტაბი. მთავარი რედაქტორი: **გ. ფროლელი.**
რედაქტორი: **ვ. ნოზაძე.** მდივანი: მოხ. **ი. დურუჯელი.**

„Das Georgische Yolk", Berlin W 35, Ludendorffstr. 60. ქართული სტამბა არჩილ მეტრეველისა

ქ-946